საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის ინსტიტუტი

ანგია გოჭორიშვილი

ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში

I

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი—1965

15
151
ბ 897

ნაშრომი მიეკუთვნება ფსიქოლოგიის თეორიული დასაბუთების სფეროს. ფსიქოლოგიზმის პრობლემის თავისებური ინტერპრეტაციის საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ფსიქოლოგიზმს ადგილი აქვს აგრეთვე ფსიქოლოგიაშიც და რომ ბრძოლა ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ არა ნაკლებ აქტუალურია ფსიქოლოგიაში, ვიდრე სხვა მეცნიერებაში.

სიტყვის შინაარსი წარმოდგენილია, როგორც იდენტური მნიშვნელობა, რომელიც კორელატის როლში გამოდის სიტყვის მრავალგზისი გამოყენების მიმართ. დებულება — „ენაში არის მხოლოდ ზოგადი" მნიშვნელობის იდენტობაში ნახულობს თავის გამართლებას.

ფსიქოლოგიზმის დაძლევის საშუალება ფსიქოლოგიაშიც არის დებულება, რომ „ყოველგვარი მეცნიერება არის გამოყენებითი ლოგიკა".

I. ფსიქოლოგიზმი და ლოგიციზმი ფსიქოლოგიაში

1

გნოსეოლოგიური თვალსაზრისი სუბიექტ-ობიექტის კავშირსა და დაპირისპირებას გულისხმობს. კავშირიცა და დაპირისპირებაც სუბიექტ-ობიექტისა აქ შემეცნებას ემსახურება. ეს გარემოება განსაზღვრავს როგორც სუბიექტს, ისე ობიექტსაც. სუბიექტი შემეცნების სუბიექტად გვევლინება, ხოლო ობიექტი — შემეცნების ობიექტს წარმოადგენს. მხოლოდ ამ განსაზღვრების შემდეგ ხდება ნათელი ჩვენთვის, თუ როგორ სუბიექტთან და როგორ ობიექტთან გვაქვს საქმე ამ კონტექსტში. ამის უგულებელყოფა მძიმე შედეგების მიზეზი შეიძლება გახდეს. მრავალი მნიშვნელობა აქვს როგორც „სუბიექტს", ისე „ობიექტს". გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ცნებათა აღრევისაგან თავის დასაღწევად, საჭიროა ამ ტერმინების მნიშვნელობა თავიდანვე იყოს ცნობილი. ვინ არ იცის, რომ სუბიექტი და ობიექტი სხვადასხვას ნიშნავს ლოგიკაში, გნოსეოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ონტოლოგიაში, სამართლის თეორიაში, ისტორიაში, ეთიკაში, სოციოლოგიაში და ა. შ.?! მაგრამ მაინც ხშირია შემთხვევა, როცა ამ ტერმინების მნიშვნელობა არაა დიფერენცირებული საჭირო სიზუსტით. არაა თანმიმდევრულად ხმარებული ერთჯერ აღებული მნიშვნელობა.

რა არის შემეცნების სუბიექტი და რა არის მისი ობიექტი, ეს თვით შემეცნების ცნებით უნდა გაირკვეს. ის გარემოება, რომ ვლაპარაკობთ შემეცნების სუბიექტსა და შემეცნების ობიექტზე, იმას ნიშნავს, რომ ზოგი თეორია შემეცნებისა ჩვენ ამით უკუვაგდეთ: არ მიგვაჩნია აზრის მქონედ ლაპარაკი შემეცნებაზე, სადაც ეს ორი წევრი, მათი სხვაობა და მათ შორის მიმართება არაა ნაგულისხმევი. გნოსეოლოგიური აქტი ჩვენ გვესმის როგორც მიმართება, როგორც სუბიექტისა და ობიექტის სპეციფიკური ურთიერთობა. შემეცნების

თეორიის ძირითადი პრობლემა ამ ურთიერთობის გარკვევაა, სადაც ურთიერთობა არ იგულისხმება, იქ შემეცნების პრობლემა არც დადგება*.

შემეცნების პროცესი შემეცნებას ემსახურება. შემეცნება, როგორც შედეგი ამგვარი ძიებისა, ჭეშმარიტებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება და შემეცნების პროცესი სხვადასხვაა. სხვადასხვაა მათი თეორიებიც. კითხვა: რა არის ჭეშმარიტება? და კითხვა: როგორ ვაღწევთ ჭეშმარიტებას? სხვადასხვა კითხვებია. ჭეშმარიტების რაობა გარკვეული უნდა იყოს მანამ, სანამ დადგებოდეს საკითხი მისი წვდომის შესახებ. იმის შემეცნების შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი ჭეშმარიტების წვდომა. შემეცნების ფაქტი უნდა არსებობდეს, რათა მის შემეცნებაზე დადგეს საკითხი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტების რაობა ჩვენთვის ცნობილია და ახლა ვიძიებთ იმას, თუ როგორ გამხდარა იგი ჩვენს კუთვნილებად. ჭეშმარიტების წვდომის შესაძლებლობა აქ არ შეიძლება კითხვის ქვეშ დადგეს. გასარკვევია მხოლოდ ის, თუ როგორია ბუნება ამ წვდომისა, როგორ ხდება იგი. სკეპტიციზმი აქ თავიდანვე გამორიცხულია. ჭეშმარიტების მიუწვდომლობის მტკიცება ლოგიკურად შესაძლებელია მხოლოდ ჭეშმარიტების რაობის ცოდნის საფუძველზე. გნოსეოლოგიური სკეპტიციზმიც ჭეშმარიტების ცოდნას ემყარება. ყოველგვარი მეცნიერული ძიების პირველი პირობა ჭეშმარიტების რაობის ცოდნაა. საძიებელია ჭეშმარიტების ემპირიული წარმომადგენელი, ის, რაშიაც არის განხორციელებული ჭეშმარიტება.

ჭეშმარიტების რაობა არ იქმნება იმით, რომ მისი ემპირიული ილუსტრაცია ხდება. ჭეშმარიტება მაშინაც „კარგად გრძნობს თავს", როცა ის არავინ იცის. შემეცნება (აქტი) გულისხმობს ჭეშმარიტებას. მაგრამ ჭეშმარიტება არ გულისხმობს და არ მოითხოვს შემეცნებას. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც რომ ჭეშმარიტება ცნობილი ხდება, უაზროა გნოსეოლოგიური სკეპტიციზმი, განუხორციელებელია იგი ფსიქოლოგიურადაც. შეუძლებელია ამტკიცებდე იმის შეუძლებლობას, რაზედაც არავითარი წარმოდგენა არა გაქვს. გნოსეოლოგიური სკეპტიციზმი არასდროს არ გაჩნდებოდა. ჭეშმარიტების რაობა რომ არ ყოფილიყო ცნობილი. ამაშია შინაგანი წინააღმეგობა გნოსეოლოგიური სკეპტიციზმისა.

სხვა სიბრტყეში დგება საკითხი სპეციალურ მეცნიერებაში. აქ საქმე ეხება ჭეშმარიტებას კი არა, არამედ მის ილუსტრაციას, მის

---

* იხ. ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჭეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხი. თბილისი, 1960, გვ. 7.

კონკრეტულობაში გამოვლენის ფაქტს. ჭეშმარიტების არსებობა მარტო, თავისთავად — არაა საკმარი პირობა იმისი, რომ ემპირიული სინამდვილე მისი გამოვლენა იყოს და მით უმეტეს იმის პირობა, რომ მისი შემეცნებაც გარანტირებული იყოს. ჭეშმარიტება [illegible] [illegible]ენტულია როგორც ემპირიული სინამდვილისადმი, ისე შემეცნებელი სუბიექტის მიმართ. შესაძლებლობა და აუცილებლობა შემეცნებისა, მეცნიერებისა დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს. ჭეშმარიტება მხოლოდ ერთ-ერთი პირობაა შემეცნების. სპეციალურ-მეცნიერული ცოდნის.

მეცნიერებას საკვლევი საგანი აქვს და მის თავისებურებაზე არის დამოკიდებული მეცნიერების არსებობაც და სპეციფიკაც. აქ იჩენს თავს მეცნიერების ონტოლოგიური შეპირობებულობა. რაც მეცნიერების გნოსეოლოგიური დახასიათებისათვის მისი საგნის ონტოლოგიურ დახასიათებას მიმართავენ. ყოველთვის არ ითვალისწინებენ, რომ ასეთი დახასიათება, თავის მხრივ, ამ სინამდვილის იმ შემეცნებას ემყარება, რომელიც წარმოიქმნა მეცნიერული კვლევის უწინარესად. თეორიული ძიების დაწყებამდე. თეორიული ცოდნის მოთხოვნა, რომელსაც ამჟამად აქვს ადგილი. არის მეთოდოლოგიური რეალიზაცია იმისი, რასაც სტიქიურად იძენდა ადამიანი მეცნიერული ინტერესის გარეშე.

სპეციალური მეცნიერება სპეციალურ მასალას გულისხმობს. ახალი და საკუთრივ მეცნიერული ძიება ეხება ამ მასალას. მის თავისებურებაზეა დამოკიდებული შესატყვისი მეცნიერების გნოსეოლოგიური ხასიათი, მისი მეტ-ნაკლები სიახლოვე გნოსეოლოგიის ზოგად დებულებებთან. ფორმალური პრინციპი. რომელიც აქ არის გაბატონებული. ასე შეიძლება გამოითქვას: რაც უფრო თავისებურია ამა თუ იმ მეცნიერების მასალა. მით უფრო მეტი მომენტი ემატება მის შესატყვის მეცნიერებას, მით უფრო უკმარისია ამ მეცნიერებისათვის ზოგად-გნოსეოლოგიური დებულებები. მით უფრო მეტად საჭიროებს იგი ახალი დებულებებით შევსებას. აქედან გასაგებია ის. თუ რატომ შეიქმნა საჭირო ახალი გნოსეოლოგიური ძიება მაგ.. ისტორიისათვის, ფსიქოლოგიისათვის, საერთოდ, ყოველ მეცნიერებისათვის იმის შემდეგაც, რაც რომ. ასე თუ ისე. დადგენილად იყო მიჩნეული ბუნებისმეტყველების გნოსეოლოგიური სტრუქტურა.

რას ეძებს მეცნიერება? რას ნიშნავს შემეცნება? ზოგადი პასუხი ამ კითხვებზე იქნებოდა ასეთი: მეცნიერება ეძებს სიმრავლეში ერთიანობას, ცვალებადში უცვლელს, ინდივიდუალურში ზოგადს,

„ქაოსურში“ კოსმოსურს და ა. შ. „კანონი“, „კანონზომიერებაა“ ის, რაც ყველაზე უკეთ გადმოსცემს საძიებელ ინსტანციას. როცა ვიცით მოვლენის, სინამდვილის კანონი, ვთვლით, რომ მისი შემეცნება გვაქვს. ეს საერთოა მეცნიერებისათვის. გნოსეოლოგიურ დიფერენციაციას ქმნის შესამეცნებელი მასალით ნაკარნახევი კანონების თავისებურება. მეცნიერებათა კლასიფიკაცია კანონების თავისებურების საფუძველზე გამოყენებითი გნოსეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. მეცნიერებათა თავისებურებაზე ლაპარაკი უშინაარსოა, თუ მას არ ახლავს გამართლება კანონზომიერებათა თავისებურებაზე მითითების სახით. მთავარი მიზეზი რომელიმე მეცნიერების შეჭრისა მეორე მეცნიერებაში არის სპეციფიკური კანონზომიერების დაუზუსტებლობა, იმ მსჯელობათა ლოგიკური ანალიზის უკმარობა, რომელნიც გადმოსცემენ ამა თუ იმ მეცნიერების შინაარსს. ასე იქმნებიან ის „იზმები“, რომელთაც ოდიოზური მნიშვნელობა მიეწერებათ, მაგრამ მათგან თავის დაღწევა სერიოზულ და ძნელ ამოცანად არის ქცეული. ფსიქოლოგიზმი არის ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, ყველაზე გავრცელებული და ყველაზე საზიანო მანკი, რომელსაც კი ადგილი აქვს მეცნიერების თეორიაში.

„ფსიქოლოგიის ხანას“ ფსიქოლოგიის განვითარებასთან, მის კანონიერ წინსვლასთან ერთად თანდაჰყვა მისი უკანონო გაფართოება და მისი პრინციპების უმართებულო უნივერსალიზაცია. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მეცნიერება, რომელსაც არ განეცადოს ფსიქოლოგიზაცია მეტ-ნაკლები ხარისხით. ფსიქოლოგიზმი საყოველთაო მოვლენად იქცა. ამავე მოცულობით გავრცელდა საწინააღმდეგო მიმდინარეობა, ანტიფსიქოლოგიზმი. დაიბადა აზრი მთელი ფილოსოფიური აზროვნების წარმოდგენის შესახებ ფსიქოლოგიზმისა და ანტიფსიქოლოგიზმის ბრძოლის ისტორიის სახით.

მეორე მხრივ, გამოვლინდა საინტერესო ფაქტი. არავინ არ უწოდებს თავის თეორიას ფსიქოლოგისტურს, არავინ არ იცავს ფსიქოლოგიზმს. ყველა იჩემებს ფსიქოლოგიზმის დაძლევას, ფსიქოლოგიური მეცნიერების უნივერსალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას. გამოდის, რომ ყველას ანტიფსიქოლოგისტური ამოცანა ამოქმედებს, მაგრამ ამ საერთო მიზანმა ვერ აღკვეთა ვერც ბრძოლა მკვლევართა შორის და ვერც ხელი შეუშალა მათ დაჯგუფებას ფსიქოლოგისტებად და ანტიფსიქოლოგისტებად. საყოველთაოდ ცნობილი არიან როგორც ფსიქოლოგიზმის მთავარი წარმომადგენლები, ისე ანტიფსიქოლოგიზმის დამცველად აღიარებული მკვლევრები.

საჭიროა გაირკვეს ფსიქოლოგიზმისა და ანტიფსიქოლოგიზმის ნამდვილი შინაარსი. გასაგები უნდა გახდეს აღნიშნული მდგომარეო-

ბა. მკვლევართა სუბიექტური დამოკიდებულება ამ მიმართულებებისადმი და ობიექტური შედეგი ამ დამოკიდებულებისა. კერძოდ. შუქი უნდა მოეფინოს იმ ფაქტს, რომ ფსიქოლოგიზმის დაძლევისათვის ბრძოლის მიუხედავად რიგი მკვლევრებისა ფსიქოლოგისტებად ითვლებიან, ხოლო ანტიფსიქოლოგისტებსაც ხშირად იმას უსაყვედურებენ, რომ ისინი ბოლომდე თანმიმდევრული არ არიან. რომ მათ კონცეფციებშიც მოიპოვებიან ფსიქოლოგიზმის ელემენტები. შთაბეჭდილება ისეთია. რომ ანტიფსიქოლოგისტური თვალსაზრისის გატარება შორეული და, შეიძლება. მიუღწეველი იდეალია. რომელსაც აზროვნება მხოლოდ ასიმპტოტურად უახლოვდება.

ფსიქოლოგიზმისაგან ყველაზე მეტი შელახვა ინტერესებისა განიცადა ლოგიკამ და ამიტომაც ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მეტწილად ლოგიკის უფლებების დაცვის სახელით წარმოებდა. ისიც ცალკე აღნიშნავია. რომ ყველაზე მეტი საშუალება ფსიქოლოგიზმიდან თავის დაცვისა ლოგიკას უნდა ჰქონდეს. ის. რაც ლოგიკას ფსიქოლოგიზმიდან გადაარჩენს, პრინციპულად გამოსადეგი აღმოჩნდება სხვა მეცნიერების დასაცავადაც. ლოგიკა ყოველ მეცნიერებას ახლავს როგორც მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი ინსტანცია! ამიტომ ვენერალური ბრძოლა ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ლოგიკაში მიმდინარეობს.

მეორე მხრივ, იმ გარემოებასაც უნდა გაეწიოს ანგარიში. რომ ლოგიკის დაცვის პროცესში. როგორც ამბობენ. წარმოიშვა ახალი მანკიერი ტენდენცია. რომელსაც ფსიქოლოგიზმის ანალოგიით ლოგიციზმი უწოდეს. ამგვარად გაჩნდა მეორე წყვილი დაპირისპირებული მიმდინარეობისა: ლოგიციზმი და ანტილოგიციზმი. მდგომარეობა აქაც თითქოს იმგვარივეა. როგორიც არის ფსიქოლოგიზმსა და ანტიფსიქოლოგიზმის დაპირისპირებაში. ლოგიცისტად თავი არავის მოაქვს. ანტილოგიციზმი ყველას კანონიერ მიმართულებად მიაჩნია. სპეციალურ მეცნიერებათ ამოცანად დაუსახეს: ლოგიციზმიდან განთავისუფლება. მაგრამ ეს მიზანიც შორეულ. მარად საბრძოლველ იდეალად იქცა. როგორც ლოგიკა იტანჯება ფსიქოლოგიზმით, ისე ფსიქოლოგიაც მახინჯდებაო. ამბობენ, ლოგიციზმით[1].

ამგვარად. ლოგიციზმიცა და ფსიქოლოგიზმიც დაძლეული უნდა იქნან. ფსიქოლოგია უნდა გათავისუფლდეს ლოგიციზმიდან, ხოლო ლოგიკამ თავი უნდა დააღწიოს ფსიქოლოგიზმს. ასე გამოიყურება

---

[1] «Der «Logizismus» ist eine mindestens so grosse Gefahr für die Psychologie, wie der Psychologismus für die Logik und Erkenntnistheorie». W. Blumenfeld Zur kritischen. Grundlagen der Psychologie, 1920, გვ. 70.

თანამედროვე ამოცანა, როგორადაც იგი მკვლევართა უმრავლესობას ესახება. მაგრამ თავის მოტყუება იქნებოდა გვეფიქრა, რომ ფსიქოლოგიზმისა და ლოგიციზმის პრობლემა, თუ გინდ პრინციპში მარტო, გადაჭრილია და ამიერიდან აზროვნების ერთი მიმართულებით სვლა უზრუნველყოფილია. ვინაიდან ფსიქოლოგიზმი და ლოგიციზმი, განმარტების თანახმად, ნომინალურად ოდიოზური ფრაზეოლობის მატარებელია, ცხადია, მათ აშკარა დაცვას არავინ იკისრებს. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი ერთიანობაა აზრთა წყობისა. საკმარისია ჩავიხედოთ ამ ცნებების იმ შინაარსში, რომელთაც გულისხმობენ სხვადასხვა ავტორები, რათა დავრწმუნდეთ,—ის, რაც ერთისთვის არის ფსიქოლოგიზმი ან ლოგიციზმი, მეორისთვის სავსებით კანონიერი საქმის ვითარებაა, რასაც ერთი ებრძვის, მას იცავს მეორე და ა. შ. თუ მაინც ვიტყვით, რომ არ არიან ფსიქოლოგისტები და ლოგიცისტები, ვინაიდან ასეთად თავს არავინ აცხადებს, არსებობს მაინც ფსიქოლოგიზმიცა და ლოგიციზმიც, არსებობს აზრთა ისეთი მიმდინარეობა, რომელიც ასეთ კვალიფიკაციას იმსახურებს.

რა შეიძლება იყოს ფსიქოლოგიზმი და ლოგიციზმი? როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ლოგიკური შესაძლებლობა ამგვარი შეცდომებისა (თუ ისინი შეცდომად უნდა მივიჩნიოთ)? რას გულისხმობენ ამ ცნებებში, როცა მათ უკანონო კონცეფციის გამოსახულებად თვლიან?

ფსიქოლოგიზმისა და ლოგიციზმის მანკიერების დამტკიცება გულისხმობს შემდეგი დებულებების მიღებას: ყოველ მეცნიერებას, თუ ის ყოველმხრივ გამართლებული და კანონიერია, აქვს კვლევის საკუთარი საგანი, რომელსაც მხოლოდ ეს მეცნიერება იკვლევს, და იკვლევს მას ყოველმხრივ, რა მხრივაც მისი მეცნიერული კვლევა საჭიროა და შესაძლებელი. არც ერთ სხვა მეცნიერებას არა აქვს უფლება ამ მეცნიერების საგანი იკვლიოს.

ყოველი მეცნიერება ვალდებულია აღმოაჩინოს ის კანონები, რომელნიც მოქმედებენ მის საკვლევ ობიექტში, მონახოს ის კატეგორიები, რომლითაც შეიძლება ამ სინამდვილის ვაზრება და მკაცრად დაიცვას ამ კატეგორიების სიწმინდე და ა. შ. სპეციალური მეცნიერების არსებობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ მისი სპეციფიკის ჩვენებით. ეს არის მეცნიერების ყოფნა-არყოფნის საკითხი, მეცნიერული მუშაობის სიზუსტის საფუძველი.

მანკიერი „იზმი“ ჩნდება მაშინ, როცა ეს ძირითადი პირობა მეცნიერების არსებობისა უგულებელყოფილია, როცა შელახულია ამა თუ იმ მეცნიერების უფლება მეორე მეცნიერებით. ამგვარი უფლების

შელახვა არის გამოსახული ისეთ ტერმინებში, როგორიცაა ფიზიკიზმი, მექანიკიზმი, ისტორიზმი, სოციოლოგიზმი, მათემატიზმი, ფსიქოლოგიზმი, ლოგიკიზმი და სხვა.

ფსიქოლოგიზმი და ლოგიკიზმი მაინც განსხვავდება სხვა სახის „იზმებისაგან". ფიზიკის შეკრა, მაგ., ბიოლოგიაში ან ქიმიაში და ამ აქტის აღნიშვნა ფიზიკიზმით სულ სხვა ხასიათის შეცდომაზე მიუთითებაა. ვიდრე ამავე მეცნიერებებში შეკრა ფსიქოლოგიისა და ლოგიკის მხრივ. პირველი შემთხვევა შეცდომაა, რომელიც ზოგჯერ მაინც ფიზიკოსის უყურადღებობით შეიძლება აიხსნას. შეიძლება მიეწეროს იმას, რომ მოვლენათა მსგავსების გამო მოხდა მათი აღრევა ერთმანეთში, ვერ მოსერხდა მკაცრი საზღვრის დადება ამ მეცნიერებასა და ბიოლოგიას ან ქიმიას შორის. არავინ იტყვის, რომ ასეთი შეცდომა ბუნებრივია. საქმის ობექტური ვითარებით გამართლებულია და ა. შ.

განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა საკითხი ეხება ფსიქოლოგიზმსა და ლოგიკიზმს. აქ ასეთი შეკრა თითქოს გამართლებულიც არის. შეცდომაა, მაგრამ ისეთი, რომელიც თითქოს აუცილებელიც არის. იგი ანალოგიური ჩანს კანტის ცნებისა ტრანსცენდენტალური ილუზიის შესახებ. რაზეა აქ ლაპარაკი?

მივიღოთ, რომ ლოგიკა არის მეცნიერება ლოგოსის შესახებ, უფრო ზუსტად, არა ამა თუ იმ სინამდვილის ლოგოსის, არამედ თვითონ ლოგოსის შესახებ, წმინდა ლოგოსის შესახებ. აქ ის იგულისხმება, რაც ყოველ სპეციალურ ლოგოსში არსებულად ივარაუდება, რომლის გარეშე არაფერს ლოგოსის სახე არ ექნება. ამისგან განსხვავებით, სპეციალურ მეცნიერებაში კვლევა-ძიების საგანს შეადგენს სპეციალური, მისი საგნისთვის დამახასიათებელი ლოგოსი. შეუძლებელია მეცნიერება, რომელიც თავის საგნის ლოგოსს არაა დაუფლებული, არ ეძებს და არ ამრავლებს შემეცნებას ამ ლოგოსის შესახებ.

სპეციალური ხასიათის ლოგოსი-კანონზომიერება ლოგიკის ლოგოსის მხრივ საფუძველმდებლობას გულისხმობს. სადაც სპეციალური ლოგოსია, იქ არის ზოგადი ლოგოსიც, ლოგიკის საგანი. სპეციალური მეცნიერება მას არ იკვლევს. იგი ლოგიკის საგანია. მაგრამ მას მოიხმარს, მას შეუთანხმებს თავის მუშაობას. ამდენად ლოგიკის მონაწილეობა ყოველ მეცნიერებაში იგულისხმება. არ არსებობ[illegible] მეცნიერება ლოგიკის გარეშე. მეცნიერებად ყოფნა, პირველ რიგში, ლოგიკურად ყოფნას ნიშნავს. ასეთი შეკრა ლოგიკისა სხვა მეცნიერებაში არა თუ არ ჩაითვლება შეცდომად, არამედ, პირიქით, მეც-

ნიერულობის უპირველეს პირობას წარმოადგენს. ლოგიციზმი არ შეიძლება ეწოდებოდეს ლოგიკის ამგვარ შეჭრას მეცნიერებაში.

არც იქ შეიძლება კონფლიქტი წარმოიშვას, სადაც საქმე სპეციალური მეცნიერების ლოგოსს ეხება. მართალია, აქ ისეთ კანონზომიერებაზეა ლაპარაკი, რომელიც ამა თუ იმ რეალური პროცესების ურთიერთობას ეხება, ურთიერთობას, რომელსაც ლოგიკა არ ეხება და არ აინტერესებს, მაგრამ რამდენადაც მაინც ლოგიკურ კავშირზეა აქაც მსჯელობა, მეცნიერების ფალსიფიკაციის საფრთხე აქ არ უნდა იმალებოდეს. არც არასდროს იგულისხმებოდა ლოგიციზმში ლოგიკის შეჭრა სპეციალური ლოგოსების დადგენაში. ეს იქნებოდა ლოგიკის გამოყენება სპეციალურ მასალაზე, რაც, თუმცა ლოგიკის საქმე არ არის. ფალსიფიკაციას მაინც არ ნიშნავს. ბუნებრივად მოწოდებული ამ საქმისათვის არის. რასაკვირველია. ამა თუ იმ სინამდვილის შემსწავლელი მეცნიერება. ამიტომ ამ საქმის თავისთავზე აღება ლოგიკას უკანონო მოქმედებად, სხვა მეცნიერების სფეროში შეჭრად ეთვლება.

ნამდვილი შინაარსი ლოგიციზმისა სულ სხვაა.

კანონზომიერება უნივერსალური ხასიათისაა. წარმოუდგენელია, არსებული, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მოკლებული იყოს კანონზომიერებას. წესრიგს. ეს არის პირობა და გარანტია იმისი, რომ არსებული ყოველი სახისა შემეცნებისათვის მისაწვდომი გახდეს. ამ პირობის გარეშე აგნოსტიციზმი ვერ იქნება დაძლეული: სადაც კანონი და კანონზომიერება არ მეფობს, იქ შემეცნება შეუძლებელია.

ლოგიკური კანონზომიერება უნივერსალურია იმ გაგებით, რომ შემეცნების ყოველი საგანი ლოგიკურ კანონზომიერებას გამოავლენს. მაგრამ ლოგიკური კანონზომიერება ზღვარდებულია. რამდენადაც არსებობს ისეთი კანონზომიერება, რომელსაც ლოგიკური არ შეიძლება ეწოდოს. ლოგიკურია კანონზომიერება, როცა ერთი მოვლენის გამომდინარეობა მეორისაგან გასაგები ჩანს, საზრისის მქონეა, „ნათელია". ცალკე აღებული მოვლენების სტრუქტურაც შინაგანი ერთიანობისა და ჰარმონიულობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაგრამ სინამდვილის კანონზომიერება ყველგან ამგვარი არ არის. არის მტკიცედ დადგენილი ურთიერთობა საგანთა შორის და მაინც არ გვესმის ეს ურთიერთობა, არა გვაქვს იმის რწმენა, რომ ამავე საგანთა შორის არ შეიძლებოდეს სხვაგვარი ურთიერთობა. ამ შემთხვევაში კანონზომიერების შესახებ ვფიქრობთ, როგორც შემთხვევით ეითარებაზე, როგორც მხოლოდ ფაქტობრივ მდგომარეობაზე. ასეთ კანონზომიერებას ვუწოდებთ ფსიქიკურ, „ბნელ" კანონზომიერებას.

რაციონალიზმისა და ემპირიზმის დავას ისიც შეადგენდა, თუ როგორია ურთიერთობა კანონზომიერების ამ ორ სახეობას შორის. რაციონალიზმი მოწოდებულია ყოველგვარი კანონზომიერება ლოგიკურ კანონზომიერებად წარმოიდგინოს, ის, რაც გამოიყურება, როგორც „შემთხვევითი", როგორც გაუგებარი და ა. შ., ადრე თუ კვიან ლოგიკურ კანონზომიერებად უნდა იქნეს გააზრებული. მთელი სამყარო რაციონალურ წყობად უნდა წარმოვიდგინოთ. ესაა რაციონალიზმის იდეალი.

ემპირიზმმა საწინააღმდეგო იდეალი დაისახა. ფაქტობრივობაა მისთვის ერთადერთი დამახასიათებელი ნიშანი სინამდვილის კანონზომიერებისა. ის გარემოება, რომ წინასწარ, აპრიორი არაფრის თქმა არ შეიძლება, ემპირიზმის მიხედვით, ისაა, რომ მხოლოდ ემპირია არის ის, რაც ჩვენ რამეს გვეუბნება სინამდვილის შესახებ. იმას ფულისხმობს, რომ ალოგიკურობა, ირაციონალობა სინამდვილის უნივერსალური ნიშანია. ემპირისტულად ნაგებული აპოსტერიორიზმი ნიშნავს მთელი სინამდვილის დაცლას ლოგიკურობიდან, საზრისიან კავშირებიდან.

საქმის ნამდვილი ვითარება არც რაციონალიზმს ამართლებს და არც ემპირიზმს. თუ სინამდვილის შესახებ ვიმსჯელებთ იმ კანონზომიერებათა მიხედვით, რომელნიც მოუპოვებია მეცნიერებას, ანდა ვაღიაროთ, რომ იგი შეიცავს როგორც რაციონალურ, ისე ემპირიულ კანონზომიერებას, როგორც ლოგიკურს, ისე ალოგიკურს, როგორც აპრიორულს, ისე აპოსტერიორულს, სინამდვილე შეიცავს საზრისიან, ლოგიკურ კანონზომიერებას. მაგრამ ამით იგი არ ამოწურება. ის შეიცავს ისეთ კანონებსაც, რომელნიც ჯერ კიდევ გაუგებარია ჩვენთვის, ჯერ კიდევ ირაციონალურის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ემპირიზმი, თუ ბოლომდე გავიაზრებთ მის ინტენციებს, წარმოდგენილია, როგორც ლოგიკის უარყოფა, აზრის უარყოფა, საზრისის უგულებელყოფა, რაციონალიზმი, განვითარებული ბოლომდე, რეალობის ფაქტობრივობის უარყოფას მოასწავებს. აქ მხოლოდ ლოგიკური მოვლენების საზრისიანი ურთიერთობა მიჩნეულია ნამდვილად არსებულად. მეცნიერება სამყაროს შესახებ, ამის მიხედვით, არის ლოგიკა. ე. წ. სპეციალური მეცნიერებანი ლოგიკის განშტოებას წარმოადგენენ. ემპირიზმისთვის არსებობენ მხოლოდ ბუნებისეული პროცესები. ერთადერთი მეცნიერება მისთვის შეიძლება იყოს ბუნებისმეტყველება. რომლიდანაც ყოველივე ლოგიკური გამორიცხულია. ე. წ. ლოგიკა — იგივე ბუნებისმეტყველებაა და არაფერი არ

არსებობს გარდა ბუნებისა, რომელიც წარმოდგენილია ბრმა ფაქტების უსასრულო ჯაჭვის სახით.

ლოგიციზმი, როგორც უკანონო ცნება, როგორც ოდიოზური ტერმინი გვაქვს მაშინ, როცა ემპირიული, ალოგიკური კანონზომიერება უგულებელყოფილია, როცა მთელი კანონზომიერება სინამდვილისა ლოგიკურ კანონზომიერებადაა წარმოდგენილი. მთელი სინამდვილის გააზრება, როგორც ლოგიკის საგნისა, დაუშვებელია. ისევე, როგორც შეუძლებელია ლოგიკურის გამორიცხვა სინამდვილის ძოვლესებიდან. ალოგიკური, რასაკვირველია, არ არის ანტილოგიკური. ასეთი რამ არც შეიძლება არსებობდეს სინამდვილეში. ალოგიკურში იმგვარი კანონზომიერება იგულისხმება, რომლის გამოყვანა (ახალიბურად) მოცემული ვითარებიდან არ შეიძლება. ამისთვის ცდა, ემპირია საჭირო. ამიტომ არსებობს ემპირიული მეცნიერება. სინამდვილე ისეთ ფაქტებსა და კანონებს გვაჭვდის, რომელთა საზრისის ძებნა უიმედო საქმეა. ამ ფაქტების უფლების შელახვა იქნებოდა მათი ნაძალადევი ლოგიზაცია, რაციონალიზაცია. ასე უნდა გვესმოდეს ლოგიციზმი. მის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა, აუცილებელია. მაგრამ ეს ბრძოლა არ უნდა იქცეს ირაციონალიზმის დაცვად, ლოგიკის წინააღმდეგ ბრძოლად. ეს საერთოდ შეუძლებლად გახდიდა მეცნიერებას. ლოგიკის გარეშე, მისი კანონების გამოყენების გარეშე არ არსებობს არც ერთი მეცნიერება. ყველაფერი ლოგიკა არ არის. მაგრამ ლოგიკა ყველგან არის. მეცნიერული ამოცანაა იმის დადგენა, თუ სად არის ლოგიკის კანონზომიერი სარბიელი და რის შემდეგ იქცევა ლოგიკის გამოყენება ლოგიციზმად.

ჩვენ ვერ ვიტყვით ვერც ერთ სხვა მეცნიერებაზე, რომ მას კანონიერი ადგილი აქვს ყველა სხვა მეცნიერებაში. მხოლოდ ლოგიკაზე შეიძლებოდა თქმა, რომ ყოველგვარი მეცნიერება გამოყენებითი ლოგიკაა. ამიტომ არ შეიძლება ერთნაირად შეეფასოთ ლოგიკისა და რომელიმე სხვა მეცნიერების შეჭრა რომელიმე სხვა მეცნიერებაში. ლოგიკა განსაკუთრებული უფლებებით არის აღჭურვილი და ამის გათვალისწინება საჭიროა, როცა ლოგიციზმზეა მსჯელობა: ლოგიკის შეჭრა სხვა მეცნიერებაში ყოველთვის არაა ლოგიციზმი, ყოველთვის არაა იგი დაუშვებელი. პირიქით. ლოგიკის გამოუყენებლობა გააყალბებდა ყოველგვარ მეცნიერებას, წაართმევდა მას აუცილებელ მეცნიერულ დასაყრდენს.

ანალოგიური მდგომარეობაა ფსიქოლოგიზმის შემთხვევაში, რამდენადაც საკითხი ეხება მის სპეციფიკას. ფსიქოლოგიზმიც ორი მნიშვნელობით იხმარება. თუმცა ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს

უკანონო აქტთან, განსხვავება მათ შორის მაინც არსებითი ხასიათისაა და მას აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში.

ფსიქოლოგიზმი ერთ შემთხვევაში ნიშნავს ფსიქოლოგიის შეჭრას სხვა მეცნიერებაში, ფსიქოლოგიური ცნებების გამოყენებას იქ, სადაც ამას არა აქვს გამართლება. ასეთი ფსიქოლოგიზმი იმავე ხასიათისაა, როგორიცაა ფიზიციზმი, სოციოლოგიზმი და ა. შ. ასეთი ნაბიჯი, ცადადგმული ფსიქოლოგიის თუ სხვა მეცნიერების წარმომადგენლის მიერ, არაფრით არ არის გამართლებული. საქმე გვაქვს ცნებათა აღრევასთან, რაც მეცნიერებას ზიანის მეტს არაფერს მოუტანს.

რა თქმა უნდა, არის შეხედულება, რომლის თანახმად. არიან რიგი მეცნიერებანი, რომელნიც. ფსიქოლოგიის მსგავსად. ფსიქიკას შეისწავლიან. ფსიქოლოგიიდან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ისინი ფსიქიკას ეხებიან სხვა განზომილებაში, განსხვავებულ ასპექტში. ფსიქოლოგიას ის უპირატესობა აქვს, რომ ფსიქიკას იკვლევს მის ძირითად ასპექტში, ფუძემდებელ კანონზომიერებაში შეისწავლის და. ამდენად, მისი მონაპოვარი საკალდებულოა იმ დისციპლინებისათვის, რომელნიც, ასე ვთქვათ, ფსიქიკის ზედა სართულებს იკვლევენ.

ამგვარ მსჯელობაში არის ჭეშმარიტების მარცვალი. ფსიქოლოგიის მიერ დადგენილი ცნებები ყველა სხვა მეცნიერებამ იმ აზრით უნდა იხმაროს, როგორც ეს ფსიქოლოგიას დაუდგენია. თუ ვინმეს ფსიქოლოგიური ცნება სჭირდება, მან აუცილებლად ფსიქოლოგიას უნდა მიმართოს. მაგრამ ჩვენი საკითხი ამ ვითარებას არ ეხება.

იგულისხმება, რომ ყოველ მეცნიერებას თავისი საკუთარი საგანი აქვს კვლევისა და, მაშასადამე. თავისი საკუთარი ცნებებიც საქმე ეხება ამ ცნებების სიწმინდეს. მათ დაცვას ფსიქოლოგიური ცნებებით შეცვლისგან. ასეთი რამ უმართებულო იქნებოდა. ფსიქოლოგიზმიც ამას ეწოდება. ცნებათა ასეთი აღრევა, ფსიქოლოგიური ცნების გამოყენება სხვა მეცნიერებაში ხშირი მოვლენაა. ამის თვალსაჩინო მაგალითები გვხვდება ეთიკაში, ესთეტიკაში, ლოგიკაში და ა. შ.

მეორე მნიშვნელობა ფსიქოლოგიზმისა ეხება არა ფსიქოლოგიური მეცნიერების შეჭრას სხვა მეცნიერებაში, არამედ ფსიქიკის შერევას სხვა მეცნიერების კვლევის საგანში. აქ მდგომარეობა სპეციფიკურია და ამ გზით აღმოცენებული ფსიქოლოგიზმიც სრულიად თავისებური. იგი განსხვავდება როგორც ლოგიციზმიდან, ისე სხვა მეცნიერებათა ანალოგიური მანკიერებისაგან.

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ყოველგვარი სინამდვილე, რომელიც კი შემეცნებით ურთიერთობაში მოდის ადამიანთან,

ფსიქიკის ფენაში გაიელის და ამ სინამდვილით შენიღბული ეკლინება შემმეცნებელ სუბიექტს. ეს ქმნის უდიდეს სიძნელეს შემეცნების წინაშე. სინამდვილის მრავალფეროვნება ერთ ენაზე, ფსიქიკის ენაზე ითარგმნა, არსებითად ფსიქიკის სახეს იღებს, ფსიქიკად იქცევა. ზოგი მოაზროვნე იქამდე მიდის, რომ ერთადერთ მოცემულობად ფსიქიკურ მოვლენებს თვლის და ნამდვილ მეცნიერებად მხოლოდ ფსიქოლოგია მიაჩნია. სხვა მეცნიერებაც, ამ შეხედულების თანახმად, ფსიქიკურს იკვლევს და, ამდენად, არსებითად ფსიქოლოგიის განშტოებას წარმოადგენს. განსხვავება ფსიქოლოგიასა და სხვა მეცნიერებას შორის იმაშია, რომ ფსიქოლოგია ფსიქიკას შეისწავლის, როგორც უშუალო მოცემულობას, იმ სახით, როგორადაც იგი გვეძლევა თავის ბუნებრიობაში, სოლო სხვა მეცნიერება, მაგ., ბუნებისმეტყველება ამავე მოცემულობაში ზოგს რასმე გვერდზე ტოვებს და ამ გზით ქმნის გამოცდილების გაშუალებას. ცხადია, გაშუალებულობის გამო ფსიქიკა სხვა სინამდვილედ არ გადაიქცევა. ეს კი ნიშნავს, რომ მეცნიერებას აქვს ერთი საგანი, ერთი გამოცდილება და ეს არის ფსიქიკური სინამდვილე.

ამგვარ კონცეფციაში, რასაკვირველია, ფსიქოლოგიზმი ერთგვარად გამართლებულიც არის. თუ შესასწავლი სინამდვილე ფსიქიკურია საერთოდ, ფსიქოლოგიურ აზრთა წყობა ყველგან აუცილებელია და კანონიერიც. ფსიქოლოგიზმის პრობლემა, როგორც იგი ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი, ამ კონტექსტში არც უნდა დადგეს.

ფსიქოლოგიზმის საფრთხესთან საქმე გვაქვს მაშინაც, როცა აღიარებულია არაფსიქიკური სინამდვილის არსებობა, მაგრამ მის გამოცდილებაში, ემპირიაში შემოსასვლელად მისი ფსიქიკად გარდაქმნა ითვლება აუცილებელ პირობად. საკითხი ამ ვითარებაში ასე დგება: როგორ განვასხვაოთ ფსიქიკური არაფსიქიკურიდან, ობიექტური—სუბიექტურიდან. ეს პრობლემა ერთნაირად ეხება როგორც ფსიქოლოგიას, ისე სხვა ემპირიულ მეცნიერებას. თუ არაფსიქოლოგიურ მეცნიერებას ის საფრთხე ემუქრება, რომ თავისი ობიექტური საგნის შესწავლისას შეიძლება შეეროიოს მას სუბიექტური. ფსიქიკური მოვლენები და ამ გზით ფსიქოლოგიზმისა და სუბიექტივიზმის მსხვერპლი გახდეს, ფსიქოლოგიაც ვალდებულია ფხიზლად იყოს და უცხო ელემენტი, ობიექტური სინამდვილე არ მიიჩნიოს ფსიქიკურ მოვლენად. ობიექტურის კანონზომიერება არ გამოაცხადოს სუბიექტური სინამდვილის კანონზომიერებად. ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა, მაგ., ფიზიკიზმთან, მექანიკიზმთან, მათემატიზმთან, ფიზიოლოგიზმთან ფსიქოლოგიაში.

მაშასადამე, თუ დავუშვებთ, რომ რომელიმე არაფსიქოლოგიური მეცნიერების საკვლევი ობიექტის არსებობისა და ნიშანთვისების შესახებ შემმეცნებელს ეცნობება მხოლოდ ფსიქიკური პროცესის საშუალებით, ფსიქოლოგიზმის საფრთხე ამ მეცნიერებაში რეალურ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ. ფსიქოლოგიზმის დაძლევის გარეშე აქ უსაფუძვლოა არაფსიქოლოგიური მეცნიერების თავისთავადობაზე, სუვერენულობაზე ლაპარაკი.

არის რამდენიმე თეორიული სასიათის ცდა ამ სიძნელის დასაძლევად: ინტუიტივისტური, ფორმალ-ლოგიკური და სხვა. ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ერთგვარი გავრცელება ჰპოვა ინტუიტივიზმის იმ სახეობამ, რომელიც ფსიქოლოგიზმის დაძლევას ცდილობს სინამდვილის უშუალოდ მოცემულობის თეზისის საფუძველზე. ამ შემთხვევაში გვირდავლილია შესამეცნებელი სინამდვილის ერთ-ერთ აუცილებლობა ფსიქიკის გასწვრივ. საგანი ეძლევა, ამ კონცეფციის მიხედვით, არა განცდას, არა ფსიქიკას, არამედ ცნობიერებას, რომელიც გაგებულია, როგორც წმინდა გნოსეოლოგიური კატეგორია, შემეცნების ორგანო.

მეორე გზა ფსიქოლოგიზმის დაძლევისა სპეციფიკური კანონზომიერების დადგენას ემყარება. იმ ლოგიკური ხასიათის თავისებურებას, რომელიც ფსიქოლოგიას სხვა მეცნიერებიდან განასხვავებს. ამ შემთხვევაში მოვლენების ფსიქიკურობისა თუ არაფსიქიკურობის შესახებ მსჯელობენ იმ კანონზომიერებათა მიხედვით, რომელთადმი დამორჩილებულადაც ეს მოვლენები გვეძლევა. ონტოლოგიური თავისებურების დასადგენად აქ გნოსეოლოგიურ-ლოგიკური ცნებაა გამოყენებული. ამ ცნებით უნდა მოხდეს ფსიქიკურის ჩამოშორება არაფსიქიკურიდან, ობიექტურისა და სუბიექტურის გამიჯვნა.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ შეხედულებათა შეფასება, იმ სიძნელეებზე მითითება, რომელნიც ხვდებათ მათ საკითხის პოლომდე მოფიქრების შემთხვევაში. არც იმ ცნობილი მოსაზრებების გადმოცემა მიგვაჩნია აქ საჭიროდ, რომელნიც წამოყენებულია მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში სუბიექტივიზმის დასაძლევად არაფსიქოლოგიურ მეცნიერებაში. ჩვენ ფსიქოლოგიის პრობლემა გვაინტერესებს და არა ფსიქოლოგიზმის დაძლევის საკითხი არაფსიქოლოგიურ მეცნიერებაში. ამ უკანასკნელს მხოლოდ იმდენად ვეხებით, რამდენადაც იგი საჭიროა ფსიქოლოგიზმის შესამჩნევად და დასაძლევად ფსიქოლოგიაში.

როცა მეცნიერების წინაშე გაუთიშავი სინამდვილე დგას, როცა სუბიექტურ-ფსიქიკური და ობიექტურ-არაფსიქიკური გამოცდილებისა

ერთ განზომილებაშია მოცემული, ე. ი. როცა არსებობს შინაარსეულ-საგნობრივი ფსიქოლოგიზმის საფრთხე არაფსიქოლოგიური მეცნიერების წინაშე. არ იქნება საკმარისი რომელიმე ზემოდასახელებული პრინციპის გამოყენება ფსიქოლოგიზმის დასაძლევად. არც ინტუიციის ცნების გამოყენება და არც მარტო ფორმალურ-ლოგიკურ პრინციპზე დაყრდნობა უშველის საქმეს. ეს უკანასკნელი შემეცნების აპარატში იმყოფები საშუალებების მონახვას გულისხმობს, რომლებიც ფსიქიკურზე არაა დამოკიდებული და ფსიქიკურ მოვლენებს არ წარმოადგენს. ხოლოდ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის შემდეგ შესაძლებელია ფსიქოლოგიური და არაფსიქოლოგიური კანონზომიერების დადგენა, რომელიც მოგვცემს საშუალებას — სუბიექტური და ობიექტური სინამდვილე გავიმიჯნოთ და ადეკვატურად ავსახოთ.

შემმეცნებელი აპარატის კრიტიკა-შემოწმება კანტს ფსიქოლოგიზმის დასაძლევად ჰქონდა გამიზნული. მაგრამ, როგორც ცნობილია, მისმა ტრანსცენდენტალურმა თეორიამ ხელი აიღო ფსიქიკურის მიღმა მდებარე სინამდვილის შემეცნებაზე და მეცნიერების დასაბუთება გამოცდილების რაციონალურ, ისევ სუბიექტურ-ანთროპოლოგიური კატეგორიებით სცადა. ობიექტური იდეალიზმის ნაცვლად ფაქტობრივად სუბიექტური იდეალიზმი მივიღეთ. ტრანსცენდენტალურმა ფილოსოფიამ ტრანსცენდენტალური ფსიქოლოგიის სახე მიიღო.

მეცნიერების ლოგიკური დასაბუთება არ გულისხმობს აუცილებლობით ეგზისტენციალობაზე დაყრდნობას. ეს მხოლოდ იქაა აუცილებელი, სადაც ამა თუ იმ მეცნიერების საგნად ფსიქიკის გარეთ მდებარე, ტრანსცენდენტური რეალობა იგულისხმება. სადაც ამგვარი რეალობის წვდომის პრეტენზია არა გვაქვს, სადაც ცნობიერების იმანენტური მოცემულობა შეადგენს შემეცნების საგანს, როგორც ეს არის ფსიქოლოგიის შემთხვევაში, მეცნიერების დასაბუთებისათვის ტრანსცენდენტური ეგზისტენციალობის საჭიროება არ დგას. ამიტომ საგნობრივ-შინაარსეული ფსიქოლოგიზმი ნიშნავს არა ყოველგვარი მეცნიერების გაუქმებას, არამედ მეცნიერებათა მრავალსახიანობის წარმოდგენას ფსიქოლოგიის განშტოებად. თუ საერთოდ შესაძლებელია სუბიექტურის, ფსიქიკის ობიექტური შემეცნება, რა შეუშლის ხელს მთელი ემპირიული სინამდვილის შემეცნებას? ყველა მეცნიერების საგნის გამოცხადება ფსიქიკურ სინამდვილედ მხოლოდ გააფართოებდა ფსიქოლოგიის მუშაობას, უფრო მრავალფეროვანს გახდიდა მის მუშაობას. მაგრამ ამისთვის ფსიქოლოგიას არ დაჭირ-

დებოდა პრინციპულად განსხვავებული თვალსაზრისის თუ კატეგორიის გამოყენება. ფსიქოლოგია შეისწავლიდა მთელ სინამდვილეს და მაინც ფსიქოლოგიად დარჩებოდა. შინაარსეულ-საგნობრივი ფსიქოლოგიზმი. როგორც ცნება და როგორც ტერმინი ვაუქმდებოდა. იქნებოდა მხოლოდ ერთი მეცნიერება — ფსიქოლოგია, რომლის ანტიპოდი და ლოგიკური მოპირდაპირე იქნებოდა ტრანსცენდენტურ-ეგზისტენციალობის შესახებ ფიქტიური, ქვაზი-მეცნიერება.

მაგრამ ასეთი დაშვების შემთხვევაში კიდევ უფრო ნათელი ხდება თვით ფსიქოლოგიური მეცნიერების დასაბუთების საჭიროება და სიძნელე.

ვინც დასაბუთებას, საერთოდ, და კერძოდ, მეცნიერების დასაბუთებას ონტოლოგიური ცნებით ე. წ. ობიექტური საგნით ცდილობს, იგი შემეცნებას შეუძლებლად მიიჩნევს. თუ ასეთი საგანი არაა და ან არ შეიძლება იყოს, ფსიქოლოგია, კერძოდ, ამ თვალსაზრისით, შეუძლებელია მეცნიერება იყოს. მხოლოდ იმ პირობით, თუ ფსიქიკა, სუბიექტური სინამდვილე, როგორღაც ობიექტური გახდება, შესაძლებელი იქნება მისი შემეცნება. სუბიექტური ამ ვითარებაში მიუწვდომელია შემეცნებისათვის: რას შველის საქმეს ის, რომ სუბიექტური ობიექტურად არის წარმოდგენილი ან ობიექტად გადაქცეული, ან კიდევ ობიექტთან შეერთებული?! შემეცნების შინაარსი მაინც ყველა შემთხვევაში მხოლოდ ობიექტური მომენტია?! თავი რომ დავანებოთ იმას, თუ როგორ მოხერხდება ობიექტურის შემეცნება თვითონ, როცა მისი კორელატი, — სუბიექტური, უცნობი და შეუმეცნებადია, თვითონ ის ძირითადი მეთოდოლოგიური აქტი, რასაც ამგვარი მსჯელობა ემყარება, გადაულახავ სიძნელეს წააწყდებოდა. თუ მას გავარჩევდით დასაბუთების წესების შესაბამისად, როგორ გავამართლებდით, მაგ., იმას, რომ დასაბუთების ერთ-ერთი ძირითადი „ცნება“ არ არის ლოგიკური შინაარსის. არ არის აღებული. როგორც ნამდვილი ცნება?! „ობიექტური“ აქ ხომ არ შეიძლება ცნების მნიშვნელობით იხმარებოდეს. ასე რომ იყოს, იგი არც ტრანსცენდენტურ-ეგზისტენციალური იქნებოდა. ნამდვილად საქმე გვაქვს არა ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ საბუთთან, არამედ ონტოლოგიურთან, რომელიც ამ კონტექსტში თვითონ საჭიროებს დასაბუთებას. „ობიექტურის“ ორგვარი მნიშვნელობა — ონტოლოგიურ-რეალური და ლოგიკურ-გნოსეოლოგიური ზოგჯერ არაა მხედველობაში მიღებული და დაუშვებელი ნახტომის გზით ონტოლოგიურს გნოსეოლოგიური ძალა ენიჭება, დასაბუთებისთვის ინდიფერენტული

ფსიქოლოგიზმის მეორე სახე ფსიქიკის ლოგოსის, ფსიქოლო
ური კატეგორიების გამოყენებაა სხვა მეცნიერებასა და ფილოსოფი-
აში. შეცდომა აქ იმაში მდგომარეობს. რომ სპეციფიკური. ფსიქიკუ-
რისთვის ადეკვატური ცნებები და კანონები ლოგიკურად სრულიად
განსხვავებულ სინამდვილის სფეროს მიეწერება. მეცნიერების ფალ-
სიფიკაცია, რომელიც ამგვარი აქტით ხდება. ფორმალურ-ლოგიკუ-
რი ხასიათისაა. ფსიქოლოგიიდან სხვა მეცნიერებაში მიდის არა ფსი-
ქიკა თვითონ. არამედ მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერება.
მართალია, ის, რაც უნდა შეიჭრას არაფსიქოლოგიურ მეცნიერებაში.
არ არის ირაციონალური ელემენტი. მაგრამ ფსიქოლოგიაში კანონიე-
რი და ლოგიკურად გამართლებული, სრულიად გაუმართლებელია
იმ სინამდვილის შესწავლისთვის. რომელიც ფსიქიკა არ არის. ფსი-
ქიკიდან განსხვავდება იმდენად. რომ საკუთარი გნოსეოლოგიური
ფიზიონომია აქვს.

ფსიქოლოგიზმის დაძლევა ამ შემთხვევაშიც ზემდგომ გნოსეო-
ლოგიურ ინსტანციაზეა დამოკიდებული. თუ არ არსებობს შემეცნე-
ბის ისეთი ორგანო. რომელიც ხედავს როგორც ფსიქოლოგიურ. ისე
არაფსიქოლოგიურ კანონზომიერებას. თუ შემეცნების ორგანოდ
თვით ეს სინამდვილეები გვევლინებიან იმ სახით, როგორადაც ისინი
ბუნებრივად. თავისთავად არსებობენ. ამ სიძნელის გადალახვა შე-
უძლებელი გახდება. მაგრამ. ეს რომ ასე არ არის. ამის ერთ-ერთი,
გადამწყვეტი მნიშვნელობის გარემოება თვით საკითხის. ფსიქოლო-
გიზმის დაძლევის ამოცანაა. ბუნებრივად წარმოდგენილი სინამდვი-
ლის სახეები. ფსიქიკა და არაფსიქიკა, თვითონ ვერასოდეს ვერ წა-
მოჭრიდენ საკითხს. რომელიც მათი არსებობისა და ნიშან-თვისების
სფეროს შორდება. როგორც მხედველობა და სმენა ვერ წამოჭრი-
დნენ საკითხს მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავების შესახებ.
აზროვნების წინაშე საკითხის წამოჭრა მისი გადაჭრის შესაძლებლო-
ბასაც უნდა ნიშნავდეს. პრობლემა, რომლის გადაჭრა პრინციპუ-
ლად შეუძლებელი ჩანს, უკანონო პრობლემაა. მოჩვენებითი და ხე-
ლოვნური საკითხია, რომელიც ამის გამო უნდა მოიხსნას.

2

რა მოაქვს ფსიქოლოგიზმს ფსიქოლოგიისათვის?

თუ ფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიის მოქმედების სფეროს გაფარ-
თოებაა, თუ იგი სხვა მეცნიერებაზე ძალდატანებაა ფსიქოლოგიის

გულისთვის[2], მას ფსიქოლოგები მათი მეცნიერებისათვის სასარგებ-
ლო საქმედ უნდა თვლიდნენ. ფსიქოლოგთა რეაქცია ფსიქოლოგიზ-
მსა და ანტიფსიქოლოგიზმს შორის გამართული დისკუსიისადმი
მართლაც ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ამ დისკუსიიდან ფსი-
ქოლოგიისათვის თუ სასარგებლოს არა, საზიანოს მაინც არაფერს
ელიან. თითქოს ასე ფიქრობენ ფსიქოლოგები: თუ ფსიქოლოგისტე-
ბი აღმოჩნდნენ მართალი და ფსიქოლოგიის მოქმედების არე კანო-
ნიერად გაფართოვდა და ფსიქოლოგიას სხვა მეცნიერებათა მი-
მართ ფუძემდებლური ფუნქცია მიენიჭა, ფსიქოლოგია ამით ბევრს
მოიგებს, გნოსეოლოგიური მნიშვნელობის მხრივ და გაფართოვდება
კვლევის სფეროს მიხედვით. ხოლო თუ ანტიფსიქოლოგიზმი გაიმარ-
ჯვებს, ფსიქოლოგია ამით მაინც არაფერს დაჰკარგავს. ის დატოვებს
მხოლოდ კვლევის იმ სფეროს, რომელიც მას უმართებულოდ დაუკა-
ვებია. აკი ფსიქოლოგიზმს განმარტავენ. როგორც ფსიქოლოგი-
ას უადგილო ადგილას[3].

ჩვენი მიზანია ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ ასეთი და-
მოკიდებულება ფსიქოლოგიზმისა და ანტიფსიქოლოგიზმის დაპირის-
დმი ფსიქოლოგების მხრივ, არ არის გამართლებული. პრობლემა,
რომელსაც ეს დავა ეხება, არის მეცნიერების ობიექტურობის პრობ-
ლემა და იგი თანაბრად ეხება ყოველ მეცნიერებას. ფსიქოლოგიზმის
წინააღმდეგ ბრძოლა არის აგრეთვე ბრძოლა ნატურალიზმის, ე. ი.
ონტოლოგიზმის წინააღმდეგ გნოსეოლოგიასა და ლოგიკაში, ლოგი-
კური მომენტის შეცვლის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური მომენტით.
საბოლოოდ ანტიფსიქოლოგიზმი იბრძვის მეცნიერულობისათვის მე-
ცნიერებაში. ასეთი ამოცანა არ შეიძლება არ ეხებოდეს ფსიქოლო-
გიას. მეტიც შეიძლება ითქვას: იმის გამო, რომ ფსიქოლოგიური მეცნ-
ნიერების დონე შედარებით დაბალია, იმის გამო, რომ ფსიქოლოგია
ამჟამადაც კრიზისის მდგომარეობაშია და რეფორმის საჭიროებას გა-
ნიცდის, განსაკუთრებული სიმახვილით უნდა დადგეს საკითხი ფსი-
ქოლოგიის მეცნიერულობის შესახებ. თუ არაფსიქოლოგიური ზუსტ-
ი მეცნიერებანი ფაქტობრივად მაინც სწორი გზით მიდიან და ფსი-
ქოლოგისტურ დაბრკოლებას არ განიცდიან, ფსიქოლოგიაზე ამას
ვერ ვიტყვით. აქ წარმოებს ბრძოლა არა ფსიქოლოგიზმის წინააღმ-
დეგ, არამედ ლოგიციზმის წინააღმდეგ და ისიც იმგვარად, რომ ზოგ-

---

[2] «...eine Vergewaltigung anderer Wissenschaften zugunsten der Psychologie...»W. Moog, Logik, Psychologie und Psychologismus, 1919, გვ. 2.

[3] «Psychologie am unrechten Ort», Alois Höfler, Atti del V. congresso internazionale die psicologia, 1906, გვ. 322.

ჯერ არ არის ნათლად გათიშული ლოგიციზმი ლოგიკურობიდან. ლოგიკის კანონიერი ეამოყენება ფსიქოლოგიაში მის უკანონო გამოყენებიდან. შედეგი ამისა ისაა, რომ ფსიქოლოგია ხელს იღებს მეცნიერულობის აუცილებელ საფუძველზე და ლოგიკური მომენტის ადგილზე ნატურალისტურ მომენტს ათავსებს, ლოგიციზმის წინააღმდეგ ბრძოლა აქ ფსიქოლოგიზმში გადადის. თუ ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არასოდეს ინტენსიურად არ მიმდინარეობდა. ეს იმიტომ კი არა, რომ იგი საჭირო არ იყო, არამედ იმიტომ, რომ მისი საჭიროება აქ უფრო ძნელად შესამჩნევია, ვიდრე მაგ., ლოგიკაში. ფიქრობენ, რომ ფსიქოლოგიაში ფსიქიკურს ყველგან აქვს გამართლება და, მაშასადამე, უადგილო ადგილას იგი არასოდეს აღმოჩნდება.

ეს არაა სწორი. არც ერთი მეცნიერება არაა აგებული მხოლოდ იმ მასალიდან და მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რასაც მისი კვლევის საგანი წარმოადგენს ან უფრო ზუსტად: არც ერთი მეცნიერების საგანი არ არის მარტო ის მასალა, რაც მის სახელს განსაზღვრავს. გარდა ამისა, ყველგან არის ამ სინამდვილის ლოგოსი, მისი კანონზომიერება. ურომლისოდაც მეცნიერება არ წარმოიდგინება. ამ მომენტს, სინამდვილის გარკვეულობას, მის „ფორმას", „ასეთობას" (Sosein) ემყარება მეცნიერება, ამის გამოხატვა არის შინაარსი მეცნიერებისა. ეს კი უეჭველად უნდა განვასხვაოთ იმ მასალიდან, რომელსაც იგი ახლავს და რომლითაც იგი მეცნიერებისათვის მისაწვდომი და ვარგისი ხდება. კანონზომიერება, რომელიც არის პირობა არსებობისა და შემეცნების, მარტო მაშინ კი არ შედის მოქმედებაში, როცა ერთი საგანი მოქმედებს მეორეზე, არამედ თვით ერთეული საგნის ფარგლებშიც[1]. საგანი სტრუქტურის მატარებელია. ეს კი კანონზომიერების მოცემულობას გულისხმობს. კანონი სტატიკასაც ისევე ჭირდება, როგორც დინამიკას.

ფსიქოლოგიზმის საფრთხის მიმართ უდარდელი დამოკიდებულება ფსიქოლოგების მხრივ არის შეპირობებული. ერთი მხრივ მაინც, ფსიქოლოგიის გნოსეოლოგიის განვითარების ისტორიით, ცნობილია, რომ გნოსეოლოგიის განვითარების კლასიკურ პერიოდში შემეცნების ძირითად პრობლემად, გნოსეოლოგიურ ცენტრალურ საკითხად იდგა ობიექტური, ტრანსცენდენტური სინამდვილის წვდომა. როგორ არის შესაძლებელი, რომ ცნობიერებიდან დამოუკიდებელი და მის გარეთ მდებარე სინამდვილე გახდეს ცნობიერების შინაარ-

---

[1] იხ. ა. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, კანონზომიერების საკითხისათვის ფსიქოლოგიაში. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XVI, 1956.

სი? ასე დადგა საკითხი და მასზე პასუხის მიღება ითვლებოდა გნოსეოლოგიური პრობლემის გადაჭრად.

ვინაიდან პრობლემად ტრანსცენდენტურის იმანენტურში შემოტანა ითვლებოდა, იმანენტურის წვდომის პრობლემა არ უნდა წამოჭრილიყო. თუ ტრანსცენდენტურის შემეცნებისათვის მეტი არაფერია საჭირო, თუ არა მისი შემოტანა იმანენტურ სამყაროში, ცნობიერებაში, ანდა ცნობიერების შეჭრა ტრანსცენდენტურში, იმის შემეცნების პრობლემა, რაც თავისთავად არის იმანენტური, რაც თავის არსებობის ფორმით ცნობიერია და ცნობიერებაშია, საკანონებოდ აღარ დადგება. მისი შემეცნების შესაძლებლობა თავისთავად იგულისხმება და კვლევა-ძიებას არ საჭიროებს. ამიტომ ერთბანს არსებობდა მხოლოდ ობიექტის, საგნის შემეცნების პრობლემა. მაგრამ არ არსებობდა განცდის შემეცნების პრობლემა. მუშავდებოდა საგნის ონოსეოლოგია, ხოლო განცდის გნოსეოლოგიას არ ექცეოდა ყურადღება. შემეცნების პრობლემა გათანაბრებული იყო ე. წ. მოცემულობის პრობლემასთან.

კანტის ცნება ნივთისა თავისთავად წარმოიქმნა. როგორც ნეგაცია თავისთავადი სინამდვილის იმ სახით შემეცნებისა, როგორადაც ის არის თავის თავად, თავის თავში. შემეცნების მთავარ ნიშნად ამ კონტექსტში არსებულის მარტივი ასახვა იგულისხმებოდა: სუბიექტს უნდა ენახა ნივთი და მისი სურათი შეემუშავებინა. ასეთი რამ შეუძლებლად იქნა მიჩნეული და ამიტომ ნივთი დარჩა მარად ტრანსცენდენტურად.

როცა ანალოგიური საკითხი დადგა ფსიქიკის მიმართ, ეჭვი არავის შეუტანია იმაში, რომ ფსიქიკური მოვლენების მოცემულობა ადეკვატურია. ფსიქოლოგიის „საგნად" ფსიქიკაა მიჩნეული, ხოლო მის ორიგინალში წვდომა უეჭვო ფაქტადაა აღიარებული. ცნება „ნივთისა თავისთავად" ფსიქიკის მიმართ არ წარმოქმნილა. ზოგი ფსიქოლოგი ისე შორს წავიდა ფსიქიკის შემეცნების პროვინციალიზმის პირობების მტკიცების საქმეში, რომ ერთადერთ ნამდვილ ემპირიულ მეცნიერებად, ევიდენტური შემეცნების მქონე ცოდნად ფსიქოლოგია დასახა. ამ გარეშერებას გამოხატავენ ისეთი ცნებები, როგორიცაა უშუალო გამოცდილების მეცნიერება, ევიდენტური მოცემულობა ფსიქიკისა, სტრუქტურულობა ფსიქიკური ცხოვრებისა და სხვა.

მოცემულობისა და შემეცნების პრობლემის გაიგივებასთან ექვქეს საქმე, როცა ფსიქიკის ადეკვატურად მოცემულობის ფაქტიდან შემეცნების ევიდენტობაზე ასკვნიდნენ. ერთხანს არ ეწეოდ

ჯეროვანი ანგარიში იმ ფაქტს, რომ უშუალო და ორიგინალში მოცემულობა შებრუნებულ მიმართებაში იმყოფებოდა ამ მოცემულობის შემეცნების სიზუსტესთან. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციას გვაძლევს ის ფაქტი, რომ უშორესი სხეულები ასტრონომიული სიზუსტითაა შესწავლილი, ხოლო უახლოესი მოვლენები, ჩვენი განცდები ოდნავ დამაკმაყოფილებლადაც არ ვიცით. ცხადია, რომ მოცემულობა, რაგინდ სრულყოფილიც არ უნდა იყოს იგი, შემეცნების საკითხს ვერ მოხსნის და ვერ გადაჭრის. ამ გარემოებამ გვიკარნახა გვეკითხა: რა არის ის, რაც ადეკვატური მოცემულობის მიუხედავად შემეცნებას საძიებელი აქვს? რა არის ის, რაც, განსხვავებით მოცემულობის შინაარსისა, შემეცნების აუცილებელ და საკმაო პირობას წარმოადგენს?

ეს კითხვა ცოდნის შედგენილობის ანალიზს მოითხოვს.

აქ საქმის ინტერესი არ ეხება არც ცოდნის მქონეს და მის სტრუქტურას, არც იმას, თუ როგორ არის მიღებული ეს ცოდნა ანდა იმას, თუ როგორია მისი არსებობის ფორმა მცოდნის ცნობიერებაში, არაფერედ იმას, თუ რას ეწოდება ცოდნა, როგორია მისი ბუნება, მისი საკუთარი ნიშანთვისებები.

ამ თვალსაზრისით განხილული ცოდნა გულისხმობს ცოდნის საგანს, რომელზედაც გამოთქმულია რაიმე აუცილებლობის პრეტენზიით. იდეა ცოდნისა ამ აუცილებლობას შეიცავს. უბრალო ხედვა მოვლენისა, რაგინდ ადეკვატურიც არ უნდა იყოს იგი, ცოდნას არ წარმოადგენს. მარტო ხედვა ფაქტობრივობას ვერ გაშორდება და აუცილებლობაზე არაფერს გვეუბნება. არსებობს ფაქტობრივობის ევიდენტობა. მაგრამ ამის შინაარსი თვით ფაქტობრივობა კი არ არის, არამედ ის საქმის ვითარება, რომ ფაქტობრივად მეძლევა რაღაც, რისი აუცილებლობაც არ ჩანს. ფერის მოცემულობა მაგ., აუცილებელი პირობაა ფერის ცოდნისათვის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ცოდნა არ არის. ამ მოცემულობის შესახებ უნდა შეიქმნეს საქმის ვითარება (Sachverhalt) და მისი აუცილებლობა დასაბუთდეს. მაშინ გვექნება ცოდნა. თუ ახლა ამ ცოდნის მოცემულობაზე ვილაპარაკებთ, მდგომარეობა იგივე გვექნება: რამდენადაც ცოდნის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება იქნება არა აუცილებლობის აზროვნება, არამედ ცოდნად მიჩნეული დებულების უბრალო ჰვრეტა, საქმე გვექნება მოცემულობასთან და არა ცოდნასთან. მართალია, ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ცოდნად ის მიგვაჩნია, რაც ნამდვილად მოცემულობის აქტს წარმოადგენს, მაგრამ ეს გარემოება არ გვაძლევს უფლე-

ბას „ევთანაბრად მოცემულობა (Gegebenheit) ცოდნასთან. იგივე ითქმის ცოდნისა და ცნობიერების განსხვავების შესახებ[5].

იდეალისტურ ფილოსოფიაში გაერცელებული დაყენება მოცემულობის პრობლემისა საჭიროებს ერსებით ცვლილებას. პრობლემის შინაარსად უნდა შევიჩნიოთ არა ის, თუ როგორია აზროვნების დამოკიდებულება მოცემულისადმი, პასიურ-რეცეფციული, თუ აქტიურ-შემოქმედებითი[6], არამედ ის, თუ რა გვეძლევა ამ აქტის საშუალებით, როგორია თავისი საკუთარი ბუნებით ის, რაც ამ შემთხვევაში შემოდის ცნობიერებაში. უკიდურესი თვალსაზრისები მოცემულობის პრობლემის გადაჭრაში-- პერცეფციონისტული და შემოქმედებითი — ეხებიან სუბიექტის ქცევას და არა მოცემულობის შინაარსს. მოცემული ვითარება არაფერს ამბობს მისი გენეზისის შესახებ. მისი რაობის გარკვევა დესკრიფციული ამოცანაა და არა გენეზისური. ამიტომ აზროვნების შემოქმედებითი აქტიურობა, რომ დავუშვათ კიდევაც მისი ქმნადობითი უნარი საგნის მიმართ, მოცემულის დახასიათებისთვის მნიშვნელობას მოკლებულია. თუ არა ამ გზით, ფუნქციონალურ თეორიაში საერთოდ უქმდება მოცემულობის პრობლემა, მის ადგილს საგნის შექმნის პროცესი იჭერს.

მოცემულობაში პოტენციალურად მაინც იგულისხმება ორი მომენტი: ყოფიერება და გარკვეულობა (Sosein). თუ ამ ცნებებს ფართო მნიშვნელობით ვიხმართ, თუ ყოფიერებაში ყოველი სახის არსებობა-ონტიურობას ვიგულისხმებთ, ხოლო გარკვეულობაში ყოველი სახის ფორმა-კანონზომიერებას, ისინი მეცნიერებისათვის საჭირო ელემენტებს ამოწურავენ. ისინი საკმაო არიან მეცნიერებისათვის, როგორც მისი ობიექტური პირობები.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ მოცემულობა ფსიქოლოგიაში? ხომ არ აქვს ადგილი ამ შემთხვევაში მოცემულობის სტრუქტურის შეკვეცას, გამარტივებას?

რა ეჭვი ანკარიშგასაწევია ის გარემოება, რომ სინამდვილის სხვადასხვა სფეროები თვისობრივად განსხვავდებიან ერთმანეთიდან და ამის შესაბამისად შემეცნებას სპეციფიკურ ხასიათს ანიჭებენ. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თვითონ შემეცნებასაც აქვს თავისი არსი, ის ზოგადი და აუცილებელი ნიშნები, ურომლისოდაც შემეცნება არ წარმოიდგინება. ამ ნიშნების იგნორაცია და მათი საწინააღმდეგო

---

[5] იხილე А. Т. Бочоришвили, Психика как предмет психологии Вестник отделения общественных наук, Тбилиси, 1961, ტ. 3.

[6] იხ.Joh. von. Malottki, Das Problem des Gegebenen, 1929,გვ. 2.

ნიშნებით შეცვლა არ შეიძლება. შემეცნებამ თავისი არსი არ შეიძ-
ლება დაჰკარგოს, სანამ იგი შემეცნებად ითვლება.

მოცემულობა, როგორც შემეცნების მომენტი თუ წინასწარ-
ი, გულისხმობს სუბიექტს, ობიექტსა და მათ შორის მიმართებას.
რომელსაც მოცემულობის ცნებით აღვნიშნავთ. აქ არსებითი ის კი
არ არის, თუ როგორ დავახასიათებთ მოცემულობას. როგორც უშუ-
ლოს თუ როგორც გაშუალებულს იქნება შემეცნების საგანი თვი-
თონ, ორიგინალში მოცემული. თუ იგი მეორე რომელიმე ინსტან-
ციით იქნება გაშუალებული, სულ ერთია. ყოველი მოცემული სუ-
ბიექტისადმი მაინც დაპირისპირებული უნდა იყოს, მას „წინ უნდა
დაუდგეს" და ამ გაგებით მას საგნად უნდა მოვევლინოს. მართალია.
როცა მესამე ინსტანციაა სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობაში
არ მონაწილეობს. შემეცნების მსვლელობა სხვაგვარია. მაგრამ ამით
ის უშუალო მაინც არაა მიღწეული, რომელიც სუბიექტ-ობიექტის
დამთხვევას, გაიგივება-შერწყმას მოასწავებს. ასეთი უშუალობა მო-
ცემულობისა შემეცნების ცნებასთან შეუთავსებელია. აქედან ცხა-
დი უნდა იყოს, რომ ფსიქიკის არსებობა ცნობიერი ფაქტის სახით
კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამით ის უკვე მოცემულობის შინაარ-
სია. ამისთვის, ფსიქიკის მოცემულობად არსებობისათვის, აუცილე-
ბელია მის მიმართ გამოყენებულ იქნეს შემეცნებითი განწყობა. ეს
კი ნიშნავს. რომ ფსიქიკის შემეცნება არავითარ უპირატესობას არ
შეიცავს იმის გამო, რომ მას იმანენტური ცნობიერება აქვს. პირიქით,
სწორედ ამის გამო იქმნება მაცდუნებელი აზრი, რომ ფსიქიკა თა-
ვისთავად არის მოცემული შემეცნებისათვის და ამისთვის თითქოს
საგანგებო ღონისძიება არ არის საჭირო. ამის შედეგია ის ყალბი შე-
ხედულება, რომლის მიხედვით. ფსიქოლოგიაში. დესკრიფციული
კვლევა-ძიება ან სრულიად ზედმეტია და ან ეაღრესად ადვილ საქ-
მეს წარმოადგენს.

საყოველთაოდ ცნობილია ამჟამად, თუ რაოდენი ზიანის მომტა-
ნია ასეთი შეხედულება. მართალია. ფსიქიკური. როგორც მოცემუ-
ლობა, მხოლოდ ცნობიერების ობიექტად ყოფნას ნიშნავს და არა
შემეცნების საგნამდე ამაღლებას, მაგრამ იგი მაინც განსხვავდება
იმანენტურ ცნობიერებაში არსებულიდან, სტიქიურ, ბუნებრივ ფსი-
ქიკიდან, სადაც ჯერ კიდევ შემეცნებითი განწყობა მასზე არ მიმარ-
თულა.

რას შეიცავს, რას წარმოადგენს განცდა შემეცნებითი განწყო-
ბისადმი მოცემულობის მომენტში?

მოცემულობის პრობლემის ისტორიიდან ვიცით, რომ გასაკვირველია ამ შემთხვევაში ითვლებოდა აზროვნებისა და აზროვნებისათვის უცხო ელემენტის მორიგება. შეხვედრა. მოცემულად რომელიმე შინაარსი მაშინ ჩაითვლებოდა, თუ იგი უცხო რამ იქნებოდა აზროვნებისათვის, თუ მისი შემოსვლით აზროვნებაში ახალი, ანაზროვნებითი მომენტი გაჩნდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თითქოს არც უნდა გვქონდეს საქმე მოცემულობასთან. ვინაიდან საქმე ტრანსცენდენტურის წვდომას ეხება, ხოლო აზროვნება მთელი მისი შემადგენლობით იმანენტურ არსებობად არის მიჩნეული, ცხადია, რომ ტრანსცენდენტური ვითარება არ უნდა იყოს აზროვნება. ტრანსცენდენტურობის ნიშანი აქ ონტოლოგიურთან ერთად გნოსეოლოგიური ვითარებასაც აღნიშნავს. ასე გაჩნდა გნოსეოლოგიაში ირაციონალურის პრობლემა და ამასთან ერთად მისი დაძლევის ამოცანა. მოცემულობის პრობლემამ შინაგანი აპორიის ხასიათი მიიღო: თუ ტრანსცენდენტური აზროვნებისთვის უცხო სინამდვილეა, მისი მოცემულობა ლოგიკურად შეუძლებელია. აზრი ვერ მიიღებს თავის წიაღში ვერაფერს, რასაც აზრისეულობა აკლია. მაგრამ თუ აზრისეული აზროვნების პროდუქტია, მოცემულობის ცნება უქმდება. აზროვნებას არაფერი არ ეძლევა. იგი მთელ თავის შინაარსს თვითონ ქმნის. ხოლო, თუ შემეცნება არის აზროვნებისთვის უცხოს. ტრანსცენდენტურის შემეცნება, იგი შეუძლებლად უნდა გამოვაცხადოთ: აზროვნება მხოლოდ იმას წვდება, რაც მისი შექმნილია. ეს კი შემეცნებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან აქ ტრანსცენდენტური გამორთულია, აზროვნება იმას წვდება, რაც მან იცის, რაც მას აქვს.

აღნიშნული სიძნელიდან გამოსვლის ცდები უშედეგო აღმოჩნდა. საქმეს ვერ შველის ვერც ე. წ. დიალექტიკური გადაჭრა საკითხისა, რომელსაც იძლევა, მაგ., მალოტკი. ვინაიდან ამ ავტორმა კანონიერად მიიჩნია საკითხის ტრადიციული დაყენება. კომპრომისულმა თვალსაზრისმა საქმეს ვერ უშველა. ემპირისტული და პანლოგიკური თვალსაზრისები აღმოჩნდნენ თანმიმდევრული შედეგები მოცემულობის პრობლემის იმგვარი წარმოდგენისა, როგორსაც ზემოთ გავეცანით: უკიდურესი სენსუალიზმის ნიადაგზე აღმოცენდა მახის კონცეფცია მოცემულობის მონიზმისა და აზროვნების რეცეფციულობის შესახებ, ხოლო უკიდურესმა რაციონალიზმმა მოგვცა კოჰენის

იხ. მალოტკი: ღასხ. ნაშრომი

თეორია ფუნქციის მონიზმისა და აზროვნების შემოქმედებითობის შესახებ.

მონისტური თეორიების გვერდით წარმოიშვენ დუალისტური თეორიები, მაგრამ უკეთესი წარმატება არც მათ ჰქონიათ: ცნობიერებისა და მოცემულობის კორელაცია არის არა პასუხი მოცემულობის პრობლემაზე. არამედ თვითონ არის უძნელესი პრობლემა, რომლის გადაჭრაც წინაპირობაა მოცემულობის პრობლემის გადასაჭრელად.

მოცემულობის პრობლემას აქ ვერ შევეხებით. მაგრამ ის მაინც უნდა ითქვას, თუ როგორ გვესახება ჩვენ ამ სიძნელის გვერდისავლა, რომელიც იდეალისტურ ფილოსოფიაში გაჩნდა ამ პრობლემასთან დაკავშირებით.

მოცემულობის პრობლემა შემეცნებისა და შესაცნობის ნათესაობას, ერთგვარობას ეხება. როგორმე გასაგები უნდა გახდეს მათი კავშირიცა და მათი ნუმერული სხვაობაც. შემეცნების მხარის წარმომადგენლად აზროვნება გვევლინება. შესამეცნებლად სინამდვილე. სამყარო იგულისხმება. პირველ რიგში აზროვნების ცნება უნდა ვაირკვეს, ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ მისი ფუნქცია შემეცნებაში.

არსებითად სხვადასხვაა აზროვნება შემმეცნებელი და აზროვნება შემეცნების ობიექტი, როცა პირველში გნოსეოლოგიური ცნება იგულისხმება, ხოლო მეორეში ფსიქიკური პროცესი. ის ფაქტი, რომ აზროვნების შესწავლა წარმოებს ფსიქოლოგიაში, ამტკიცებს იმას, რომ მასაც ისე, როგორც შემეცნების სხვა ობიექტებს, აქვს ის ნიშნები, რომელიც აუცილებელია შემეცნებისათვის. ამ განზომილებაში აზროვნება პრინციპულად არ განსხვავდება ლითონისაგან. ორივე მხოლოდ ფაქტი და ბუნებრივი პროცესია, არაფერს თავის გარეშე არსებულს ისინი არ აღნიშნავენ. საერთოდ არა აქვს მათ აღნიშვნის ფუნქცია. ის, რაც ითქვა ფსიქოლოგიაში აზროვნების ინტენციის შესახებ, მის ნიშნობრიობაზე და ა. შ., ეხება აზროვნებას, როგორც გნოსეოლოგიურ კატეგორიას და არა ფსიქოლოგიურ პროცესს. როცა აზროვნება შემმეცნებელი კი არ არის, არამედ შესამეცნებელი, ცხადია, რომ მას შემმეცნებლის ნიშნები არ შეიძლება ჰქონდეს. და თუ უამისოდ აზროვნება არაფერია, თუ მას მხოლოდ ფუნქციონალური არსებობა აქვს, მაშინ უკანონოა ლაპარაკი აზროვნების ფსიქოლოგიაზე. მაგრამ, რადგან ეს ასე არ არის.

რადგან აზროვნება არა მარტო სხვისი „ხედვაა", არამედ თვითონაც არის რაღაც, რისი „ხედვა" შეიძლება, აზროვნების ფსიქოლოგიაც შესაძლებელი გახდა.

რა არის აზროვნება, როგორც შემეცნება?

ეს არის ორი სინამდვილის, სუბიექტისა და ობიექტის გარკვეულობის თანაზიარობა[8]. როცა ობიექტის გარკვეულობა (Sein) სუბიექტის „კუთვნილებად" იქცევა, ანდა სუბიექტში არსებული გარკვეულობა ეხება და ემთხვევა ობიექტის გარკვეულობას, აქმე გვაქვს შემეცნებით აზროვნებასთან. როცა იგულისხმება, რომ გარკვეულობა, ლოგოსი სუბიექტის პროვინციული ნიშანი კი არ არის, არამედ ყოველივე არსებულს ახასიათებს, ურთიერთობა შემმეცნებელსა და შესამეცნებელს შორის გადაულახავ სიძნელედ არ ეჩვენება დაგვესახოს. გნოსეოლოგიის კლასიკურ პერიოდში წამოჭრილი სიძნელე შემეცნებითი მოცემულობისა, უნდა ვიფიქროთ, ხელოვნური. შემეცნება წარმოდგენილი იყო, როგორც აზროვნების მიერ ფიქლევა ისეთი სინამდვილისა, რომელიც არსობრივად უცხოა აზროვნებისათვის. ამგვარი შეხედულების საფუძველს წარმოადგენდა ორი მცდარი დებულება: აზროვნებისთვის დამახასიათებელი ლოგოსი, კანონზომიერება მოაზროვნე სუბიექტის ნაწარმოებად იყო წარმოდგენილი, ხოლო რეალური სინამდვილე — ამგვარ კანონზომიერებას მოკლებულ ინსტანციად. საბოლოოდ, მოცემულობის პრობლემა რაციონალურისა და ირაციონალურის შეხვედრის პრობლემად იქცა. ყველაზმა წანამძღვრებმა პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი გახადეს.

სულ სხვა მდგომარეობა მყარდება, როცა შემეცნების ობიექტური პირობა, სუბიექტისა და ობიექტის კავშირის საფუძველი, გარკვეულობა, კანონზომიერება ორივეს საკუთრებად და შინაგან ბუნებადაა გამოცხადებული. მოცემულობა-კონტაქტი ამ შემთხვევაში სავსებით გასაგები ჩანს. ეს საერთოდ მოცემულობის შესახებ. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ მოცემულობა ფსიქოლოგიაში, როცა საქმე ეხება ფსიქიკის მოცემულობას?

ის, რაც უნდა მოცემულობად იქცეს ფსიქოლოგიაში, არის ფსიქიკა, რომელიც, ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით, სამ ჯგუფად არის წარმოდგენილი. როცა საკითხი ეხება გრძნობისა და ნებელობის მოცემულობას, პრობლემა ადვილად დასანახი ჩანს. გრძნობა-ნებელობა უნდა წარმოვიდგინოთ მოცემულობის ობიექ-

---

[8] შეად. M. Scheler, Gestimmelte Werke, 10. 1957. გვ. 394 და შემდეგ.

ტად, სოლო აზროვნება მის სუბიექტად, იმ ინსტანციად, რომელსაც ეძლევა ეს ობიექტი. საკითხის გადაჭრაც თითქოს არ შეიცავს სიძნელეს. გრძნობა და ნებისყოფა ფსიქიკური მოვლენებია. აზროვნებაც ასეთი მოვლენაა. ცხადია, რომ მოცემულობისთვის საჭირო კონტაქტი აქ არავითარ სიძნელეს არ უნდა შეხვდეს. ერთგვარობა შემეცნების სუბიექტ-ობიექტისა აქ გარანტირებულია.

ნამდვილად საქმის ვითარება ასეთი არ არის. როგორც პრობლემის გააზრება, ისე მისი გადაჭრაც აქ გაცილებით უფრო რთულია და ძნელი. ვიდრე ის არის წარმოდგენილი ამ მსჯელობაში.

ჯერ ერთი. ისაა გასააზრებელი, რომ, ნათქვამის მიხედვით, შემმეცნებელიცა და შესაცნობიც ფსიქიკურ ფენომენებად გვევლინებიან. თუ ფსიქიკა, როგორც შემეცნების ობიექტი საესებით კანონიერი ცნებაა, ამასვე ვერ ვიტყვით ფსიქიკის შემმეცნებლის შესახებ. იგი არ შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური კატეგორია. არამედ მხოლოდ გნოსეოლოგიური ცნება. აქ საგნობრივი იგივეობაც რომ დავუშვათ პირობითად. მაინც ვერ ვილაპარაკებთ ფუნქციონალურ იგივეობაზე. აზროვნება ფსიქოლოგიური პროცესი და აზროვნება შემეცნების სუბიექტი, როგორც დავინახეთ, პრინციპულად განსხვავებული აქტებია და ამ განსხვავების უგულებელყოფა შეუმჩნეველს ხდის მოცემულობის პრობლემას ფსიქოლოგიაში.მაგრამ რადგან აზროვნება. რომელსაც ეძლევა გრძნობა და ნებელობა, ფსიქოლოგიური ფაქტი არ არის, არამედ გნოსეოლოგიური, შემეცნების სუბიექტ-ობიექტის ერთგვარობის საკითხი ზემოთქმულით ვერ გადაწყდება. პირიქით. საკითხი მხოლოდ ახლა დგება, როცა გამოირკვა, რომ მოცემულობად ნავარაუდევი გრძნობა-ნებელობა ფსიქოლოგიურია. ხოლო მოცემულობის მიმღები გნოსეოლოგიურ კატეგორიას წარმოადგენს. საკითხის შინაარსი ამ შემთხვევაში ასე იაზრება: როგორ არის შესაძლებელი, რომ ლოგიკურ-გნოსეოლოგიური დაუკავშირდეს იმას, რაც არ არის ლოგიკურ-გნოსეოლოგიური სინამდვილე? ფსიქიკა ჩვენ ვიგულისხმეთ ფსიქოლოგიურ ფაქტად?!

თუ ლოგიკურსა და გნოსეოლოგიურს რაციონალურ მომენტად ვიგულისხმებთ, ფსიქოლოგიურს ირაციონალური შინაარსი უნდა ვუწოდოთ. გამოდის, რომ ფსიქოლოგიაშიც მოცემულობის პრობლემა რაციონალურისა და ირაციონალურის კონტაქტის შესაძლებლობის საკითხად გეევლინება და მისი ადვილად გადაჭრის არავითარი საფუძველი არ არის. შემმეცნებელსა და შესამეცნებელს შორის აქაც საჭიროა შუამავალი, საერთო და ერთგვაროვანი ინსტანცია.

საკითხის სისრულით წარმოსადგენად დავუბრუნდეთ ფსიქოლოგიური მოცემულობის შინაარსს. გრძნობა და ნებელობა. როგორც

აზროვნებისგან განსხვავებულნი, აზროვნებას დაუპირისპირეთ, როგორც ირაციონალური რაციონალურს. მაგრამ თვითონ აზროვნება, როგორც მოცემულობის ობიექტი, შემმეცნებელ აზროვნებას თითქოს არ უნდა დაუპირისპიროთ. ვინაიდან შემეცნების ობიექტიცა და სუბიექტიც აზროვნებაა, მათი ერთგვაროვნობა-რაციონალურობა თითქოს ეჭვს არ იწვევს. მაგრამ, ზემონათქვამიდან ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ მდგომარეობა აზროვნების მოცემულობის შემთხვევაშიც ისეთივეა, როგორიც გრძნობა-ნებელობის მოცემულობისას. აზროვნება, როგორც ფსიქოლოგიური პროცესი, ისევე განსხვავდება აზროვნება-შემმეცნებლისგან, როგორც აქედან განსხვავდებიან გრძნობა და ნებელობა. ამიტომ მოცემულობის პრობლემა ერთნაირად ისმის მთელი ფსიქიკური ცხოვრების მიმართ, რაიმე არსებითი ხასიათის განსხვავებას აქ არსად ადგილი არა აქვს. ფსიქიკის, ფსიქოლოგიის საგნის მოცემულობა იმავე პრობლემასა და სიძნელეს შეიცავს, როგორიც არის დამახასიათებელი ტრანსცენდენტური სინამდვილის მოცემულობისათვის. იმანენტური ონტიური არსებობა არ გამორიცხავს გნოსეოლოგიურ ტრანსცენდენტურობას. მეტიც ითქმის, შემეცნების არსი მოითხოვს, შესამეცნებელი სხვა იყოს, ვიდრე შემმეცნებელი და შემეცნება. შესამეცნებლის ავტონომიურობა შემეცნების მიმართ იმავე დროს მის ტრანსცენდენტურობას ნიშნავს. განცდები აქედან გამონაკლისს არ წარმოადგენენ.

ამგვარად, შემეცნების წინა პერიოდი, მოცემულობა ფსიქიკის სფეროშიც იგივეა არსებითად, რაც არის იგი ბუნების სივა მოვლენების მოცემულობის შემთხვევაში.

როგორ დგას ფსიქიკურის შემეცნების საკითხი?

ვ. დილთაისა და ფ. ბრენტანოს გავლენით გავრცელდა შეხედულება, რომლის თანახმად, შემეცნებას ფსიქოლოგიაში უაღრესად ხელსაყრელი პირობები აქვს. ფსიქიკური მოცემულობა და სტრუქტურა თითქოს საშუალებას იძლევა ფსიქოლოგიაში მიღწეულ იქნას მაღალი რანგის შემეცნება, რომელიც ინდუქციური შემეცნებიდან განსხვავდება აპოდიქტიკურობით და საზრისითი ევიდენტობით.

ამგვარი შეხედულების მცდარობაზე ბევრი ითქვა. საფუძველიანი იქვის ქვეშ დადგა როგორც ფსიქიკურის მოცემულობის, ისე განცდათა საზრისიანი კავშირების საბუთი. თვითონ ჰუსერლმა უარყო თავისი „გენიალური მასწავლებლის“ ბრენტანოს დებულება შინაგანი და გარეგანი გამოცდილების ევიდენტურ მოცემულობის მხრივ განსხვავებისა. მ. შელერის ფსიქოლოგიური „იდოლა“ არაა საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ მოცემულობის პრობლემა და მით უფრო

შემეცნების პრობლემა ფსიქოლოგიაში ადვილად გადასაჭრელი არ არის. ამას ადასტურებს ფსიქოლოგიის ფაქტობრივი მდგომარეობა, მისი შემეცნების ახლანდელი დონე. როგორ შეიძლება შეეუთანხმოთ ერთმანეთს ფსიქიკურის შემეცნების უპირატესად ხელსაყრელი პირობების არსებობა და ფსიქოლოგიური შემეცნების ესოდენ დაბალი დონე, ფიზიკალური მეცნიერების არახელსაყრელი პირობები შემეცნებისა და მისი ესოდენი მაღალი შემეცნებითი განვითარება?!

ამოცანა, მაშასადამე, იმაშია, გაირკვეს საქმის ნამდვილი ვითარება. რა უშლის ხელს ფსიქოლოგიის განვითარებას, რატომ არ არის იგი თავის მოწოდების სიმაღლეზე? საკითხი. მაშასადამე, ფსიქოლოგიური შემეცნების პირობებს ესება, მის ცხადყოფას და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობას.

ფსიქოლოგიზმის ძირითადი მანკი და ლოგიკური უმართებულობა იმაში დაინახეს (ჰუსერლი), რომ ფსიქოლოგიამ. ინდუქციურმა მეცნიერებამ მოიწადინა სიცხადე და საფუძვლიანობა ვიერეებინა ისეთი მეცნიერებისათვის, რომელიც ინდუქციაზე იმდენად არის ამაღლებული, რომ არაფერს ინდუქციურსა და ჰიპოთეზურს არ შეიცავს და მთლიანად აპოდიქტიკური მსჯელობიდან შედგება. ფსიქოლოგიის შეჭრა ლოგიკაში ნიშნავს, ამის მიხედვით, ლოგიკის მეცნიერული დონის დაქვეითებას, მის გაყალბებას.

ფსიქოლოგია არ უნდა შეიჭრას ლოგიკაში (და არც სხვა მეცნიერებაში). ეს მოთხოვნა თავისთავად იგულისხმება. ამჯერად საქმე ეხება თვითონ ფსიქოლოგიის მეცნიერულ შინაარსს. მის გნოსეოლოგიურ გამართლებას. პირველ რიგში გასარკვევია, რას შეიცავს ფსიქიკა ისეთს, რაც ფსიქოლოგიას შესაძლებლად ხდის?

ჰუსერლი იდეალურ და რეალურ მეცნიერებათა გასხვავებასა და დაპირისპირებას ემყარება. იდეალური მეცნიერებანი, თვითკმარი და ზუსტი მეცნიერებანი არიან, რეალური მეცნიერებანი. მეცნიერებანი ფაქტების შესახებ ჰიპოთეზურ ხასიათს ატარებენ. მათ უეჭველად იდეალური მეცნიერებანი უნდა ეღოთ საფუძვლად. მხოლოდ ამგვარად შეიძლება ისინი გახდნენ ნამდვილი მეცნიერებანი, მხოლოდ ამ გზით მიაღწევენ ისინი საჭირო დონეს, მეცნიერულ სიზუსტეს

ჰუსერლის წინააღმდეგ სამართლიანად ამბობდნენ, რომ იგი უმართებულოდ ართმევს ემპირიას, ფაქტებს ლოგიკურ მომენტს და ნაძალადევად წარმოიდგენს რეალურ მეცნიერებად ეგოდენ უმწეო

მდგომარეობაში[9]. თუ ლოგიკური, კანონისეული, ყოველი სახის ლოგოსი რეალობას წაერთვა, შეუძლებელი გახდება საერთოდ ემპირიული რეალური მეცნიერება. როგორც კი საქმე მიდგება იმაზე, რომ იდეალური მეცნიერებით სული ჩავუდგათ რეალურ მეცნიერებას, მყისვე დადგება საკითხი ამის კანონიერების შესახებ, ამის ლოგიკური გამართლების შესახებ. თუ რეალურისთვის იდეალური, ლოგიკური უცხოა, მაშინ იგი უცხო და შეუთავსებელი იქნება ყოველთვის და იდეალური მეცნიერების დახმარება რეალური მეცნიერებისადმი შეუძლებელი გახდება. როგორ შეიძლება ფაქტი ისე კითხოთ, რომ ამის შესახებ მას არაფერი ეკითხოთ? ნუთუ წარმოიდგინება რამე ისე, რომ მას არავითარი სახე, ბუნება, ნიშან-თვისება, გარკვეულობა არ ჰქონდეს?! მაგრამ თუ ამას ყოველივეს არ შეიძლება მოკლებული იყოს ფაქტი, რატომ არ იქნება საკმაო მისი შემეცნებისათვის ის, რაც საკმაო აღმოჩნდა მის გარკვეულად არსებობისათვის?

რა თქმა უნდა, არსი (Wesen) და ფაქტი სხვადასხვაა. მათი ცალ-ცალკე განხილვა კანონიერია და საჭირო, მაგრამ კანონიერია მათი ურთიერთმიმართებისა და არსებობის ფორმის განხილვაც. და თუ მართალია იგივე ჰუსერლი, როცა ამტკიცებს, რომ არსი და ფაქტი კორელაციურ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან და რომ ისინი განუყრელი არიან ერთმანეთისაგან[10], მაშინ რატომ უნდა წარმოვიდგინოთ ფაქტი, როცა იგი მეცნიერების საგანი ხდება, არსისა მოკლებულად? რატომ უნდა ჩავაყენოთ რეალური-ემპირიული მეცნიერება იდეალურზე დამოკიდებულად, როცა მას, მეცნიერს თვითონ აქვს მისი შემეცნებისათვის საჭირო „იდეალური"?! რადგან ლოგოსი ყველგან არის, ლოგიკის გამოყენებაც ყველგან ხდება. მაგრამ ლოგიკისათვის საინტერესო ლოგიკური არაა იგივე, რაც ცალკეული მეცნიერებათა საძიებელი ლოგოსი. ის, რისგანაც ლოგიკას იცავს ჰუსერლი, ისეთი რამაა, რისგანაც თავი უნდა დაიცვას ფსიქოლოგიამაც: არც ფსიქოლოგიას უნდა სკეპტიციზმი და რელატივიზმი, რომლიდანაც თავდასაცავად არსებობს ყველასთვის მხოლოდ ერთი საშუალება — ლოგიკურის უეჭველობა და თავისთავადობა. ფსიქოლოგიზმი, როგორც ირაციონალიზმი, ბრმა ემპირიზმი და ანომორული ელემენტი ისევე დამღუპველია ფსიქოლოგიისათვის, როგორც ლოგიკისათვის.

მ. პალადი (M. Palágyi) ლაპარაკობს იმპრესიონისტულ ლოგიკაზე და მას უპირისპირებს სიმბოლიურ ლოგიკას. ამ ტერმინებით

---

[9] შად. W. Moog. დასახ. ნაშრომი, გვ. 32. 252 და შემდ.

[10] იხ. Ed. Husserl, Gesammelte Werke, Band. III, 1950, გვ 12.

ბას სურს ლოგიკური ფორმალიზმისა და ფსიქოლოგიზმის ერთ-ერთი ძირითადი თვისების აღნიშვნა. ფორმალიზმი ანუ ანტიფსიქოლოგიზმი იმით ხასიათდება, პალაგის მიხედვით, რომ მას შემეცნებაში, ლოგიკის დებულებაში სიმბოლიური მიმართება ესახება. ეს საზრისის არსებობას ნიშნავს. აქ საქმე გვაქვს მნიშვნელობის წვდომასთან, აზრის სამყაროსთან. ფსიქოლოგისტური ლოგიკა სენსუალური მასალით იფარგლება და ამით სურს ლოგიკის შექმნა. პალაგი ასეთ ლოგიკას იმპრესიონისტულს უწოდებს და მის წარმომადგენლებად ასახელებს ფ. ბეკონს, ჯ. ლოკს, ჯ. ბერკლისა და დ. იუმს. იმ მასალიდან, რომელიც დასახელებულ ავტორთა განკარგულებაში იმყოფებოდა, რომელსაც ისინი ასახელებენ მეცნიერების საშენ მასალად. არაფრის ისეთის შექმნა არ შეიძლება, რაც გაგების, მნიშვნელობის ცნებებს გაამართლებდა და დაისაჭიროებდა. ვანაიდან ფსიქოლოგიზმი ირონიის ელფერს ატარებს, წერს პალაგი, შეიძლებოდა ამ მიმართულებისათვის გვეწოდებინა იმპრესიონიზმი შემეცნების თეორიაში[11]. იგი, ეს მიმართულება, ავტორის აზრით, ცდილობს მეცნიერება შექმნას ყრუმუნჯი საშუალებებით, ყრუმუნჯი შემეცნებით. ცნებათა სქოლასტიკა შეცვალა შეგრძნებათა, იმპრესიათა სქოლასტიკამ. რომელიც შეგრძნებათა ალქიმიით ცდილობს ლოგიკურის მიღებას ალოგიკური ელემენტებიდან[12].

იგივე ტერმინი გამოიყენა კ. ბიულერმა მსგავსი ვითარების აღსანიშნავად ფსიქოლოგიაში*. ფსიქოლოგიური იმპრესიონიზმის ტიპიურ წარმომადგენლად ბიულერს მიაჩნია ე. მახი, რომელმაც მთელი სამყარო საკუთარი მეს ჩათვლით განიცადა, როგორც შეგრძნებათა სიმრავლე და კრებადობა. მეცნიერების შესაქმნელად აქ მხოლოდ ერთი მასალა და ერთი საშუალებაა — ეს არის შეგრძნება. ამის ამარა არის ბუნებისმეტყველებაცა და ფსიქოლოგიაც და, რადგან საერთოდ მეტი რამ მახს არაფერი არსებულად არ მიაჩნია, სხვა დანარჩენი მეცნიერებანიც. ფსიქოლოგია. სხვა მეცნიერებათ თავი რომ დავანებოთ, უნდა შეიქმნეს შეგრძნებებისგან, წმინდა სენსუალური მასალისაგან. ბიულერი წუხს, რომ ფსიქოლოგიაში არ მოიძებნება

---

[11] M. Palagyi, Die Logik auf dem Scheidewege, 1903, გვ. 72.

[12] «Auf die Alchemie der Begriffe folgt eine Alchemie der Impressionen», დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

* Karl Bühler, Die Krise der Psychologie, 1929, გვ. 3. E. Mach: «An einem heiternı Sommertage im Freien erschien mir einmal die Welt sammt meinem Ich eine zusammenhängende Masse von Empfindungen...» Analyse der Empfindungen, 1922, გვ. 23.

მახის ანტიპოდი, მაგ., მსგავსი ჰ. კოჰენისა, რომელიც შეგრძნებას შემეცნების სფეროდან ერეკება. ფსიქოლოგიაში, ასე ვთქვათ, კოჰენისებური ლოგიცისტი არ გაჩენილა, არავის მოსვლია აზრად, ფსიქოლოგიური მეცნიერება სენსუალური ელემენტებიდან გაეწმინდა და, ამგვარად, წმინდა შემეცნების შექმნა ეცადა, კოჰენის მსგავსად[13].

ის ფსიქოლოგიური მიმართულება, რომელიც სენსუალისტურ, ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიას დაუპირისპირდა, ამ საკითხს არ წყვეტს. აქტის ფსიქოლოგიამ ახალი შინაარსი შემოიტანა ფსიქოლოგიაში და ამით მისი მოქმედების სფერო გაზარდა. მაგრამ იგი არ შეხებია მეცნიერების აგების ფაქტორებს, ფსიქოლოგიური შემეცნების გნოსეოლოგიურ პრობლემას[14].

ბურეუაზიული ფილოსოფიის წარმომადგენელთაგან ამ საკითხს ახლო მიუდგა მ. პალაგი. ფსიქოლოგი, წერს პალაგი, საყვედურს ეუბნება იმას, ვინც ცდილობს ლოგიკა გამოიყენოს ფსიქოლოგიური კვლევის პროცესში. დანაშაულად აქ ის ითვლება, რომ „რეფლექსიური აზროვნება" შეიჭრა ფსიქოლოგიაში და ამით ფსიქიკური სინამდვილე გაყალბდა. ამის ილუსტრაციას, პალაგის თქმით, იძლევა ვ. ვუნდტი, რომელიც მუდამ წინააღმდეგი იყო „რეფლექსიური ფსიქოლოგიისა". თითქოს უმაღლესი მოვალეობა ყოველი სახის ფილოსოფიური კვლევისა არ იყოს ის, რომ მეცნიერების ყოველ სფეროში შეიტანოს გნოსეოლოგიური და ლოგიკური პრინციპები. შთაბეჭდილება ისეთია, განაგრძობს პალაგი, რომ თანამედროვე ფსიქოლოგია ყოველი სახის გნოსეოლოგიისა და ლოგიკის მიღმა ცდილობს აწარმოოს კვლევა-ძიება. ის ცდილობს თავისი გამოკვლევებიდან ყოველგვარი ლოგიკა გამოაძევოს. თითქოს შემეცნების თეორიასა და ლოგიკას ფსიქოლოგიის მიმართ ძალა არ ჰქონდეთ[15].

---

[13] ბიულერი რომ უფრო დაკვირვებით მოკიდებოდა მაგ. ვ. მოგის კონცეფციას, ის იქ ნახავდა ამგვარი მოსაზრების ელემენტებს. „Das Psychologische ist auch Logisches, aber... nicht durchgängig der logischen Geltung nach begründetes Logisches". დასახ. ნაშრომი, გვ. 291. ე. ი. როცა ფსიქოლოგიური მთლიანად დასაბუთდება, ის იქნება წმინდა ლოგიკური, მთლიანად ლოგიკური.

[14] გაგებითი ფსიქოლოგია არსებითად ამ პრობლემაზე იდგა, მაგრამ საკუთრივ ლოგიკის უფლებების დაცვა ფსიქოლოგიაში მას საგანგებოდ არ უცდია. იხ. ა. ბოჭორიშვილი, ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები, III ნაწ., თბილისი, 1962.

[15] M. Palágyi, Naturphilosophische Vorlesungen, Zweite Auf. 1924, გვ. 120.

პალაგი მართებულად აგვიწერს თანამედროვე ფსიქოლოგიაში არსებულ ვითარებას. იმას, რასაც ადგილი ჰქონდა 1924 წ., როცა გამოქვეყნდა ავტორის „ლექციები"-ს მეორე გამოცემა, სშირად ადგილი აქვს ახლაც. 1920 წელს გამოსულ „ფსიქოლოგიის შესავალში" (მეორე გამოცემა) ა. ფენდერი ფსიქოლოგიის პირველ მკვლევად თვლის მის განდგომას გნოსეოლოგიიდან. გნოსეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, ფენდერის აზრით, მხოლოდ დაამუხრუჭა ფსიქოლოგიის განვითარება. იმის ნაცვლად, რომ ფსიქოლოგიის პრინციპების კვლევა და მისი საგნის დადგენა ვეწარმოოთ ფილოლოგიის საფუძველზე, უნდა მოვიმარჯვოთ ჩვეულებრივი გულუბრყვილო თვალსაზრისი ფსიქიკის შესახებ და იმაზე დაყრდნობით შევუდგეთ ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიურ კვლევას. თუ აღმოჩნდება, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული ცნებები არ მართლდებიან, მათ უნდა გაიარონ ლოგიკური განწმენდა. ფსიქოლოგიის შესავალი მაშინ ამართლებს თავის თავს, როცა ის ემყარება ჩვეულებრივ გავრცელებულ შეხედულებებს და მათი ბუნებრივი თვითმდინარების საფუძველზე დაყრდნობით არკვევს ფსიქოლოგიის ნამდვილ საგანსა და ამოცანებს.

ფენდერი ამგვარი მსჯელობით ცდილობს ფსიქოლოგიის უწინამძღვროდ აგების. მაგრამ თუ საერთოდ საჭიროა ფსიქოლოგიისათვის მის გარეშე მდებარე საფუძველი, ის უსათუოდ უნდა იყოს შეჰოწმებული, კრიტიკული თვალსაზრისის წინაშე გამართლებული. რა გვაძლევს იმის გარანტიას, რომ გულუბრყვილო თვალსაზრისი სწორი თვალსაზრისია? ფენდერი თვითონაც აღიარებს ყოველდღიურობაში ხმარებული ცნებების ლოგიკური დაზუსტებისა და განწმენდის საჭიროებას[16]. რა კატეგორიებით უნდა მოხერხდეს ამ ამოცანის გადაჭრა? აქ ხომ ყოველდღიური ცნებები და გულუბრყვილო თვალსაზრისი ვეღარ დაგვეხმარება?!

მართალია, ის, რაზედაც ფენდერი ლაპარაკობს, სავსებით იგივე არ არის, რაც ჩვენ უშუალოდ გვაინტერესებს. მაგრამ ისიც იმ პრობლემატიკაში შედის, რომელიც ფსიქოლოგიის თეორიულ განმტკიცებასა და ლოგიკურ ცსადყოფას ემსახურება. მეცნიერების დამოუკიდებლობა ფილოსოფიიდან, ლოგიკიდან განდგომით კი ა, მოიცავება, არამედ ფილოსოფიური და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე. არ არსებობს მეცნიერება და მეცნიერული მუშაობა ფილოსოფიური

---

[16] A. Pfänder, Einführung in die Psychologie. Zweite Auflage, 1920, გვ. 9. შდრ. ა. ბოგუტრიშვილი, ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები, ნაწილი პირველი, 1937, გვ. 314.

შინაარსის მქონე ცნებების გარეშე. საქმე მხოლოდ იმას ეხება, სტიქიურად და გულუბრყვილოდ მივენდოთ ამ ცნებებს და ისე მოვიხმაროთ ისინი, რომ მივაღწიოთ მათ სიცხადეს და გარკვეულობას და შეგნებულად მოვიხმაროთ ისინი კვლევა-ძიების პროცესში.

როდესაც ფსიქიკა წარმოდგენილია ისეთ პროცესად, რომელშიაც სენსუალური მოცემულობის მეტი არაფერი იგულისხმება, როცა ფსიქიკური ცხოვრება შეგრძნებათა მრავალსახეობად გვიქვს ნაგულისხმევი, შემეცნების აუცილებელ პირობას მოკლებული ვართ. ეს ფსიქოლოგიზმია ფსიქოლოგიაში. ამის მიხედვით მეცნიერების ლოგიკური წყობა ალოგიკური მასალიდან უნდა აიგოს. ეს ალქიმიაზე უფრო მიუღებელი და ფანტასტიკური განზრახვაა. თუ ფსიქოლოგიის შეეკრა ლოგიკაში იმიტომ იწვევს მის გაყალბებას, რომ ამ აქტით ალოგიკური შედის ლოგიკაში, როგორ უნდა მოსერხდეს ფსიქოლოგიის აგება, როგორც მეცნიერებისა, როგორც ლოგიკურად გამართლებული სისტემისა, როცა მის კვლევის საგანში საამისო მასალა არ იგულისხმება? განცდა რომ არაფერს შეიცავდეს ჰილეტური შინაარსის მეტს, იგი უფორმო ქაოსურ მასად უნდა წარმოგვედგინა, რისი „რაციონალიზაციაც" სასწაულის ღირი იქნებოდა. ფსიქოლოგიის ისტორიიდან ცნობილი ცდები ფსიქოლოგიაში არაფსიქოლოგიური მეცნიერების კანონების შეტანისა და ამ გზით ფსიქიკის შესახებ მეცნიერების შექმნისა არის ულოგიკო შედეგი იმ ულოგიკო დაშვებისა, რომლის მიხედვით ფსიქიკას „საკუთარი კანონზომიერება" არა აქვს. თუმცა შეუძლებელია იმის დადგენა, რომ ფსიქიკას კანონზომიერება არა აქვს (რომ რამე დაადგინო, იგი კანონსა და კანონზომიერებას უნდა ემყარებოდეს). მაგრამ თუ ასეთს რასმეს დავუშვებთ, აქედან მაინც უნდა გამოვიყვანოთ ლოგიკური დასკვნა: მაშასადამე, მეცნიერება ფსიქიკის შესახებ შეუძლებელია. როგორ შეიძლება ფსიქიკურს მოერგოს სხვა სინამდვილის კანონზომიერება, თუ ის საერთოდ არ ექვემდებარება არავითარ კანონზომიერებას?! თუ ფსიქიკა თავისი ბუნებით ისეთია, რომ კანონზომიერებას არ ეგუება, როგორ უნდა მოხერხდეს მისი დაქვემდებარება უცხო კანონისადმი? ამისთვის ხომ ფსიქიკის ბუნება უნდა შეცვლილიყო. ამისთვის საჭირო იქნებოდა ფსიქიკის ბუნების დაქვემდებარება კანონზომიერების მიმართ: როგორ შეიძლება ცვლილება მოხდეს კანონზომიერების გარეშე? გამოდის, რომ ფსიქიკის კანონზომიერად წარმოდგენისთვის გარეშე ფაქტორის საშუალებით. საჭიროა წინასწარ იყოს მისი, ფსიქიკის, კანონზომიერება გარანტირებული. როგორც ჭეშმარიტების არსებობის უარყოფა ჭეშმარიტე-

ბის დადასტურებას ნიშნავს, ისე კანონზომიერების არსებობის უარ-
ყოფა კანონზომიერების არსებობის მტკიცებას ნიშნავს: არსებულად
რისიმე მიღება და შემდეგ მისი კანონზომიერების უარყოფა არის
უარყოფა ამ არსებობისა. ეს ელემენტარული ხასიათის ვითარება არ
არის ზოგჯერ გააზრებული, რის შედეგადაც პარადოქსულ შეხ-
დულებებს ეძლევათ გავრცელება ფსიქოლოგიაში. მომავალ თაობას
უთუოდ უცნაურად მოეჩვენება ის ფაქტი, რომ ფსიქოლოგთა ერთ-
ერთი თათბირი იმით დამთავრდა, რომ ფსიქიკურის კანონზომიერე-
ბის საკითხი ღიად დატოვა და მისი გამორკვევა შემდგომი კვლევა-
ძიებისათვის გადადო. თითქოს ყოველგვარი კვლევა-ძიების წინაპი-
რობას კანონზომიერების არსებობა არ წარმოადგენს[17].

როდესაც რომელიმე კანტიანელი მოცემულობისადმი კანონე-
ბის მიცემა-კარნახზე ლაპარაკობს, გასაგებია, მაგრამ სრულიად გაუ-
გებარია, როცა ამგვარ მსჯელობას აქვს ადგილი ლენინური ასახვის
ნიადაგზე მდგომ მკვლევართა შორის. სინამდვილის რომელიმე სფე-
როში კანონის გარედან შეტანა, თუ გინდ იგი შეორე სინამდვილიდან
იყოს გამოტანილი და არა ტრანსცენდენტალური სუბიექტიდან, საქ-
მეს არსებითად არ ცვლის. უკანონო სინამდვილისთვის თანაბრად მი-
უღებელი და შეუთავსებადია კანონი, სულ ერთია. იქნება იგი ობი-
ექტიდან თუ სუბიექტიდან ნაკარნახევი. „საკუთარი კანონზომიერე-
ბის“ ცნება პლეონაზმია მხოლოდ: არასაკუთარი კანონზომიერება
აბსურდია. მხოლოდ საკუთარი კანონზომიერება არის კანონზომიერე-
ბა. როგორ შეიძლება ერთი რომელიმე მოვლენის არსებობის ლოგი-
კური პირობა იყოს მეორე მოვლენის არსებობის ლოგიკური პირო-
ბა, როცა იმისთვის, რომ მეორე მოვლენა იყოს, მეორე პირობაც
უნდა იყოს. აქედან გამომდინარეობს, როგორც ლოგიკური დასკვნა,
რომ კანონზომიერების გავრცელება ერთიდან მეორეზე — მეორის
პირველზე დაყვანას, ე. ი. გაუქმებას ნიშნავს. კანტის მიერ თავისთავა-
დობის შემეცნების უარყოფაში სამართლიანად ხედავენ ლოგიკურ

---

[17] იხ. ა. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, კანონზომიერების საკითხისათვის ფსიქოლო-
გიაში. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1956, ტ. XV. რასაკვირ-
ველია, მდგომარეობა იცვლება, როცა ფსიქიკა ცნობიერების ფუნქციით არის წარ-
მოდგენილი. ამ შემთხვევაში აქ იგულისხმება არა სინამდვილე — შემეცნების
ობიექტი, არამედ იმ ობიექტის ხედვა, რომელიც მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვი-
ლი, როცა მას საკუთარი არაფერი ექნება, როცა ის მხოლოდ იმის ასახვა იქნება,
რაც არის ობიექტში. თუ მას თავის მხრივ ექნება საკუთარი შინაარსი, დაის-
ვება საკითხი მისი შემეცნებისა, ხოლო თუ ეს შემეცნება კვლავ საკუთარი ში-
ნაარსის მქონედ მოგვევლინება, შემეცნების უსასრულობაში წარმართვას ვერ
ავიცილებთ თავიდან. ეს როგორც ცნობილია, აგნოსტიციზმის აღიარებას ნიშნავს.

თანმიმდევრობას, რამდენადაც. კანტის თეორიის თანახმად. შემეკნება ნიშნავს მოცემულის სუბიექტურ ფორმირებას[18]. გარედან მოტანილი კანონზომიერებით ფსიქოლოგიის საგნის კანონზომიერ მოვლენად დამკვიდრება არის იგივე, რაც მეცნიერების საგნის შექმნა. საგნის შექმნა სულ სხვა რამაა, ვიდრე საგნის შემეცნება. შემეცნებითი აქტიობა ეხება, რასაკვირველია, არა შესამეცნებელ საგანს, არამედ სუბიექტის მომზადებას შემეცნებისათვის, იმ ფსიქოლოგიურ-დიდაქტიკური პირობების შექმნას, რომელნიც ხელს შეუწყობენ იმას, რომ შესამეცნებელში არავითარი სიყალბე არ შეიტანოს, მისი ობიექტურობა მაქსიმალურად იყოს დაცული. სუბიექტის აქტიობა შემეცნების პროცესში იმაზე უნდა იყოს მიმართული, რომ არაფერი შეიცვალოს შესაცნობ სინამდვილეში, სანამ ჩვენ მოცემული საგნის შემეცნებას ვაწარმოებთ. კანტის თეორიაშიც გათიშულია ტრანსცენდენტალური და ემპირიული სუბიექტის ფუნქციები: პირველი ქმნის საგანს, ხოლო მეორე მას მზამზარეულის სახით ხედავს. მაგრამ შემეცნება ხდება არა ამ ხედვით. არამედ ტრანსცენდენტალური სუბიექტის კანონმდებლობის პროცესში და მისი საშუალებით. აქედან წარმოსდგება აპრიორიზმი (ემპირიული სუბიექტის მიმართ) შემეცნების შინაარსისა.

ეგზისტენციალიზმი ონტოლოგიზმი შემეცნების თეორიაში. ლოგიკაში იგივე ფსიქოლოგიზმია. ფსიქოლოგიზმია იგი მაშინაც, როცა ის გამოყენებულია ფსიქოლოგიაში. ფსიქიკის არსებობის უეჭველობა თავის ონტოლოგიურობით კი არ არის მნიშვნელოვანი და პირველადი ლოგიკურად. მხოლოდ ლოგიკური არგუმენტაციით ცხადყოფილი არსებობა განცდისა შეიძლება გამოდგეს მეცნიერების საგებად. სანამ განცდა იმპრესიონალურ მდგომარეობას არ შორდება, იგი მხოლოდ პრობლემად შეიძლება იგულისხმებოდეს. ობიექტურ-შემეცნებითი მნიშვნელობა მას მხოლოდ ლოგიკური სანქციის საფუძველზე მიენიჭება. განცდის უარი ობიექტური არსებობის პრეტენზიაზე არ ათავისუფლებს ფსიქოლოგიას განცდის შემეცნების საგნად დადგენის არგუმენტაციიდან.

ფსიქოლოგიური სენსუალიზმის კონტექსტში გაუგებარი ჩანს როგორც ძიების საჭიროება, ისე შეცდომის შესაძლებლობა ფსიქოლოგიაში. თუ შეგრძნებების მეტი ფსიქიკაში არაფერია. თუ რაც

---

[18] «Konsequenterweise hat Kant, nach dem unser Erkennen alles Gegebene subjektiv formt und verwandelt, dem Menschen eben deshalb die Begabung... zum Erkennen des Ansichseienden absprechen», M. Landmann. Philosophische Anthropologie, 1955, ss. 152.

არის ფსიქიკა და ფსიქიკურში ყველაფერი უშუალოდ გვეძლევა. რა არის აქ საძებარი? რისთვის უნდა წარმოებდეს აქ კვლევა-ძიება? თუ ყველაფერი რაც არის ფსიქიკურ სინამდვილეში, მისი განცდითი და ლოგიკური მხარე, მისი მასალისეული შინაარსიცა და კანონისეული მომენტიც მუდამ და ყოველთვის პირდაპირ ეძლევა ცნობიერებას, თუ ფსიქიკის ლოგოსიც განცდასთან ერთად და განცდისეულად არის ცნობიერების შინაარსი, მაშინ რა საჭიროა ფსიქოლოგიური მეცნიერების არსებობა? განცდა და განცდის ცოდნა ამ შემთხვევაში უნდა ემთხვეოდნენ ერთმანეთს. ერთ-ერთი შედეგი ამგვარი შეხედულებისა არის ლოგიკურის, მისი სპეციფიკის უგულებელყოფა, ფსიქოლოგიური ფსიქოლოგიზმი. ფსიქიკა შემეცნებისათვის ლოგოსი ისევე აუცილებელია, როგორც ყოველ სხვა მეცნიერებაში. და თუ სწორია ის, რომ ფსიქოლოგია სწორედ თავისი იმპრესიონიზმით ანგრევს ფსიქოლოგიზმს სხვა მეცნიერებაში, იმასვე გამოიწვევს იგი ფსიქოლოგიაშიც. ლოგიკას იმპრესიები არ უნდა, ფსიქოლოგიისთვის ის საკმარისი არ არის. ლოგიკას ნამდვილი მეცნიერული ფსიქოლოგიიდანაც არაფერი უნდა, რაც მას ნამდვილ მეცნიერებად ხდის. ის, ნაწილობრივ მაინც, ლოგიკიდან არის წაღებული, უკეთ, ეს არის საერთო ლოგოსის ის გამოვლინება, რომელსაც ადგილი მიეცა ფსიქიკურ სინამდვილეში.

ფსიქოლოგიური კვლევა-ძიების საჭიროებას ზოგი არაცნობიერი ფსიქიკის ცნებით ასაბუთებს. რადგან ფსიქიკა ცნობიერების გარეთაც არსებობს, საჭიროებს ძიებას, აღმოჩენას, ცნობიერებაში შემოტანას.

ეს მსჯელობა მცდარია[19]; უკეთეს შემთხვევაში ამ გზით ფსიქიკის მოცემულობის პრობლემა გადაწყდება. მაგრამ შემეცნების პრობლემისათვის ეს მდგომარეობა არ იქნებოდა საკმარისი, როგორც რომელიმე ლიტონის მონახვა დედამიწის წიაღში არ იქნება მისი მეცნიერული შესწავლა. შემეცნება მეტია, ვიდრე ცნობიერება. შემეცნების პრობლემა არაა გადაწყვეტილი იმით, რომ მოვლენა ცნობიერია[20] ეს მხოლოდ აუცილებელი პირობაა შემეცნებისა.

ფსიქიკური ცხოვრების შემოფარგვლა ნატურალისტურ-იმპრესიონული შინაარსით შემდეგ საკითხებს აყენებს შემეცნების თეორი-

---

[19] იხ. Н. Лосский, Основные учения психологии с точки зрения волюнтаризма. 1903.

[20] არაცნობიერის გაცნობიერების საკითხს, მის მოცემულობის პრობლემას აქ არ ვეხებით. ჩვენ ამის შესაძლებლობა დავუშვით იმ მოსაზრებით, რომ ნაფიქრი გამხდარიყო შემეცნების პრობლემის ავტონომია მოცემულობის პრობლემიდან.

ის წინაშე: როგორ არის შესაძლებელი ამ ვარი შინაარსიდან შემეცნების სუბიექტის გამოთიშვა? სად არის იგი და როგორია მისი სტრუქტურა? თუ ის იგულისხმება არაფსიქიკურ სამყაროში, როგორ არის წარმოდგენილი ეს სამყარო და მისი ურთიერთობა იმპრესიონალურ სინამდვილესთან? შემდეგ, როგორ არის შესაძლებელი შეცდომა ფსიქოლოგიურ კვლევა-ძიებაში, როცა მთელი ფსიქიკური ცხოვრება, ეროვნების ჩათვლით, არის იმპრესია და მისი ორეული? ანდა, როგორ არის ჭეშმარიტება შესაძლებელი იქ, სადაც, ვარდა „ბუნებრივი პროცესისა", არაფერია?

იმპრესიონიზმს არა აქვს არავითარი საშუალება თავისი მასალიდან ენოსეოლოგიურ-ლოგიკური სუბიექტი ააგოს. იმპრესიები ყრუმუნჯი მონაცემებია, რომელთაც არაფერი ესმით მათ მიღმა მდებარე ვითარების შესახებ. მათი ფსიქიკურობა უსრულყოფს მათ განცდითს მოცემულობას, მათ შინაგან ცნობიერებას. მაგრამ ეს არა თუ სხვისი შემეცნებისათვის, არამედ თავისთავის შემეცნებისთვისაც არაა საკმარისი. განცდითი მოცემულობა და ენოსეოლოგიური მოცემულობა სხვადასხვაა. ფსიქოლოგიურ იმპრესიონიზმს სერიოზულად რომ ვეჭიდრა შემეცნების სუბიექტისთვის საჭირო ნიშან-თვისებაზე, იგი უეცველად მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ მარტო იმპრესიონული მასალით ასეთი ცნება ვერ აიგება. ამ ჭეშმარიტების გაცნობიერება ეკვის ქვეშ დააყენებდა წმინდა იმპრესიის ვარგისობას შემეცნების ობიექტად და, საერთოდ, მისი არსებობის შესაძლებლობას ამ სახით. შემეცნების აქტის წარმოდგენა, როგორც შეგრძნებათა მოცემული კომპლექსისადმი ახალი შეგრძნების მიმატებისა, როგორც ეს ესმის მასს, ენოსეოლოგიურად გაუაზრებადი დებულებაა[1]. ასეთი შეხედულება არც წარმოიქმნებოდა, ფარულად რომ არ ყოფილიყო გამოყენებული შემეცნებელი სუბიექტი, რომელიც ხედავს ამ პროცესს და მას შემეცნების გაფართოებად თვლის. თუ ამასთან დაკავშირებით ვიკითხავთ იმას, თუ რა არის ის, რაც ცხოველს უეცველად აკლია, არა აქვს და ამით განსხვავდება იგი ადამიანისგან, უნდა ვთქვათ, რომ ეს არის, პირველ რიგში, ენოსეოლოგიური სუბიექტი. ცხოველი არ არის ენოსეოლოგიური სუბიექტი და, მაშასადამე, არც შეიძლება მას შემეცნების უნარი მიეწეროს, თუნდაც მოიძებნოს იმის საბუთი, რომ ის ფსიქოლოგიურ სუბიექტს წარმოადგენს.

ფსიქოლოგიური შემეცნების ბუნების გასარკვევად კონსტრუქციული მნიშვნელობა აქვს შეცდომის შესაძლებლობის საკითხს ფსიქოლოგიაში.

---

[1] ის. ა. ბოგორეშვილი, ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები, ნაწ. პირველი, 1957, გვ. 17 და შემდ.

შეცდომა ფსიქოლოგიაში ორგვარია. განსხვავებით ლოგიკისაგან, სადაც შეცდომა მხოლოდ ერთი ბუნებისაა. ამაში იჩენს თავს ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ფსიქოლოგიასა და ლოგიკას შორის. შეცდომას აქვს ადგილი ლოგიკაშიც და იგი ყოველთვის ლოგიკური შეცდომაა. სხვაგვარი შეცდომა აქ წარმოუდგენელია: ყოველი პრობლემა, რომელიც კი დგას ლოგიკაში, ლოგიკური ხასიათის პრობლემაა. ამიტომ მისი გადაჭრაც ლოგიკური ოპერაციებით ხდება. პასუხი ლოგიკაში არის ან ლოგიკური ჭეშმარიტება ან ლოგიკური შეცდომა. ე. ი. ულოგიკობა.

ფსიქოლოგიაში ორგვარი საკითხი დგას: ლოგიკური და კაუზალური. ჩვენ შეიძლება შევცდეთ ფსიქიკური მოვლენის მიზეზის დასახელებაში, შეიძლება შევცდეთ აგრეთვე ფსიქიკური მოვლენის, გარკვეულობის, მისი რაობის აღნიშვნაში. კაუზალური კანონზომიერება და ჭეშმარიტება-შეცდომა ამ ვითარებასთან დაკავშირებული ლოგიკისათვის სრულიად უცხოა, მაგრამ ფსიქოლოგიისათვის არსებითი მნიშვნელობისაა. ამ საკითხს არასოდეს ყურადღება არ აქცევდა. პირიქით, შეიძლება იმის თქმა, რომ ფსიქოლოგია ყოველთვის ცალმხრივად ამახვილებდა ყურადღებას კაუზალური კანონზომიერების ძებნაზე და უგულებელყოფდა ლოგიკური შეცდომის შესწავლას ფსიქოლოგიაში. რამდენადაც ჩვენ გვწამს, რომ ყოველ შეცნიერებაში არის ლოგიკა, ისიც უნდა ვიწამოთ, რომ ყოველ მეცნიერებაში არის შესაძლებელი ლოგიკური შეცდომა.

ცალმხრივი, ე. ი. მცდარი შეხედულება უკიდურესი რაციონალიზმისა მიდის იქამდე, რომ მისთვის კაუზალური კანონზომიერებაც ლოგიკური კანონზომიერებაა და ამდენად არსებობს მხოლოდ ლოგიკური შეცდომა და ლოგიკური ჭეშმარიტება. ჩვენ ამ შეხედულებას ამგვარი მნიშვნელობით ვერ გავყვებით[22]. კაუზალობის კონკრეტული კვლევა და შეცდომა-ჭეშმარიტება, ამ კვლევის შედეგად მიღებული, არ შეიძლება ლოგიკური შეცდომა-ჭეშმარიტებით დავახასიათოთ ამომწურავად.

ვუბრუნდებით საკითხს: როგორ არის შესაძლებელი ლოგიკური ხასიათის შეცდომა ფსიქიკის კვლევის პროცესში? როგორ არის შესაძლებელი ფსიქიკის გარკვეულობა ვერ შევამჩნიოთ, ან ისე ვერ ავსახოთ, როგორც ის არის სინამდვილეში, როცა ფსიქიკური სინამდვილის არსებობის ფორმად ცნობიერება მიგვაჩნია? როცა ფსიქი-

---

22 იხ. B. Bauch, Über d. Begriff d. Naturgesetzes, Kantstudien, Bd. 19, 1914, W. Moog, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

კა შინაგანი, უშუალო ცნობიერებით თანხლებულად ვაქვს წარმოდგენილი?

ასეთი საკითხი რომ კანონიერია, იქიდანაც ჩანს, რომ, როგორც ვნახეთ, მოცემულობა არ არის ჯერ კიდევ შემეცნება. ცნობიერად არსებობა რისამე ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის შემეცნებულობას. ეს ეხება არა მარტო კაუზალური კანონზომიერების შემეცნებას, არამედ ლოგიკური კანონზომიერების შემეცნებასაც. უნდა ითქვას, რომ ერთადერთი, რაც შეიძლება წინ აღუდგეს ლოგიკური შეცდომის შესაძლებლობას ფსიქოლოგიაში, ისაა, რომ ლოგიკური და ფსიქიკური გაიგივებულია. ფსიქიკის მოცემულობა ლოგიკურის, განსაზღვრულობითი კანონზომიერების მოცემულობად არის წარმოდგენილი. ეს ტლანქი შეცდომაა და ეწინააღმდეგება ჩვენი პრობლემის პოსტულატს, იმას, რომ ლოგიკა და ფსიქოლოგია სხვადასხვა მეცნიერებაა, რომ ლოგიკურის წარმოდგენა ფსიქოლოგიურ მოვლენად დაუშვებელია. აშკარა ფსიქოლოგიზმია და იგი, ასეთი შეხედულება, საერთოდ უკანონოდ გახდიდა ჩვენს თემას. მაგრამ, რადგან მივიღეთ დადგენილად, რომ ფსიქოლოგიზმი არც ლოგიკაში და არც სიმეტრიულ მეცნიერებაში გამართლებული ვერ იქნება, ისიც უნდა მივიღოთ, რომ ლოგიკური და ფსიქიკური სხვადასხვაა, ერთის შესახებ რაც ითქმის, არ ითქმის ყველაფერი მეორის შესახებ. ეს ეხება მოცემულობის ფორმასაც: ფსიქიკურის მოცემულობა, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, და ლოგიკურის, გარკვეულობითი კანონზომიერების მოცემულობა არაა ერთგვარი. არ ბორციელდება ერთ სიბრტყეში და ერთი და იგივე საშუალებებით.

განცდის მოცემულობა გრძნობადი აღქმის სახისაა. მას ხშირად შინაგან აღქმას ეძახიან. კანონზომიერების წვდომას სხვა სახელებით აღნიშნავენ. აქ იხმარება — აზროვნება, ინტელექტუალური აღქმა, ინტელექტუალური ინტუიცია, იდეური აბსტრაქცია და ა. შ. როგორც არ უნდა შევაფასოთ ამ ტერმინების უკან მდებარე თეორიები, ერთი რამ მაინც უდავოა: ჩვეულებრივი აღქმა და კანონზომიერების წვდომა განსხვავებული აქტებია, მათი შინაარსის, მათი ობიექტის განსხვავებულობაზე დამყარებული. პლატონის სოკრატის ამაო ცდა მისი მოსაუბრე-მოკამათე აღქმიდან გადაეყვანა იდეის ჰვრეტაზე ამ ვითარების თვალსაჩინო ილუსტრაციაა. სოკრატის მოკამათეს არ აღმოაჩნდა „გონების თვალი“, რომლითაც უნდა დაენახა სილამაზე. თუმცა ის თავისი ფიზიკური თვალით კარგად ხედავდა ლამაზ ცხენს[23].

---

[23] იხ. Платон, ტ. IX, 1924, გვ. 16.

კანონზომიერება ფსიქიკური სინამდვილისა, როგორც კანონზომიერების ერთ-ერთი გამოვლინება, შეიცავს იმ ზოგად ნიშან-თვისებებს. რომელნიც საერთოდ არიან დამახასიათებელი კანონზომიერებისათვის. ამ ნიშანთა შორის ერთ-ერთი ისაა, რომ ის, როგორც არაფსიქიკური ინსტანცია, შეიძლება არსებობდეს ცნობიერების გარეთ. თავისთავად. განცდის გარეშე. სიამოვნების განცდა შეიძლება ისე, რომ არ იცოდე მისი განსხვავება უსიამოვნებისაგან, თუმცა ეს განსხვავება არ იარსებებდა, სიამოვნება რომ არ ყოფილიყო.

აღწერითი ამოცანა ფსიქოლოგიაში მოვლენების, ფაქტობრივი ცვლილების უბრალო რეგისტრაცია და ლოგიკური კანონზომიერების დადგენა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველი მოითხოვს დამატებით კვლევა-ძიებას, რომელსაც ახსნას ვეძახით. თუ არა ეს, თავისთავად აღებული რეგისტრაცია ფსიქიკური მოვლენებისა ჯერ კიდევ მეცნიერულ შინაარსს არ წარმოადგენს. ლოგიკური ურთიერთობის დადგენა მოვლენათა შორის თავისთავად ფასაგები ვითარებაა და შემდგომს ახსნას არ საჭიროებს. შეიძლება მხოლოდ ის. რომ მოცემული კონკრეტული ურთიერთობა ცალკეულ მოვლენათა შორის აღმოჩნდეს შემავალი მომენტი. კერძო შემთხვევა მისი ზემდგომი კანონზომიერების მიმართ. ასეთი ვითარების მიგნება დიდი მნიშვნელობისაა და იგი საერთოდ რეკომენდებულია მეცნიერებაში. მაგრამ ასეთი მუშაობა, რასაკვირველია, ახსნა არ არის. აქ არსად კაუზალური კავშირების დადგენა არ იგულისხმება. რაც ახსნისათვის არსებით ნიშანს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ფსიქოლოგთა შორის ადგილი ჰქონდა რეგისტრაციული დესკრიფციის აღრევას ლოგიკური კანონზომიერების დადგენის ამოცანასთან და ამის ნიადაგზე ე. წ. გაგებითი ფსიქოლოგიის ამოცანა გათანაბრებული იყო რეგისტრაციულ დესკრიფციასთან. ამის მიხედვით ხდებოდა ამ მიმდინარეობის შეფასებაც[24]. ამგვარ გაუგებრობას არ ექნებოდა ადგილი. ფსიქოლოგიაში ორგვარი კანონზომიერების არსებობა რომ ყოფილიყო სათანადოდ გააზრებული, კერძოდ. შესაფერი ყურადღების ღირსი რომ გამხდარიყო ლოგიკური მომენტი ფსიქიკური ცხოვრებისა. თავის მხრივ, ამგვარი დამოკიდებულება ფსიქოლოგიური კვლევისადმი არის შედეგი ფსიქოლოგიური ფსიქოლოგიზმისა, სადაც ერთია. იყო ეს მანკი შეგნებული თუ არა, იყო წამოყენებული დებულება ფსიქიკის არსებობის შესახებ. ლოგიკური კანონზომიერების

---

[24] იხ. ა. ბ ო ს ო ر ი შ ვ ი ლ ი. ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები, ნაწილი მესამე, 1962.

ცარეშე, თუ ასეთი დებულება მხოლოდ თავისთავად ნაგულისხმევი ვარაუდი იყო. მთავარი ამჟამად ისაა, რომ საკითხი ამ ასპექტში იქნეს განხილული. ჩვენი ამოცანაც, პირველ რიგში, ამ საკითხის წამოყენებაა. რას ნიშნავს ლოგიკური კანონზომიერების უარყოფა ან მისი უნებლიე უგულებელყოფა ფსიქოლოგიური კვლევის პროცესში და რა საბუთი გვაქვს იმისა, რომ ასეთი უარყოფა დაშვებელია და ფსიქოლოგიისათვის დიდად საზიანო. ჩვენ მცდარ კონცეფციად მიგვაჩნია, როგორც ფსიქიკური კანონზომიერების მთლიანად კეკურ კანონზომიერებად გამოცხადება, ისე ამ კანონზომიერების უგულებელყოფა და ფსიქიკურ სინამდვილეში მხოლოდ კაუზალური ურთიერთობის დაკანონება. ფსიქოლოგიაში არის ლოგიკის გამოყენება, როგორც ყველა სხვა მეცნიერებაში. მაგრამ ფსიქოლოგია არც ლოგიკაა და არც ლოგიკის ცალკეული დარგი. მას, როგორც რეალური სინამდვილის მეცნიერებას და რეალურ-კაუზალური კანონების მკვლევარს, საკუთარი ადგილი აქვს მეცნიერებაში და ლოგიკაზე არ დაიყვანება. მაგრამ რეალობის ზემცველობის გამო ფსიქოლოგია და ვერც სხვა მეცნიერება ამავე კატეგორიისა ლოგიკური კანონზომიერების გვერდის ავლას ვერ გაამართლებს. ლოგიკიდან ფსიქოლოგიის ჩამოშორება იმ მოტივით, რომ ფსიქოლოგია, როგორც სენსუალური შინაარსის მქონე, არა თუ არ გაარკვევს ლოგიკურის სფეროს და მას ერთგვარ დასაბუთებას მისცემს, არამედ მთლიანად გაიყალბებს მას, იმასაც უნდა ითვალისწინებდეს, რომ მხოლოდ ასეთი შინაარსით წარმოდგენილი ფსიქიკური ვერავითარ მეცნიერებას ვერ უზრუნველყოფს. ლოგიკის გადარჩენა ფსიქოლოგიზმიდან ისე არ უნდა მოხდეს, რომ ფსიქოლოგია ფსიქოლოგიზმის მსხვერპლი გახდეს. რაც გაყალბებას უქადის ლოგიკას მისარევის ალოგიურობის გამო. ვერც ფსიქოლოგიას მისცემს საბოლოო დასაბუთებას: მარტო კაუზალური კანონზომიერებით ფსიქოლოგია მეცნიერებად ვერ გახდებოდა (რომ არაფერი ეთქვათ ფსიქიკურში კაუზალობის დაშვების გამართლებაზე და კაუზალობის კონკრეტულ გამოყენებაზე). ჰესერლის ცნობილი განცხადება, რომ ფსიქიკას ბუნება არა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ მას აქვს არსი (Wesen), ორმაგი გაუგებრობის წყარო შეიძლება გახდეს, როცა მას სათანადო ინტერპრეტაცია არ ახლავს: ფსიქიკის შემეცნება უბუნებოდ, ე. ი. ამ შემთხვევაში კაუზალური კანონზომიერების გარეშე ისევე განსორციელებელი ჩანს, როგორც მისი შემეცნება მარტო მისი არსის შემეცნებით. ეს ემსგავსებოდა იმას, რომ რომელიმე სინამდვილე მარტო ცნებით გამოკვეთქვა და

ამისთვის მსჯელობა არ გამოგვეყენებინა[25]. რეალური სინამდვილე მარტო სტატიკურ მდგომარეობაში გათვალისწინებით არ შეიმეცნება, საჭიროა მისი დინამიკური კონსტიტუციაც იქნეს შესწავლილი.

როცა კაუზალურ კანონზომიერებაზე ვლაპარაკობთ, განსხვავებით ლოგიკურ კანონზომიერებიდან, იგულისხმება კაუზალობისთვის დამახასიათებელი „ფაქტობრიობა", ის, რომ შედეგი არ ჩანს მიზეზში, მიზეზის ცოდნა არ გვაძლევს თავისთავად შედეგის ცოდნას. ამისთვის გამოცდილებაა საჭირო. ელექტრომაგნიტური ტალღების გარკვეულ რაოდენობას რომ წითელი ფერი შეესაბამება, ხოლო მეორე რაოდენობას მწვავე ფერი, ეს სრულიად შეუძლებელია თვით ამ ტალღების რაოდენობის ცოდნის საფუძველზე გავითვალისწინოთ. ლოგიკა არ გვიკრძალავს იმას, რომ საქმის ვითარება შებრუნებულად წარმოვიდგინოთ. ამ გაგებით, ეს კავშირი ელექტრომაგნიტურ ტალღასა და განსაზღვრულ ფერს შორის არის შემთხვევითი. რაც, რასაკვირველია, რეალურ აუცილებლობას არ გამორიცხავს. პირიქით, ყოველთვის, როცა მოცემულია გარკვეული რაოდენობის ელექტრომაგნიტური ტალღა ამისთვის განკუთვნილ პირობებში, უეჭველად განსაზღვრული ფერი წარმოიშობა. როცა ამგვარ კავშირისგან განსხვავებით ლაპარაკობენ შინაგან კაუზალობაზე, არსებითად სხვა ვითარება გვაქვს. ამ შემთხვევაში მიზეზსა და შედეგს შორის ლოგიკურად გასაგები ვითარება იგულისხმება. ზოგჯერ იგი იგივეობის პრინციპზე დაჰყავთ. ამაზე მსჯელობა აქ უადგილო იქნებოდა. მთავარია ჩვენთვის ის, რომ ტიპიური შემთხვევა კაუზალური ცვლილებისა არსებითად განსხვავდება ლოგიკური კანონზომიერებიდან. ეს მოითხოვს ფსიქიკური ცხოვრების მიმართ იმ თვალსაზრისის გამოყენებას, რომელიც რეალურ-ბუნებისმეტყველური მეცნიერებისთვის არის დამახასიათებელი. ასეა ეს, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც საქმე ეხება ამ კანონზომიერების მიგნების გზას, მისი ინდუქციურობასა და ემპირიულობას[26]

---

[25] იხ. M. Palágyi, Die Logik auf dem Scheidewege, 1903, გვ. 76 და შემდეგ.

[26] რა თქმა უნდა, კაუზალობის პრინციპის გამოყენება ფსიქიკურის შესწავლაში საგანგებო დასაბუთებას მოითხოვს. ამის მოწინააღმდეგეები ანგარიშგასაწევ მოსაზრებებს ემყარებიან. ვერც ამ საკითხს შევეხებით ამჟამად. ჩვენთვის საკმარისია იმ დებულების მიღება, რომ ფსიქიკურის შესწავლა არ შეიძლება ამოიწუროს ლოგიკური კანონზომიერების მიგნებით. არის ამ სინამდვილეში ისეთი კანონზომიერებაც, რომელსაც ლოგიკური კანონზომიერებას ვერ ვუწოდებთ. აღმოჩნდება თუ არა ეს კანონზომიერება კაუზალური თუ კიდევ სხვა რამ, ეს ჩვენი დებულებისთვის სულ ერთია.

ლოგიკური კანონზომიერების გამოყენებასთან ფსიქოლოგიაში ხშირად გვაქვს საქმე, მაგრამ ზოგჯერ ამას არ ითვალისწინებენ, ზოგჯერ იგი ლოგიციზმად ცხადდება. ამის საილუსტრაციოდ გავისსენოთ თვითდაკვირვების მეთოდის შესახებ ო. კონტის მიერ გამოთქმული ცნობილი მსჯელობა: დაკვირვება გულისხმობს სუბიექტის და ობიექტის არსებობას და კონტაქტს მათ შორის. თვითდაკვირვება ისეთ მეთოდს ეწოდება, რომელშიაც სუბიექტი და ობიექტი ერთია. აქ არ არის დაკვირვებისთვის საჭირო ორი ინსტანცია. ამიტომ იგი შეუძლებელია, თვითდაკვირვება განუხორციელებელი რამ არის.

ო. კონტის ეს მოსაზრება ზოგმა ლოგიციზმად გამოაცხადა. აქ თითქოს ლოგიკური სქემა მიუყენეს ფსიქიკურ სინამდვილეს და ამ გზით გამოიყვანეს დასკვნა თვითდაკვირვების შეუძლებლობის შესახებ. ნამდვილად კი, ფაქტობრივად ასეთი დაკვირვება არსებობს და მისი უარყოფა ფაქტის, სინამდვილის უარყოფა არისო. როცა ასეთი შეუთანხმებლობაა ფაქტსა და ლოგიკურ მოთხოვნას შორის, უპირატესობა ფაქტს უნდა მიენიჭოს. ამით ისიც იქნება აღიარებული, რომ სინამდვილე მეტია ლოგიკურზე და მისი უფლების დაცვა საჭიროა, რათა ლოგიცისტური შეცდომა იქნესო დაძლეული.

ამგვარი მსჯელობა ო. კონტის მოსაზრების გამო, რასაკვირველია, უმართებულოა, იგი შედეგია ფსიქოლოგისტური თვალსაზრისისა.

კონტის მოთხოვნა, რომ თვითდაკვირვებისთვისაც, როგორც ყველა დაკვირვებისთვის, უნდა დადასტურდეს ორი განსხვავებული ინსტანციის არსებობა, სუბიექტისა და ობიექტის სახით, სავსებით ლოგიკურია და სავალდებულო. აქედან გამონაკლისი არ შეიძლება არსებობდეს, რადგან იგი ანალიზურად გამოდის დაკვირვების ცნებიდან, რომლის ნიშნები უნდა ახლდეს დაკვირვების ყოველ ნაირსახეობას. ის გარემოება, რომ ზოგმა ფსიქოლოგმა ეს მოთხოვნა ვერ შეარიგა საქმის ობიექტურ ვითარებასთან, ნიშნავს კონტის მეორე დებულების გაზიარებას. ამ დებულების მიღების შემდეგ ლოგიკურია ის დასკვნა, რომელიც კონტმა გააკეთა: თვითდაკვირვება შეუძლებელი ჩანს. ამ დასკვნას ვინც არ იღებს, ემყარება თვითდაკვირვების არსებობის ფაქტს. ან კი როგორ უარყოს იგი, როცა მას ყოველ ნაბიჯზე ხედავს?! დასკვნა? დასკვნა ისაა, რომ კონტის მსჯელობა ლოგიკურად მართებულად არის აღიარებული, მაგრამ ფსიქიკური სინამდვილისადმი მისი მიყენება დაუშვებლადაა გამოცხადებული. ესაო და ფსიქიკური სინამდვილე არ უნდა განიცდიდეს ძალადატანებასო. ლოგიკური სქემების გამოყენებით, არ უნდა შეიჭრასო

ლოგიციზმი ფსიქოლოგიაში. გამოდის, რომ ლოგიკა უნდა იყოს თავისთვის, არ ჩაერიოს ფსიქოლოგიის საქმეში, რადგან ფსიქოლოგიის მბრძანებელი მხოლოდ ფსიქიკური სინამდვილეა. ის, რაც ლოგიკის მიხედვით შეუძლებელი ჩანს, სავსებით შესაძლებელია ფსიქოლოგიურად. თუ ვეტყვიან, რომ ასეთი რამის აღიარება სასწაულის დაშვებას ნიშნავს, წერს თ. ლიპსი, ცნობიერების ეს მოვლენებია, რომელსაც მართლად განსხვავებულ სასწაულს წარმოადგენენ"[27]

ნამდვილად, როგორც ცნობილია, თვითდაკვირვების დასაბუთება არ მოითხოვს ლოგიკის მოთხოვნის უგულებელყოფას და არც ფსიქიკაში არსებული საქმის ვითარება არის ისეთი რამ, რაც ლოგიკის მოთხოვნას ეწინააღმდეგება. საქმის ახლო დაკვირვებამ ნათელყო, რომ თვითდაკვირვების სუბიექტი და ობიექტი არაა ერთი და იგივე. რომ ფსიქიკურ მოლენებს აქვთ ყველაფერი, რაც მათი დაკვირვებისა და შემეცნებისთვის არის საჭირო და არავითარი კონფლიქტი მას ლოგიკასთან არა აქვს. ამ საკითხშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ცნობიერებისა და ფსიქიკის ფუნქციონალურ განსხვავებას[28] და მესა და განცდის გათიშვას[29]. თუ ამას ყოველივეს მხედველობაში მივიღებთ, არც სასწაულის დაშვება დაგვჭირდება თვითდაკვირვების დასადგენად და არც ლოგიკური მოთხოვნის უკუგდება. ლოგიკურის მოთხოვნებისადმი ანგარიშის გაწევა ლოგიციზმი არ არის.

არის მეორე სახის საფრთხე: ლოგიკურის გამოვლინება ფსიქიკურში ფსიქიკურის ლოგიზაციად არის გაგებული. თითქოს იმის გამო, რომ ფსიქიკა ლოგიკურის მიერ იქნა გამოყენებული თავისი გამოვლინების ემპირიულ საშუალებად, ფსიქიკა ლოგიკურ მოვლენად იქცა. ეს შეუძლებელია. ლოგიკური შემთხვევით კი არ უკავშირდება ფსიქიკურს, არამედ ამ უკანასკნელის არსებობის აუცილებელი ფორმაა. იგი მისი გარკვეულობის ერთ-ერთი მომენტია. ამდენად, ჩვენთვის მოხსნილია საკითხის იმგვარი დაყენება ლოგიკურისა და ემპირიულის დაკავშირების შესახებ, როგორიც იცის იდეალისტურმა ფილოსოფიამ პლატონიდან დაწყებული დღემდე. ფსიქიკას არ ესაჭიროება ლოგიკურის ძებნა, მაგრამ ეს ესაჭიროება ფსიქოლო-

---

[27] იხ. ა. ბოჭორიშვილი, ახსნილი და გაგებითი ფსიქოლოგიის ურთიერთობისათვის, 1934, ქუთაისი, გვ. 16.

[28] იხ. А. Т. Бочоришвили, Психика как предмет психологии, „მოამბე", № 3, 1961.

[29] ა. ბოჭორიშვილი, თვითდაკვირვების მეთოდის რაობისა და მისი პრინციპული შესაძლებლობის შესახებ, ფსიქოლოგია, ტ. X, 1956.

გიას, მეცნიერებას ფსიქიკის კანონზომიერების შესახებ. არც ეს სპეციალური მეცნიერება არ არის ლოგიკურის გარეშე, მაგრამ არც ერთი არ არის ისეთი, რომ ამ კანონზომიერებით ამოწურავდეს თავის მუშაობას. აი ეს, არალოგიკური (და არა ანტილოგიკური) ბომბესტია, რაც მეცნიერებათა სპეციფიკას ქმნის. ეს „დანაშთი" არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც დროებითი მოვლენა, რომელიც ბომბალში ლოგიკურ-რაციონალურ შინაარსად გადაიქცევა. ყოველთვის ექნება ადგილი ისეთ მომენტს, რომლის დაყვანა (ან აყვანა) ლოგიკურზე შეუძლებელი იქნება. სამყაროს მარტო ლოგიკა ვერ შეისწავლის. ამისთვის ცალკე რეგიონების შესატყვისი სპეციალური მეცნიერებანია საჭირო. უნივერსალური რაციონალიზმის გამოყენება შეუძლებელია.

ფსიქიკა ერთ-ერთი რეგიონია ლოგიკურის გამოვლენისა. მას პრინციპული უპირატესობა სხვა რეგიონებთან არ აქვს. ამ გარემოების უგულებელყოფა, ე. ი. იმის ვარაუდი, რომ ფსიქიკა არის თუ ერთადერთი არა, ყველა სხვაზე უპირატესი სფერო ლოგიკურის გამოვლენისა მაინც. იყო ის ერთ-ერთი მოტივი. რომელმაც ფსიქოლოგიზმის წარმოქმნა შეაპირობა. ფსიქიკა რომ ამგვარ პრივილეგიას შეიცავდეს. ფსიქოლოგია თავის თავს უზრუნველყოფდა პირველ რიგში ლოგიკური კანონზომიერების შესწავლით ფსიქიკურ სინამდვილეში. მაგრამ. ნამდვილი სურათი ჩვენი მეცნიერებისა სულ სხვაა: იგი ბევრ სხვა მეცნიერებაზე უფრო ღარიბად გამოიყურება ლოგიკურობის მხრივ.

მეორე მხრივ, არც ის შესედულებაა სწორი, თითქოს ფსიქიკიდან და ფსიქოლოგიიდან ლოგიკისათვის საინტერესო რამის მიღება შეუძლებელი იყოს.

თუ ფსიქოლოგია წარმოვიდგინეთ მხოლოდ ინდუქციურ-პიპოთეზური მსჯელობების კრებულად. ცხადია, ლოგიკა მისგან არაფერს წაიღებს. მაგრამ. რატომ. რა უფლებით უნდა წარმოვიდგინოთ ფსიქიკა ისეთ უარყოფით გამოსაკლისად, რომ მან ვერაფერი მიაწოდოს ლოგიკას ლოგიკური? თუ მაგ., მათემატიკისა და სხვა ზუსტი მეცნიერების განვითარება ლოგიკის გამდიდრებას იწვევს. რატომ უნდა ვიფიქროთ. რომ ფსიქოლოგიას ამის შესაძლებლობა პრინციპულად უნდა წაერთვას?[30] ფსიქოლოგს აქვს უფლება და ვალდებუ-

---

[30] ლოგიკის გამდიდრება სპეციალური მეცნიერების მონაპოვარის ანალიზის საფუძველზე არ ნიშნავს ლოგიკის დამოკიდებულებას ამ მეცნიერებათაგან. ეს საქმე ეხება არა ლოგიკურის წარმოქმნას ან დასაბუთებას სპეციალური მეცნიერების საშუალებით, არამედ თავისთავადისა და დასაბუთებულის ვამოვლენას.

ლიც არის იოცნებოს ფსიქოლოგიის ისეთ მდგომარეობაზე, მისი განვითარების ისეთ დონეზე, როცა ლოგიკა აღაპყრობს თვალს მისკენ ახალი, ლოგიკისათვის ჯერ კიდევ უცნობი ფორმის აპოდიქტიკური მსჯელობისა და დასკვნების გადმოსატანად ლოგიკაში. ერთ-ერთი ძირითადი პირობა ამისა იქნებოდა ფსიქოლოგიზმის დაძლევა ფსიქოლოგიაში.* ლოგიციზმს იმდენი ხიანი არ მოუტანია ფსიქოლოგიისათვის. რამდენიც მას მოუტანა ფსიქოლოგიზმმა. უთუოდ ფარულად მოქმედი ფსიქოლოგიზმის გამოვლინებაა იმის მტკიცება, რომ ფსიქიკურს შეიძლება არ ჰქონდეს საკუთარი კანონზომიერება და ამიტომ ან ფსიქოლოგია საერთოდ შეუძლებლად უნდა ვცნოთ ან-და მისთვის სხვა რომელიმე სინამდვილიდან შემოვიტანოთ იგი. თუ ფსიქიკურში მხოლოდ სენსუალური მასალა ვიგულისხმეთ, თუ ფსიქოლოგიურ იმპრესიონიზმის თვალსაზრისზე დავდექით, ამგვარი მსჯელობა აუცილებელი გახდება.

როგორც აღინიშნა, ლოგიციზმი ფსიქოლოგიაში შეიძლება გაჩნდეს და ისიც რამდენიმე სახეობისა, მაგრამ ლოგიციზმთან ბრძოლა არ უნდა იქცეს იმად, რომ გვერდი ავუაროთ თვით ფსიქიკურში არსებულ ლოგიკურ კანონზომიერებას. ვინ არ დაგვეთანხმება დღეს იმაში, რომ ზოგადი ფსიქოლოგიის ის თავი, რომელსაც აზროვნების ფსიქოლოგია ეწოდება, მნიშვნელოვან ნაწილში ლოგიკაა და არა ფსიქოლოგია?! ასეთი ელემენტების შეცვლა რეალური განცდებით, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენს ცნობიერებაში, როცა მისი აქტები ძიმართული არიან ლოგიკურ ვითარებაზე, აუცილებელია, თუ გვსურს შეექმნათ ნამდვილი ფსიქოლოგია აზროვნებისა, შემეცნებისა. მაგრამ, თავის მხრივ, ამ განცდების შესწავლა შეუძლებელი გახდებოდა, თუ მის წიაღში საკუთარი ლოგიკური ხასიათის კანონზომიერება არ ყოფილიყო დადასტურებული. აზროვნების სტრუქტურა მაშინ იქნება ნაჩვენები, როცა იგი განცდებში იქნება ამოკითხული და არა ლოგიკის სახელმძღვანელოდან გამოტანილი. აზროვნების განცდითი პროცესი მაშინაც კი, როცა მისი ობიექტი-შინაარსი მცდარია, ლოგი-

---

ემპირიულად მოცემულობას სპეციალური მეცნიერების საგანში. ლოგიკური არასოდეს ემპირიულ კატეგორიად არ გადაიქცევა იმის გამო, რომ იგი ემპირიულში გამოვლინდა. ლოგიკურისთვის ეს გამოვლენა შემთხვევითია, თუმცა იგი არაა შემთხვევითი იმ სინამდვილისათვის, სადაც ის იქნა შემჩნეული: ეს სინამდვილე ვერ იქნებოდა ამ კანონზომიერების გარეშე.

* იხ. ა. ბ ო ბ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები, ნაწ. I, 1957, გვ. 7: „ფსიქოლოგიზმის დაძლევა... ფსიქოლოგიასაც ისე ეხება, როგორც სხვა მეცნიერებას, და თუ ფსიქოლოგიის დაძლევა ასე ძნელია საერთოდ, იგი ორმაგად ძნელია ფსიქოლოგიაში“.

კურია და თვითონ არავითარ შეცდომას არ შეიცავს. და ეს არა იმიტომ. რომ აზროვნება-განცდა ლოგიკური კანონზომიერების გარეთ დგას. არამედ იმიტომ, რომ ლოგიკური კანონზომიერება როგორც ლოგიკის წმინდა სამყაროში, ისე რეალურ ვითარებაში არასოდეს მცდარი არ არის. კანონს საერთოდ და ლოგიკურ კანონს კერძოდ. არ შეიძლება გზიდან გადასვევა ახასიათებდეს. ეს თავისთავად იგულისხმება. ახსნას საჭიროებს ის, თუ როგორ ხდება ამ კანონების „დარღვევა" მათ საწინააღმდეგო მიმართულებით სვლა".

მ. პალაგიმ ყურადღება გაამახვილა იმ განსხვავებაზე. რომელიც არსებობს გრძნობად აღქმასა და „ცოდნას" შორის მათი რეფლექსურად მიმართვის უნარის მიხედვით. „მესმის. რომ ზარი ჟღერს". აქ მეორე წინადადება, ზარი ჟღერს, ობიექტურ საქმის ვითარებას გადმოგვცემს, წერს პალაგი. პირველი წინადადება ფსიქიკურ პროცესზე მოგვითხრობს. ეს პროცესი იმაში მდგომარეობს. რომ ვიღაც ისმენს ზარის ხმას. თვითონ მისი მოსმენა, ე. ი. მოსმენის მოსმენა არ ხდება, არ შეიძლება მოხდეს. იგივე ითქმის სხვა შეგრძნებებზეც: ხედვის ხედვა (როცა „ხედვა" ორივე შემთხვევაში შეგრძნების აქტს, თვალის მოქმედებას ნიშნავს) და შეხების შეხება შეუძლებელია. ამგვარია მდგომარეობა გრძნობისა და ნებისყოფის შემთხვევაშიც. არც გრძნობის გრძნობა და არც ნებელობის ნებელობა არ განხორციელდება. მაგრამ, განაგრძობს პალაგი, სავსებით კანონიერია გამოთქმა: „მე ვიცი, რომ ვიცი". „მე ვიცი, რომ მნებავს". „მე ვიცი, რომ ვგრძნობ". „მე ვიცი, რომ ვხედავ". ეს იმას ნიშნავს, დაასკვნის ავტორი, რომ ცოდნას შეუძლია რეფლექსურად მიუბრუნდეს როგორც თავის თავს, ისე სხვა ფსიქიკურ მონაცემებს.

ამით სურს პალაგის ფსიქიკურ ცხოვრებაში ორგვარი ჯგუფი მოელენებისა დაადგინოს, ზოგად-აბსტრაქტული და კონკრეტულ-სპეციალური. ამ გზით სურს მას დაადგინოს განსხვავებული საგანი ლოგიკისა და ფსიქოლოგიისათვის[32].

---

[31] იხ. Н. Грот, К вопросу о реформе логики. 1882, გვ. 298 და შემდეგ შად. ერ. ა ბ ა შ ი ძ ე, ე. წ. ლოგიკური შეცდომების ფსიქოლოგიისათვის. დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1956. გვ. 201 და შემდეგ

[32] M. Palagyi, Der Streit der Psychologisten und Formalisten in der modernen Logik, 1902, გვ. 71 და შემდ.

აქ ამ უკანასკნელ საკითხს არ ვეხებით, ვფიქრობთ, რომ მისი მიუღებლობა ადვილად შეიძლება დამტკიცდეს. ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნათლად ჩანს გრძნობადი მონაცემების იმპრესიონისტული ხასიათი. ისინი ვერც სხვაზე და ვერც თავისთავზე შემეცნებითად ვერ მოგვითხრობენ. ამაში პალაგი მართალია. მაგრამ ის, რაც მან ცოდნას, ცოდნის აქტს მიაწერა. ნამდვილად სხვა რამ არის. იგი არ არის ერთ-ერთი განცდა სხვა განცდათა შორის, როგორც ეს პალაგის ჰგონია, არამედ ცნობიერება, რომელიც მოწოდებულია შინაარსად ყოველთვის სხვა რამ ჰქონდეს და საკუთარი შინაარსის უქონლობის გამო. შემეცნების უსასრულობაში წარმართვისაგან გვიფარავს. ფსიქოლოგია ფსიქოლოგიზს ვერ დააღწევს თავს, თუ მან შემმეცნებელ სუბიექტად იმპრესიონისტული მასალა დასახა. ამ საფრთხეს ვერც პალაგი აუვლის გვერდს, თუ „შემეცნების აქტები" და ფსიქიკური პროცესები არ განასხვავა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ცოდნა" იმისი, რომ „მე ვიცი", რომ „მე ვიცი, რომ ვხედავ" და ა. შ., შეიძლება არ იყოს საგანგებოდ რეფლექსიურად მომართული მოქმედების შედეგი. იგი თავისთავად მოცემული ფაქტის სახითაც გვეძლევა. ის არის, რასაც შინაგან ცნობიერებას ეძახიან. ზოგჯერ შინაგან გრძნობასაც, რომლის არსებობას პალაგი უთუოდ იმიტომ უარყოფს, რომ ამაში ის გულისხმობს იმპრესიონისტულ აქტს[33], რაც სრულიად გაუმართლებელია. რასაკვირველია, როცა ამბობენ, რომ „ხედვის ხედვა" ხდებაო, არავინ გულისხმობს იმას, რომ აქ „ხედვა" ორივე შემთხვევაში თვალით ხედვას ნიშნავს, ამით აიხსნება, რომ არ ამბობენ ჩვეულებრივ სმენის სმენის შესახებ: „სმენა" ვერ ეგუება არაიმპრესიონულ შინაარსს. „ხედვა" შეიძლება ვისმაროთ ცნობიერების აქტის გამოსათქმელადაც.

ე. წ. კანონზომიერების მონიზმი, როცა იგი ანტიფსიქოლოგიზმიდან არის წარმოქმნილი, ადვილად გადადის ლოგიციზმში. ამის თვალსაჩინო მაგალითს იძლევა ვ. მოგი. ის თითქოს ლოგიციზმს უარყოფს და ლოგიზმით კმაყოფილდება, მაგრამ აქ საზღვრის გავლება შეუძლებელი ხდება იმ კონცეფციის ნიადაგზე, რომელსაც გვაწვდის მოგი.

ძირითადი დებულება მოგისა ისაა, რომ კანონზომიერება ყოველი სახისა არის ლოგიკური ხასიათის, ლოგიკისადმი დაქვემდებარებული, ემპირიული კანონზომიერება, როგორც ლოგიკური კანონზო-

---

33 M. Palágyi, Die Logik auf dem Scheidewege, 1903, გვ. 101 და შემდეგ.

მიერებისგან არსებითად განსხვავებული. მოგის აზრით, არ არსებობს. ლოგიკურის უფლებების დაცვის საქმეში ის უფრო შორს მიდის, ვიდრე მაგ., ჰუსერლი. თუ ჰუსერლი ემპირიულ სამყაროს საკუთარ კანონზომიერებას უნარჩუნებს (თუმცა არაზუსტსა და მარად ჰიპოთეზურს), მოგი ამის საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, რომ ემპირიული კანონზომიერებაც ლოგიკურია. რეალურსა და იდეალურ მეცნიერებას შორის ის განსხვავება არ არსებობს. რომელსაც ჰუსერლი ვარაუდობსო. ბუნების კანონები არიან ბუნების მიმართ სპეციალიზებული ლოგიკური კანონებიო. ბუნება არის ის, რაც არის მოქცეული ლოგიკის კანონების ქვეშ[34]. კანონი, პირველ რიგში, უნდა იყოს ლოგიკური კანონი, რათა ის საერთო კანონად ჩაითვალოს. თავისთავად აღებული ემპირიული, წერს მოგი, მთლიანად უსათუოვლოა[35]. მისი დამსაბუთებელი არის ლოგიკური კანონი. იგივე ითქმის კაუზალობის შესახებ. არც ფიზიკური და არც ფსიქოლოგიური კანონები არ არიან მხოლოდ ემპირიული კანონები. არ არსებობს განსხვავება ლოგიკურსა და ბუნების კანონებს შორის.

მოგის მოსაზრებაში სწორი და არასწორი ერთმანეთშია გადახლართული. მართალია, ლოგიკურის საწინააღმდეგო კანონზომიერება შეუძლებელია. ასეთი რამ იქნება არა კანონზომიერება, არამედ უკანონობა. მაგრამ ისიც სწორია, რომ ლოგიკური კანონზომიერება ვერ ამოწურავს, ვერ გადმოსცემს ყოველი სახის კანონზომიერებას. როგორც აღინიშნა, არის ისეთი მტკიცე თანმიმდევრობა მოვლენებისა, მაგ., კაუზალური, სადაც ერთის გამოყვანა მეორედან ლოგიკური ოპერაციების გზით შეუძლებელია. საკითხი, ბოლოს, რეალობის ეგზისტენციალობის დასაბუთებამდე მიდის. ლოგიკურიდან რომ ეგზისტენციალურს ვერ გამოვიყვანთ, ეს ლოცესთან ერთად მოგს უეჭველ ჭეშმარიტებად მიაჩნია, მაგრამ ამაში იგი მხოლოდ იმას ხედავს, რომ შემეცნების უბოლოვადობის გამო, ყოველთვის იქნება ისეთი მომენტი, რომელიც ჯერ კიდევ ლოგიკურად განსაზღვრული არ არის. რეალურ-ემპირიული, ეგზისტენციალური, ამის მიხედვით, არის „ჯერ კიდევ განუსაზღვრელი" და ამის გამო ლოგიკურის აუცილებელი კორელატი.

მოგი აქ საკითხის შეცვლას ახდენს: ლაპარაკია ეგზისტენციალობის დასაბუთებაზე და არა ეგზისტენციალურის შემეცნებაზე. ეს ორი სხვადასხვა რამაა. ერთი არის ყოფიერების (Sein) საკითხი, მეო-

---

[34] იხ. ვ. მ ო გ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 204.

[35] «Das Empirische für sich ist gänzlich haltlos...» იქვე. გვ. 205.

რე -მისი თვისობრივი გარკვეულობის (Sosein). ლოგიკურ- კანონი ყოფიერებას ეგზისტენციალურად ვერ წარმართავს. ამისთვის ისევ ეგზისტენციალურია საჭირო. ესენციალურ-ლოგიკური მარტო ვერასოდეს ვერ იქნება საკმარისი პირობა ყოფიერებისა[36]. თუ ყოფიერება ლოგიკურად ვერ აიხსნება, ვერ დაიშლება, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ არსებობს კანონზომიერების სფერო ლოგიკურიდან დამოუკიდებელი, მისგან გაბსხვავებული, მაგრამ არა მისი საწინააღმდეგო. ლოგიკურის ფართო მნიშვნელობით გაგების შემთხვევაში. ლოგიკურის ლოგიკური მოწინააღმდეგე ისევ ლოგიკურის რკალში მოთავსდებოდა.

თუ რეალობაში მეტი არაფერია, გარდა ლოგიკურის კორელატისა. რომელშიაც იგულისხმება განსაზღვრებადი, ტრანზიტული ცნება, მაშინ რეალობა უნდა ლოგიკურში გაითქვიფოს, ლოგიკურად უნდა ითარგმნოს მთლიანად. ეს კი შეუძლებელია. ამიტომ აქვს სპეციალურ მეცნიერებას საკუთარი ადგილი შემეცნების სისტემაში. ულოგიკოდ ის მეცნიერება არ იქნება, მაგრამ ალოგიკურის გარეშე ის თვითმყოფი მეცნიერება ვერ გახდება.

ეგზისტენციალობა ლოგიკურობისთვის არაა საკმარისი, თუ მას საერთოდ აკლია ლოგიკურობა, თუ ის არის მარტო არსებობა. გარკვეულობის გარეშე. მაგრამ ასეთი არსებობა არ არსებობს. ნამდვილ არსებობას ლოგიკური პირობა ჭირდება საარსებო პირობასთან ერთად. ფილოსოფიური აზროვნება უნდა მიიმართოს იმისკენ, რომ ყოფიერებისა და გარკვეულობის, ეგზისტენციალურისა და ესენციალურის აუცილებელი კავშირი გასაგები გახდეს.. შეიძლება ითქვას, რომ მათი განუყრელი კავშირის ცნება შესაბამის თეორიების კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ. თეორია, რომელიც მათ კავშირს გაუგებრად, შეუძლებლად დაგვისახავს, ამის გამო იგი მიუღებლად უნდა მივიჩნიოთ. მიუღებლად უნდა მივიჩნიოთ ისეთი მოსაზრებაც. რომელიც ერთ-ერთ მათგანს სპეციფიკურობას დაუკარგავს და მის მეორე ინსტანციად გადაქცევას შეეცდება.

ფსიქოლოგია ამ ასპექტში არაფრით პრინციპულად არ განსხვავდება ბუნებისმეტყველებისაგან. ფსიქიკის აღება კვლევის საგნად არა-

---

[36] „ეგზისტენციალობა" აქ იხმარება ძველი მნიშვნელობით. ასე ხმარობს მას მოგიც. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ეგზისტენციალიზმი (ჰაიდეგერი, იასპერსი...) ერთ პუნქტში მაინც, შესაძლებლად მიიჩნევს უესსენციო ეგზისტენციალობას. ეს მეორე უკიდურესობაა იმის საპირისპიროდ, რომ ეგზისტენციალობა დაპყაეთ ესენციალობაზე, პლატონიზმის გადალახვისთვის უესსენციო არსებობის დაშვება არაა საჭირო. ეს მეორე სახის შეცდომაა. იხ. M. Landmann Philosophisch Anthropologie, 1955, გვ. 235.

ვითარ პრივილეგიას არ ანიჭებს ფსიქოლოგიას: ლოგიკური მომენტის მოპოვება და მისი მეცნიერული სისტემისათვის გამოყენება იმგვარივე საქმეა აქ, როგორიცაა იგი ფიზიკაში. აზროვნება, როგორც ფსიქოლოგიური პროცესი, იმაზე მეტად არ შეიცავს ლოგიკურს, რამდენსაც შეიცავს გრძნობა, ნებელობა, ფიზიკური მოძრაობა, ბიოლოგიური პროცესი... ხოლო ეგზისტენციონალური მომენტი ფსიქიკასაც ისე ახასიათებს, როგორც რომელიმე სხვა ბუნების მოვლენას.

რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია ეგზისტენციონალიზმის ტერმინოლოგიის შემთხვევაზე, მის ელემენტარულ ცნებაზე. როცა არსებობის სპეციფიკური ნიშნების შესახებაა მსჯელობა. ფიზიკურ და ფსიქიკურ არსებობას შორის თვალსაჩინო განსხვავებაა, მაგრამ ამას ლოგიკის მიმართ დამოკიდებულების საკითხისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი, ეს განსხვავება, ანგარიშგასაწევია საკუთრივ ფსიქოლოგიის აგებისათვის. მისი ბუნებისმეტყველებისგან განსხვავების გარკვევისათვის.

იგივე ითქმის კაუზალობის შესახებაც. ის, რომ ფსიქიკურის მიმართ ამ ცნებას ვიყენებთ და ამით მას ლოგიკურისგან განვასხვავებთ, ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ კაუზალობა ფსიქოლოგიაში და ფიზიკაში ერთგვარია[37]. არც ეს საკითხია ჩვენი მსჯელობის საგანი. საკმარისია ის, რომ რაღაცნაირი კაუზალობა ფსიქიკურისადმი საგალდებულოა და, მაშასადამე, ფსიქოლოგია არ დაიყვანება პრინციპულად ლოგიკაზე. ლოგიზმი აქაც ისეთივე მანკიერი აზრთაწყობაა, როგორც ფსიქოლოგიზმი.

ლოგიკა რეალურად შეუძლებელი იქნებოდა ფსიქოლოგიის გარეშე. წერს მოგი. ეს დებულება არის დასკვნა ლოგიკურისა და ემპირიულის ურთიერთობის შესახებ გ. ნსაზღვრული შეხედულებიდან. რადგან შემეცნება იწყება გამოცდილებიდან (კანტი), ხოლო გამოცდილება ფსიქიკური პროცესის სახით გვეძლევა, ეს პროცესი უნდა მივიჩნიოთ პირველ პირობად ლოგიკურის რეალიზაციისათვის.

მაგრამ, სად არის გარანტია იმისი, რომ იდეალური სიწმინდის მქონე ლოგიკა, ასე ვთქვათ, ლოგიკა თავისთავად, არ შეირყევნება, არ დამახინჯდება მაშინ, როცა დადგება მისი ე. წ. რეალიზაციის მომენტი? რა მნიშვნელობა ექნება პრაქტიკულად წმინდა ლოგიკის სისწორეს, თუ ის განხორციელების მომენტში ფსიქოლოგისტურ მო-

---

[37] შეიძლება დამტკიცდეს, რომ ფსიქოლოგიაში შესაფერი იყოს „კაუზალობის ფენომენისტური (განსხვავებით ონტოლოგიური ცნებიდან) ცნება". ეს საგანგებო კვლევას მოითხოვს. იხ. I. M. Bochenski, Die Zeitgenössischen Denkmethoden, 1954, გვ. 114.

მენტალურ შეითვისებს? ჩვენ ხომ უშუალო და გამოყენებითი ურთიერთობა გვაქვს რეალიზებულ ლოგიკასთან, ლოგიკასთან, როგორც ფაქტობრივად არსებულ მეცნიერებასთან?!

რადგან ფსიქიკა, ფსიქოლოგიის საგანი, საკუთარი შინაარსის მქონეა და ლოგიკის საგნიდან განსხვავებულია, მისი ჩართვა, შერევა ლოგიკის შინაარსში, რასაკვირველია, ლოგიკის ფალსიფიკაციას გამოიწვევს. რა საშუალება გვაქვს ამგვარი ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად?

პრინციპულად აქ მხოლოდ ერთი საშუალება შეიძლება იყოს: უნდა არსებობდეს ისეთი უნარი ადამიანის შემმეცნებელ აპარატში, რომელიც ლოგიკურს წმინდად შეიმეცნებს, არაფერს უცხოს არ მიუმატებს ფსიქიკა, როგორც საკუთარი შინაარსის მქონე, როგორც განცდა. ამ ამოცანას ვერ შეასრულებს (სხვა სიძნელეებსაც რომ გვერდი ავუაროთ). ამისთვის მოწოდებულია ცნობიერება, რომელიც, თანმიმდევრად მისი ფუნქციისა, მუდამ სხვაზეა მიმართული. მაგრამ სხვა აქვს მას შინაარსად და ამითაა იგი ვარგისი შემეცნებისათვის [3]

გარდა ამისა, როგორ გამოვალთ მოჯადოებული რკალიდან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ემპირიულში ლოგიკურის ამოცნობა ლოგიკურის ცოდნას გულისხმობს? თუ ლოგიკას აქვს საშუალება ემპირიულ გამოცდილებამდე ლოგიკურს წვდეს, რაღაც სხვა, არაემპირიული გზით, რაღად ჭირდება მას ემპირიის გამოყენება, როცა მასთან ერთად საშიში ფსიქოლოგიზმი არის დაკავშირებული? და, ბოლოს, რატომ უნდა შემოვზღუდოთ ლოგიკურის გამოვლინების ემპირიული სფერო ფსიქიკით, როცა სინამდვილის არც ერთი სფერო ამ თვისებას მოკლებული არ არის? როცა ლოგიკური მომენტი ყოველი მეცნიერების რეალურ მონაცემებში იგულისხმება? ხომ არ ვიფიქროთ, რომ მოგის კონცეფციის მიხედვით (და ამ თვალსაზრისს შეგნებულად თუ შეუგნებლად ბევრი იზიარებს), ყოველი მეცნიერების ემპირიული მონაცემი პირველად ფსიქიკის სახით არის მოცემული და შემდეგ უნდა მოხერხდეს როგორღაც არაფსიქოლოგიურ გამოცდილებასთან მისვლა? გამოცდილების ამგვარი თეორია ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ, როგორც საბაბი კონკრეტულ-შინაარსეული ფსიქოლოგიზმისა.

ყიდევ უფრო მეტ ეჭვს იწვევს მოგის ცნება ლოგიკურის ტენდენციისა გამოყენებისაკენ რეალობაში და რეალობის ნორმირებისა.

---

[3] ბევრი რამ ეღობება ცნობიერებას თავისი ამოცანის შესრულების ჟამს, მაგრამ ის ფაქტი, რომ იგი ძირითადად, ფუნქციონალურად ამისთვისაა მოწოდებული, იძლევა იმის საშუალებას, რომ უცხო ელემენტები ჩამოაშოროს ლოგიკურის ემპირიულ გამოვლინებას.

კენ[39] რა ესაქმება წმინდა ლოგიკურს რეალობასთან, როცა რეალობა მას ვერაფერს ლოგიკურს ვერ მისცემს? სხვა რომ არა იყოს რა, ლოგიკურისადმი ტენდენციის მიწერა ნამდვილი პერსონიფიკაცია და მითოლოგიაა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ავტორი ლოგიკურს გაშლა-განვითარების უნარსაც მიაწერს და ამდენად ენეზისი ლოგიკაში პოზიტიური ფუნქციის მატარებლად გვევლინება. ეს მთლიანად გააუქმებდა ავტორის მონაპოვარს ფსიქოლოგიზმის დაძლევისათვის ბრძოლის პროცესში.

ამგვარი აზრთაწყობისადმი შესაფერისია იმის მტკიცებაც, რომ ეგზისტენციალური თავის მხრივ არ არის ინდიფერენტულად განწყობილი ლოგიკურის მიმართ, რომ მას სურს შეიძინოს ლოგიკური დასაბუთება[40]. თითქოს ეგზისტენციალური ინსტანცია თავისთავად შესაძლებელი იყოს ლოგიკურის გარეშე![41]

შემეცნების საგანი სხვა რამედ არ უნდა გადაიქცეს შემეცნების პროცესში, შემეცნების გამო. ეს აღარ იქნება მაშინ შემეცნება. ონტოლოგიურში ლოგიკურის ამოკითხვამ ონტოლოგიური ლოგიკურად არ უნდა აქციოს. ამგვარივე შეცდომა გვექნება. თუ ლოგიკურის გადაქცევა მოხდა ონტოლოგიურ სინამდვილედ. პალაგი უარყოფს ჰუსერლის დებულებას რეალურისა და იდეალურის გათიშვის შესახებ. ეს დაპირისპირება მოგს აკმაყოფილებს და თვითონაც მათი დაახლოების, კორელატური ურთიერთობის მომხრეა. მაგრამ ურთიერთობის დამყარების საშუალება. მის მიერ წაომოდგენილი, არ არის უფრო ადამედო, ვიდრე პალაგისეული. თუ მოგი მართალია იმაში, რომ ლოგიკურისა და იდეალურის ფსიქოლოგიზაცია და ემპირიზაცია დაუშვებელია, არ არის მართალიც, როცა არსებითად ფსიქოლოგიურისა და ემპირიულის ლოგიზაციასა და იდეალიზაციას ახდენს[42] რეალურის გადაქცევა იდეალურად იმავე წონის შეცდომაა, როგო-

---

[39] ვ. მ ო გ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 260.

[40] იქვე.

[41] «Prinzipiell ist das Logische nicht empirisch und das Empirische, für sich genommen, nicht logisch...» მოგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 259.

[42] «...ist das Empirische selbst unbestimmter Inhalt, und es ist bei allem Bestimmten ein Unbestimmtes, Noch—nicht—logisches vorhanden», W. Moog, Logik, Psychologie, Psychologismus, 1919. გვ. 264.

«...sowohl der Logiker, als auch der Psychologe stets mit der Hinlenkung einer psychischen Tätigkeit auf eine psychische Tätigkeit beschäftig sind»... M. Palágyi, Der Streit der Psychologisten und Formalisten in der modernen Logik, 1902. გვ. 66.

რიცაა შეცდომა იდეალურის გადაქცევისა რეალურად. ყოველი მეცნიერება გამოყენებითი ონტოლოგიაა. როგორც ყოველი მათგანი გამოყენებითს ლოგიკას წარმოადგენს. არც შიშველი ონტოლოგიზმი და არც შიშველი ლოგიციზმი საქმის ნამდვილ ვითარებას ვერ გამოსახავს. აქედან დუალისტური ხასიათის დასკვნის გამოტანა მთლიანობის ცნების უგულებელყოფა იქნებოდა. მთელი სიმძიმე ამ საკითხში ამ ცნებამ უნდა იდოს თავის თავზე. ჩვენ ვერც ამ საკითხს შევეხებით აქ, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სადაც მთლიანობა ამიერიდან უნდა დამყარდეს უკვე არსებულ ინსტანციათა შორის, იქ ნამდვილ მთლიანობაზე ლაპარაკი უსაფუძვლოა. თუ რომელიმე ინსტანციას შეუძლია ერთ რომელიმე მომენტში იარსებოს, იყოს მეორე ინსტანციისგან განხოლოებულად, ვერასოდეს ამ ინსტანციების კავშირი იმ სახეს ვერ მიიღებს, რაც მთლიანობას გაამართლებდა. ნატორპიცა და ჰუსერლიც აქ იდეალურისა და რეალურის, არსობრივისა და ფაქტობრივის კორელაციაზე ლაპარაკობენ. მაგრამ ამ ავტორების ფუძისეული მოსაზრებები ნამდვილ კორელაციას ვერ დაადგენენ, ვერ დაასაბუთებენ. აქ არსებითად ლაპარაკია კორელაციის წარმოდგენის ფსიქოლოგიურ ან, უკეთეს შემთხვევაში, ფორმალ-ლოგიკური კორელაციის აუცილებლობაზე და არა ისეთ კორელაციაზე, რომელიც საჭიროა საქმისათვის. კორელაციის (წარმოდგენის) აუცილებლობა და აუცილებლობითი კორელაცია სხვადასხვაა. იდეალურისა და რეალურის, ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის კორელაცია აუცილებლობის ფუნქციაა და არა პირიქით. განსაზღვრებადი, როგორც ასეთი, განსაზღვრულია. თუ ის შემეცნების სუბიექტურ მხარეს ასახავს, თუ ის სუბიექტის მდგომარეობაა მხოლოდ, მისი გამოყენება ჩვენი პრობლემისათვის საერთოდ უაზრობაა. საკითხი ეხება საგანთა ობიექტურ ვითარებას და არა სუბიექტის ინტელექტუალურ მდგომარეობას, მის შემეცნებით პროცესს.

სავსებით სამართლიანად აღნიშნავს მოგი, რომ ლოგიკურის დადგენა ფსიქოლოგიაში თითქმის არავის უცდია, თუმცა ეს უაღრესად მნიშვნელოვანია: ამაზე არის დამოკიდებული კონსტიტუცია ფსიქოლოგიისა როგორც მეცნიერების. მაგრამ, თუ ფსიქოლოგიური მეცნიერების კონსტიტუცია ამით დასრულებულად მივიჩნიეთ, ფსიქოლოგია ამოვა რეალურ მეცნიერებათა რიგიდან და ძალაუნებურად გახდება ლოგიკის და (სხვა მეცნიერების) მეტოქე, ფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიისათვის სასიცოცხლო აუცილებლობად გადაიქცევა. ფსიქიკის ლოგოსი მეცნიერული დამხმარე მომენტია ფსიქოლოგიისათვის, იგი საშუალებაა ფსიქიკის შემეცნებისათვის. ფსიქოლო-

გიის ამოცანა არ არის ფსიქიკის ლოგიზაცია და არც მისი იმპრესიონიზაცია. ფსიქიკას თვითონ აქვს შემეცნებამდე იმდენი ლოგიკური, რამდენიც საჭიროა მისი შემეცნებისათვის და იმდენი რეალობა-ეგზისტენციალობა, რამდენიც საჭიროა ფსიქოლოგიის რეალურ მეცნიერებად დადგენისათვის. ფსიქიკის შემეცნებამ ის უნდა ასახოს, რაც არის ფსიქიკაში. ფსიქოლოგიური მეცნიერებისათვის ეს სავსებით საკმარისია, არც სხვა მეცნიერებიდან და არც სხვა სინამდვილიდან მეცნიერულობის სესხება არაა საჭირო და არც შესაძლებელი.

ამგვარად: ფსიქოლოგიზმი სუბიექტივიზმია და მის წინააღმდეგ ბრძოლა. მეცნიერების ყოფნა-არყოფნისათვის ბრძოლაა. ფსიქოლოგიზმი და მეცნიერული შემეცნება შეუთავსებელია ერთმანეთთან. კერძოდ, ფსიქოლოგიზმი ლოგიკაში არის ლოგიკის დამახინჯება, გადაგვარება. ფსიქოლოგისტური ლოგიკა შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი ცნებაა. იგი მოკლებულია საფუძვლიანობას და სრულიად უვარგისია დასაბუთების ხელმძღვანელობისთვის.

ფსიქოლოგიზმის საფრთხიდან (თეორიულად) არც ერთი მეცნიერება არ არის დაზღვეული, მაგრამ ყველაზე მეტად ამ მანკისგან ზიანი მიადგა ლოგიკას. ამჟამად საერთოდ ცნობილია, რომ ამ საქმეში უმთავრესი ბრალი მიუძღვის აზროვნების ცნების მრავალმნიშვნელობას, ამ მნიშვნელობათა სათანადოდ გაუთიშობას. როცა ლოგიკისა და ფსიქოლოგიის საგანი (ნაწილობრივ) ერთ მოვლენად, ერთ პროცესად ცხადდება, ფსიქოლოგიზმიდან თავის დაღწევა უკანა რიცხვით მიღებული ღონისძიებით შეუძლებელია.

ფსიქოლოგიზმი ისევე საზიანოა ფსიქოლოგიისათვის, როგორც ლოგიკისათვის. ის ფაქტი, რომ ფსიქოლოგიზმზე ფსიქოლოგიაში არ ყოფილა დღემდე გამახვილებული ყურადღება, იმით აიხსნება, რომ საფუძვლიანად არ ყოფილა შესწავლილი ფსიქოლოგიის გნოსეოლოგია, ფსიქიკის შესწავლის მეთოდოლოგია. ლოგიკური მომენტის დაცვა, მისი სიწმინდისათვის ზრუნვა ფსიქოლოგიაშიც, როგორც სხვა მეცნიერებაში, უპირველესი გნოსეოლოგიური ამოცანაა. ლოგიკურობის შერყვნა მეცნიერულობის შერყვნაა. რამდენადაც ეს ითქმის ყოველ მეცნიერებაზე, ერთ-ერთ ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპად უნდა მივიჩნიოთ ლენინის დებულება, რომ ყოველი მეცნიერება არის გამოყენებითი ლოგიკა. ამ დებულების უგულებელყოფამ წარმოქმნა ფსიქოლოგიური სენსუალიზმი, რომელიც ფსიქოლოგიური ფსიქოლოგიზმის გამოვლინებას წარმოადგენს. ემპირიული ფსიქოლოგიის მანკიერების დასაძლევად არაა საკმარისი ფსიქიკის შინაარსის ახალი მონაცემებით შევსება (არათვალსაჩინო მო-

შენტები ფსიქიკაში. გეშტალტები, სტრუქტურულ-მთლიანობითი ხასიათი და ა. შ.). პირველ რიგში ფსიქოლოგიის მეთოდოლოგია უნდა განიკურნოს იმპრესიონიზმის სენიდან და შეიცვალოს იგი გარკვეულობისადმი მიმართული ლოგიკური თვალსაზრისით. ეს მოგვცემს ფსიქოლოგიური სკეპტიციზმისა და ნიჰილიზმის დაძლევის საშუალებას. იმის რწმენას, რომ კანონზომიერების ძებნა ფსიქიკურ სინამდვილეში არ შეიძლება უშედეგო იყოს.

ფსიქოლოგიზმის დაძლევის ერთ-ერთი პირობაა ცნობიერებისა და განცდის ფუნქციონალური განსხვავების დადგენა. სანამ ეს ამოცანა არაა გადაჭრილი, მანამ ლოგიკურის შემეცნება და, მაშასადამე, მისი გათიშვა ფსიქიკურიდან შეუძლებელია.

არსებობს ფსიქოლოგიზმის სხვადასხვა სახეობა. ისინი თანაბრად საზიანოა მეცნიერებისათვის, თუმცა მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები სხვადასხვაა. იგივე არ ითქმის ლოგიციზმის შესახებ. ლოგიციზმის შინაარსი არსებითად ყველგან არის ერთი: ეს არის რეალობის, ყოფიერების თავისებურების უგულებელყოფა, ლოგიკური კანონზომიერების გამოცხადება ერთადერთ კანონზომიერებად. ლოგიკის დამოუკიდებლობა ეგზისტენციალური დასაბუთებიდან არ ნიშნავს ეგზისტენციალურის გათქვეფას ლოგიკურში, რეალობის ლოგიზაციას. არსებობენ ისეთი კანონებიც, რომელნიც მოგვითხრობენ ისეთ ვითარებაზე, რომელსაც ლოგიკა სინათლეს ვერ მოჰფენს, საზრისიანად ვერ წარმოიდგენს. ეგზისტენციალურს თავისი უფლებები აქვს. მას ლოგიკა ვერ დაისაკუთრებს.

არც ლოგიციზმი და არც ეგზისტენციონალიზმი. აი სწორი მეთოდოლოგიური მიმართულება. ლოგიკურისა და ეგზისტენციონალურის ერთიანობა ნაწარმოები ფაქტი კი არ არის, არამედ პირველადი მდგომარეობაა. ეგზისტენციალობა (არასპეციფიკური მნიშვნელობით) ახასიათებს ე. წ. იდეალურსაც. ამდენად შეგვიძლია ვთქვათ: ყოველგვარი მეცნიერება შეიძლება განიხილოს, როგორც გამოყენებითი ონტოლოგია. ორგვარი კანონზომიერება, ლოგიკური და ონტოლოგიური. მხოლოდ იმას ეჩვენება დუალიზმად, ვინც მათ მორიგებას ხედავს ერთ-ერთის დაყვანაში მეორეზე. ჭეშმარიტი კორელატივიზმი ერთიანობას არ გამორიცხავს. არამედ გულისხმობს თავის საფუძველში.

II. ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი სიტყვის მნიშვნელობის თეორიაში

შესავალი

ლოგიკა ფსიქოლოგიზმის დაძლევის ძირითადი საშუალებაა. ლოგიკურის ცნების ადეკვატური გაგება არის ლოგიკის დამოუკიდებლობის აუცილებელი წანამძღვარი. მეცნიერების დასაბუთების პირველი პირობა არის ლოგიკის დასაბუთებულობა სხვა მეცნიერებათაგან დამოუკიდებლად. ყოველი ნაკლი და ხარვეზი ლოგიკის დასაბუთებულობაში აუცილებლად და უკლებლივ ვრცელდება სხვა მეცნიერებაზე. ლოგიკა თვითონ უნდა იყოს ლოგიკურად უნაკლო, რათა მან წარმატებით შეასრულოს მეცნიერებათა სისტემის აგებაში ფუძემდებლობის ფუნქცია. რადგან „მეცნიერება გამოყენებითი ლოგიკაა". ლოგიკის მეცნიერულ სიმტკიცეზე იქნება დამოკიდებული მეცნიერების ბედი. პირველ რიგში. მაშასადამე. ლოგიკის თვის ზრუნვა გვმართებს: ის დაცული უნდა იყოს ყოველგვარი ჰეტეროგენული ელემენტისაგან. ამ გაგებით „წმინდა ლოგიკის" ცნება გამართლებულია. ამ ცნების რეალიზაციას ემყარება ლოგიკის დაცვა ფსიქოლოგიზმიდან. „ფსიქოლოგიზმმა" იმდენად სრულად და დამაჯერებლად გამოხატა ის საფრთხე, რომელიც ლოგიკას წახდენით ემუქრება, რომ ფაქტიურად ამ ტერმინმა იკისრა ისეთი ოდიოზური ცნებების წარმომადგენლობა, როგორიცაა ანთროპომორფიზმი, ფიზიოლოგიზმი, ბიოლოგიზმი, ისტორიზმი და სხვა ამგვარი. „ფსიქოლოგიზმი" ალოგიურობის გამომსახველად გვეელინება და ეს ამ შემთხვევაში მიზანშეწონილად შეიძლება ჩავთვალოთ: ლოგიკის გაყალბება ალოგიურის მასთან „შერევა"-ს უნდა მიეწეროს. ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ამგვარად, ლოგიკურობის დაცვის ფართო ამოცანად უნდა ვიაზროთ, სადაც საკუთრივ ფსიქოლოგიიდან მომდინარე ზიანი მხოლოდ ერთ-ერთ მომენტს წარმოადგენს.

ფსიქოლოგიზმით არის დაავადებული არა მარტო ლოგიკური შინაარსი, არამედ ის (ტექნიკური) იარაღიც. რომელმაც ეს შინაარსი სოციალურ ფაქტად, კულტურის კუთვნილებად უნდა აქციოს. ეს იარაღი არის ენა, რომელმაც ლოგიკურთან ერთად ალოგიურიც შეიწოვა და ამ გზით ხელი შეუწყო იმ ალრევას. რომელიც ფსიქოლოგიზმის სახით გამოვლინდა. ეს გარემოება დიდი ხნის წინ იქნა შემჩნეული და სათანადო ღონისძიებაც იქნა დასახული. საერთო სახელი ამ ღონისძიებისა არის „ენის კრიტიკა" შემეცნების კრიტიკამ სიტყ-

ვის კრიტიკა მოითხოვა და სათანადო გაძოკვლევამ მტკიცედ დაიჭირა ადგილი ლოგიკის შესავალში ან მის პირველ რიგში. ჩვენი საკითხი— სიტყვის მნიშვნელობის რაობისა, ამგვარი გამოკვლევის სფეროს ეკუთვნის, მის ერთ-ერთ მომენტს შეადგენს.

როდესაც სიტყვაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან შემდეგი საყურადღებო გარემოება: სიტყვას უსათუოდ აქვს ერთი ძირითადი დანიშნულება, მაგრამ ყოველთვის არ არის იგი გაცნობიერებული და, რაც მთავარია, პრაქტიკული გამოყენების დროს ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა სიტყვა იხმარება არა თავისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ, არამედ, პირველ რიგში, რომელიმე სხვა ფუნქციისათვის, რომელიც სიტყვის ძირითად ამოცანასთან შედარებით სრულიად უმნიშვნელოა. სიტყვა რომ მაინც ამ შემთხვევაშიაც თავის ძირითად ფუნქციას სავსებით მაინც არ კარგავს, ამის მიზეზი ის კონკრეტული სიტუაციაა, რომელიც სიტყვის გარკვეული შინაარსის გადაცემას უზრუნველყოფს. სიტყვის (ენის) ობიექტური ბუნება იმაშიც გამოვლინდება, რომ ის, როგორც კულტურის ფაქტი, ინდივიდის წინაშე წამოჭრილ მოთხოვნილებას კი არ ემსახურება, არამედ ობიექტური ღირებულების მქონე საქმეს. მართალია, პრაქტიკის ადამიანი ყოველგვარ ღირებულებას უტილიზაციის თვალსაზრისით უყურებს და მას უფლებაც აქვს ამისი, მაგრამ მკვლევარისათვის მოვლენის თავისთავადობაა საძიებელი ამოცანა. როგორც რომელიმე მათემატიკური ფორმულა ან მუსიკალური სიმფონია არ დაფასდება იმის მიხედვით, თუ როგორ არიან ისინი გამოყენებული ამა თუ იმ პირის მიერ, ისე სიტყვაც არ შეიძლება იმისდამიხედვით ვიკვლიოთ, თუ რა გამოყენება აქვს მას შემთხვევით რომელიმე ინდივიდის ხელში. სიტყვას, როგორც ყოველგვარ მოვლენას, ემპირიულად მრავალი განზომილება და, მაშასადამე, გამოყენებაც აქვს. მაგრამ მისი არსი ყოველთვის ერთია და საძიებელიც, პირველ რიგში, სწორედ ეს არის. ამ თვალსაზრისითაც უნდა განიხილოს სიტყვის კვლევის ისტორია. ყოველთვის ერთი და იგივე „სიტყვაში" არ იგულისხმებოდა და ამიტომ კვლევის პროგრესის დაფასება ამ ცნების დაზუსტების ხარისხსაც უნდა უწევდეს ანგარიშს. რადგანაც განვითარებაში მყოფი მოვლენა თავის ბუნებას ყოველთვის აშკარად არ გამოავლენს, საჭიროა იმ მომენტის დადგენა, როცა მოვლენის არსებითი ნიშანი მაქსიმალური (ემპირიულად) სიცხადით გვეძლევა. მაგალითად, ფსიქოლოგი ამა თუ იმ განცდის არსის გასაგებად ამ განცდას იმ მომენტში აკვირდება, როცა მისი განვითარება კულმინაციურ წერტილს აღწევს. სიტყვის შესასწავლად ოპტიმალური პი-

რობა მისი მეცნიერული მიზნებისათვის გამოყენების მომენტშია მოცემული. აქ სუბიექტის პირადი ინტერესები მოხსნილია და სიტყვა პიროვნების გამოვლინების შთაბეჭდილებას კარგავს. შესაძლებელია რომ სიტყვა პრაქტიკულ და სუბიექტურ ამოცანების საფუძველზე აღმოცენებულიყო და ამ ამოცანებს ემსახურებოდეს პირველ რიგში, მაგრამ წარმოშობის მიხედვით ვის აქვს უფლება წარმოშობილი მოვლენის ღირებულება შეაფასოს? მართალია, მოვლენის წარმომშობის ისტორიის და მისი გამომწვევი ფაქტორების ცოდნას აქვს მნიშვნელობა არა მარტო „ფსიქოლოგიურად", ე. ი. არა მარტო ადამიანის განვითარების გაგებისათვის, არამედ აგრეთვე თვით ძირითადი პრობლემის კვლევის დროსაც. მაგრამ ეს ყველაფერი ემპირიულ-ფსიქოლოგიური საშუალებებია კვლევისათვის და არა ლოგიკური საფუძვლები. კრიტიცისტული თვალსაზრისი აქ უდაო ჭეშმარიტებად უნდა შევიჩნიოთ.

სიტყვა მრავალგანზომილებიანია და. მაშასადამე, მისი განხილვა სხვადასხვა თვალსაზრისით უნდა მოხდეს. რასაკვირველია. დასრულებული სისტემის შექმნის თვალსაზრისით აუცილებელია წინასწარ იყოს ცნობილი ყოველი შესაძლებელი საკითხი. რომელიც სიტყვის მიმართ უნდა დადგეს. აუცილებლობა აღნიშნულ საკითხთა ნუსხის წინასწარი ცოდნისა სისტემატური ამოცანიდან გამომდინარეობს: მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ თეორიის (სისტემის) სრულყოფილებაში, როდესაც გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მოვლენა ყოველმხრივ არის განხილული და არც ერთი პრობლემა საკვლევი ობიექტის შესახებ არ არის გამორჩენილი მხედველობიდან. რამდენადაც თეორიის სრულყოფისათვის აღნიშნული მოთხოვნილება არ შეიძლება იწვევდეს დავას. იმდენადვე აუცილებელია ამ ამოცანის გადაჭრის შესაძლებლობის საკითხმა პრინციპული ხასიათის უთანხმოებას მისცეს დასაბამი. პრინციპულის-თქო, ვამბობთ, იმიტომ, რომ აქაც თავს იჩენს ის შეურიგებელი უთანხმოება, რომელიც აპრიორულ და აპოსტერიორულ მიმდინარეობებთან არის დაკავშირებული. სამწუხაროდ. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი მოსაზრება ამ საკითხზე აქ წარმოვადგინოთ. აღვნიშნავთ მხოლოდ. რომ დღემდე ცნობილი შემთხვევითი ხასიათის ცდები ამ საკითხის დადებითად (ე. ი. აპრიორულად) გადაჭრის შესახებ არ მიგვაჩნია დამაკმაყოფილებლად. ჩვენ ძაინც გადავდივართ სიტყვის პრობლემატიკის ერთ-ერთ მომენტზე იმ საბუთით. რომ არა გვაქვს პრეტენზია სიტყვის სრულყოფილი (ყოველმხრივი) თეორია მივაწოდოთ მკითხველს.

სიტყვის პრობლემატიკაში განსაკუთრებით დაუმუშავებელია ონტოლოგიური პრობლემა, რომელიც მხოლოდ ახლოხან იყო საერთოდ შემჩნეული. ჩვენი საკითხის (და აგრეთვე სიტყვის სხვა პრობლემების) გადაჭრას ეს გარემოება განსაკუთრებით აძნელებს და უნდა ვიფიქროთ, რომ ონტოლოგიური პრობლემის ასე თუ ისე გადაჭრა თავის გავლენას მოახდენს ჩვენი საკითხის გადაჭრაზედაც.

როგორ უნდა გავიგოთ „სიტყვის მნიშვნელობის პრობლემა"? როგორც საკითხის ფორმიდან ჩანს, საძიებელი აქ არის არა ასე ვთქვათ, სიტყვა თვითონ (ეს საკითხის ონტოლოგიური დაყენება იქნებოდა), არამედ ის, რაც მის შინაარსს, მის მნიშვნელობას წარმოადგენს. მაშასადამე, აქ თავიდანვე სიტყვა ისეთ განზომილებაშია მოქცეული, რომ თვითონ კი არ გვევლინება ონტიურ არსად, არამედ მხოლოდ დამოკიდებულ მიმართებაში იმყოფება რომელიღაც ონტიურ არსთან. რასაკვირველია, აქ ნაგულისხმევი მიმართება ისეთია, რომ მისი ობიექტი, როგორიც არ უნდა იყოს მისი სპეციფიკა, მაინც ონტიურ არსად იგულისხმება. გამოსარკვევი ეს სპეციფიკა მხოლოდ, მაგრამ უაღრესად საყურადღებოა მუდამ მხედველობაში გვქონდეს ის გარემოება, რომ აქ საძიებელი სპეციფიკა ყოველთვის ონტიურ არსის სპეციფიკაა, თუნდ თავისთავად, როცა ის სიტყვის მიმართების საგანს არ შეადგენს. არც იყოს ონტიური არსი (მაგ., იყოს სიმბოლო).

„მნიშვნელობას" რამდენიმე მნიშვნელობა აქვს[13]. ჩვენ ვეხებით მის იმ მნიშვნელობას, რომელიც სიტყვის „შინაარსს", მის მიერ „აღნიშნულ", „ნაგულისხმევ" ობიექტს (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) ეხება.

„სიტყვის" მნიშვნელობაც განმარტებას საჭიროებს. აქ იგი ისეთი აზრით იხმარება, რომელიც შეიცავს როგორც წინადადებას, ისე მთლიანად „ენას", „მეტყველებას". სიტყვის მნიშვნელობის პრობლემა იგივეა, რაც მეტყველების პრობლემა; რასაც „აღნიშნავს" სიტყვა, იმასვე აღნიშნავს საერთოდ ენაც. ჩვენ სიტყვაზე ვლაპარა-

---

[13] შპეტი რუსული ენისათვის რამდენიმე მნიშვნელობას ასახელებს. თუმცა „მნიშვნელობის" ამომწურავად ეს მნიშვნელობანი მას არ მიაჩნია. მის მიერ დასახელებული მნიშვნელობანი „მნიშვნელობისა" შემდეგია: 1. „важность" („это для меня имеет значение"), 2. „роль" (его значение в этом деле второстепенно"), 3. „ценность" („значение этой работы преувеличено"), 4. „действительность") в смысле нем. Gultigkeit — „эта бумага потеряла свое значение"), 5. „равнозначность" („профессиональный билет имеет значение удостоверения личности"), 6. „сила" („это не имеет юридического значения") და სხვ. Шпет, Внутренняя форма слова, 1927, გვ. 75.

კობთ, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ მნიშვნელობის სემასიოლოგიური საკითხის გარჩევა სიტყვასთან დაკავშირებით უკვე ტრადიციად იქცა.

ჩვენი პრობლემა უფრო ნათელი გახდება, როცა სიტყვის სტრუქტურას წინასწარ გავეცნობით ზოგადად მაინც.

სენსუალიზმის საფუძველზე მდგომი აზროვნება სიტყვაში მარტივ შედგენილობას გულისხმობდა. ხშირ შემთხვევაში აქ ასახელებდნენ ბგერათა კომპლექსს, წარმოდგენას ანუ იდეას და საგანს. რომლის წარმოდგენაც ზოგჯერ თვით სიტყვის მნიშვნელობად ცხადდებოდა. მეოცე საუკუნეში ამ საკითხს საგანგებო ყურადღება მიაქციეს ე. ჰუსერლმა და ჰ. გომპერცმა. ჰუსერლის აზრით. სიტყვის სტრუქტურაში ოთხი მომენტი უნდა გავარჩიოთ: 1. ფიზიკური, 2. ფსიქიკური (Kundgabe), 3. მნიშვნელობა და 4. დასახელება[44]. რამდენადმე ემსგავსება ამას გომპერცის აზრი. გამოთქმაში (Aussage) ის განასხვავებს სამ ძირითად და ორ სეკუნდარულ მომენტს. ძირითადია: ა) გამოთქმის ბგერა (Aussagelaute), ბ) გამოთქმის შინაარსი (Aussageinhalt), გ) გამოთქმის საფუძველი (Aussagegrundlage), ხოლო სეკუნდარულში ნაგულისხმევია: დ) თვითონ გამოთქმა (Aussage selbst) და ე) გამოთქმული საქმის ვითარება (ausgesagte Sachverhalt)[45].

განსხვავება ამ ორ ავტორს შორის ამ საკითხშიდაც საგრძნობია. უთანხმოების შერიგებას ვერ ვიკისრებთ მით უმეტეს. რომ ჩვენი პრობლემისათვის ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ის, რასაც ჩვენ ვეძებთ სიტყვის სტრუქტურაში, ორივე მკვლევარის მიერ გარკვევით არის აღნიშნული როგორც მეტყველების ძირითადი მომენტი. მართალია, ჩვენი გამოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნა გომპერცის ტერმინოლოგიის შეცვლას (ამაზე ქვემოთ) მოითხოვს, მაგრამ ეს ამთავად აუცილებლობას არ წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ჩვენთვის ის, რომ გომპერცი გამოთქმის შინაარსს (Aussageinhalt) მკაცრად განასხვავებს როგორც გამოთქმის საფუძვლიდან (Aussagegrundlage), ისე გამოთქმის ბგერისგან (Aussagelaute) და მის პრობლემას განცალკევებულად წარმოგვიდგენს. ამის მიუხედავად, გომპერცის მიერ საკითხის დაყენება არ ემთხვევა ჩვენსას. პირველი სემასიოლოგიური პრობლემა, მისი აზრით. არის შემდეგი: რო-

---

44 E. Husserl, Logische Untersuch., Bd., II, Teil, 1, 1928, გვ. 33.

45 H. Gomperz, Weltanschauungslehre, Bd. II, Noologie, გვ. 78

ვინ არის მოცემული ცნობიერებაში გამოთქმის შინაარსი. როცა ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ის არც აღქმით და არც წარმოდგენით არ არის პრეზენტირებული? ჩვენ პირველ რიგში გვაინტერესებს არა სიტყვის (გამოთქმის) შინაარსის პრეზენტაცია ცნობიერებაში, არამედ თვით ამ შინაარსის ონტიური ბუნება, მისი ყოფადობის ფორმა. გომპერცისათვის ჩვენი საკითხი, რასაკვირველია, უცხო არ არის და გულმოდგინედაც არჩევს იგი მას, მაგრამ მისი საკითხის დაყენება ისეთია, რომ ზოგი ძირითადი რამ უკვე გადაჭრილად იგულისხმება სიტყვის შინაარსის ბუნების შესახებ. მართლაც და, საკითხის დაყენება — როგორი ფსიქოლოგიური საშუალებებით არის მოცემული სიტყვის შინაარსი ცნობიერებაში — გულისხმობს იმას, რომ ცნობიერება და მეტყველების შინაარსი „არსებობენ“ ცალ-ცალკე დროში და უნდა მოხდეს ერთგვარი შუამავლობის აქტი, რომ გამოთქმის შინაარსის „რეალიზაცია“ შესაძლებელი გახდეს. ეს გულისხმობს იმას, რომ გამოთქმის შინაარსი წინასწარ განსაზღვრულად იგულისხმება: ის შეიძლება მხოლოდ ისეთი იყოს, რომელიც ფსიქიკური მოვლენით წარმოდგება ცნობიერების წინაშე. მაგრამ საკითხი შეიძლება იმასაც ეხებოდეს, თუ რამდენად არის აუცილებელი ყველაფერი, რაც კი გამოთქმის შინაარსია, ფსიქიკურად იყოს წარმოდგენილი. საკითხი, — არსებობს თუ არა ცნობიერებასა და გამოთქმის შინაარს შორის უშუალო დამოკიდებულება, გომპერცის მიერ საკითხის დაყენებით იმთავითვე გამორიცხულია. ამიტომ მისი თვალსაზრისი მხოლოდ ფსიქოლოგიურ ამოცანას ემსახურება და ამ მხრივ იგი უნაკლოა. მაგრამ სემასიოლოგიური პრობლემა მაინც კანონიერ პრობლემად (და ღია პრობლემად) დარჩება, თუ აღმოჩნდება, რომ ზოგი გამოთქმის შინაარსი მაინც, საერთოდ, მოკლებულია ფსიქოლოგიურ პრეზენტანტს. ამ უკანასკნელზე საკითხი დგება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ცნობიერებისათვის საპრეზენტაციო ობიექტი მოცემულია. როგორ შეიძლება პრიმარულის არსებობის და ბუნების საკითხი სეკუნდარულზე იყოს დამოკიდებული? რადგანაც სიტყვის შინაარსის არსებობა ფაქტია, დაუშვებელია საკითხის ისე დაყენება, რომელიც რაიმე მხრით მის ბუნების წინასწარ დადგენას გვავალებს; რადგანაც შემეცნების ამოცანა დგას ჩვენს წინაშე, შეუძლებელია ყოველგვარი შემეცნების პირობას — სიტყვის მნიშვნელობას — თავს მოვახვიოთ გარეშე ინსტანციის (ამ შემთხვევაში — ფსიქიკურის) რომელიმე მოთხოვნა შემეცნების სამსახურის მოტივით. სიტყვის სტრუქტურის ანალიზი არ გამორიცხავს არც ერთი კანონიერი საკითხის დაყენებას, მაგრამ თუ რას მი-

ვაქციოთ ამა თუ იმ შემთხვევაში ყურადღება, ეს სავსებით ჩვენი ამოცანიდან გამომდინარეობს. სიტყვის სტრუქტურა აქ მხოლოდ ორიენტაციის საშუალებას გვაძლევს.

ჩვენი საკითხის დაყენება სიტყვის მიმართებაში აღებას მოასწავებს. წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რის მიმართებაზეა აქ ლაპარაკი რასთან, რა არის ნაგულისხმევი სიტყვაში, გამოთქმაში და როგორ არის წინასწარ ნაგულისხმევი „მისი შინაარსის" მნიშვნელობა?

„სიტყვაში", როდესაც იგი „მისი შინაარსის" მიმართ დაპირისპირებაშია აღებული, შეიძლება იგულისხმებოდეს ე. წ. ბგერათა კომპლექსი და საძიებელი იყოს ის, რაც ამ კომპლექსით „აღინიშნება". საქმის ვითარებას ვერ შეცვლის იმის თქმა, რომ სიტყვა მხოლოდ მაშინ არის სიტყვა, როცა მას შინაარსიც აქვს და. მაშასადამე, ცარიელ ბგერათა კომპლექსის მიმართება რომელიმე მოვლენისადმი არ არის სიტყვის მიმართების პრობლემა. რა თქმა უნდა, ბგერათა კომპლექსი მხოლოდ მნიშვნელობის აქტის წყალობით იქცევა სიტყვად, მაგრამ არც თვით მნიშვნელობას და არც მნიშვნელობის აქტს (Bedeuten) სიტყვას არავინ ეძახის. არც შეიძლება მნიშვნელობის აქტს (მით უმეტეს თვით მნიშვნელობას) ეწოდოს სიტყვა, რადგან პირველი არსებითად სუბიექტურია და შეიძლება. თავისთავად აღებული, პიროვნების თვითნებითობას არ აღუდგეს წინ, ხოლო მეორე თავისი არსით ობიექტურია და ამდენად პიროვნებისათვის ობიექტური მოთხოვნების სუბიექტი. რასაკვირველია. „ბუნებრივად" ჩვენ ბგერათა კომპლექსთან სიტყვის შემთხვევაში გარკვეული შინაარსიც გვეძლევა, მაგრამ რადგან ეს ორი მომენტი მაინც არის, საკითხი დგება მათ მიმართების შესახებ. აქ შეიძლება აბსტრაქციაზე ვილაპარაკოთ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აბსტრაქცია აქ ბუნებრივად მოცემული მთლიანის ანალიზს არ ისახავს მიზნად, არამედ „ხელოვნურად" შექმნილ მთლიანობას შლის და შემადგენელ მომენტებს ცალკე წარმოგვიდგენს. მით უმეტეს კანონიერია მარტო ბგერათა კომპლექსზე ვილაპარაკოთ და მისი მიმართების ობიექტის სპეციფიკა ვეძებოთ.

არ არის ზედმეტი იმის აღნიშვნა, რომ „სიტყვაში" (მისი შინაარსიდან აბსტრაქციის შემდეგ) ყველა ერთსა და იმავეს არ გულისხმობს. ზოგი მკვლევარი წმინდა არტიკულაციის ფაქტს მუნჯებში ეძებს (ვ. ჰუმბოლტი), რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სიტყვის მატერიალური მხარის შედგენილობა მარტო ოპტიკური და აკუსტიკური გრძნობადი მონაცემებით არ შემოიფარგლება. ჩვენ ამას დავუმატებთ წარმოდგენილ. სახით არსებულ დანაწევრებულ ბგერასაც და, ამგვარად,

სიტყვის ცნებას კიდევ უფრო ვაფართოებთ. შინაგანი მეტყველება სიტყვას შეიცავს არა მარტო იმიტომ, რომ აქ მოტორული პროცესების მეტ-ნაკლებ გამოვლინებასთან გვაქვს საქმე, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ აქ წარმოდგენილია სიტყვის გრძნობადი მხარე[46].

როდესაც სიტყვის (ბგერათა კომპლექსის) შინაარსზეა ლაპარაკი, ერთი გაუგებრობაა მოსალოდნელი. შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ ბგერათა კომპლექსი წარმოადგენს ერთგვარ ცარიელ ფორმას, რომლის შინაარსიც, ცალკე აღებული, უფორმო მასალას წარმოადგენს. არა, ბგერათა კომპლექსი თავისთავად შინაარსს არ არის მოკლებული არც მაშინ, როცა მას ვუყურებთ არა როგორც ფიზიკურ მოვლენას, არამედ როგორც ნოეტური შინაარსიდან განცალკევებულ გრძნობად მოცემულობას. ბგერათა კომპლექსს, მაშასადამე, გარდა იმ შინაარსისა, რომლის ბუნების გარკვევასაც ჩვენ ვცდილობთ, კიდევ ჰქონია ორი სხვა შინაარსი (ფიზიკური და ფსიქიკური). განსხვავებით იმ შინაარსიდან, რომელიც ბგერათა კომპლექსს აქვს მის (გარეთ) მიმართების განზომილებაში, ამ შინაარსებს შეიძლება იმანენტური შინაარსი ვუწოდოთ, ხოლო პირველი სახის შინაარსს — პირობით ტრანსცენდენტური. ეს უკანასკნელი, თავისთავად აღებული, არ არის ფორმას მოკლებული და არც არის ბგერითი ფორმა მისთვის საარსებო აუცილებლობა. თუ სიტყვას (ბგერათა კომპლექსს) ტრანსბგერითი შინაარსისაკენ აქვს ინტენცია და ამის გარეშე მისი გაგება შეუძლებელია, თვით ამ შინაარსს არავითარი მიმართულება არა აქვს ბგერათა კომპლექსისადმი, ის სავსებით ინდიფერენტულია სიტყვიერი გაფორმების მიმართ[47]. რამდენადაც ეს ვითარება ჩვენ მოვლენათა არსობრივი ანალიზიდან გამოგვყავს, ჩვენთვის მოხსნილია საერთოდ საკითხი ორ ინდიფერენტულად განწყობილ მოვლენათა შორის არსებული კავშირის შესახებ: ტრანსცენდენტური შინაარსის ინდიფერენტულობა ბგერათა კომპლექსის მიმართ გადაულახავ პრობლემას მხოლოდ იმისათვის შეიძლება წარმოადგენდეს, ვინც ბგერათა კომპლექსში შემეცნების ძი-

---

[46] აქ მექანიკური კავშირის დაშვება არ არის აუცილებელი: ა) ჩვეულებრივ ინდივიდს ეს კავშირი ეძლევა, ბ) და განიცდება ისე, თითქოს იგი მართლა ბუნებრივი მთლიანი იყოს. შეად. Husserl-ის დასახელებული შრომა, გვ. 40.

[47] ჩვენთვის არ არის უცნობი ისეთი შეხედულება, რომელიც სრულიად განსხვავებულად წარმოიდგენს სიტყვის (ბგერათა კომპლექსის) როლს მის ტრანსცენდენტური შინაარსის (ჩვენი ტერმინოლოგიით) მიმართ და ამ შინაარსის დაჰოკიდებულებას სიტყვასთან, მაგრამ აქ ამ შეხედულებას ვერ გავარჩევთ. მკითხველი თვითონ მიხვდება იმას, თუ რა მოსაზრება მოგვეპოება აღნიშნული თვალსაზრისის წინააღმდეგ.

რითად პირობას ხედავს. კავშირი ტრანსცენდენტურ შინაარსსა და ბგერათა კომპლექსს შორის პირობითია (nomo და არა phisei); ამ კავშირის შესაძლებლობა ტრანსცენდენტური შინაარსის ცნობიერებაში მოცემულობას ემყარება.

ფიზიციზტური თეორია

სიტყვის მნიშვნელობა სიტყვის გარემდებარეა. მნიშვნელობის პრობლემა სიტყვაში მხოლოდ ამ წინამძღვარის საფუძველზე შეიძლება წამოიჭრას. სადაო შეიძლება იყოს არა აღნიშნული გარემდებარეობა მნიშვნელობისა სიტყვის მიმართ, არამედ მისი ბუნების ასეთი თუ ისეთი გაგება.

ყველაზე ადრე შეიძლება დაიბადოს აზრი, რომ სიტყვის მნიშვნელობა არის საგანი, ნივთი. სიტყვა არის რომელიმე რეალურად არსებული საგნის (ბუნებრივის თუ ხელოვნურის, სულ ერთია) სახელი, მის აღსანიშნავად ხმარებული თვალსაჩინო, გრძნობადი ნიშანი. აქ „საგანში", პირველ რიგში, ფიზიკური მოვლენა იგულისხმება. აზროვნება შინაგანის, ფსიქიკურის აღნიშვნის საკითხით ჯერ კიდევ არ არის დაინტერესებული. როგორც ფილოსოფიური აზროვნება პირველ რიგში ყურადღებას გარე სინამდვილეს აქცევს, ისე სიტყვის თეორიაც პირველ რიგში ნივთის ასპექტში ვითარდება. რელიგიური გადმოცემის მიხედვით, ადამს დავალებული ჰქონდა ედემში არსებული საგნებისათვის სახელები დაერქმია. ამით თითქოს საფუძველი ჩაეყარა პირველად ენას.

გ ო მ პ ე რ ც ი, რომელიც ასეთ შეხედულებას უკიდურეს ნომინალიზმს უწოდებს, შემდეგნაირად წარმოიდგენს მას: „გამოთქმას აქვს მხოლოდ 2 არსებითი ელემენტი: გამოთქმითი ბგერა (Aussagelaute) და გამოთქმის საფუძველი (Aussagegrundlage) და ამიტომ აგრეთვე მხოლოდ ერთი არსებითი რელაცია, აღნიშვნის რელაცია (Bezeichnung)". ყოველ ცნებაში უნდა გავარჩიოთ მხოლოდ ორი რამ: სახელი და საგანი. ერთი სახელი აღნიშნავს ბევრ საგანს; ერთი და იგივე საგანი აღნიშნულია მრავალი სახელით. პირველ შემთხვევას ვგულისხმობთ, როცა ცნებას ზოგადს ვეძახით, რადგან მხოლოდ სახელი არის ზოგადი; მეორეს ვგულისხმობთ მაშინ, როცა საგნის სხვადასხვა გაგებას ვაწარმოებთ, რადგან განსხვავებული მხოლოდ სახელებია"[48].

---

[48] H. G o m p e r z, Weltanchauungslehre, Bd. II, Noologie 1 Hälfte, 1908, ss. 190—191.

ფილოსოფიის ისტორიაში ჩვენ ვხვდებით ისეთ შეხედულებებს, რომელნიც სავსებით ამართლებენ გომპერცის მიერ მოცემულ დახასიათებას. ეპიკურის აზრით, არსებობს მხოლოდ ბგერა (Stimmlaut) და „ის, რაზედაც არის ლაპარაკი"—სწორი და არასწორი ბგერების პრედიკატები. Upavarsha-ს მიხედვით, გვიამბობენ, „მხოლოდ ასოები არიან სიტყვა", „სიტყვის საზრისის (Sinn) შემეცნება ეხება ასოებს". სიტყვა „ძროხა"-ს საზრისი შემეცნებულია, თუ მასში შემავალი ასოები ვიცით. როსცელინის აზრით, ის რასაც სახელი აღნიშნავს, არის საგანი; ერთი სახელი ერთ საგანს აღნიშნავს. მხოლოდ ეს მიმართება საგნისადმი აძლევს სახელს საზრისს. სიტყვებს, რომელნიც აღნიშნავენ ერთსა და იმავე საგნებს, აქვთ ერთი და იგივე საზრისი. გამოთქმები: „ცხენი" და „ცხენის ფერი", „სიბრძნე" და „სული"—ერთსა და იმავე საზრისს შეიცავენ. „რანი არიან სახელები? სახელწოდებანი საგნებისა, თუ ჩვენი იდეებისა საგანთა შესახებ? რომელი ამ შეხედულებათაგანი არის უფრო სწორი?"—კითხულობს ჯ. ს. მილი და უპასუხებს: „პირველი არის ჩვეულებრივი შეხედულება; უკანასკნელი ეკუთვნის ზოგიერთ მეტაფიზიკოსებს, რომელნიც ფიქრობენ, რომ ამ შეხედულების შემოღებით მნიშვნელოვან დისტინქციას ახდენენ". „...არსებობს საკმაო საფუძველი მივსდიოთ ჩვეულებრივ შეხედულებას და ჩავთვალოთ სიტყვა მზე მზის სახელწოდებად და არა ჩვენი იდეისა მზის შესახებ". „ამგვარად, სიტყვა უნდა მივიჩნიოთ იმის სახელწოდებად, რაც სიტყვაში უნდა გვესმოდეს, როცა ჩვენ მას ვხმარობთ, იმის სახელად, რაც ჩვენ გვაქვს მხედველობაში, როდესაც რამეზე ვლაპარაკობთ, ერთი სიტყვით, იმის სახელად. რომლის შესახებაც ჩვენ გვსურს ცნობის შეტყობინება, როცა ჩვენ ვსარგებლობთ ამა თუ იმ გამოსახულებით"[49].

ჯერ კიდევ აბელარმა (Abaelard) გაილაშქრა როსცელინის წინააღმდეგ და გარკვევით აღნიშნა, რომ ერთსა და იმავე საგანზე შეიძლება სხვადასხვა გამოთქმა არსებობდეს. სოკრატეს შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის არის სოკრატე, ადამიანი, სხეული და სუბსტანცია. თუმცა ეს განსხვავებული სახელები შეესატყვისებიან ერთსა და იმავე მოვლენას, საზრისი, რომელიც ამ სახელებში იგუ-

---

[49] Логика, გვ. 15—16.

ლისხმება, მაინც არ არის ერთი და იგივე[50]. როგორც არ ემთხვევა საზრისი ნივთს (Sache), ისე არ ემთხვევა იგი არც სახელს. სახელი არის მხოლოდ უბრალო ბგერათა კომპლექსი (Stimmlaut), რომელიც ყოველთვის ინდივიდუალურია და არავითარ შემთხვევაში ზოგადი. გარდა ამისა, არა აქვს არავითარი აზრი რომელიმე საგანზე ბგერათა კომპლექსის გამოთქმას. ეს იქნებოდა მოვლენის (Sache) გამოთქმა მოვლენაზე, რაც აბსურდია. ზოგადია არა ბგერათა კომპლექსი (Stimmlaut), არამედ მასთან დაკავშირებული საზრისი, resp. ამ საზრისით განსულიერებული ბგერათა კომპლექსი, მეტყველება (Sermo). გარდა ამისა, საზრისი არის რაღაც მთლიანი, ხოლო ბგერათა კომპლექსი მრავალი ნაწილისაგან შედგება. აქედან ასკვნის ავტორი, რომ გამოთქმა შეიცავს სამ მომენტს: მეტყველების ფორმას, საზრისს და საგანს.

ჯ. ს. მილი ეწინააღმდეგება ჰობსის შეხედულებას, რომელის თანახმად სახელი აღნიშნავს არა საგანს, არამედ იდეას. მილის მიზანია სახელის, მეტყველების ობიექტურობა დაიცვას და ამ მიზნით ობიექტი, საგანი გამოაცხადოს სახელდების საფუძვლად. როცა ჩვენ ვამბობთ: „მზე არის დღის მიზეზი", არ ვფიქრობთ, რომ ჩვენი იდეა მზისა იყოს თითქოს დღის მიზეზი, არამედ თვით რეალური მზე. მზე—საგანი მიგვაჩნია დღის გამომწვევ მიზეზად. ამგვარად, გამოთქმა ორწევროვან მოვლენად არის ნაგულისხმევი. სიტყვას, სახელს (მათ შორის განსხვავებას არ ექცევა ყურადღება) საკუთარი შინაარსი არა აქვს. იგი უბრალო ნიშანია საგნისა და საგანზე მითითებით ამოიწურება მისი ფუნქცია. თუ რაოდენ მართებულია სიტყვის, სახელისა და ნიშნის გაიგივება, ეს ზემონათქვამიდან ცხადია. ამ ცნებათა განსხვავების გარეშე, შეუძლებელია სიტყვის მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრაზე ლაპარაკი.

საინტერესოა, რომ მილი სრულიად გვერდს უვლის ძირითად სიძნელეს, როცა ამბობს, რომ სახელი იმას ქვია, რაც იგულისხმება მისი ხმარების დროს. ჯერ ერთი, სიტყვა რამდენიმე ფუნქციას ასრულებს ერთსა და იმავე დროს (ის შეიძლება გვაძლევდეს მნიშვნელობას და მიუთითებდეს საგანზე და სხვ.) და საჭიროა ზუსტად გაირკვეს ის, თუ რომელ ფუნქციაზეა ლაპარაკი; გარდა ამისა, განა ცხადი არ არის, რომ საკითხი სწორედ იმის განსაზღვრაა, თუ რა არის ის, რაც იგულისხმება? რომ სიტყვა იმას ქვია, რაც იგულისხმება მისი ხმარების დროს, სწორია, მაგრამ ეს ხომ ტავტოლოგიაა?!.. როცა ვამბობთ: „მზე იწვევს დღეს". შეიძლება ჩვენი გამოთქმის მი-

---

[50] გომპერცის ზემოდასახელებული შრომა, გვ. 82—83.

ზანი იყოს გავაგებინოთ სხვას ჩვენი აზრი, რომ „მზე იწვევს დღეს“ და ამ კამოთქმას ნაგულისხმევიც სწორედ ეს ჰქონდეს. რამდნადაც გამოთქმა არის სუბიექტის გამომჟღავნება (Äusserung), ის სწორედ იმის „გამოჩენა“ უნდა იყოს, რაც არ ჩანს (იხ. ზემოთქმული); მზეს კი არ ჭირდება „გამოჩენა“, არამედ აზრს მზის შესახებ: მეტყველება, როგორც სუბიექტის გამოვლინება (Äusserung), მხოლოდ ისეთ მოვლენის მიმართ გამოიყენება, რომელიც თავისთავად უხილავია.

სიტყვა რომ ფიზიკურ მხარეს უნდა შეიცავდეს, ამის აუცილებლობა მის კომუნიკაციურ ფუნქციიდანაც გამომდინარეობს: იმისათვის, რომ ერთი სუბიექტიდან რამე გადაეცეს მეორეს, მისი ფიზიკური გადამტანია აუცილებელი, მაგრამ ამავე დებულებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სიტყვის შინაარსი არ შეიძლება იყოს ფიზიკური ფაქტი: რად დასჭირდებოდა ფიზიკურს ისეთი მომენტის დართვა, რომლითაც ის „ხილული“ გახდება, როცა ის უამისოდაც ხილულია?! სიმბოლური გამოხატულება და, საერთოდ, გამოსახვა მხოლოდ იმას ჭირდება, რაც თავის საკუთარ ობიექტურ „სახეს“ მოკლებულია. ფიზიკური შეიძლება გამოდგეს სიტყვისათვის საშუალებად, რომლითაც აღინიშნება „უხილავი“ და „უსახო“ სინამდვილე, მაგრამ თვით ამ უსახო სინამდვილეს, ე. ი. სიტყვის მნიშვნელობას, არასოდეს იგი არ ქმნის.

მაგრამ მთავარი ეს მაინც არ არის. როდესაც ისეთ საგანზე ვლაპარაკობთ, როგორიც არის მზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ, რადგან მზე არის (ჩვეულებრივი წარმოდგენისათვის) ერთი, შეიძლება ადვილად მოხდეს სახელისა და სიტყვის აღრევა ერთმანეთში. რა თქმა უნდა „მზე“ ამ სპეციფიკური გარემოების გამო შეიძლება სახელიც იყოს და სიტყვაც. სწორედ ამიტომ გვმართებს „მზე“ ავიღოთ იმ გაგებით, როგორც ეს მეცნიერულ ტერმინოლოგიაშია მოცემული და მაშინ დავრწმუნდებით, რომ სიტყვა „მზე“ სრულიად არ გულისხმობს იმას, რასაც იმაში გულისხმობს გულუბრყვილო მეტყველება და არც ის, რასაც იმაში მილი ვარაუდობს.

გულუბრყვილო და ჩვეულებრივი წარმოდგენით მზე არის რეალურ-ემპირიული მოვლენა, რომელიც გარკვეულ დროს გაჩნდა და გარკვეული სტრუქტურის სახით ჩამოყალიბდა გარკვეულ დროსა და სივრცეში. მილის აზრით, მზე, რომელსაც სახელად ჰქვია „მზე“ — დაიყვანება შეგრძნებებზე. ავტორი ებრძვის მხოლოდ „მზის“ — „საგნის“ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ებ ზ ე დაყვანას. მეცნიერებისათვის მზე

არის მატერიალური მასა, რომელსაც ესა და ეს ტემპერატურა აქვს და სხვ. — ეს არის გარკვეული მნიშვნელობა, რომელიც, რასაკვირველია, ემპირიულ რეალობას, დრო და სივრცით განსაზღვრულს, არ წარმოადგენს. ის არც არასოდეს გაჩენილა და არც რაიმე განვითარების და სტრუქტურიზაციის საფეხურები გაუვლია მას.

ამგვარად, მზე შეიძლება სხვადასხვა სახით წარმოვიდგინოთ და საკითხიც ის არის, რომელი მათგანი უნდა ჩავთვალოთ სიტყვა „მზის" შინაარსად, მის მნიშვნელობად.

უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვის მთელი თავისებურება, ყველაფერი ის, რითაც იგი ასრულებს თავის ფუნქციებს და არსებითად განსხვავდება ფიზიკური საგნიდან, რის გამოც სიტყვის კვლევა გონითმეცნიერებას ეკუთვნის, გამომდინარეობს იმ ობიექტიდან, რომელიც მის მნიშვნელობას ქმნის. ბგერათა კომპლექსი, თავისთავად აღებული, მხოლოდ „ფიზიკური"[51] მოვლენაა და არავითარი უპირატესობა სხვა „ფიზიკურ" მოვლენების წინაშე ჩას არა აქვს.

მაგრამ რა უპირატესობა და თავისებურება ახასიათებს სიტყვას ფიზიკურ მოვლენასთან შედარებით? რით განსხვავდება „ბგერათა კომპლექსი" სიტყვისაგან?

ბგერათა კომპლექსი თავისთავად გარკვეული ფიზიკური პროცესია, რომელსაც დასაწყისი და დასასრული აქვს დროში. არასოდეს ერთი და იგივე კომპლექსი დროს ერთ განაკვეთს არ შორდება. მისთვის სრულიად უცხოა ხანიერება (Dauer), არ შეიძლება გამეორდეს და თავის ინდივიდუალურ-კონკრეტულ სახეს გასცდეს.

სიტყვა არ არის ფიზიკური პროცესი, არამედ კულტურის ფაქტი; ის შეიძლება მრავალჯერ გამეორდეს და მაინც იგივედ დარჩეს. „ადამიანი", როგორც ბგერათა კომპლექსი, მილიონჯერ და მილიარდჯერ მოხდა; თითოეული მათგანი აბსოლუტურად სხვადასხვა პროცესია ბუნების პროცესის თვალსაზრისით. სიტყვა „ადამიანი", რომელსაც ახლა ჩვენ ვხმარობთ, იგივეა, რაც იქნა ნახმარი ათასეული წლის წინ. სიტყვა პრინციპულად „უკვდავია", რადგან არ წარმოადგენს დროში მიმდინარე პროცესს: ის, რაც მეორდება და იგივედ რჩება, მარადიულია ამ სიტყვის ლოგიკური (და არა ონტოლოგიური) მნიშვნელობით. სიტყვა შეიძლება დაიკარგოს და მოინახოს. ბგერათა კომპლექსზე ეს არ ითქმის, ის ხდება (происходит) და არ არის (не есть).

---

[51] ამ ცნების დაზუსტება ქვემოთ გვაქვს მოცემული.

დამახასიათებელი. საიდან უნდა გაჩნდეს ეგოდენ განსხვავებული ნიშნები, როგორიცაა სიტყვისა და ფიზიკური მოვლენის ნიშნები. როდესაც საქმე გვაქვს მხოლოდ ერთი ფიზიკური მოვლენის (ბგერათა კომპლექსის) მეორის (მზე) დაკავშირებასთან? სიტყვის შინაარსი რომ ფიზიკური მოვლენა იყოს, სიტყვას ის ბედი უნდა ეწიოს, რაც ფიზიკურ მოვლენას, უკანასკნელის მოსპობა, როგორც ფიზიკური სხეულისა, პირველის მოსპობასაც უნდა ნიშნავდეს. მზის (ფიზიკური სხეულის) არც მოსპობა და არც გამრავლება აბსოლუტურად არაფერს ცვლის სიტყვა „მზეში". სიტყვას აქვს საზრისი (ამ დებულებას ყველა აღიარებს). ფიზიკურის დაკავშირება ფიზიკურთან ვერ შექმნის საზრისს. რადგან ფიზიკურისთვის საზრისი უცხო ცნებაა.

ჯ. ს. მილი ემპირიულ საგანში შეგრძნებათა კომპლექსს გულისხმობს. ამდენად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ჩვეულებრივი გაგება საგნისა მილისას ეწინააღმდეგება. რამდენადაც შეგრძნება ფსიქიკურია, მილის თეორიაც ფსიქოლოგისტურად უნდა გამოგვეცხადებია. მაგრამ მილი სიტყვიერად მაინც ებრძვის ასეთ თეორიას და „ფიზიკალური" თეორიის დამცველის შთაბეჭდილებას ტოვებს. ხოლო მისი განცხადება. რომ სიტყვა იმას ქვია, რასაც გულისხმობენ მისი გამოყენების დროს, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მას აქ ის შინაარსი აქვს ნაგულისხმევი. რომელსაც „საქმის ვითარებით" (Sachverhalt) აღნიშნავენ. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ მილი არ უარყოფს, რომ სიტყვა იდეასაც აღნიშნავს[52]. რას უნდა გულისხმობდეს მისი მსჯელობა იდეების შესახებ. თუ არა ამ იდეებს?! მაშ, რას ებრძვის მილი? აშკარა შინაგანი წინააღმდეგობისგან მილის შეხედულების თავის დაღწევა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია მხოლოდ შემდეგნაირად: როდესაც ჩვენ სიტყვას ვხმარობთ, შესაძლებელია მრავალმა ფსიქოლოგიურმა პროცესმა იჩინოს თავი. საჭიროა მკაცრად გავთიშოთ ერთიმეორისაგან ის, რაზედაც არის ლაპარაკი, იმისგან. რაც შემთხვევით დანართს წარმოადგენს და სუბიექტის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას გამოხატავს. საკითხს ჭრის არა ის, თუ რას ეხება სიტყვა. არამედ ის, თუ რას ამბობს სიტყვა, რას გულისხმობს იგი. საქმე იმაში კი არ არის, სიტყვა ფიზიკურზეა ნათქვამი, თუ ფსიქიკურზე, არამედ იმაში, თუ რა არის გადაქცეული სიტყვის ინტენციის ობიექტად. იდეა (წარმოდგენა), რომელიც მე მიჩნდება მაშინ, როცა

---

[52] „სახელებით ანუ სახელწოდებებით მე აღვნიშნავ ყოველთვის თვით საგანთა სახელებს და არა მხოლოდ ჩვენს იდეებს საგნების შესახებ". დასახ. შრომა, გვ. 16.

მე მზის შესახებ ვლაპარაკობ. სულ სხვა გაჩზომილებაშია მოცემული, ვიდრე „იგივე" იდეა. როცა სიტყვა მასზეა ინტენდირებული. საკმარისია იდეა (წარმოდგენა) გავხადოთ სიტყვის შინაარსად, რომ მან სულ ახალი ნიშნები შეიძინოს და უკუაგდოს ყველა ხასის მოსაზრება, რომელიც იდეის შესრულებასა და მის სიტყვისათვის გამოუსადეგობას ეხება. აქ არავითარი უპირატესობა ფიზიკურს ფსიქიკურის წინაშე არ აქვს. თავისთავად, მარტო იმიტომ რომ ესა თუ ის ფაქტი ფიზიკური ან ფსიქიკურია, ის სიტყვის შინაარსად არ გამოდგება. მაგრამ ფაქტობრივად მაინც რომ ხერხდება ორივეს „აღნიშვნა", ამის საფუძველი ორივეს ერთი უნდა ჰქონდეთ და საძიებელიც სწორედ ეს არის. მილი ამ პრობლემას აღნიშნულ ადგილზე ვერ ხედავს, მაგრამ მის გენიას მაინც არ დარჩა შეუმჩნეველი ის, რითაც უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა. სპენსერის წინააღმდეგ მილი წერს: „სპენსერი ფიქრობს, რომ „ერთი და იგივე" არ შეიძლება ეწოდოს იმ ნიშნებს. რომელთა წყალობითაც სოკრატე და ალკივიადე არიან ადამიანები. ეს იმიტომ, რომ სოკრატე და ალკივიადე არ არიან ერთი და იგივე ადამიანი. ის ამტკიცებს, რომ ნიშანი—ადამიანობა ცალკეულია ცალკეულ ადამიანში..." „ყოველ ზოგად ცნებას, რომ ვთვლიდეთ არა „ერთიანობად სიმრავლეში", არამედ იმდენ განსხვავებულ ცნებად, რამდენიცაა ცალკეული საგნები, მაშინ ზოგადი ტერმინები სულაც არ გაჩნდებოდნენ"[53].

იგივე სხვადასხვა მოვლენაში, ყველგან ყოფნის მიუხედავად მაინც ერთია, აი ის, რაც ცნებისათვის არის აუცილებელი, მილს აზრით; ჩვენ ვიტყვით: სიტყვის არსი ამავე ფაქტს ემყარება; მხოლოდ იგივეს, უცვლელს შეუძლია ბგერათა კომპლექსს მიანიჭოს სიტყვის თვისება, ფიზიკური „აქციოს" კულტურულ ღირებულებად. ცნობილია, რომ ჯ. ს. მილმა აღნიშნული მომენტი თავის ლოგიკურ გამოკვლევებში ვერ გამოიყენა[54] და ამიტომ მის წინააღმდეგ მიმართული ჰუსერლის მკაცრი კრიტიკა მან სავსებით დაიმსახურა. მიუხედავად იმისა, რომ მილი რეალობაზე, საგანზე აპელაციით ანტიფსიქოლოგისტის შთაბეჭდილებას ახდენს, იგი მაინც ფსიქოლოგისტად რჩება[55].

---

[53] Дж. С. Милль, Система логики, Москва, 1900, გვ. 141—142.

[54] ჩვენ მიერ ციტირებული ადგილის შესახებ ჰუსერლი ამბობს, რომ მილი სპენსერის მიმართ მართალი იყო, მაგრამ მისი კრიტიკა თითონ მილსაც ეხება. «Der Einwand ist wichtig, trifft aber nicht weniger die eigene Lehre Mills», Logisch. Unters. Bd. 11, Teil 1, 1928, გვ. 117.

[55] იხ. Husserl, Logisch. Unters. Bd. 1.

როდესაც ვ. ჰუმბოლდტი ენის წარმოშობის საერთო-ადამიანურ მოტივზე ფიქრობდა, მას ცნობიერებაში სიმღერის წარმოშობის ფაქტი წარმოუდგა. როგორც სიმღერა, ისე მეტყველებაც ადამიანის ბუნების სიღრმეში იღებსო თავის დასაბამს. ბუნებრივია, რომ პირველ რიგში (ქრონოლოგიურად) სიტყვაში სუბიექტურ-ინდივიდუალური ამოცანის გადაჭრა შეიძლება იგულისხმებოდეს. გასაგებია, რომ თეორია, რომელიც ამ მომენტში ხედავს სიტყვის არსებით ფუნქციას, მის მნიშვნელობასაც ფსიქიკურ პროცესებში ეძებს. იმისათვის, რომ ადამიანი ალაპარაკდეს, მას რაღაც განცდა უნდა ჰქონდეს, რაღაც უნდა „აწუხებდეს", რომლის სხვისთვის გაზიარებასაც პიროვნების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს. სიტყვის (ენის) შინაარსი, მაშასადამე, არის ის განცდა, რომელიც აქვს მოქმედს; მეტყველების ამოცანაა გამგონეს აღუძრას იმის მსგავსი განცდა, რაც აქვს მთქმელს და ამ გზით სათანადო კავშირი და ურთიერთგაგება დაამყაროს ადამიანთა შორის.

ამგვარად, ეყრება საფუძველი იმ თეორიებს, რომელთაც, თუ ჩვენი შემდგომი მსჯელობა მივიღეთ მხედველობაში, ფსიქოლოგისტური უნდა ეწოდოს. საერთო ამ თეორიებისათვის ის არის, რომ მათ მიხედვით სიტყვის შინაარსი, მისი მნიშვნელობა, არსებობს სუბიექტში, როგორც მისი ფსიქიკური მდგომარეობა. განსხვავება ამ თეორიათა შორის ემყარება განსხვავებული განცდის დასახელებას სიტყვის შინაარსად. განცდა ყველგან რჩება.

ფსიქოლოგისტურ თეორიათა შორის, რომელნიც ფსიქიკურს აცხადებენ სიტყვის შინაარსად, მის მნიშვნელობად, ცნობილია ოთხი ძირითადი მიმდინარეობა: ნომინალისტური, კონცეპტუალისტური, ვოლუნტარული და პატემპირისტული. პირველი ინდივიდუალურ წარმოდგენას ასახელებს სიტყვის შინაარსად, მეორე—ზოგად წარმოდგენას, მესამე — მისწრაფების განცდას, ხოლო მეოთხე —გრძნობათა სპეციფიკურ სახეს. სახელწოდებანი — ნომინალიზმი, კონცეპტუალიზმი, მართალია, ცნების და არა სიტყვის თეორიადაა ცნობილი, მაგრამ ამან გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს. ისტორიულად სიტყვის მნიშვნელობის პრობლემა ცნების საკითხთან ერთად ირჩეოდა და არსებითადაც არის ამ ორ საკითხს შორის მჭიდრო კავშირი.

რამდენადაც ნომინალიზმისათვის დამახასიათებელია გამოთქმის მხოლოდ ორ მომენტად დანაწევრება, მის სანიმუშო წარმომადგენ-

ლად რ ო ს ც ე ლ ი ნ ი შეიძლება ჩაითვალოს. მაკრამ ამ შემთხვევაში არა მარტო ეს მომენტია მნიშვნელოვანი. არამედ უმთავრესად ის, რომ სიტყვის მნიშვნელობად აღიარებულია არა საგანი, არამედ წარმოდგენა. ამ უკანასკნელ შეხედულებას სრულიად გარკვეეით ვვაძლევენ ჰ ო ბ ს ი და ბ ე რ კ ლ ი.

„მეტყველების ზოგადი გამოყენება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მეტყველება გონებაში გადავაქციოთ სიტყვიერ მეტყველებად ანუ აზრთა კავშირი სიტყვათა კავშირად". „პირველი გამოყენება სახელებისა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი თამაშობენ მეხსიერებისათვის ნიშნების ფუნქციას, მეორე — იმაში, რომ ბევრი ადამიანი, რომელნიც სარგებლობენ ერთი და იგივე სიტყვებით, აღნიშნავენ ერთი მეორისათვის თავის ცნებებს ანუ აზრებს ყოველი ნივთის შესახებ და აგრეთვე თავის სურვილებს, შიშს და სხვა გრძნობებს. ასეთი გამოყენების გამო, სახელებს ეწოდებათ ნიშნები"[56]. მაშასადამე, სიტყვის პირველი და უკანასკნელი ამოცანა სუბიექტის სამსახურია, მისი განცდების აღდგენა და სხვისთვის გასაგებად გაფორმებაა.

სახელები, ჰობსის აზრით, არის ინდივიდუალური, მაგ., პეტრე და უნივერსალური, მაგ., ადამიანი. „...მსოფლიოში არაფერია უნივერსალური, გარდა სახელებისა, რადგან ყოველი დასახელებული ნივთი არის ინდივიდუალური და ერთეულებრივი"[57].

ბ ე რ კ ლ ი ს აზრით, ლ ო კ ი ცდება, როცა ზოგადი სახელების საფუძვლად ზოგადი (განყენებული) იდეა მიაჩნია. სახელი იმიტომ კი არ ხდება ზოგადი, რომ ის თითქოს იყოს ერთი ზოგადი იდეის ნიშანი, არამედ იმიტომ, რომ ის არის ნიშანი მრავალი კერძო იდეისა. ზოგადი იდეა არ არსებობს. ამის ორგვარი საბუთი არსებობს: ფსიქოლოგიური და ლოგიკური. ჩვენი თვითდაკვირვება ყოველ ნაბიჯზე გვარწმუნებს იმაში, რომ ყოველი ჩვენი იდეა არის ინდივიდუალური, სპეციფიკური ნიშნების მქონე. ჩვენ არ შეგვიძლია გვქონდეს ისეთი სამკუთხედის იდეა, რომელიც არ არის არც თანასწორგვერდიანი, არც არათანასწორგვერდიანი. როცა ვამბობთ „მოძრაობა პროპორციულია დახარჯული ძალის", „მოძრაობა" არ გვაქვს წარმოდგენილი მოძრავი საგნის გარეშე და რომელიმე განსაზღვრული სიჩქარისა და მიმართულების გარეშე. არც შეიძლება ლოგიკურად ზოგადი იდეის წარმოდგენა. რადგან თვით ცნება ზოგადი იდეისა შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობას. მართლაც და, ზოგადი იდეა,

---

[56] Гоббс. Левиафан. 1936, გვ. 52.

[57] იქვე, გვ. 53.

მაგ.. კუთხისა ყოველგვარ კუთხეს უნდა შეიცავდეს. ე. ი. ის უნდა იყოს ერთსა და იმავე დროს სწორი, ბლაგვი და მახვილი კუთხეც. რაც ლოგიკურად განუხორციელებელია. „განყენებული იდეა სამკუთხედისა შეუძლებელია უკვე იმიტომაც, რომ ის შეიცავს თავისთავში მოწინააღმდეგე. ურთიერთის გამომრიცხველ ატრიბუტებს"[58]. მართალია, აბსტრაქცია შესაძლებელია. მაგრამ საქმე ის არის, როგორ გავიგებთ ამას. ბერკლის აზრით, აბსტრაქცია იმაში გამოიხატება. რომ ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ინდივიდუალური იდეის ერთ რომელიმე მომენტზე და სხვა მომენტებს უყურადღებოდ დავტოვებთ. ამ გზით ჩვენ ვაღწევთ იმას, რომ ჩვენი მსჯელობა რომელიმე ინდივიდუალური იდეის შესახებ ვრცელდება ყველა სხვა მსგავს იდეებზე. „როდესაც მე ვამტკიცებ რომელიმე თეორემას სამკუთხედის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ მე მაქვს მხედველობაში სამკუთხედის ზოგადი იდეა. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე. რომ ჩემში მართლა იყოს იდეა ისეთი სამკუთხედისა. რომელიც არ იყოს არც თანასწორგვერდიანი, არც არათანასწორგვერდიანი, არც თანასწორფერდიანი. მე მაქვს სამკუთხედის ზოგადი იდეა მხოლოდ იმ აზრით. რომ ამ წუთში ჩემ მიერ განხილული სამკუთხედი არის წარმომადგენელი ყველა სწორხაზოვანი სამკუთხედებისა და ამ აზრით შეიძლება იწოდოს იგი როგორც ზოგადი"[59]. რა გვაძლევს იმის რწმენას. რომ ინდივიდუალურ შემთხვევაზე ნათქვამს ძალა აქვს იმ შემთხვევებისათვის, რომელნიც მტკიცების დროს არ ყოფილან მიღებული მხედველობაში? „დავამტკიცე რა თეორემა კერძო სამკუთხედზე. — წერს ბერკლი, — მე დარწმუნებული ვარ. რომ ჩემი მტკიცება ვრცელდება ყველა სამკუთხედზე საერთოდ იმიტომ. რომ მტკიცებისას მე არ ვღებულობდი ანგარიშში არც კუთხეების თვისებას და არც გვერდების სიდიდეს იმ სამკუთხედისას, რომელზედაც სწარმოებდა მტკიცება. მართალია, იმაში არიან ყველა ეს სპეციფიკურებანი. მაგრამ ჩვენს მტკიცებაში მე ერთჯერაც არ მიხსენებია ისინი"[60]. ზოგადი (განყენებული) იდეა არ არსებობს. მაგრამ არსებობს ინდივიდუალური იდეა, რომელსაც ზოგადი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა აქვს. „სიტყვა ხდება ზოგადი, როდესაც მას გახდიან ნიშნად არა ზოგადი აბსტრაქტული წარმოდგენისათვის, არამედ მრავალი ინდივიდუალური წარმოდგენისათვის, ის აღძრავს მაშინ ჩვენს სულს, რათა რომელიმე ამ წარმოდგენებიდან, სულერთია რომელი, წარმოქმნას"[61]. შეიძლება

---

[58] „ტრაქტატი", § 17.

[59] იქვე, § 15.

[60] იქვე, § 17.

[61] ციტატები მოგვყავს გომპერცის დასახელებული შრომიდან, იხ. გვ. 10[illegible].

წარმოდგენაში რამე არსებობდეს და ყურადღების საგანს არ შეადგენდეს. პეტრე შეიძლება განვიხილოთ როგორც ადამიანი, და აგრეთვე როგორც ცოცხალი არსება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პეტრეზე, როგორც ადამიანზე ან როგორც ცოცხალ არსებაზე ფიქრის დროს მხოლოდ ზოგადი ნიშნები იყოს ცნობიერებაში. არა! ცნობიერებაში ამ შემთხვევაშიაც ინდივიდუალური წარმოდგენა არსებობს ყველა პარტიკულარული ნიშნებით, მაგრამ ეს ნიშნები ამ შემთხვევაში ყურადღების ობიექტს არ წარმოადგენენ.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ყოველი სიტყვა ყოველთვის თვალსაჩინო წარმოდგენას შეიცავს? ბერკლი ამაზე უარყოფით პასუხს იძლევა და აქ არ ხედავს იგი თავის თეორიის საწინააღმდეგოს. რადგან მცირე ყურადღებაც საკმარისია, ამბობს ფილოსოფოსი იმაში დასარწმუნებლად, რომ თვით უმკაცრეს აზრთაწყობაშიაც არ არის აუცილებელი, რომ შინაარსიან სახელებს ახლოს თან წარმოდგენები. როგორც მათემატიკური ოპერაციებისას ალგებრული მნიშვნელობის მატარებელი ასოების სმარება ხდება ისე, რომ მათი რიცხობრივი მნიშვნელობა ოპერაციის ყოველ ცალკე მომენტში არ ცნობიერდება, ისე ხდება კითხვისა და ლაპარაკის დროსაც. უფრო ზეტიც: „აფექტები: შიში, სიყვარული, სიძულვილი, აღტაცება, ზიზღი და სხვ. აღმოცენდებიან ჩვენში უშუალოდ გარკვეული სიტყვების აღქმით ისე, რომ შუამავალ წარმოდგენებს არა აქვთ ადგილი[62]". „განა საკმარისი არ არის სიტყვა „საფრთხე" იმისათვის, რომ მან შიში გამოიწვიოს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არავითარი გარკვეული უბედურება არა გვაქვს წარმოდგენილი და საერთოდ ისე, რომ საფრთხის არავითარი წარმოდგენა არ გვქონდეს"[63].

ი უ მ ი ს თეორია, მართალია, მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიულად და არსებითადაც ბერკლის შეხედულებასთან, მაგრამ ამ უკანასკნელის უბრალო გამეორებას იგი არ წარმოადგენს. იუმი ცდილობს ეს თეორია — „უფრო ზუსტად ჩამოაყალიბოს და ზოგჯერ იგი ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ა დ გააღრმაოს"[64]. თვით გაგება ბერკლის თეორიისა იუმის მიერ არ არის სავსებით სწორი, როგორც ამაზე თავის დროზე მიუთითა ჰუსერლმა. ბერკლი არ თვლიდა ზოგად სახელს რეპრეზენტაციის ერთადერთ და აუცილებელ პირობად; მისი

---

[62] ციტატები მოგვყავს გომპერცის დასახ. შრომიდან, გვ .196.

[63] იქვე.

[64] **H u s s e r l. Log. Uaters. Bd. II, 1928,** გვ. 186.

აზრით (იუმის აზრით), არ არსებობს ზოგადი იდეა (ლოკის მნიშვნელობით); ის, რასაც ამ სახელით აღნიშნავენ, არის ნამდვილად ინდივიდუალური, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე სახელთან, რომელიც ინდივიდუალურ იდეას აძლევს უფრო ფართო მნიშვნელობას და შემთხვევის დროს იწვევს მეხსიერებაში მის მსგავს სხვა ინდივიდუალურ იდეებს[65]. „ხაზის ზოგადი იდეა, ჩვენი ყოველგვარი განყენებებისა და სიმახვილის მიუხედავად, ცნობიერებაში გამოვლინებისას, ატარებს თვისებისა და რაოდენობის ზუსტ ხარისხს. თუ გინდ ეს იდეა იყოს სხვა იდეების წარმომადგენელი, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ხარისხები ერთისაც და მეორისაც"[66]. „ფილოსოფიაში საყოველთაოდ მიღებული პრინციპი ამბობს, რომ ბუნებაში ყველაფერი ინდივიდუალურია და სრული. აბსურდია — დავუშვათ რეალურ არსებულად სამკუთხედი, რომლის გვერდები და კუთხეები არ იყვნენ ერთმანეთთან გარკვეულ მიმართებაში. მაგრამ თუ ეს დაშვება აბსურდია ფაქტობრივ სინამდვილეში, ის უნდა იყოს ისეთივე აბსურდი იდეაშიც"... განყენებული იდეები თავისთავად არიან ინდივიდუალური, თუმცა, როგორც წარმომადგენლები, ისინი შეიძლება გახდნენ ზოგადიც. ხატი, რომელიც არსებობს ჩვენ სულში, ინდივიდუალურ ობიექტის ხატია, თუმცა მისი გამოყენება ჩვენს მსჯელობაში ისეთია, თითქოს ის იყოს ზოგადი[67]. ამგვარად, ჩნდება პარადოქსალური დებულება, რომელიც ამბობს, „რომ ზოგიერთი იდეები, ინდივიდუალური თავის ბუნებით, არიან ზოგადი ვითარცა (სხვა იდეების) წარმომადგენლები"[68]. როგორ ახერხებს იდეა ასეთი ფუნქციის შესრულებას? როგორ ხდება ის ისეთ იდეად, რომელიც ზოგადის შთაბეჭდილებას ახდენს („თითქოს იყოს ზოგადი")?

ზოგადი სახელი მრავალ ერთნაირ იდეასთან არის ასოციაციით დაკავშირებული იმიტომ, რომ ხშირად განიცდება მათთან ერთად. ამ გზით იქმნება ჩვეულება, რომლის ძალით საერთო სახელი ქმნის ჩვენს სულში ლტოლვას იმ იდეას გარდა, რომელიც სიტყვის უშუალო შინაარსს შეადგენს. ისეთებიც გამოიწვიოს ცნობიერებაში, რო-

---

[65] თეორიის ფორმულირება ეკუთვნის იუმს. იგი ამას ბერკლის შეხედულების გამოთქმად თვლის და თვითონაც მას ეთანხმება მთლიანად. ნამდვილად ბერკლის შეხედულება ცოტა სხვაგვარია. შეად. Hysserl-ის დასახელებული შრომა, გვ. 185.

[66] Юм, Трактат о человеческой природе, 1906, გვ. 22.

[67] იქვე. გვ. 23.

[68] იქვე, გვ. 25.

მელნიც ემსგავსებიან ამ იდეას და ამასთან ერთად შეადგენენ ერთ განსაზღვრულ კლასს იდეებისას[69]. მაგრამ არ უნდა გვეგონოს, რომ იდეა — წარმომადგენელი და ზოგადი სახელი — ყოველთვის გააცნობიერებს ყველა იდეებს, რომელთაც მსგავსება აქვთ ერთმანეთთან. იმ იდეებს, რომელთაც ახასიათებთ რაიმე მსგავსება. ჩვენ ჩვეულებრივ, აღვნიშნავთ ერთი სახელით და ამაში ხელს არ გვიშლის ამ იდეათა შორის არსებული განსხვავება რომელიმე სხვა თვალსაზრისით. სიტყვას არ შეუძლია გააცოცხლოს ცნობიერებაში ყველა იდეა, რომელთაც შეეხება მისი მნიშვნელობა. ეს არც არის საჭირო. საკმარისია, თუ სიტყვა, გარდა შესაფერის იდეა-წარმომადგენლისა, აღძრავს ჩვენში ჩვევას, რომელიც ამ შემთხვევაში არის პოტენციალური ძალა მრავალ იდეათა რეპროდუქციისა, რომელიც რეალურად ხორციელდება, თუ ამის საჭიროება დადგება. „მაგრამ რადგანაც აღდგენა ყველა იდეებისა, რომელთა მიმართაც შეიძლება სახელი იყოს გამოყენებული, უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია, ჩვენ ვამოკლებთ ამ მუშაობას ნაწილობრივი ხატის საშუალებით და ამ შემოკლებას შეაქვს მხოლოდ უმნიშვნელო უხერხულობა ჩვენს მსჯელობაში"[70].

როგორც ცნობილია, ნომინალიზმს ბევრი მიმდევარი ჰყავდა და ახლაც არიან მისი მიმდევრები, მაგრამ ჩვენი ამოცანისათვის სხვა ავტორების გარჩევა არ არის აუცილებელი. პრინციპულად ახალ ისინი ჩვენი საკითხისათვის არაფერს გვაძლევენ და არსებითადაც ნომინალისტური თვალსაზრისი იმდენად მარტივია, რომ მისი ყოველმხრივი გარჩევა ჩვენ მიერ ციტირებულ ადგილებითაც შესაძლებელია. მართალია, განხილულ ნომინალისტურ თეორიებში კვლევის პირდაპირ მიზანს სიტყვის მნიშვნელობის საკითხი არ წარმოადგენს. მაგრამ რამდენადაც ზოგადის საკითხი სიტყვის პრობლემას ბუნებრივად უკავშირდება, ძალაუნებურად სიტყვის მნიშვნელობის საკითხიც იჭრება.

ნომინალიზმი ერთგვარი ნაბიჯია წინ იმ შეხედულებასთან შედარებით, რომელიც ზემოთ გავარჩიეთ. სიტყვის შინაარსად საგნის გამოცხადება და გამოთქმაში მხოლოდ ორი მომენტის აღიარება ბგერათა კომპლექსისა და გამოთქმის საფუძვლისა — მთლიანად აუქმებს სიტყვის არსებით ნიშანს და ჩვენი პრობლემის გადაჭრას კი არა, მის უარყოფას წარმოადგენს. თუ სიტყვას თავისი საკუთარი ში-

---

[69] Юм, трактат о человеческой природе, 1936, გვ. 26, იქვე, გვ. 24.

[70] „საგანი" აქ იხმარება არაფილოსოფიური მნიშვნელობით, იგი უახლოვდება „ნივთს".

ნაარსი არ აქვს. სიტყვის პრობლემა მოიხსნება და, საერთოდ, სიტყვა დაკარგავს ფილოსოფიურ პრობლემატიკაში მისთვის დღემდე დამკვიდრებულ ადგილს. ნომინალიზმი სიტყვის შინაარსს ეძებს და ზოგადი იდეის უარყოფის შემდეგ პირდაპირ ნივთზე კი არ მიუთითებს. არამედ, გამოთქმის საფუძვლის ნიადაგზე, მასალის ერთგვარ ფსიქოლოგიურ გადამუშავებას გულისხმობს და ამ გზით აღწევს სიტყვის შინაარსის ჩამოყალიბებას.

რამდენადაც ნომინალიზმი აზროვნების, შემეცნების საკითხს ეხება, მისი ძირითადი დებულება ასე შეიძლება გამოითქვას: ინდივიდუალური წარმოდგენები და, განსაკუთრებით, ფანტასმები შეადგენენ ლოგიკური აზროვნების არსებით ელემენტებს[71]. რამდენადაც, ასე თუ ისე, რა გაგებით, სულერთია, მიღებულია, რომ ენობრივი გამოთქმა აზროვნების გარეგამოვლინებაა, გასაგებია, რომ სიტყვის პრობლემისათვის აზროვნების და შემეცნების საკითხს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ეს გარემოება გვიკარნახებს ნომინალიზმის ძირითადი დებულება აზროვნების პრობლემის ასპექტშიდაც განვიხილოთ.

პირველი შეხედვით, ნომინალიზმის დებულება ემპირიულად მოცემული ფაქტის შთაბეჭდილებას ტოვებს. როდესაც, მაგალითად, სამკუთხედზე ვმსჯელობთ, ჩვენს ცნობიერებაში შეგვიძლია რომელიმე ინდივიდუალური წარმოდგენა სამკუთხედისა დავადასტუროთ. ეს წარმოდგენა არის ამ შემთხვევაში სამკუთხედზე მსჯელობის ფსიქოლოგიური ეკვივალენტი, რომელიც აზროვნებას საფუძვლად უდევს და მის საოპერაციო საგანს წარმოადგენს. მაგრამ როგორ უნდა ვიაზროთ ფსიქოლოგიური ეკვივალენტის საკითხი, როცა აზროვნება, მაგალითად, 1000 ეხება? წარმოდგენა 1000 ერთეულისა ისე, როგორც ეს მოხერხდა სამკუთხედის შესახებ, რასაკვირველია, შეუძლებელია. რაღაც წარმოდგენა ამ შემთხვევაშიაც უნდა გაჩნდეს, მაგრამ არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს წარმოდგენა ადეკვატურია 1000-ისადმი, „...ვინაიდან არ არსებობს ისეთი წარმოდგენა 1000-ის შესახებ, რაც როგორმე განსხვავდებოდეს 999-ისა და 998-ის წარმოდგენიდან"[72]. ჯერ კიდევ დეკარტმა აღნიშნა, რომ ათასკუთხედის წარმოდგენა შეუძლებელია, მისი მხოლოდ აზროვნებაა შესაძლებელი, მაგრამ ნომინალიზმი გამოსავალს იმაში ხედავს, რომ ყოველი ნიშანი, რომელმაც ერთჯერ უკვე თვალსაჩინოდ განსაზღვრა თავისი შინაარსი, შეიძლება ყოველ ცალკე მომენტში აღარ საჭიროებდეს ამ შინაარსის „განაღდებას" და შემოკლებუ-

---

[71] გ ო მ პ ე რ ც ი, დასახ. ნაშრ., გვ. 180.

[72] იქვე.

ლად იხმარებოდეს. მთავარია, რომ პრინციპულად შესაძლებელია საჭიროების დროს მოხდეს ყოველგვარი რთული ლოგიკური შინაარსის ფსიქოლოგიური დაშლა (ან აგება) წარმოდგენის თვალსაჩინო ელემენტებიდან. პოტენციალური შესაძლებლობის ცნება აქ გვანთავისუფლებს ენერგიის იმ განუსაზღვრელი ხარჯვისაგან, რომელსაც მოითხოვს ყოველი სიტყვისათვის ადეკვატური თვალსაჩინო შინაარსის მოძებნა. საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ ის წესი, რომლითაც შეგვიძლია საჭირო თვალსაჩინო შინაარსის მოძებნა[73]. მაგრამ ასეთი გამოსავალი ხომ ვერ გვიშველის იმ შემთხვევაში, როცა გამოთქმას შინაარსის მთლიანი რედუცირება ინდივიდუალურ წარმოდგენებზე შეუძლებელია? შეგვიძლია თუ არა დავიცვათ დებულება, რომ ყოველ გამოთქმას ერთი რომელიმე იდეა ან ერთი რომელიმე ჯგუფი იდეებისა შეესატყვისება და მხოლოდ ისინი გამოხატავენ მას ადეკვატურად? გომპერცი ამ კითხვაზე სამართლიანად გვაძლევს უარყოფით პასუხს:

ერთმანეთშეველოვანი პარალელიზმი გამოთქმის საზრისსა თვალსაჩინოებას შორის არ არსებობს.

კიდევ უფრო რადიკალურად ეწინააღმდეგება ნომინალიზმს ფაქტი, რომ ხშირად გვესმის საკუთარი ნათლად გამოთქმის აზრი. მაგრამ ვერავითარი წესით შესატყვისი თვალსაჩინო წარმოდგენის შექმნა ვერ ხერხდება[74].

როდესაც სენსუალისტურ ფსიქოლოგიას აკრიტიკებენ, ჩვეულებრივ ვიურცბურგის სკოლის ექსპერიმენტულ შედეგებს იმოწმებენ იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენმა ცნობიერებამ ბევრი რამ იცის ისეთი, რისი თვალსაჩინო წარმოდგენა არ შეიძლება. ეს უკანასკნელი დებულება დღეს აღარ უნდა სჭირდებოდეს დამცველს. საინტერესო დღეს შეიძლება ის კი არ იყოს, აქვს თუ არა ყოველ ლოგიკურ შინაარსს თვალსაჩინო ადეკვატური ეკვივალენტი (ამაზე უარყოფითი პასუხი უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს), არამედ ის, თუ რამდენად შეიძლება და შეიძლება თუ არა, საერთოდ, ლოგიკურის ფსიქოლოგიური ეკვივალენტი არსებობდეს. საკითხის შემჩნევას ხელს უშლის „ეკვივალენტის“ გაგების სხვადასხვაობა. ის შეიძლება იხმარებოდეს „კორელატის“ მნიშვნელობით და მაშინ ლოგიკურის ფსიქოლოგიურ ეკვივალენტად ყოფნა მეტს არაფერს ნიშნავს გარ-

---

[73] იგივე ამ წესის გამოყენების ილუსტრაციასაც გვაძლევს, იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 26.

[74] Gomperz, დასახ. ნაშრ., გვ. 182.

და იმისა, რომ აზროვნების პარალელურად გეეძლევა იმავდროულად რომელიღაც თვალსაჩინო ფსიქიკური განცდა. არსებობს თუ არა ყოველთვის ისეთი განცდა, ეს ემპირიული კვლევის საქმეა. რადგანაც არავითარი აუცილებლობა ლოგიკური ხასიათისა არ არსებობს, რომელიც ფსიქოლოგიური კორელატის არსებობას ყოველთვის მოითხოვდეს[75]. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი მხოლოდ ფსიქოლოგიურია და ჩვენი პრობლემისათვის ამ შემთხვევაში უმნიშვნელო.

მეორე მნიშვნელობა „ეკვივალენტისა" ლოგიკური ხასიათისაა. აქ იგულისხმება ის ფსიქოლოგიური შინაარსი, რომელიც აზროვნებაზე კონსტიტუციაში იღებს უშუალო მონაწილეობას. ე. წ. ზომიერი ნომინალიზმი იმის შიშით, რომ სიტყვამ საზრისი არ დაკარგოს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, სიტყვისათვის წარმოდგენის (თვალსაჩინო შინაარსის) მოძებნას ცდილობს. უამისოდ თითქოს სიტყვა უშინაარსო ბგერად იქცეოდეს. ცხადია, აქ ლოგიკური და ფსიქოლოგიური საბოლოოდ გაიგივებულია. მხოლოდ ასეთ შეხედულებაშია ერთ გვარი (თუმცა სრულიად მიუღებელი) გასაგები აზრი. თუ „ფსიქოლოგიურ ეკვივალენტში" ვიგულისხმებთ ლოგიკურის შემცველს, მაშინ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამოცანა საერთოდ უაზროა. საქმე ჩვენი წარმოსახვის განსაზღვრულობაში, წარმოდგენის ძალის სისტემაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ წარმოდგენა და აზროვნება პრინციპულად სხვადასხვა სიბრტყეში მდებარეობენ. „სკვრეტდე — ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ არ აზროვნებდე"[76].

თეორიები, რომელნიც ცნებაში, სიტყვაში ისეთ საშუალებებს ხედავენ, რომელნიც ვითომდა ჩვენი წარმოსახვითი უძლურობის საკომპენსაციოდ გვეევლინებიან, გაუგებრობის ნიადაგზე არიან აღმოცენებული. სამკუთხედის ნათლად წარმოდგენა შესაძლებელია, მაგრამ ეს ზედმეტად არ ხდის მის აზროვნებისათვის სრულიად ახალ აქტს. თვალსაჩინო ხატით მოცემული, რაც უნდა სრული და ინტენსიური იყოს იგი, მაინც არაფერს გვაძლევს აზროვნებისათვის. ამიტომ, თუ დავუშვებთ იმას, რომ სიტყვის შინაარსი, მნიშვნელობა, ლოგიკური ბუნებისაა, მისი ან მისი ეკვივალენტის (ამ ტერმინის „შემცველის" მნიშვნელობით გაგების შემთხვევაში) ძებნა წარმოდგენებში (და საერთოდ ფსიქიკურში) უაზროა.

---

[75] აქ შეიძლება ლაპარაკი ყოველგვარი ხატის ეკვივალენტად მოელინების ევიდენტობაზე. შეად. A. Reinach, Gesammelte Schriften.

[76] Husserl, Log. Unt. B. II, გვ. 168.

ნომინალიზმის ღირსება შედარებით მის წინამორბედ „ფიზიკალურ“ თეორიასთან იმაში დავინახეთ, რომ ის ცდილობს მაინც სიტყვის საკუთარი შინაარსი მონახოს. მაგრამ, რამდენადაც ასეთ შინაარსად მას მაინც კონკრეტულ-ემპირიული ფაქტი მიაჩნია, ის ვალდებულია ყველა იმ სიძნელეებს გაუწიოს ანგარიში, რომელიც ჯ. ს. მილის და მის მსგავს თეორიებს ეღობებათ წინ. გარდა ამისა, რამდენადაც ნომინალიზმმა მაინც იკისრა გამოთქმის საფუძვლის გვერდით შინაარსიც დაძებნოს, მის წინაშე სპეციფიკური სიძნელე ჩნდება, რომელიც აღნიშნულ ცნებათა ურთიერთ მიმართებას ეხება.

გომპერცი ზომიერი ნომინალიზმის წინაშე შემდეგ ორ პრობლემას აყენებს: 1. როგორ არის შესაძლებელი მრავალი სხვადასხვა გამოთქმის საფუძვლის ნიადაგზე აღმოცენდეს ერთი და იგივე გამოთქმის შინაარსი (აბსტრაქციის პრობლემა) და 2. ერთსა და იმავე გამოთქმის საფუძველზე მრავალი სხვადასხვა გამოთქმის შინაარსი (ინტელიგიბელური ნაწილის პრობლემა)? „როგორ იქნება ეს შესაძლებელი, თუ, ზომიერი ნომინალიზმის თანახმად, გამოთქმის შინაარსი ემთხვევა გამოთქმის საფუძვლის ინდივიდუალურ წარმოდგენას?“[77] „სამკუთხედი“-ს საზრისი სხვადასხვა იქნება იმისდა მიხედვით, თუ რას გულისხმობს ამ სიტყვის მთქმელი: მახვილკუთხიანს თუ ბლაგვკუთხიანს, ე. ი. სხვადასხვა საფუძველზე ერთი გამოთქმის მიღება ვერ ხერხდება. ან კიდევ, თუ ისეთ სიტყვების შინაარსს ვეძიებთ, როგორიც არის „სხეული“, „შენობა“ და „ხელოვნების ძეგლი“ რომელიმე, ინდივიდუალური სხეულის, შენობის და ხელოვნების ძეგლის წარმოდგენაში, მაშინ შესაძლებელია, რომ მთქმელს სამივე შემთხვევაში პიზას ტაძრის წარმოდგენა გაუჩნდეს და, მაშასადამე, სამივე სიტყვას ერთი და იგივე შინაარსი მიენიჭოს. ერთი და იგივე ობიექტი სხვადასხვა შინაარსის გამოთქმის საშუალებას არ გვაძლევს[78]. რომ ინდივიდუალური იდეა ვერ უზრუნველყოფს სიტყვის შინაარსის ზოგადსა და ერთმნიშვნელოვან ბუნებას, ეს იუმმაც შენიშნა. ის წერს: „თანასწორგვერდიანი სამკუთხედის იდეა, რომლის სიმაღლე უდრის ერთ დიუმს, გამოგვადგება, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ფიგურაზე. სწორხაზოვან ფიგურაზე, სწორფიგურაზე, სამკუთხედზე და თანასწორგვერდიან სამკუთხედზე. ამგვარად, ყველა ამ ტერმინს ახლავს ამ შემთხვევაში ერთი და იგივე იდეა“*. რა უფლება გვაქვს

---

[77] Gomperz, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

[78] «Durch diese beide Konsequenzen würde jedoch die Möglichkeit logischen Verkehrs in gleicher Weise aufgehoben». Gomperz, დას. ნაშრ., გვ. 183.

* იუმი, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

სხვადასხვა ტერმინისათვის გამოვიყენოთ ერთი და ივივე იდეა, თუ ეს იდეა ინდივიდუალურია და არ შეიცავს არაფერს ისეთს, რაც აღნიშნულ ტერმინებში მეორდება ერთიანობის ნიშნის დაუკარგავად?

რამდენადაც საკითხი ზოგადის არსებობას ეხება, ნომინალიზმმა ან უნდა აღიაროს ზოგადის არსებობა სიტყვის სახით, ან ზოგადი ილუზიად გამოაცხადოს და ამ ილუზიის (რომელიც მთელი მეცნიერების ილუზიად გამოცხადებას ნიშნავს) ახსნაში დაინახოს თავისი ამოცანა. როსცელინის აზრით, ზოგადი არის მხოლოდ სახელი (აქედან წარმოიშვა „ნომინალიზმი"). სიტყვა „მხოლოდ" აქ სრულიად არ ამცირებს ფაქტის მნიშვნელობას. საკმარისია გაირკვეს იმის „მიზეზი", თუ რატომ და რა „საშუალებით" არის სახელი ზოგადი. რომ მყისვე ნათელი გახდეს, **რომ** ყველაფერი შეიძლება ამ ნიშნის მატარებლად ჩავთვალოთ, თუ მას ამისათვის **საჭირო ასპექტში განვიხილავთ.** მართლაც და, თუ **სახელში** ვიგულისხმეთ დრო და სივრცეში განსაზღვრული ინდივიდუალური პროცესი დანაწევრებული ბგერებისა, იქ ზოგადის ძებნა უნაყოფო იქნება. მაგრამ თუ სხვადასხვა დროსა და ადგილას გამოთქმული სიტყვა ივივე სიტყვად ვცანით და საამისო საბუთიც მოვძებნეთ, საქმე გვექნება სწორედ ზოგადის ნამდვილ არსებობის აღმოჩენასთან. ის, რის გამოც სახელი, მიუხედავად ბგერათა სხვაობისა და ინდივიდუალობისა, მაინც ივივედ განიცდება, არ არის არც ფიზიკური და არც ფსიქიკური. თუ ფიზიკურ ბგერათა აბსოლუტური სხვაობის მიუხედავად მაინც გვაქვს საშუალება და უფლება ვილაპარაკოთ ერთსა და იმავე სახელზე, რა გვიშლის ხელს ასე მოვიქცეთ წარმოდგენების და, საერთოდ, ყოველი ემპირიული მოვლენის მიმართ? ხომ არ უნდა ვიფიქროთ საერთოდ, რომ სხვაობა ივივეობას გულისხმობს და ინდივიდუალობა — ზოგადობას?

ნომინალიზმის ის სახეობა, რომელიც როსცელინით არის წარმოდგენილი, იმით განსხვავდება რეალიზმისაგან, რომ ზოგადის სფეროს სრულიად დაუსაბუთებლად სახელის ფარგლებში ამწყვდევს. მაგრამ აქ გაჩერება ლოგიკურად შეუძლებელია: ან ზოგადი ყველგან უნდა დავუშვათ, სადაც კი ის პირობები მოგვეპოვება (ეს კი ყველგანაა), რომელიც სახელს აქვს, ან მეორე გზა ვცადოთ. სადაც ზოგადი ილუზიადაა გამოცხადებული, ე. ი. უარყოფილია ნამდვილი ზოგადის არსებობა. ამ უკანასკნელ გზაზე მიუთითებს იუმი. „ხატი, რომელიც არსებობს ჩვენ სულში, ერთეული ობიექტის ხატია,

თუმცა მისი გამოყენება ჩვენ მსჯელობებში ისეთია. თ ი თ ქ ო ს ი ს ი ყ ო ს ზ ო გ ა დ ი“ (ხაზი ჩვენია—ა. ბ.). გაუგებარია, როგორ თა-მაშობს ხატი, რომელიც ინდივიდუალურია, ზოგადის როლს; ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ხატი ამას ასრულებს არა იმის გამო, რომ ის ხატია და, მაშასადამე, ინდივიდუალური, არამედ იმიტომ, რომ ის სხვა განზომილებაშია აღებული, სადაც ხატზე ლაპარაკი არც შეიძ-ლება? ანდა, საიდან იცის იუმმა, რომ აღნიშნული ხატი ფუნქციობს ზოგადის მსგავსად? უსათუოდ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იუმი (ისე, როგორც ყოველი მოაზროვნე არსება) აღჭურვილია ორგვარი „სენ-ვის“ უნარით, ერთის საშუალებით იგი ხედავს ზოგადს (უამისოდ მას არც ეცოდინებოდა, თუ როგორია მისი ფუნქცია, რომელი ფუნქციაა ის, რომელიც მას ჰგავს), ხოლო მეორის საშუალებით იმ ინდივი-დუალურ ხატს, რომლითაც, არსებითად, არის დასაბუთებული ის აზრი, რომ აღნიშნული ხატი არ შეიძლება იყოს ზოგადი, მით უფრო მეტად მტკიცდება ის აზრი, რომ ზოგადის სამყარო სულ სხვა განზო-მილებაა და სრულიად დამოუკიდებელია თავისი მნიშვნელობით ინ-დივიდუალურისაგან. იუმის ფილოსოფიის წინამძღვარი, რომლის მი-ხედვით ყოველივე შემეცნებითი ღირებულების მქონე მოვლენა თვალსაჩინო-სენსუალურ სინამდვილეში უნდა ჰპოვებდეს თავის გა-მართლებას, ხელს უშლის ზოგადის სფეროს შემჩნევას. მაგრამ იგი ფაქტობრივად მაინც მოქმედებს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოთ-ქმა — „თ ი თ ქ ო ს ი ს ი ყ ო ს ზ ო გ ა დ ი“ — იუმის ცნობიერე-ბაში არ გაჩნდებოდა. პრობლემატური და საძიებელი ზოგადის არსე-ბობა კი არ არის, არამედ მისი არსებობის ფორმა. — სინამდვილის ის განზომილება, რომელიც ზოგადის სამყაროს წარმოადგენს.

ნომინალიზმი კრიტიკულ მომენტში წარმოდგენის ტიპიური ელე-მენტის ცნებას მიმართავს და ამით თითქოს აშკარა დამარცხებისგან თავის დაღწევას ახერხებს. ყურადღების კონცენტრაციის საშუალე-ბით შესაძლებელია ინდივიდუალურ წარმოდგენებში შემავალი ტი-პიური ნიშნები გამოიყოს და ასოციაციის საშუალებით დაუკავშირ-დეს ბგერათა კომპლექსს. იმისთვის, რომ შეიქმნას სიტყვა — „მსა-ტვრული ნაწარმოები“, საჭიროა ყურადღების კონცენტრაცია მოხ-დეს, მაგ., ეკლესიის შენობისა და სიმფონიის საერთო, ტიპიურ, ნიშ-ნებზე და გამოიყონ ისინი სხვა ნიშნებისაგან. მაგრამ ნომინალიზმის განკარგულებაში არსებული საშუალებებით ასეთი ოპერაციის ჩატა-რება ფსიქოლოგიურად განუხორციელებელია. მხატვრული ნაწარ-მოებია, მაგალითად, ტაძარიცა და სიმფონიაც. პირველი გვეძლევა მხედველობითი და შეხებითი შეგრძნებებით, მეორე—ტონების მეშ-

ვეობით. სადაა აქ ის წარმოდგენა, რომელიც ხელოვნების ორივე ნაწარმოებს ახასიათებს? როგორ შეუძლია ყურადღებას მხედველობითი და შეხებითი კომპლექსებიდან სხვა რამ გამოიტანოს, თუ არა მხედველობითი და შეხებითი წარმოდგენები, ხოლო ტონების კომპლექსიდან სხვა რამ თუ არა ტონითი შინაარსები?[79]

ენის კონცეპტუალისტური თეორიებიდან შევჩერდებით ლოკის თეორიაზე. სადაც ძირითადში მოცემულია ამ თეორიის სრული სახე.

ენა, ლოკის აზრით, სოციალური ცხოვრების უდიდესი იარაღია. გასაგებია, რომ ადამიანს თავიდანვე აქვს დანაწევრებული ბგერების წარმოშობის ბუნებრივი უნარი. ენისათვის ეს უნარი თუმცა აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი. იმისათვის, რომ ენა წარმოიშვას, საჭიროა ადამიანს ქონდეს იმის უნარიც, რომ დანაწევრებული ბგერები თავის წარმოდგენის ნიშნად აქციოს და ამ გზით სხვისათვის მისაწვდომი გახადოს თავისი საკუთარი აზრი. შემდეგი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ ენამ თავისი მისია შეასრულოს, არის ბგერების საშუალებით ზოგადი წარმოდგენის აღნიშვნა. სიტყვების ხმარება, მათი სიმრავლის გამო, უაღრესად გაძნელებული იქნებოდა ყოველი ცალკე იდეისთვის საკუთარი სახელი რომ მიეგვეცა. იმით, რომ ბგერა ზოგადი წარმოდგენის ნიშანი გახდა, ერთი სიტყვა მრავალი წარმოდგენის აღსანიშნავად იხმარება და, ამგვარად, ენერგიის უდიდესი ეკონომია ხდება. ერთეულებრივი სახელების გვერდით ჩნდებიან ზოგადი სახელები. „ზოგადი ხდებიან ის სახელები, რომლითაც შენაცვლებული არიან ზოგადი იდეები. ერთეულებრივად სახელები რჩებიან მაშინ, როცა ერთეულებრივი არიან მათ მიერ აღნიშნული იდეები"[80].

სიტყვა გრძნობადი ნიშანია, რომლითაც ხილული ხდება უხილავი იდეა. ეს არის სიტყვის დანიშნულება. მისი მნიშვნელობა არის ის იდეა, რომლის შემნაცვლელად, გრძნობად ნიშნადაც იგი გეევლინება, მაგრამ იდეა (წარმოდგენა) ვინმეს საკუთრებაა. ვის იდეას აღნიშნავს სიტყვა?

ორი მიზნისათვის ჭირდება სიტყვა ადამიანს. ის მას ეხმარება საკუთარი იდეის მოგონებაში და საშუალებას აძლევს სხვას გააგებინოს თავისი აზრი. პირველ რიგში, მაშასადამე, სიტყვა მთქმელს ემსახურება; მთქმელის წარმოდგენაა ის, რაც ისეთ გაფორმებას იღებს, რომელიც სხვისთვისაც მისაწვდომი ხდება. მოლაპარაკის

---

[79] Gomperz, დასახ. ნაშრ., გვ. 185—186.

[80] Локк, Опыто человеческом разуме. Пер. Савина. Москва, 1898, გვ. 397.

იდეები — ეს ისაა, რის ნიშნადაც ჩვენ გვევლინებიან სიტყვები. მაგრამ ამ უკანასკნელთ ვერავინ ვერ გამოიყენებს უშუალოდ, ვერსად, თუ არა თავისი საკუთარი „იდეების" მიმართ. სიტყვა ცარიელ ბგერად გადაიქცეოდა, რომ მას უცნობი იდეის მიმართ გამოიყენებდნენ. რადგან არსებობენ ზოგადი სახელები (სიტყვები), უნდა ზოგადი მნიშვნელობაც არსებობდეს. მნიშვნელობას მოკლებული სიტყვა არ არსებობს უბრალოდ იმიტომ, რომ ასეთი ცნება შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს. ლოკი ამ დებულებას ემყარება და ეძებს ზოგად მნიშვნელობას იდეებში. ასეთი გზა ნაკარნახევია მისი გნოსეოლოგიური პრინციპებით. რადგან ყველაფერი, რაც ჩვენ ცნობიერებამდე აღწევს, იდეაა, ზოგადი სახელის მნიშვნელობაც იდეა, სახელდობრ, ზოგადი იდეა უნდა იყოს. თავისთავად ბგერათა კომპლექსი, როგორც რეალური (ფიზიკური) ფაქტი, ინდივიდუალურია და ის მხოლოდ ზოგადი იდეისაგან შეიძლება იღებდეს ზოგადობის ნიშანს. მაგრამ არსებობს თუ არა ზოგადი იდეა, და თუ არსებობს, რით განსხვავდება იგი ინდივიდუალური იდეისაგან?

ლოკის აზრით, რეალურად არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური. მხოლოდ როგორც იდეა შეიძლება ზოგადი არსებობდეს. ინდივიდუალურისაგან ზოგადი იმითაც განსხვავდება, რომ პირველი მოცემულია, ხოლო მეორე აბსტრაქციის შედეგს წარმოადგენს. როდესაც რომელიმე ინდივიდუალი იდეა ასეა განცდილი, რომ მისი ადგილის და დროის ნიშნები არ არის მიღებული მხედველობაში, ის ზოგად იდეად იქცევა. ზოგადში ახალი არაფერია, პირიქით, იმაში არის უფრო ცოტა ნიშანი წარმოდგენილი და სწორედ ამიტომ ეხება იგი უფრო მეტს, უფრო დიდი მოცულობისაა. ვიდრე ინდივიდუალური იდეა. ზოგადი იდეები „არიან ჩვენი სულის ფიქციები და მონაგონი"[81]. მათი შემუშავება (წარმოდგენა) არ არის ადვილი, როგორც ეს პირველი შეხედვით შეიძლება ეგონოს ადამიანს. „განა არ არის საჭირო, მაგ. ძალისხმევა და დაძაბულობა, რომ შევქმნათ სამკუთხედის ზოგადი იდეა?" „ის არ უნდა იყოს არც ბლაგვკუთხიანი, არც სწორკუთხიანი, არც თანასწორგვერდიანი, არც თანასწორფერდიანი, არც არათანასწორგვერდიანი; ის უნდა იყოს ყველაფერი და იმავე დროს არაფერი. ნამდვილად ის არის რაღაც არასრულყოფილი, რომელსაც არსებობა არ შეუძლია, იდეა, რომელშიაც თავს იყრიან სხვადასხვა, ერთმანეთისადმი შეუთავსებელი ნაწილები. თუმცა, თავის უძლურობის გამო, სული გრძნობს ასეთი

---

[81] Локк, დასახ. ნაშრ., გვ. 600.

იდეების მოთხოვნილებას და ყოველმხრივ მიისწრაფის მათკენ სოციალური ცხოვრების მოწყობისა და ცოდნის გაფართოების მიზნით, რამდენადაც ის (სული) თავის ბუნებით ინტენსიურად არის გასწყობილი ამ ორივე მიზნისაკენ. მაგრამ გვაქვს საფუძველი დავინახოთ ამ იდეებში ჩვენი უსრულობის ნიშანი"[82].

ადამიანს არ შეუძლია თავისი სიტყვები საგანთა თვისების ანუ სხვისი სულის ისეთი წარმოდგენის ნიშნად აქციოს, რომელნიც არ არიან მის საკუთარ სულში. ყველას თავისი საკუთარი ენა აქვს. მცოდნე და უმეცარი, მეცნიერი და არამეცნიერი — ყველა საკუთარი იდეით ავსებს ბგერის შინაარსს. სიტყვის გრძნობადი ნიშანი შეიძლება სხვადასხვა ადამიანმა ისმაროს ერთნაირი, მაგრამ ეს ბგერათა კომპლექსი ყველამ თავის ინდივიდუალურ, სხვებისგან განსხვავებულ იდეას მიუყენოს. ვერავინ ვერ მიუყენებს ბგერათა კომპლექსს ისეთ იდეას, რომელიც მას არ გააჩნია. მართალია, ხშირად სიტყვებს აკუთვნებენ მალულად სხვის იდეებს და ნამდვილ საგნებს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სიტყვის შეუფერებელ გამოყენებასთან, რომელსაც სიტყვის მნიშვნელობის საკითხში შეაქვს სიბნელე და არევდარევა[83].

საინტერესოა, რომ სიტყვა ხშირი ხმარების შედეგად იდეის გამოწვევას ახერხებს ისე, თითქოს იგი იდეის ადეკვატური საფუძველი იყოს. ამ ფაქტს უნდა მიეწეროს იმ მცდარი თეორიის წარმოშობა, რომლის თანახმადაც, სიტყვასა და მის შინაარსს შორის არის ბუნებრივი კავშირი მაშინ, როდესაც ნამდვილად მათ შორის კავშირი სავსებით ჩვენ თვითნებითობას ემყარება.

სიტყვის მნიშვნელობა, მაშასადამე, არის იდეა. ორგვარია იდეა, ორგვარია სიტყვაც. სიძნელე სიტყვის მნიშვნელობის პრობლემისა ლოკმა მხოლოდ ზოგადი სახელების მიმართ შენიშნა. რადგან ინდივიდუალური, საერთოდ, არ წარმოადგენს პრობლემას, მის შემცველი კერძო სახელიც პრობლემას არ შეიცავს. რამდენადაც იმისათვის, რომ არსებობდეს სიტყვა-სახელი, ლოკს ორი მომენტი საკმარისად მიაჩნია, ის სახელსა და სიტყვას შორის არავითარ პრინციპულ განსხვავებას არ ხედავს. მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგადი რეალურად მოცემულად არ იგულისხმება და მხოლოდ შემდეგში უნდა შეიქმნას აბსტრაქციის საშუალებით ინდივიდუალური მოცემულობის საფუძველზე, ჩნდება მესამე მომენტი — ზოგადი სიტყვის შინაარსი — ბგერათა კომპლექსსა და ინდივიდუალურ იდეას შორის. მაგრამ რად-

---

[82] Локк, დასახ. ნაშრ., გვ. 600.

[83] იქვე, გვ. 401.

გან ეს მომენტი მხოლოდ აქ იჩენს თავს და ყოველი სახელისათვის არ ითვლება აუცილებელ პირობად. მისი პრინციპული მნიშვნელობაც ლოკისათვის მიუწვდომელი დარჩა.

მაგრამ არის თუ არა გადაჭრილი ლოკის მიერ სიტყვათა ერთი ჯგუფის (ზოგადი სახელების) პრობლემა მაინც?

შეიძლება უკვე გამორკვეულად ჩავთვალოთ, რომ აღნიშნული თეორია ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს აზროვნების თანამედროვე პრობლემატიკას და სრულიად არ უწევს ანგარიშს იმ უდაოდ დადგენილ ფაქტს, რომელიც გამოთქმის სტრუქტურაშია მოცემული.

ნომინალიზმთან შედარებით, ლოკის კონცეპტუალისტურ თეორიას ის უპირატესობა აქვს, რომ ნათლად გრძნობს სიტყვის მნიშვნელობის ძირითად პრობლემას. სიტყვა ზოგადია, მაშასადამე, უნდა სადმე სიტყვის მიღმა მოიძებნოს ისეთი რამ, რაც ამ ზოგადობას გასაგებად გახდის და ამით დაასაბუთებს მას. ნომინალიზმი გრძნობს იმას, რომ მისი ზოგად ფილოსოფიურ შეხედულებაზე დაყრდნობით სიტყვის ზოგადობას ვერ დაასაბუთებს, აშკარად გამოავლენს საერთოდ ზოგადის ილუზიად გამოცხადების ტენდენციას[84]. ლოკი დარწმუნებულია, რომ ზოგადი სიტყვა კანონიერი მოვლენაა და ცდილობს მისი გაგება მოგვცეს. საკითხის გადაჭრას ავტორი „ზოგადი იდეის" ცნებაში ხედავს. ამ ცნების შესაძლებლობაზე და ძალაზეა, მაშასადამე, მთელი კონცეპტუალისტური თეორიის ბედი დამყარებული.

როგორ უნდა გვესმოდეს „ზოგადი იდეა?" გომპერცი ამ ცნების ოთხგვარი მნიშვნელობით გაგებას თვლის შესაძლებლად. ზოგადი, რასაკვირველია, არ არის აღქმაში და არც მის პირდაპირ რეპროდუქციაში. რჩება ერთი შესაძლებლობა — წარმოსახვის ძალა, რომელიც ზოგად ფანტაზმებს გვაწვდის.

„ადამიანი საერთოდ" შეიძლება გავიგოთ როგორც ისეთ ნიშანთა კრებული, რომელიც ხშირად გვხვდება ადამიანთა შორის ან როგორც ისეთი ნიშნების კომპლექსი, რომელიც, თანახმად რომელიმე ნორმატული პრინციპისა, უნდა ჰქონდეს იდეალურ ადამიანს, ან როგორც ისეთი სურათი, როგორიც გვაქვს. როცა ადამიანს ისეთ მანძილზე ვხედავთ, თუმცა გარკვევით ვიცით, რომ ადამიანთან გვაქვს საქმე, მაგრამ არ ვიცით ქალია იგი თუ ვაჟი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, ან კიდევ როგორც მოგონებული რომელიმე სურათი ადამიანისა, რომელიც, თუმცა ხასიათდება ზოგიერთი დეტალით, მაგრამ

---

[84] იხ. Н. Лосский, Обоснование интуитивизма, 1908, გვ. 261; შდრ. აგრეთვე იუმის გარჩევა ზემოთ.

მაინც არ არის ნათელი, არაფერი შეგვიძლია ვთქვათ. მაგ., მისი თვალების ფერის ან ცხვირის ფორმის შესახებ და სხვა. ასეთი ფანტასმაგები საერთოდ არსებობენ, მაგრამ შეიძლება თუ არა ისინი გამოთქმის შინაარსად ჩავთვალოთ? რასაკვირველია, არა! ჯერ ერთი, არიან ზოგადი მნიშვნელობის გამოთქმები, რომელთა შესახებ ვერც ერთი სახე აქ ჩამოთვლილი ფანტაზმებისა არ შემუშავდება და მეორე ის რომ იქაც, სადაც ზოგადის ფანტაზმი შესაძლებელია შემუშავდეს. უკანასკნელი არ არის პირველის წარმომადგენელი[85].

„ფერი" ყველასთვის ნაცნობი გამოთქმაა. ის ყველას ესმის და ყველა მართებულად იყენებს მას პრაქტიკაში, მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ „ფერის" შესატყვისი ზოგადი ფანტაზმი არსებობს? შეუძლებელია, წარმოდგენა „ფერისა საერთოდ" დავადასტუროთ ყვითელ, ლურჯ, თეთრ ფერებში. მხატვრული ნაწარმოების სახით ხან სიმფონია ვვეძლევა, ხან ტაძარი, რაოდენ ბუნდოვანი და გაურკვეველი უნდა იყოს წარმოდგენა, რომ მას მოვუნახოთ ადგილი სიმფონიაშიც და ტაძარშიც?[86]

გამოთქმის შინაარსად მხოლოდ ის შეიძლება გამოდგეს, რაც თავის ბუნებით გამოთქმის საზრისს ემთხვევა. რადგან გამოთქმა — „ადამიანი საერთოდ" ერთია — ერთ საზრისს შეიცავს, ერთსა და იმავეს უნდა წარმოადგენდეს ისიც, რაც ამ საზრისის როლში გამოსვლის პრეტენზიას აცხადებს. სათანადო ფანტაზმები, რომელთაც ზემოთ გავეცანით, ოთხი გვარის შეიძლება იყვნენ. თითოეულ გვარში მრავალი სხვადასხვა სახის ფანტაზმი შეიძლება იგულისხმებოდეს. გარდა ამისა, ეს ფანტაზმები სხვადასხვა ინდივიდში სხვადასხვაა და ერთსა და იმავე ინდივიდშიც ყოველთვის ერთნაირი არ არის; თუ ყოველივე ამას მხედველობაში მივიღებთ, აღმოჩნდება, რომ ზოგადი იდეა, როგორც ზოგადი ფანტაზმი გაგებული, ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს გამოთქმის იდენტობის მოთხოვნილებებს და, მაშასადამე, ვერც ჩაითვლება მის შინაარსად[87].

„ს ი ტ ყ ვ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ს რ ო მ... წ ა რ მ ო დ გ ე ნ ე ბ ი ქ მ ნ ი დ ე ს, ს ი ტ ყ ვ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა უ ა ღ რ ე ს ა დ დ ა უ დ ე გ ა რ ი მ ო ვ ლ ე ნ ა ი ქ ნ ე ბ ო დ ა და, რაც მთავარია, ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს გ ა გ ე ბ ა ს რ უ ლ ი ა დ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი გ ა ხ დ ე ბ ო დ ა. ენა გაუგებრობის წყარო იქნებოდა და არა გაგებინების საშუალება"[88].

---

[85] Н. Лосский. დასახ. ნაშრ., გვ. 171.

[86] იქვე, გვ. 173.

[87] Gomperz, დასახ. ნაშრ., გვ. 172.

[88] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 214.

ლოკი ზოგადს ეძებს ფსიქიკურში იმიტომ, რომ რეალობაში, მისი აზრით, ყველაფერი ინდივიდუალურია. თითქოს ფსიქიკური რეალური არ იყოს! წარმოდგენაში არსებობა და სინამდვილეში არსებობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ერთი მეორეს დაუპირისპირდეს, როცა წარმოდგენილში იგულისხმება მხოლოდ ნაგულისხმევი (bloss Gemeintes), ხოლო ნამდვილად არსებულში არსებული, რომელიც შეესატყვისება ნაგულისხმევს. როცა წარმოდგენაში რეალური ფსიქიკური არსებობა იგულისხმება, რეალობის თვალსაზრისით მისი დაპირისპირება ნამდვილად არსებულთან დაუშვებელია. ხოლო, თუ წარმოდგენას „ნაგულისხმევად" გავიგებთ, მაშინ მისი დაპირისპირება „ნამდვილად" არსებულთან თუმცა კანონიერია. მაგრამ „წარმოდგენა" ამ შემთხვევაში ფსიქიკურს აღარ ნიშნავს, რადგან „ნაგულისხმევია — ნიშნავს: არ არსებობს რეალურ-ფსიქიკურად"[89].

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ენა ურთიერთშორის საშუალებად მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ მისი ობიექტურობა ადამიანთა კოლექტივისათვის სავალდებულო ინსტანციის სახით გვევლინება. ლოკიც აღნიშნავს, რომ ენა არის ადამიანთა ურთიერთობის მძლავრი იარაღი, მაგრამ სიტყვის მნიშვნელობა რომ მართლა ის იყოს, რასაც ლოკი ასეთად თვლის, ამაზე უვარგისს ამ საქმისათვის ვერავინ მოიგონებდა. თანახმად „იდეოლოგიური" თეორიისა, ყველამ მხოლოდ თავისი საკუთარი წარმოდგენა იცის და ყველა მხოლოდ თავის წარმოდგენის აღსანიშნავად ხმარობს ბგერათა გარკვეულ კომპლექსს: სხვისი იდეების გამოსახვა ისე არ შეიძლება, როგორც ორ ენაზე — ნაცნობ და უცნობ ენაზე — ლაპარაკი. სენსუალიზმის ნიადაგზე აღმოცენებული სოლიპსიზმი აქაც თავს იჩენს. სრულიად გაუგებარია, როგორ თამაშობს ენა შუამავლის როლს ადამიანთა შორის, როცა ყველას თავისი საკუთარი ენა აქვს და ყველას მხოლოდ ის ესმის, რაც თვითონ იგულისხმა ამა თუ იმ ბგერათა კომპლექსში. ფსიქოლოგიაში დღეს გამორკვეულია, რომ ფსიქოლოგიური მონადიზმი (სუბიექტივიზმი) და ამაზე აშენებული ანალოგიის თეორია ფსიქოლოგიური მასალის შეკრებასაც ვერ უზრუნველყოფს. ასეა ამ შემთხვევაშიც: თუ ყოველგვარი სიტყვა მხოლოდ ამას აღნიშნავს, რაც მთქმელისა და გამგონის უშუალო ფსიქოლოგიურ განცდაშია, ვერავინ ვერასოდეს სიტყვაში ვერ ამოიკითხავს იმისგან განსხვავებულს, რაც მან უკვე იცის, მაგრამ მაშინ რა აზრი აქვს საერთოდ ენის არსე-

---

[89] Husserl, Log. Unters. Bd. II, Teil 1, 1928, გვ. 133.

ბობას? როგორ მოახერხებს იგი ადამიანთა ინტელექტუალურ დაკავშირებას და ცოდნის გავრცელების ფუნქციის შესრულებას?

კონცეპტუალიზმს უახლოვდება ზოგი ნიშნის მიხედვით *მ ა ხ ი ს* თეორია. ზოგადი ცნება არ არის, მახის აზრით, ცარიელი სიტყვა. ამას ამტკიცებს უაღრესად აბსტრაქტული ცნებების გაგებისა და მათი სწორად გამოყენების ფაქტი, მაგრამ არც მომენტანური წარმოდგენა გვეძლევა ცნების ხმარების დროს და არც წარმოდგენა, რომელიც შეიძლება ფარავდეს ცნების შინაარსს. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ თვით ცნება არ არის მომენტანური წარმონაქმნი[90]. ცნებას ხანგრძლივი ისტორია აქვს და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მისი სრული გაგება-ახსნა, თუ ნათლად იქნება წარმოდგენილი მისი წარმოშობის პირობები. ეს იმით ხასიათდება, რომ რამდენიმე მოვლენას ერთი კლასისას ერთი სიტყვით აღნიშნავს; რაღაც არის, მაშასადამე, ზოგადი, რომელიც სიტყვის შინაარსს უნდა ქმნიდეს. რა არის ზოგადი? რას აღნიშნავს სიტყვა?

ფიზიკურ სინამდვილეში ზოგადი, როგორც ასეთი, არ არსებობს. „გენერალიებს არ ახასიათებთ ფიზიკალური რეალობა"[91]. ზოგადი არ არის არც ჩვენი ცნობიერების რეცეფციულ აქტებში. ყოველი ცვლილება ფიზიკურში სათანადო დიფერენციულ ცვლილებას იწვევს ჩვენში და ამიტომ არც ეს სფერო გამოდგება ზოგადის ასახსნელად. *რ ჩ ე ბ ა რ ე ა ქ ც ი უ ლ ი ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი ჩ ვ ე ნ ი ო რ გ ა ნ ი ზ მ ი ს ა.* გარემოს მრავალფეროვანი ცვლილება იწვევს სხვადასხვა სახის რეაქციებს ორგანიზმში, მაგრამ მრავალსახიანობა ორგანიზმის რეაქციებისა არის გაცილებით მცირე, ვიდრე მრავალსახიანობა გარემოს ცვლილებებისა. გარემოს ცვლილებები არაფრით არ არიან შეზღუდული, ხოლო ორგანიზმის რეაქციებს ევალებათ, თერმოსტატის მსგავსად, ორგანიზმი შეინახონ სტაციონალურ მდგომარეობაში. ამიტომ რეაქციების მრავალფეროვნება დაყვანილი უნდა იქნეს მინიმუმამდე. „ცოცხალი არსებანიც ხომ თერმოსტატები არიან?"[92]

სადაც სიტყვათა მარაგი მცირეა, განსაკუთრებით იქ იჩენს თავს ის ფაქტი, რომ სიტყვა ყოველთვის არ ფარავს ცნებას და ერთი სიტყვით სხვადასხვა ცნება აღინიშნება, მაგრამ სიტყვის მნიშვნელობა მაინც მტკიცე ხდება იმიტომ, რომ ბიოლოგიურად მნიშვნელოვან რეაქციათა რიცხვი არ არის ძალიან დიდი. „ყოველი სიტყვა იხმარება მაშინ ობიექტთა ერთი კლასის აღსანიშნავად, ერთი *გ ა რ კ ვ ე უ-*

---

[90] Э. Mах. Познание и заблуждение, 1909, გვ. 131.

[91] Mach, Wärmelehre, გვ. 416.

[92] Э. Mах, Научно-популярные очерки, 1909. გვ. 305.

ლი რეაქციით. ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი რეაქციების მრავალსახიანობა გაცილებით მცირეა, ვიდრე მრავალსახიანობა სინამდვილის ფაქტებისა. ეს გარემოება აძლევს ადამიანს პირველად საშუალებას მოახდინოს სინამდვილის ფაქტების ლოგიკური კლასიფიკაცია"[93].

„ჩვენი უნარი განსხვავებისა უფრო დიფერენცირებულია, ვიდრე ჩვენი რეაქციების ხასიათი. რეაქციებს, რომელთაც ჩვენ ვარჩევთ განსაზღვრულ დროში, შეესატყვისება შეგრძნებათა სახელწოდება"[94]. სიტყვის ზოგადობის საფუძველს მახი ფიზიოლოგიურში, ორგანიზმის რეაქციებში ეძებს.

მახის შეხედულებას პრინციპულად ეთანხმება მიუნსტერბერგის აზრი[95].

როგორ უნდა შევაფასოთ მახის მოტორული თეორია? ცხადია, რეაქციული უნარის დიფერენციაციის ჩამორჩენილობის სენსორული დიფერენციაციის განვითარებასთან შედარებით არ შეიძლება რაიმე ბიოლოგიური მნიშვნელობა არ ჰქონდეს. მაგრამ დიფერენციაციის განუვითარებლობის გაგივება ზოგადობის ნიშანთან მხოლოდ გაუგებრობაა და მეტი არაფერი. შეიძლება უაღრესად დიფერენცირებული იყოს ზოგადი და პირიქით. ეს შემთხვევითია თვით ზოგადის ცნების მიმართ. მახის თეორიით გამოდის, რომ ორგანიზმის რეაქციის უნარმა ისეთივე დიფერენციაციას რომ მიაღწიოს, როგორსაც მიაღწია სენსორიუმმა, ზოგადი ცნება არ უნდა შემუშავდეს (როგორც კონცეპტუალისტი, მახი ცნების მხოლოდ შემუშავებაზე ლაპარაკობს). მაშასადამე, ცნება მოტორიუმის განუვითარებლობას ემყარება და ამდენად სრულიად შემთხვევითია. თუ ვივიღებთ იმას მხედველობაში, რომ განვითარება დიფერენციაციის გზით მიდის, უნდა ვიფიქროთ, რომ ოდესმე, როცა მოტორიუმი სათანადოდ განვითარდება, ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა რიცხვი გაიზრდება (ის ხომ თანდათან იზრდება?!), ცნებაც გაქრება. ცნობილია, რომ ცხოველის და ბავშვის რეაქციები უფრო დიფუზურია და გაურკვეველი. მახის თეორიით უზოგადესი ცნებებიც აქ უნდა გვხვდებოდეს. ლოკმა ჩვენი სულის განუვითარებლობა ზოგადის საფუძვლად გამოიყენა; უამისოდ არც სიტყვა იქნებოდა საჭირო და არც ზოგადი იდეა. ეს უკანასკნელი აღარ გამოდგებოდა ჩვენი სულის უძლურების მომას-

---

[93] Э. Мах, Позн. и заблужд., зз. 303.

[94] Э. Мах, Научно-популярные очерки, зз. 305.

[95] H. Münsterberg, Grundzüge der Psychologie, 1900, зз. 552.

წავებლად. მახიც ჩვენი ორგანიზმის არათანასწორ განვითარებაზე ამყარებს ცნების (სიტყვის) წარმოშობის ფაქტს.

დავუშვათ, რომ ადამიანის ცნობიერებაში ლოგიკური კლასიფიკაცია მახის მიერ ნაჩვენები გზით შემოდის. იბადება კითხვა: რას ემყარება ამ კლასიფიკაციის სისწორე, ობიექტურობა? მოტორული რეაქცია ხომ ვერ შექმნის რეალობაში იმ სისტემას, რაც ამ რეალობას არა აქვს? ცხადია, ჩვენი საკითხი თავისთავად სისტემის შესახებ სრულიად არ აწუხებს მახს. კონცეპტუალიზმის ძირითადი შეცდომა — ლოგიკურ-ობიექტურისა და რეალურ-ფსიქოლოგიურის აღრევა ერთმანეთში —აქაც იჩენს თავს და რა გასაკვირია, რომ ამ გზით ვერავითარ მნიშვნელოვან შედეგს ვერ მივაღწიოთ ვერც ლოგიკისათვის და ვერც ფსიქოლოგიისათვის.

გარდა ამისა, სრულიად გაუგებარია, როგორ შეუძლია რეაქციის ცნებას უზრუნველყოს სიტყვის მნიშვნელობის ერთიანობა და სიმტკიცე, როცა ფაქტია, რომ ერთი და იგივე სენსორული ობიექტი სხვადასხვა რეაქციას იწვევს სხვადასხვა ადამიანში და ერთსა და იმავე ადამიანში სხვადასხვა დროს? ის, რაც უნდა შეიძინოს ბგერათა კომპლექსმა იმისათვის, რომ იგი სიტყვად იქცეს, შეუძლებელია ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა მსგავსებას ემყარებოდეს. მახის მიერ (ზოგადი) სიტყვის შინაარსად ცნების გამოცხადება ე. წ. „ფეოლოგიური“ თეორიიდან არ განსხვავდება, რადგან „შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა თ ა ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი. რომელზედაც შეიძლება უკანასკნელ ინსტანციაში ცნების ნიშნების დაყვანა, ეკრიან ფიზიკური და ფსიქიკური ფაქტები“[96]. ცხადია, რომ რა მოდიფიკაციაც არ უნდა განიცადოს შეგრძნებამ, თანახმად აბსტრაქციის[97] კონცეპტუალური თეორიისა. შეგრძნების სუბიექტურობა მაინც ვერ შეიქმნა ლოგიკური ამოცანისთვის გამოსადეგ ობიექტურობას.

თუ კონცეპტუალისტური თეორიის აზრს იმაში კი არ დავინახავთ უმთავრესად, რომ აქ კონცეპტად წარმოდგენაა ნავარაუდევი, არამედ იმაში, რომ ცნების შინაარსი საერთოდ მოცემული კი არ არის, არამედ შექმნილი სუბიექტის ამა თუ იმ სახის მოღვაწეობით, მაშინ ტ ე ნ ი ს ვოლუნტარისტული თეორიაც[98] კონცეპტუალის-

---

[96] Э. Мах, Позн. и заблужд., გვ. 141.

[97] აბსტრაქციის სენსუალისტური თეორიის საფუძვლიან კრიტიკას გვაძლევს ჰუსერლი. იხ. Log. Untersuchungen. Bd. 11, Teil 1, 1928, გვ. 137—225.

[98] ასე ვუწოდებთ ამ თეორიას, რადგან გადამწყვეტ როლს აქ მისწრაფება თამაშობს.

ტურად შეიძლება ჩავთვალოთ. ლოკისა და მახის მსგავსად. ტენიც აღიარებს. რომ სიტყვის შინაარსი ზოგადია და ეს ზოგადი სადმე როგორმე უნდა არსებობდეს. როდესაც ლოგიკოსები და გრამატიკოსები ამბობენ. რომ საზოგადო სახელი არის ზოგადი და განყენებული, ისინი სწორად მსჯელობენ. სიტყვა არის ზოგადი იმიტომ, რომ შეეხება მთელ გვარს, მოვლენათა მთელ ჯგუფს, ხოლო განყენებული იმიტომ, რომ მიუთითებს ერთგვარ გამოთიშვაზე და ამდენად განუყოფელის ნაწილს შეადგენს. ზოგადი და განყენებული ნიშნები სიტყვისა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. სიტყვა იმიტომაა ზოგადი. რომ განყენებულია. სახელის შინაარსი, მაშასადამე, არ არის „ფაქტი“. არამედ ფაქტის განუყოფელი ნაწილია. რასაკვირველია, ამ ნაწილის არც აღქმა შეიძლება და არც (გრძნობადი) წარმოდგენა. რადგან ასეთი რამ შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას. „...წმინდა მრავალკუთხედი არის ფიგურა მრავალი მხარეებით, მაგრამ ეს მხარეები არ შეადგენენ გარკვეულ რიცხვს და ამიტომ არც შეიძლება ამაზე არავითარი გამოცდილება. არავითარი გრძნობადი წარმოდგენა“. „ვინმეს რომ დავავალოთ, რომ დაინახოს ან წარმოისახოს მრავალი მხარეები და იმავე დროს არ დაინახოს და არ წარმოისახოს არც სამი, არც ოთხი, არც. საერთოდ. რომელიმე რიცხვი, ნიშნავს იმას, რომ ერთსა და იმავე დროს დავავალოთ და კიდევაც ავუკრძალოთ ვინმეს ერთი და იგივე ოპერაცია“. „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სიდიდე და ფორმა ისე, რომ ეს სიდიდე და ფორმა არ იყოს ასეთი და ასეთი. ე. ი. გაბსაზღვრული“[99]. ხატი, რომელსაც იწვევს ჩვენში სიტყვა. არის ბუნდოვანი და ცვალებადი, ხოლო ის მნიშვნელობა. რომელსაც ჩვენ ვიგებთ სიტყვაში, არის ზუსტი და მტკიცე. ათასკუთხედის წარმოსახვა რომ ვცადოთ, რაგინდ წარმოსახვის დიდი ძალაც არ გამოგვაჩნდეს, მაინც ვერ გავცილდებით ოც. ოცდაათ ხაზს, ხოლო შინაარსი ათასკუთხედისა უფრო ძნელი არ არის გასაგებად. ვიდრე სამკუთხედისა. ამგვარად, „ის, რაც მე მესმის (გამეგება), არ არის ის, რასაც მე წარმოვისახავ. და ჩემი ცნება არ არის მერყეული ფიგურა, რომელიც მას სდევს თან“[100].

წარმოსახვა და გაგება არ არის, მაშასადამე, ერთი და იგივე. სწორია ისიც, რომ ცნებას ჩვენ ვწვდებით არა წარმოსახვით, არამედ გაგების აქტით. „მაგრამ. — განაგრძობს ავტორი, — ეს ცნება არსებობს; ჩემში არის რაღაც, რაც წარმოადგენს ათასკუთხედს და მას ზუსტად შეესაბამება. რაში მდგომარეობს ეს შინაგანი წარმომადგენელი... რა ხდება ჩემში, როცა... მე ვაზროვნებ ჩემ მიერ გაგონილი

---

[99] И. Тэн, Об уме и познании, С.-Петербург, 1872, გვ. 11.
[100] იქვე.

ზოგადი სიტყვის საშუალებით... განყენებულ ნიშანს?«[101] მნიშვნელობის (ცნების) წარმომადგენელი წარმოდგენა არ არის, ის ყოველთვის ინდივიდუალური ბუნებისაა. უნდა ისეთი რამ მოინახოს ადამიანის ცნობიერებაში, რაც ინდივიდუალობის ნიშანს არ საჭიროებს და ამდენად ზოგადის რეპრეზენტაციის ფუნქციისათვის გამოდგება. ასეთ რეპრეზენტანტის როლს, ტენის აზრით, ასრულებს მისწრაფება. „როდესაც ჩვენ დავინახეთ საგანთა მთელი რიგი, რომელთაც ერთი და იგივე თვისება აქვთ, ჩვენ განვიცდით ერთგვარ მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა ს, მისწრაფებას, რომელიც შეესატყვისება ამ თვისებას და მხოლოდ მას. აი, ეს მისწრაფება იწვევს ჩვენში სახელს". „ჩვენ არა გვაქვს, სწორად რომ ვთქვათ, ზოგადი იდეები, ჩვენ გვაქვს მისწრაფება დასახელებისაკენ და სახელები. მაგრამ ყოველგვარი მისწრაფება თავის თავად არ არის რამე ცალკეული"[102]. „როდესაც ჩვენ მრავალი აღქმებიდან გამოვყოფთ ზოგად იდეას, ჩვენ ყოველთვის ვიპოვით ჩვენში... ე რ თ გ ვ ა რ ი მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ი ს სიჭარბეს, რ ო მ ე ლ ი ც ი წ ვ ე ვ ს გ ა მ ო ს ა ხ უ ლ ე ბ ა ს და სხვა გამოსახულებათა შორის — სახელს"[103].

ტენის თეორიას აქვს მსგავსება ნომინალისტურ თეორიასთანაც. როცა ჩვენ გვესმის რომელიმე უბრალო ბგერათა კომპლექსი, ის არავითარ ინდივიდუალურ წარმოდგენებს არ უკავშირდება, ხოლო როცა ჩვენ გვესმის სიტყვა „ხე", „ჩვენ ჩვენდა უნებურად წარმოვისახავთ მუხას, ალვის ხეს, მსხალს, რომელიმე სხვა ხეს და, როცა ვხედავთ რომელიმე ხეს, ჩვენდა უნებურად წარმოვთქვამთ სიტყვა ხეს"[104]. ე. ი. სიტყვა გვაწვდის არა ზოგად იდეას, არამედ რამდენიმე ინდივიდუალურ წარმოდგენას. სპეციფიკური და ორიგინალური ტენის კონცეფციაში მისწრაფების ცნებაა. ამ ცნებას აქვს დაკისრებული ზოგადობის ფუნქციის შესრულება და ამას ის თითქოს იმით ახერხებს, რომ ის არ არის რაიმე ინდივიდუალური, რაიმე განსაზღვრული. რამდენადაც, მაშასადამე, მისწრაფების ემინენტური მნიშვნელობა მის გაურკვევლობას ემყარება, ტენი ახლოს დგას ლოკთან და რაც ამ უკანასკნელზე ითქვა, ძალაშია ტენის თეორიის მიმართაც.

რაც შეეხება თვით მისწრაფების გამოყენებას სიტყვის ზოგადობის და, საერთოდ, მისი მნიშვნელობის წარმოქმნის საკითხს, ტენი არ არის უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე სხვა ფსიქოლოგისტები. თვით

---

101 **И. Т э н**, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

102 იქვე, გვ. 15—16.

103 იქვე, გვ. 15.

104 იქვე, გვ. 16.

ტენმა ნათლად და სწორად დაუპირისპირა ერთმანეთს თვალსაჩინო წარმოსახვითი სურათი და სიტყვის მნიშვნელობა და აქედან უნდა დაენახა მას, რომ მეორის ეკვივალენტის ძებნა პირველში არც შეიძლება და არც საჭიროა. რატომ უნდა ვეძებდეთ მნიშვნელობის გაგების (გაცნობიერების) შემდეგ კიდევ მის თვალსაჩინო ეკვივალენტს, თუ წინასწარ არ არის მიღებული სენსუალისტური დებულება, რომ ცნობიერებაში არსებობისათვის უსათუოდ თვალსაჩინოების ნიშანია საჭირო? რადგანაც ცხადია, რომ ზოგადის განხორციელება წარმოდგენაში ლოგიკურ წინააღმდეგობას შეიცავს, უნდა შეწყდეს ასეთი ძიება საერთოდ. რა პრინციპული უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს მისწრაფებას წარმოდგენასთან შედარებით? მთავარი, რაც წარმოდგენას უვარგისად აქცევს სიტყვის მნიშვნელობისათვის, მისი ფსიქიკურობა, მისწრაფებასაც ახასიათებს. გაურკვეველობა. უსრულობა — ლოგიკური მნიშვნელობის მიმართ მინუსია და არა პლიუსი, ხოლო, როგორც განცდა აღებული, მისწრაფებაც ინდივიდუალურია და გარკვეული. მისწრაფება საბოლოო ანგარიშში ასოციაციაზე დადის, ასოციაციაზე, რომელიც არსებობს სახელსა და გარკვეული კლასის ინდივიდუალურ წარმოდგენათა შორის. მაგრამ ცხადია, რომ ის, რაც შეიძლება შემთხვევით დაუკავშირდეს სახელს (სიტყვას), არ არის მისი (ლოგიკური) შინაარსი. ასოციაცია არ შეიძლება არ იყოს შემთხვევითი: „ხემ" მე მომაგონა მუხა, მსხალი... მაგრამ შეიძლებოდა მომგონებოდა ნაძვი, ცაცხვი. ლოგიკურად განსხვავებული მდგომარეობა არ გვექნებოდა. მაგრამ, თუ „ხე"-ს გაგებისათვის, სულერთია, მრავალი ინდივიდუალური წარმოდგენიდან, რომელი იქნება რეპროდუცირებული, არსებითი მნიშვნელობა არც ერთ წარმოდგენას არ ჰქონია. მაგრამ, რადგან (საილუსტრაციოდ) მაინც ყოველი ხე გამოსადეგია ამისათვის, ცხადია, რომ ის, რაც არის „ხეს"-ს შინაარსი, ყოველ ხეშია და იმავე დროს, რადგან ის არის ერთი, არც ერთი კონკრეტული ხის საკუთარ ნიშანს არ შეადგენს.

ფსიქოლოგისტურ თეორიებს მივაკუთვნებთ ჩვენ ჰ. გ ო მ პ ე რ ც ი ს თეორიასაც. გომპერცი თავისი პატემპირისტული სისტემის შექმნისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საერთოდ სემასიოლოგიის საკითხებს და ამით აიხსნება, რომ თავისი ნოოლოგიის პირველი ნაწილი მან დაუთმო საკუთრივ სემასიოლოგიის ძირითად პრობლემებს, რომელთა რიცხვს იგი ძირითადად ოთხი საკითხით შემოფარგლავს[105]. იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს, ჩვენი აზ-

---

[105] Heinrich Gomperz, Weltanschauungslehre, Bd. 11. Noologie/I Hälfte, Einleitung und Semasiologie. Jena, 1928.

რით. გომპერცის შრომას, საჭიროა მასზე ცალკე დაიწეროს. აქ კი ამ შრომას მხოლოდ ჩვენი პრობლემის თვალსაზრისით შევეხებით და ისიც მოკლედ.

როდესაც გამოთქმის საფუძველი სუბიექტთან ურთიერთობაში მოდის, ის სუბიექტში გამოიწვევს წარმოდგენას ან გრძნობას. გ ო მ-პ ე რ ც ი ს აზრით, წარმოდგენა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ზოგადი თუ ინდივიდუალური, სიტყვის შინაარსის როლს ვერ ითამაშებს. ავტორი ვრცლად არჩევს „იდეოლოგიური" თეორიის მნიშვნელობას ამ საკითხში და ბევრ მართებულ დებულებას აყენებს მის წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ, რადგან ავტორის წინასწარი შეხედულებით გამოთქმის საფუძვლიდან მხოლოდ წარმოდგენის და გრძნობის მიღება შეიძლება, წარმოდგენის გამორიცხვის შემდეგ ყურადღება თავისთავად გრძნობებზე ჩერდება. აქ უნდა მოიძებნოს ის, რითაც არის გამოთქმა დაკავშირებული გამოთქმის საფუძველთან, — აქ უნდა მოიძებნოს გამოთქმის შინაარსი.

გამოთქმის საფუძველი უბრალო განცდის შემთხვევაშიც იწვევს ჩვენში გრძნობათა მთელ კომპლექსს, რომელსაც გომპერცი გამოთქმის საფუძვლის ტოტალურ იმპრესიას ეძახის. ეს უკანასკნელი პირველად მოცემული სახით არ გამოდგება გამოთქმის შინაარსად. საჭიროა ამ მასალამ ერთგვარი ჭადამუშავება განიცადოს. რომ აღნიშნული ფუნქცია შეასრულოს. ორი სპეციფიკურად განსხვავებული გამოთქმის საფუძველი არასოდეს არ გვაძლევს მსგავს ტოტალურ იმპრესიას, მაშინ როდესაც ისინი მაინც ძლიერ ხშირად გაიგებიან ერთი და იგივე გამოთქმის შინაარსით. ზოგადი შთაბეჭდილება, რომელსაც იწვევენ ჩვენში პიზას ტაძარი და მე-9 სიმფონია. ძლიერ განსხვავებულია. მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი გაერთიანებული არიან ერთ გამოთქმაში — „მხატვრული ნაწარმოები". რა არის დასახელებულ ორ ობიექტში ისეთი, რომ მათი ერთი ტერმინით აღნიშვნა შესაძლებელია? „...ეს ხდება, სახელდობრ, იმიტომ, რომ ორივე იწვევს ჩვენში მოწონების გარკვეულ გრძნობას, მოწონების ისეთს თავისებურ გრძნობას, რომელსაც იწვევენ მხოლოდ მხატვრულად და გეგმაშეწონილად დანაწევრებული ობიექტები და არა ბუნების საგნები"[106]. ტოტალური იმპრესიის სხვაობა არ ქმნის დაბრკოლებას ერთი შინაარსის გამოსათქმელად, ვინაიდან სხვადასხვა იმპრესიებს, მათი სხვაობის მიუხედავად, აღმოაჩნდათ საერთო გრძნობითი ელემენტი. ტოტალური იმპრესია ორი ტიპის გრძნობებს შეი-

---

[106] G o m p e r z, დასახ. ნაძრ., გვ. 221.

ცავს: ისეთს, რომლითაც ერთი ტოტალური იმპრესია მეორისგან განსხვავდება და ისეთს, რომელიც მათ საერთო აქვთ. პირველს ავტორი უწოდებს ინდივიდუალურს, ხოლო მეორეს — ტიპიურ მომენტს და ამის მიხედვით ინდივიდუალური მომენტების ჯამს ეძახის ინდივიდუალურ ტოტალურ იმპრესიას, ხოლო ტიპიური მომენტების ჯამს — ტიპიურ ტოტალურ იმპრესიას. ამთავითვე ცხადია, რომ გამოთქმის შინაარსთან მეტი კავშირი უნდა ჰქონდეს ტიპიურ ტოტალურ იმპრესიას, რომ ამ უკანასკნელ ცნებასთან უნდა იყოს სიტყვის შინაარსის პრობლემის გადაჭრა, დაკავშირებული. ეს იქიდან ჩანს, რომ გამოთქმის ორ სხვადასხვა საფუძველს მაშინაც აქვს საერთო ელემენტი, როცა მათ წარმოდგენის არც ერთი ელემენტი არ აერთიანებთ; მიუხედავად იმისა, რომ ერთი ობიექტი შეიძლება სმენის ორგანოს საშუალებით მივიღოთ (სიმფონია), ხოლო მეორე მხედველობის საშუალებით (ტაძარი), მაინც აღმოაჩნდეთ მათ საერთო ელემენტი (სპეციფიკური მოწონება), რომელიც გამოთქმის (Aussage) შინაარსად იქცევა.

მაგრამ ადამიანთა შორის არსებული ლოგიკური ურთიერთობის ახსნა გრძნობის საშუალებით განსაკუთრებულ ეჭვს იწვევს. თვით გომპერცი ენერგიულად იცავს იმ აზრს, რომ აზრის ლოგიკურ ვალენტობას არ უნდა შეეხოს ცალკე პიროვნებათა ფსიქოლოგიური თავისებურება. თუ წარმოდგენებზე ითქმის, რომ ისინი იცვლებიან პიროვნებიდან პიროვნებამდე, რაღა ითქმის მაშინ გრძნობების შესახებ, როდესაც ისინი უსუბიექტურესი არიან ყველა განცდათა შორის? ხომ უდაოა ყველასთვის, რომ ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა პირში ძალიან ხშირად განსხვავებულსა და საწინააღმდეგო გრძნობებსაც კი იწვევს? თუ წარმოდგენა უარყოფილ იქნა გომპერცის მიერ იმიტომ, უმთავრესად, რომ ის სუბიექტურ-ინდივიდუალური ხასიათისაა და, მაშასადამე, ლოგიკურის რეპრეზენტანტი ვერ იქნება, განა უფრო მეტი საბუთით არ ითქმის ეს გრძნობის შესახებ, რომელიც კიდევ უფრო მეტად ატარებს პიროვნულ ხასიათს?

გომპერცი ამ მოსაზრებას შემდეგნაირად უპასუხებს: ინდივიდუალური და ტიპიური ტოტალური იმპრესიის გვერდით არსებობს სინგულარული და გენერალური ტოტალური იმპრესია. თუ პირველი წყვილი სხვადასხვა გამოთქმის საფუძველში არსებულ ინდივიდუალურ და ტიპიურ მომენტებს გამოსახავს, მეორე წყვილი ეხება ერთი და იგივე გამოთქმის საფუძვლის მიერ გამოწვეულ სინგულარულ და გენერალურ შთაბეჭდილებას. ამ ახალი დისტინქციით კიდევ უფრო მივუახლოვდით ლოგიკურ შინაარსს. ახლა ჩვენ უნდა

ვთქვათ, ოომ „...გამოთქმის შინაარსი ცნობიერებას ევლინება არა მხოლოდ როგორც ტიპიური, არამედ როგორც აგრეთვე გენერალურ-ტოტალური იმპრესია"[107]. გამოთქმის შინაარსის ცნობიერება იმით განსხვავდება გამოთქმის საფუძვლების მიერ გამოწვეული გრძნობითი შთაბეჭდილებიდან, რომ ამ უკანასკნელიდან გამორიცხულია ყველაფერი, რაც მასში პიროვნულსა და ცვალებადს წარმოადგენს და მხოლოდ ის არის დატოვებული, რაც საერთო გვაროვნულ მომენტს შეადგენს, ზნეობაც გრძნობას ემყარება, — ამბობს გომპერცი, — მაგრამ ზნეობის ნორმების ობიექტური ხასიათი ამის გამო არავის უარყვია.

გამოთქმის შინაარსის განწმენდა სინგულარული მომენტებისგან ხდება სოციალური ურთიერთობის საფუძველზე[108].

როგორც იყო აღნიშნული, გენერალურ-ტიპიური ტოტალური იმპრესია არის ლოგიკური ცნობიერების მასალა. ის არის ფაქტების (Tatsache) აზრითი ექსტრაქტი, რომელიც შეადგენს იმ მომენტს, რომელშიაც გამოთქმის შინაარსი უკავშირდება გამოთქმის საფუძველს. ეს მომენტია, რომლის საშუალებითაც ხერხდება გამოთქმის შინაარსის მიმართება იმისადმი, რაზედაც არის იგი ნათქვამი. გომპერცი გამოთქმის შინაარსის ამ მხარეს სემასიოლოგიურ მატერიას ეძახის და მისი გამოთქმის ფორმად მიაჩნია მეტყველების კატეგორემატული ნაწილები. ამას დაერთვის სინკატეგორემატული ნაწილები, რომელნიც სემასიოლოგიურ ფორმას გადმოცემენ.

სემასიოლოგიის პირველი პრობლემა პატემპირიული თეორიის მიერ იჭრება შემდეგნაირად: გამოთქმის შინაარსი წარმოდგენილია ცნობიერებაში როგორც გამოთქმის საფუძვლის გენერალურ-ტიპიური ტოტალური იმპრესიის დანაწევრებული კომპლექსი. გამოთქმის შინაარსი რომ გამოთქმის საფუძვლის გულისხმობას ახდენს, ეს იმით აიხსნება, რომ მასში არიან გრძნობის ის ელემენტები, რომელნიც გამოთქმის საფუძვლის ნიადაგზე აღმოცენდებიან მისი უბრალო აღქმის შემთხვევაშიაც. გამოთქმის შინაარსი რომ მოცემულ გამოთქმის ყველა საფუძველს გულისხმობს, ეს იმით აიხსნება, რომ ტიპიური ტოტალური იმპრესია ყოველი ცალკეული გამოთქმის საფუძვლის ინდივიდუალურ ტოტალურ იმპრესიაშია მოცემული[109]. „გამოთქმის ს ა ზ რ ი ს ი (Sinn) ცნობიერებაში შეიძლება დადას-

---

[107] G o m p e r z, დასახ. ნაშრ., გვ. 224.

[108] იქვე, გვ. 229.

[109] იქვე, გვ. 238.

ტურდეს მხოლოდ როგორც გრძნობათა კომპლექსი და ეს კომ-პლექსი არის იმავე დროს დამოუკიდებელი თანმხლები წარმოდ-გენები“[110].

ყოველ აზრს არა აქვს ადეკვატური გამოხატულება წარმოდგენაში, მაგრამ, სადაც ასეთი გვხვდება, წარმოდგენა მნიშვნელოვან როლს თამაშობს აზრის მიმართ. მაგრამ ეს მნიშვნელობა გამოიხატება მხოლოდ ტოტალური იმპრესიის გამოწვევაში[111].

როდესაც საკითხი ეხება ანტილოგიკურ ცნებებს, რეპრეზენტაციის ფუნქციას ასრულებს მათი რეალიზაციის წესი. მრგვალი ოთხკუთხედის შესაფერისი გრძნობათა კომპლექსი არ შემუშავდება, რადგან ტოტალური იმპრესია „მრგვალი“ და „ოთხკუთხედი“ ერთ კომპლექსში არ გაერთიანდებიან. ამ განცდას ერთვის იმ წესის ცოდნა, რომლითაც მოხდებოდა მისი რეალიზაცია, რომ ასეთი რამ შესაძლებელი ყოფილიყო. ანალოგიური მდგომარეობაა 1000-ის განცდის შემთხვევაში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ „მრგვალი ოთხკუთხედის“-ს რეალიზაციის შეუძლებლობა ემყარება შეუთავსებლობას, ხოლო 1000-ის შემთხვევაში ჩვენი სინთეტიური უნარის სისუსტეს. უმაღლესი არსება (ღმერთი) შესძლებდა 1000-ის ინტუიტურად შემეცნებას, მაგრამ ადამიანი ამ შემთხვევაში იძულებულია სიმბოლური შემეცნებით დაკმაყოფილდეს. ეს სიმბოლური გაგება მდგომარეობს იმ წესის ცოდნაში, რომლითაც ჩვენ აღნიშნული სიდიდის მიღწევა შეგვიძლია ერთეულების თანდათანი მიმატების გზით[112].

როგორც აღინიშნა, გომპერცი გამოთქმის შინაარსად წარმოდგენას არ თვლის. ცხადია, მან ის უნდა აღმოაჩინოს გრძნობაში, რაც წარმოდგენას არ მოეპოვება, ხოლო სიტყვისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. „მხატვრული შემოქმედება“ ისეთ საგნებს ეხება, რომელთაც საერთო წარმოდგენითი შინაარსი არ მოეპოვებათ. ასეთი შინაარსის მოძებნა აუცილებელია; ეს საჭიროა სიტყვის („მხატვრული შემოქმედება“) არსებობის გამართლებისათვის. გომპერცის აზრით, გრძნობა ისეთი ფსიქიკური ფენომენია, რომელიც „იდეურად“ საესებით განსხვავებულ ობიექტებს ერთნაირად ახასიათებს. ეს ერთიანობაა, რაც აძლევს გრძნობას უპირატესობას წარმოდგენის წინაშე. რომ გრძნობა სუბიექტურია და ინდივიდუალური par exelance, — ეს გომპერცმაც კარგად იცის.

---

[110] Gomperz, დასახ. ნაშრომი, გვ. 241.
[111] იქვე, გვ. 238.
[112] იქვე, გვ. 243.

მაგრამ მაშინ, როცა წარმოდგენითი მასალა სიტყვისათვის შესაფერის ზოგადის გამომუშავების საფუძველს არ გვაძლევს, გრძნობა ამისათვის სავსებით გამოსადეგია. მაშასადამე, ყურადღების ცენტრში ისეთი გრძნობის არსებობა უნდა იყოს, რომელსაც სხვადასხვა საგანი იწვევს ჩვენში. შეიძლება თუ არა ასეთი გრძნობა არსებობდეს?

ცხადია, თუ „გრძნობამ" თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობა არ დაკარგა, ის იდენტურობის იმ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს, რომელსაც სიტყვის შინაარსი საჭიროებს. სიტყვა კულტურის კუთვნილებაა; მაშასადამე, მისი შინაარსი თავისი ინტენციით მაინც მარადიულია. გრძნობა კი შეიძლება იყოს მხოლოდ დროში მიმდინარე პროცესი; მას აქვს დასაწყისი და დასასრული; იგი მომენტანურია და არავითარი უპირატესობა არა აქვს სხვა რეალური ფაქტების წინაშე. ბგერათა კომპლექსი რომ კულტურულ ღირებულებად იქცეს, ისეთ რამეს უნდა დაუკავშირდეს, რაც სუბიექტურობას და წარმავლობას დასძლევს. გრძნობა კი ასეთ ფუნქციას ვერ აიღებს თავის თავზე. რასაკვირველია, შეიძლება ლაპარაკი გრძნობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გრძნობა გვევლინება გამოთქმის საფუძვლად და არა გამოთქმის შინაარსად. როგორ უნდა წარმოგვედგინა, გომპერცის თეორიით, მაგ., სიტყვა „სიამოვნების" სტრუქტურა? რა არის აქ სიტყვის შინაარსი და რაა სიტყვის საფუძველი? შეუძლებელია „სიამოვნების" საფუძველი იყოს საგანი, რომელიც ამ გრძნობას იწვევს. სიტყვა სიამოვნებას გამოთქვამს და არა მის მიზეზს. რჩება ასეთი გამოსავალი: თვით სიამოვნება, როგორც განცდა, არის გამოთქმის საფუძველი. მაგრამ რა არის მაშინ გამოთქმის შინაარსი? გრძნობა, რომელსაც იწვევს გრძნობა ჩვენში? გრძნობის გრძნობა? რადგანაც პატემპრისტული თეორია სიტყვის შინაარსის თავისთავად არსებობას არ აღიარებს და მას სუბიექტის (ემოციონალურ) რეაქციაში ეძებს, გრძნობის აღმნიშვნელის შესადგენად იძულებულია მხოლოდ ერთს მონაცემს (გრძნობას) დაეყრდნოს. გაუგებარია, ამ ერთიდან როგორ მიიღება ორი: გამოთქმის შინაარსი და გამოთქმის საფუძველი.

სიტყვის შინაარსი, გომპერცის თეორიით, აზრითი ხასიათისაა. მაგ. „Kunstwerk" არ შეიძლება წარმოდგენებისაგან შემდგარად ვიგულისხმოთ. მაგრამ როგორ არის ეს ცნება მიღებული გრძნობისგან? ავტორი აქ ასახელებს სპეციფიკურ მოწონებას, რომელსაც აქვს ადგილი პიზას ტაძრის ნახვისა და მეცხრე სიმფონიის მოსმენისას. ეს მოწონება ხასიათდება ისეთი ნიშნებით, რომელიც შესაფერისია კულტურის ობიექტისათვის და უცხოა ბუნებისათვის, ე. ი. მოწონება ბუნებისა „ბუნებითია", სპეციფიკურია, ხოლო კულტურისა სრულიად განსხვავებული. დგება მორიგი საკითხი: რით განსხვავდება სიმ-

ფონიის მოწონება კულტურის ისეთი ობიექტის მოწონებისგან, როგორიც არის ქვემეხი? ცხადია, იმით, რომ პირველი ხელოვნების ეგზემპლარის მოწონებაა, ხოლო მეორე — არა, ე. ი., ბოლოს და ბოლოს, გამოდის, რომ პიზას ტაძარი და მეცხრე სიმფონია გაერთიანებულია ისეთი მოწონებით, რომელიც ხელოვნებისადმია მიმართული[113]: იმისათვის, რომ აღნიშნული ობიექტები ერთნაირად მოგვეწონოს, საჭიროა წინასწარ ორივე ერთნაირ ობიექტებად, ხელოვნების ობიექტებად, ვცნოთ. საკითხი, მაშასადამე, წრეში ტრიალებს: გრძნობა მოწოდებულია იმისათვის, რომ აზრითი შინაარსი მიაწოდოს სიტყვას, ხოლო იმისათვის, რომ შესაფერისი გრძნობა („ხელოვნებითი მოწონება") გაჩნდეს, მოცემული ობიექტები წინასწარ გაგებული უნდა იქნენ, როგორც ხელოვნების ობიექტები. მაგრამ მეტყველებას იმისთვის, რომ შექმნას გამოთქმა „Kunstwerk" არაფერი ჭირდება, გარდა იმ „აზრისა", რომელიც პიზას ტაძარს და მეცხრე სიმფონიას რომელიმე მხრით აერთიანებს. როდესაც ამ „აზრს" დაერთვის გრძნობა, ის საკითხი, რომელიც ჩვენ წინაშე დგას, უკვე გადაჭრილია.

იდეოლოგიური თეორია ერთ-ერთ სიძნელეს მაშინ წააწყდა, როცა მის წინაშე აბსურდული შინაარსის და უზოგადესი ცნებების ფსიქოლოგიური რეალიზაციის საკითხი დადგა. შეუძლებელია მრგვალი ოთხკუთხედის წარმოდგენა და არც 1000 შეიძლება წარმოდგენაში განხორციელდეს. როგორ ცდილობს ამ სიძნელის დაძლევას გომპერცი?

შეიძლება უყოყმანოდ ითქვას, რომ აქ ჩვენი ავტორი იდეოლოგიის თვალსაზრისზე დგება და ძალაუნებურად მის მარცხს იზიარებს. აბსურდული შინაარსი (მრგვალი ოთხკუთხედი) არ შეიძლება განხორციელდეს, ამბობს გომპერცი, მაგრამ ჩვენ ვიცით წ ე ს ი, რომლითაც იგი უნდა განხორციელებულიყო, რომ, საერთოდ, მისი განხორციელება შესაძლებელი იყოს. მაგრამ ოდნავი დაფიქრებაც საკმარისია იმისათვის, რომ გომპერცის ახსნა სრულიად მიუღებლად მოგვეჩვენოს. „მრგვალი ოთხკუთხედი" არ არის გამოთქმის შინაარსის თვალსაზრისით შეუძლებელი და პრობლემატური; ის ჩვენ საკუთარ გვესმის და ვაფასებთ კიდევაც მას როგორც აბსურდს. გარდა ამისა, ცოდნა იმ წესისა, რომლითაც უნდა განხორციელდეს ეს აბსურდი, არის არა პატემპირისტული, არამედ იდეოლოგიური, რომელსაც სამართლიანად ებრძვის ავტორი.

---

[113] G o m p e r z. დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

არც ის ახსნა არის დამაკმაყოფილებელი. რომელსაც გომპერცი გვაძლევს 1000-ის ფსიქოლოგიური წარმოთქმის გასაგებად. უმაღლესი არსებისათვის ათასი ინტუიტურად არის მისაწვდომი. ჩვენ კი იძულებული ვართ სიმბოლოს მივმართოთ, დასძენს ავტორი. მაგრამ ამ შემთხვევაში სიმბოლო ხომ მხოლოდ ტექნიკური საშუალებაა და არა შემეცნების წყარო: მხოლოდ ის შეიძლება სიმბოლოს საშუალებით აღინიშნოს, რაც სხვა გზით როგორმე წინასწარ ცნობილია. იმისათვის, რომ ათიანებით ათასს მივაღწიოთ, ათასი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი. გომპერცის შესახებ შეიძლება ითქვას ის, რაც მან თქვა ლოკის იმ მოსაზრების შესახებ, რომელიც ეხება ზოგადი სამკუთხედის წარმოდგენის შეუძლებლობას ჩვენ მიერ. ეს უსრულყოფილობა უფრო ახასიათებს ლოკის თეორიას, ვიდრე ადამიანის გონს[114].

რა გზითაც არ უნდა მივიდეთ ათასის გაგებამდე, სულერთია, ბოლოს, მაინც, უნდა მივაღწიოთ თვითონ მას და მისი ფიქსაცია მოვახდინოთ სათანადო აქტის საშუალებით. თუ 999-ის წარმოდგენა არ განსხვავდება სპეციფიკურად 1000-ის წარმოდგენისაგან (გომპერცის მაგალითია, რომელიც მან კონცეპტუალიზმის წინააღმდეგ გამოიყენა), იგივე ითქმის ამ რიცხვების მიერ გამოწვეული გრძნობების შესახებაც. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ განსაზღვრული აზრით გომპერცის თეორიაც კონცეპტუალისტურია. მართალია, ის იდეას არ ემყარება და ამით იდეოლოგიური თეორიიდან იმიჯნება, მაგრამ თუ კონცეპტუალიზმისთვის არსებითად ჩავთვლით არა მასალის ბუნებას (ეს იქნებოდა არსებითი სენსუალიზმისათვის), არამედ სუბიექტის აქტიობით კონცეპტის შედგენის ფაქტს, პატემპირისტული თეორია კონცეპტუალისტურად უნდა ჩაგვეთვალა[115]. იდეოლოგიური (ლოკი) და ვოლუნტარული (ტენი) კონცეპტუალიზმისგან განსხვავებით, გომპერცის თეორიისათვის ემოციონალური კონცეპტუალიზმი შეიძლება გვეწოდებინა.

კრიტიცისტული თეორია

ენის კრიტიცისტული თეორიებიდან ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ კასირერის შეხედულებაზე.

---

[114] Gomperz, დასახ. ნაშრ.,გვ. 174.

[115] გომპერცი თავის წინამორბედთა შორის ჰუსერლსაც ასახელებს. ის ადგილი, რომელიც მას ამ აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს, სრულიად არ გამოდგება ამისათვის. კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ აქ „გრძნობა" სხვა მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე გომპერცის მიერ არის იგი ნახმარი.

კასირერი თავის თეორიას ენის შესახებ საერთოდ"[116] და კერძოდ ჩვენი პრობლემის გადაჭრას იმ ფილოსოფიურ მიმართულებაზე ამყარებს. რომელიც „მარბურგის ფილოსოფიური სკოლის" სახელით არის ცნობილი. კასირერი უპირისპირებს ერთიმეორეს ორკვარ შეხედულებას გონების ფუნქციის შესახებ რეალობის მიმართ, საერთოდ, და ამას ასე წარმოგვიდგენს: ერთი შეხედულება, უძველესი და უფრო გავრცელებული, სინამდვილეს, როგორც ცნობიერების ობიექტს, მოცემულად გულისხმობს და ცნობიერებას მის ყოველ გამოვლინებაში უყურებს. როგორც მოცემულის უბრალო გამეორებას. რაც უფრო წმინდაა ცნობიერების სარკე. მით უფრო ხშირია არსებული სტრუქტურის გამეორება. მეცნიერების, ხელოვნებისა და ენის მუშაობა აქ გაგებულია. როგორც მიბაძვა (mimesis) იმისადმი. რაც არსებობს თავისთავად სინამდვილეში.

მეორე თვალსაზრისი. რომელსაც საფუძველი ჩაუყარა კანტმა. სუბიექტის (ცნობიერების) როლს წარმოიდგენს აქტიური შემოქმედების სახით. აქ „მოცემული" გაგებულია არა როგორც საკუთარი გარკვეულობის მქონე ფაქტი, არამედ როგორც ამოცანა. ეს ამოცანა თავისებურია იმით, რომ მისი გადაჭრა თუმცა გონებას ევალება და ამდენად გადაჭრის პროცესი ლოგიკური სფეროა, მაგრამ, რამდენადაც საკითხის გადაჭრა „მოცემულის" გეშტალტიზაციაში, იმის განსაზღვრებაში მდგომარეობს. რომლის გარეშე „მოცემული" ცნობიერების მოცემულობად ვერ ჩაითვლება. ეს პროცესი იმავე დროს საგნის, ობიექტის შექმნის პროცესიც არის. ობიექტურობა, რომელზედაც აქ შეიძლება იყოს ლაპარაკი. იგივეა, რაც განსაზღვრულობა. ეს უკანასკნელი ლოგიკური ცნებაა და მხოლოდ გონებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. „საგანი თავის თავად", რომელიც პირველი შეხედულების თანახმად შემეცნებას წინ უსწრებს და, მაშასადამე, მოთავსებულია შემეცნების „უკან", მის დაწყებამდე. ამ შეხედულების თანახმად, არის შემეცნების დასასრულში, მის „წინ". მაგრამ ეს „წინ" მუდმივია და ამდენად „საგანი" მოცემული კი არ არის, არამედ მოსაპოვებელი, შეიძლება ითქვას, მიუღწეველი იდეალი. სუბიექტის თვითმოქმედების აქტი, რომელიც ანხორციელებს ამ იდეალისკენ სვლას, საფუძვლად უდევს არა მარტო შემეცნებას. არამედ ცნობიერების ყოველგვარ მოქმედებას. მისი გამოვლინების ყოველგვარ სახეობას. ყოველი ახალი აქტი ცნობიერების თვითმოქმედები-

---

116 იხ. ა. ბ ო ჯ ო რ ი შ ვ ი ლ ი. სიტყვის მნიშვნელობის ტრანსცენდენტალური თეორიის კრიტიკისათვის. დ. უზნაძის სახელ. ფსიქოლ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XIV, 1962.

სა შლის ახალ პერსპექტივს საგნობრიობის სფეროში. რადგან ყოველგვარი მოქმედება ცნობიერებისა სინთეზში გამოიხატება, ხოლო რასაც გონების სინთეზი შეეხება, საგნობრიობად იქცევა. საგნობრიობის ობიექტურობის კონსტიტუტივური საფუძველი არის სინთეზი, რომელიც სუბიექტიდან მომდინარეობს. კასირერი ამ უკანასკნელ თვალსაზრისზე დგას და თავის ამოცანას იმაში ხედავს, რომ ენის ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის პრობლემის გადაჭრის დროს მტკიცედ გაატაროს იგი.

შეიძლება თუ არა ენის „გენეზისის" საკითხი ფსიქოლოგიის ცნობილ მეთოდების, — ექსპერიმენტის და თვითდაკვირვების, — საშუალებით ვიკვლიოთ?

კასირერი პრინციპულად შეუძლებლად თვლის ასეთ გზას. „ვერც ექსპერიმენტი და ვერც თვითდაკვირვება ვერ გვიჩვენებენ აქ ჩვენ სანდო გზას, ეს იმიტომ, რომ ორივე მოქმედებს ენობრივად უკვე გ ა ფ ო რ მ ე ბ უ ლ სამყაროში. ორივე წინასწარ გულისხმობს მეტყველებას იმის ნაცვლად. რომ ის „status nansens"-ის მდგომარეობაში აღწეროს[117].

ცხადია, რომ, განცდათა მოცემულობის საფუძველზე, შეუძლებელია ენის ფორმირების აღწერა. განცდათა აღწერა, გარდა იმისა, რომ უკვე არსებულ მეტყველებას ემყარება, ე. წ. „წინსვლის" გზაა. კონსტრუქციაა. ჩვენი პრობლემის გადასაჭრელად კი „უკანსვლის" ან. როგორც ნატორპი უწოდებს. რეკონსტრუქციის მეთოდია საჭირო.

კასირერის კონცეფციაში ჩვენი პრობლემა ასეთ სახეს იღებს: სიტყვას მნიშვნელობა—საგანი არა აქვს მოცემული. უნდა მოიძებნოს ცნობიერებაში ისეთი მომენტი, როცა მეტყველების წარმოქმნა ხდება. რამდენადაც მეტყველების ძირითადი ფუნქცია ობიექტის შექმნაა. ცნობიერებაში მას ის მომენტი უნდა უკავშირდებოდეს. რომელიც საგნობრივი წარმოდგენის სახელწოდებითაა ცნობილი.

განვითარებულ ცნობიერებაში სიტყვა და მისი მნიშვნელობა გვეძლევა. როგორც ერთიმეორეში შეზრდილი. თვით პროცესი შეზრდისა უშუალო დაკვირვებისათვის მიუწვდომელია. ამ პროცესის გასაგებად ტრანსცენდენტალური მეთოდია საჭირო: უნდა გავიხსენოთ ის მიზანი, რომელსაც ესწრაფვის ყოველგვარი საგნობრივი წარმოდგენა. ეს მიზანია გონითი მთლიანობის შექმნა.

---

[117] E. Cassirer, Die Sprache und der Aufbau der Gegenstandswelt, გვ. 137. «Bericht über den XII Kongress der Deutschen Geselschaft f. Psychologie» (1931) Fischer, Jena, 1932 («Aufbau»).

ენის ფუნქცია ერთ-ერთი სახეა გონის მოქმედების გამოვლინებისა. გონება თავის აზრებობას სინთეზში გამოხატავს; ენაც, როგორც გონების პროდუქტი, სინთეტიურ მთლიანობას ემსახურება. გასაგებია, მაშასადამე, რომ სიტყვის აქტის მიერ ხელხლებული სუბიექტური შინაარსი ობიექტის განსაზღვრულობას და სიმტკიცეს იძენს. ის არის უმშვენიერესი და უმნიშვნელოვანესი საშუალება და ინსტრუმენტი წმინდა „საგანთა სამყაროს" მოსახოვებლად და ასაგებად[118].

კასირერის მსჯელობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ის სიტყვაში ხედავს უძირითადეს აპრიორულ-ტრანსცენდენტალურ კატეგორიას, რომელიც შემეცნების სინთეტიურ ამოცანას და ბუნებასაგნის შექმნას საფუძვლად უდევს. ამ შთაბეჭდილებას სავსებით ეგუება „მარბურგის სკოლის" ის ძირითადი დებულება, რომლის მიხედვით გონების სინთეტური მოქმედება არის შემქმნელი შემეცნების საგნისა, ხოლო მოცემული, მზამზარეული საგანი უარყოფილია.

სოფისტებიდან დაწყებული დღემდე ხშირად გაისმის ხმა ენის უძლურების შესახებ. უმთავრესად სინამდვილის კონკრეტულ მრავალფეროვნებაზე მიუთითებენ, როგორც ისეთ ფაქტზე, რომელიც ენის განსაზღვრული საშუალებებით შეუძლებელია აღნიშნულ იქნეს. ენა, სიტყვა ერთია, ხოლო საგნები დაუსრულებელი რაოდენობის. როგორ შეიძლება ერთმა მრავალი გადმოგვცეს?

კასირერი სწორედ ამ ერთობაში ხედავს ენის ძალას, მის იმ უნარს, რომლითაც მან ისე უნდა „გააფორმოს" მრავალსახიანობა „მოცემულისა", რომ გონებისათვის გასაგები და „მისაღები" იყოს.

რომ საგანს თავისი სახე იმთავითვე ჰქონდეს მზა სახით მოცემული, სიტყვა ვერ შესძლებდა მის დაუფლებას და მისი მომწესრიგებელი მუშაობა შეუძლებელიც იქნებოდა და უკანონოც. მაგრამ რადგან საგანი არ არსებობს გარეშე ენისა, ენის ნამოქმედარი საგნისათვის სავალდებულოა. ენას თავისი საგანი კი არ ეძლევა, არამედ თვით მის მიერ არის იგი შექმნილი. აქედან გასაგებია ის მთლიანობა, თანაშეზრდა სიტყვასა და მის მიერ აღნიშნულს შორის, რომელზედაც ჩვეულებრივ მიუთითებენ.

შეცდომაა, ამბობს კასირერი, როცა აღქმას და ცნებას უპირისპირებენ როგორც ინდივიდუალურს და ზოგადს. სავსებით ინდივიდუალური, სინგულარული აღქმა, რომელიც სენსუალიზმმა და სკეპტიკურმა ენის კრიტიკამ უმაღლეს ნორმად და შემეცნების იდეალად დასახა, არსებითად არის პათოლოგიური ფენომენი, ფენომენი, რო-

---

[118] E. Cassirer, დასახ. ნაშრომი, გვ. 339.

მელიც ჰკარგავს თავის დასაყრდენს ენაში. რის გამოც მას გონის სამყაროში შეღწევის უმნიშვნელოვანესი გზა ეხურება[119].

საგნის ცნობიერება არსებითად ემყარება და გულისხმობს ისეთ მიმართებას, რომელიც ენისათვის არის არსებითი და რომელიც ენაში პოვებს თავის პირველ და პროტოტიპულ გამოვლინებას. შემცდარია როგორც სენსუალისტური ფსიქოლოგიის, ისე რაციონალიზმის აზრი საგნის ცნობიერების შესახებ. არც წარმოდგენათა ასოციაციას შეუძლია ამის მოცემა და არც სილოგისტურ პროცესად მისი წარმოდგენაა დასაშვები. მიმართება, რომელიც აქ არის მოცემული, სპეციფიკური, უძირითადესია და ამიტომ ყოველგვარი ცდა მისი რედუქციისა უარყოფილი უნდა იქნეს. მიმართება წარმოდგენისა და საგანს შორის (საგნის ცნობიერება) არ არის მიმართება მიზეზსა და შედეგს შორის ან ასახვასა და მის ორიგინალს შორის. არამედ ისეთი, როგორიც არის გადმოცემის საშუალებასა და გადმოსაცემ საგანს შორის. ნიშანსა და მასში გამოსახულ საზრისს შორის[120].

საგნის ცნობიერების მეორე არსებითი მომენტი — მიმართება საგანსა და მის თვისებებს შორის აგრეთვე ემყარება სახელის მთლიანობას.

როგორც იყო აღნიშნული, საგნობრივი ცნობიერებისათვის დამახასიათებელი მიმართება სპეციფიკურია. მისი ხასიათი სიმბოლურობაში გამოიხატება, რომელსაც სენსუალისტური ფსიქოლოგიისათვის პრინციპულად მიუწვდომელია. რადგან იგი არსებითად „ბრმაა" სიმბოლოს მიმართ.

კასირერის უდაო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან პირველმა მოგვცა ენის იმანენტური „ენერგეტიული" ფუნქციის მნიშვნელობის აღწერა სულიერი ცხოვრების ფორმირებაში საერთოდ და. გარდა ამისა, მისივე დამსახურებაა ის, რომ დაწვრილებით შეეხო ენის ადგილს და მნიშვნელობას შემეცნების დიალექტიკურ პროცესში.

კასირერის ენის ფილოსოფია დასრულებული სისტემაა, ნეოკანტიანური მიმართულების თვალსაზრისით აგებული. იდეალისტური თეორიის წინააღმდეგ მიმართულ აზროვნებას კასირერის სისტემა აძლევს კრიტიკის საუკეთესო ობიექტს.

ენის ფუნქცია ავტორს „მასალის" ფორმირების სახით აქვს წარმოდგენილი. აქ კანტის თვალსაზრისი მთლიანად არის დაცული. მით

---

119 E. Cassirer, Philosophie der symbolischen Formen. Dritter Teil. Phänomenologie der Erkenntnis. 1929, გვ. 269—270 (Symb. Formen).

120 E. Cassirer, დასახ. ნაშრ., გვ. 273.

უფრო აშკარაა (კანტის კრიტიკის შემდეგ) თანამედროვე აზროვნებისათვის მისი მიუღებლობა. ვინც გნოსეოლოგიაში ასახვის თეორიის ნიადაგზე დგას, მისთვის აშკარაა, რომ ენა, თუ იგი თავის საგანს კი არ ასახავს, არამედ თვითონ ქმნის მას, შემეცნებისათვის თავის მნიშვნელობას კარგავს. შემეცნების თეორიის მიზანია იმ „ფორმის" შესწავლა, რომელიც აქვს თვითონ შემეცნების საგანს და არა ენის (ან სუბიექტის) მიერ შექმნილი ფორმისა. მართალია, სიტყვის შინაარსთან დაკავშირება ფსიქოლოგიურად უპრეზენტაციოდ არ დარჩება, მაგრამ ამას, გარდა ფსიქოლოგიურისა, სხვა მნიშვნელობა ვერ მიეწერება. ლოგიკა და გნოსეოლოგია საჭიროებენ ენის სტრუქტურაში ის გაარკვიონ, რაც ობიექტურ შემეცნებას ედება საფუძვლად. რაც ენის მეცნიერულ იარაღად არსებობას გასაგებად გახდის.

ენის აღნიშნული ფუნქციის დასაბუთება ტრანსცენდენტალურ სინთეზზე მითითებით არ არის დამარწმუნებელი. აქ კასირერი ახალს არაფერს გვაძლევს. ემპირიული მასალა, რომელიც გამოყენებული აქვს ავტორს, აღნიშნული საკითხის შესახებ არსებითს და ახალს არაფერს ამბობს.

სიტყვის ძალა. კასირერის აზრით, იმაშია, რომ ის ერთია წინააღმდეგ „მოელენათა სიმრავლისა". ძირითადი კითხვა სწორედ აქ დგება: რა უფლებით ახერხებს ერთი მრავალის წარმომადგენლად იყოს? რა არის მისი დასაყრდენი, როგორც ერთის? და თუ ობიექტურ სამყაროში ასეთი ერთი არ არის, რა აძლევს ენას მეცნიერულ მნიშვნელობას?

ეს საკითხები კასირერის კონცეფციაში ვერ პოვებენ თავის დამაკმაყოფილებელ გადაჭრას. ამას პრინციპულად ეწინააღმდეგება ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის თვალსაზრისი. „წარმოდგენის თეორიას" მნიშვნელობის პრობლემაზე კასირერი ებრძვის, მართალია, მაგრამ ამ ბრძოლაში ის იმარჯვებს არა იმით, რომ მნიშვნელობის წარმოდგენითი თეორია დაარღვია, არამედ იმით, რომ მან არსებითად მოხსნა აღნიშნული პრობლემის ჩვეულებრივი დაყენება: სიტყვის მიღმა არსებული თავისთავადში საქმის ვითარება მან გააუქმა და, რამდენადაც საკითხი მოცემულობის გარკვეულობას ეხება, სიტყვის მნიშვნელობა სიტყვის პროდუქტად აქცია. თუ წარმოდგენა, როგორც გარკვეული ფორმა განცდისა, სიტყვას ემყარება, შეუძლებელია სიტყვის საზრისის მიმცემ მომენტად თვით ეს წარმოდგენა გამოვაცხადოთ. უფრო სწორი იქნება ამ შემთხვევაში თუ ვიტყვით, რომ, რამდენადაც წარმოდგენის (და ყოველი მოვლენის) საზრისი იმ სისტემაში, იმ წესშია, რომლითაც იგი გარკვეულ ადგილს

იჭერს კოსმოსში, სიტყვა უნდა გამოცხადდეს წარმოდგენისადმი საზრისის მიმცემად, როგორც მისი განმსაზღვრელი.

სიტყვისა და მისი მნიშვნელობის მთლიანობაში მოცემულობას არ შეიძლება მიენიჭოს ლოგიკური მნიშვნელობა. ასე რომ იყოს, სრულიად გაუგებარი იქნებოდა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ სხვადასხვა ბგერითი კომპლექსი სავსებით ერთსა და იმ-ვე შინაარსს აღნიშნავს. იმთავითვე არსებული მთლიანობა შეიძლება ვიგულისხმოთ მხოლოდ მეტყველებითი ინტენციასა და ინტენდირებულ შინაარსს შორის. მათი ფსიქოლოგიურად დაცილება დროში არ შეიძლება (თუმცა ეს შეიძლება, რასაკვირველია, ლოგიკურად. მნიშვნელობის აქტი არ ქმნის მნიშვნელობას). რაც შეეხება სიტყვას, როგორც გარკვეულ ბგერათა კომპლექსს, მისი „შერწყმა" მნიშვნელობასთან მისი განცდის მომენტში შეუძლებელია „გამოცდილების" გენეტიურ გავლენას არ განიცდიდეს. ხოლო ასეთი წარმოშობის ფაქტისადმი ტრანსცენდენტალ-ლოგიკური მნიშვნელობის მიწერა თვით კასირერისთვისაც არ უნდა იყოს მისაღები.

ჰუმბოლტის ცნობილი გამოთქმა — ენა არის energeia — კასირერმა თავისებურად გამოიყენა. მან რეკონსტრუქციის მეთოდის გამოყენებით ისეთი მომენტები აღწერა ჩვენ სულიერ ცხოვრებაში, როდესაც სიტყვა და საგანი არ არიან გათიშული, სადაც სიტყვა საგნის ნიშნად განიცდება. რა თქმა უნდა, ამ სტადიაში სიტყვის მნიშვნელობის პრობლემა არც დადგება. მხოლოდ მაშინ, როდესაც სიტყვის სიგნიტური ფუნქციაა შეგნებული, ჩვენ საქმე გვაქვს ნამდვილ სიტყვასთან, სადაც სიტყვა საგანთან არის შეზრდილი იმგვარად, რომ ისინი ერთ ონტიურ არსად არიან გამოცხადებული, სიტყვასთან არა გვაქვს საქმე. მხოლოდ წინა რიცხვით შეიძლება ამ მომენტისათვის „სიტყვა" გამოვიყენოთ. რადგან ფსიქოლოგიურად აღნიშნული მდგომარეობა უსწრებს წინ ნამდვილი სიტყვის გაცნობიერებას, შეიძლება, პირიქით, ამ მდგომარეობას სიტყვის წარმოქმნა ვუწოდოთ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ნამდვილი სიტყვა ეს არ არის და, მაშასადამე, სიტყვის თეორია მას ვერ იღებს დასაყრდენ წერტილად. სიტყვის თეორიამ სიტყვის ისეთი ეტაპი უნდა აიღოს დაკვირვების საგნად, სადაც სიტყვა სრული სიწმინდით და თავის არსის მაქსიმალური გამოვლინებით არის მოცემული. ჰუმბოლტის „Energeia" შეიძლება გავიგოთ არა როგორც რეალური გენეზისის მოთხოვნა, არამედ იმ „შინაგანი ფორმის" დადგენა, რომელიც ყო-

ველგვარი ლოგიკური გაფორმების საფუძველია და ამით ყოველგვარი ქმნადობის უძირითადეს პირობას წარმოადგენს.

სოციოლოგისტური თეორია

ენათმეცნიერებაში მნიშვნელობა სხვადასხვა თვალსაზრისით იკვლეოდა იმისდა მიხედვით. თუ რა იგულისხმებოდა ამ ცნებაში[121]. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გახდა ეს ცნება კვლევის საგნად ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით. საკითხის ამ თვალსაზრისით გარჩევის ლოგიკური წინამძღვარი იმ გახსხვავების შემჩნევა იყო, რომელიც არსებობს ნიშანსა და სიტყვას შორის. მიღება იმ აზრისა, რომ სიტყვა, მაგ., ობიექტური საგნის მიმართ ნიშნის როლში გამოდის, არ აუქმებს სიტყვის მნიშვნელობის საკითხს. სიტყვა ერთის მიმართულებით მეტია. ვიდრე ნიშანი და ამ მეტშია სწორედ მისი სპეციფიკა და მნიშვნელობის ფუნქციობის სფერო. მაგრამ ამ ვითარების გაცნობიერება კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის. რომ მნიშვნელობის რაობის განსაზღვრაში შეცდომისგან ვიყოთ დაზღვეული. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელობის როლი სიტყვისათვის ყველას მიერ არსებით მომენტადაა აღიარებული და იმის გარეშე სიტყვის არსებობა შეუძლებლად არის ცნობილი, მაინც წარმოიშვნენ მნიშვნელობის ისეთი განმარტებები, რომელნიც მას ართმევენ სწორედ იმას, რითაც არის იგი სიტყვისათვის ღირებული.

მთავარი დამახინჯება აქაც ფსიქოლოგიზმიდან მომდინარეობს. ცნობილი კ. მ ა რ ტ ი წერს: „მნიშვნელობა ეწოდება იმ ფსიქიკურ ფენომენს. რომლის გამოწვევაც მსმენელში ეკალება ენობრივ გამოხატულებას". „მეტყველების საშუალებებს... თავის პირველ ინტენციად აქვთ — გამოიწვიონ მსმენელში სათანადო ფსიქიკური მდგომარეობანი შუალობითად. ამ ფუნქციას და აგრეთვე ამ სულიერ მდგომარეობის შინაარსს ჩვენ ვუწოდებთ მნიშვნელობას"[122]. მარტის მსგავსად ზოგიერთი სხვა მკვლევარიც სიტყვის მნიშვნელობაში ფსიქიკურ შინაარსს გულისხმობს. რომ სიტყვის მნიშვნელობა არ შეიძლება ფსიქიკური მოვლენა იყოს. ამაში ჩვენ დავრწმუნდით ზე-

---

[121] იხ. Weisgerber, Leo, Sprachwissenschaft und Philosophie zum Bedeutungsproblem. Blätter für Deutsche Philosophie. Bd. 4. Heft 1, 1930, გვ. 17 და ა. შ. (Bedeutung).

[122] ციტატი მოტანილია Weisgerber-ის შრომიდან: Neuromantik in der Sprachwissenschaft, Germ-Romisch. Monatsschrift, XYIII, Jahrg, 1930, გვ. 248.

მოთ. ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ წამოყენებული მოსაზრებების კამეორება აქ ზედმეტია. საინტერესოა, რომ ფსიქოლოგიზმსა და ანტიფსიქოლოგიურ ცნობილ მიმდინარეობას შორის წამოიჭრა ახალი მიმართულება, რომელიც თუმცა ფსიქოლოგისტურ თეორიებს ებრძვის და არსებითად უარყოფს მათ, მაგრამ არც იმ შეხედულებას მაინც არ იზიარებს მნიშვნელობის შესახებ, რომელსაც, მაგალითად, ჰუსერლი მეთაურობს. ასეთი კომპრომისული თვალსაზრისი საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ყველაზე ენერგიულად და სისტემატურად ამ შეხედულებას იცავს ვ ა ი ს გ ე რ ბ ე რ ი. მან სპეციალური შრომა უძღვნა მნიშვნელობის საკითხს და რამდენიმეჯერ შეეხო მას თავისი პოლემიკური ხასიათის წერილებში. ვაისგერბერი უარყოფს ფსიქოლოგისტურ თეორიას მნიშვნელობის შესახებ და ზემოთ მოყვანილი მარტის სიტყვების გამო შემდეგს წერს: რომ ამ შემთხვევაში მოძღვრება მნიშვნელობის შესახებ იქნებოდა მოძღვრება მსმენელში აღძრული ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ. ყოველი შემდგომი ნაბიჯი მარტის პოზიციისა აწყდება გადაუჭრელ წინააღმდეგობად. „რომელთაც თავისი საფუძველი აქვთ მნიშვნელობის პრობლემის ფსიქოლოგისტურ გაგებაში"[123]. მოძღვრება მნიშვნელობის შესახებ ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიის ნაწილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ასეთი დასკვნა გამოუვალ სიძნელეებში გვაგდებს.

პირველ რიგში, მაშასადამე, უნდა დავძლიოთ ფსიქოლოგიზმი. როგორ ფიქრობს ვაისგერბერი ამ ამოცანის განხორციელებას? ამის გასაგებად საჭიროა ჯერ გავეცნოთ ავტორის საერთო შეხედულებას ენაზე.

პრობლემა ენის არსებობის შესახებ, ავტორის აზრით, ამჟამად არ არის აქტუალური, რადგან იგი, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში, გადაჭრილია დადებითად[124]. მხოლოდ ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურად განწყობილ ეპოქას ახასიათებს ენის არსებობაში ეჭვის შეტანა. ფ უ ნ კ ე ს (და სხვების) აზრი, რომ ენა და მეტყველება არსებობენ მხოლოდ როგორც ფსიქოლოგიური მდგომარეობანი, არ არის, ავტორის აზრით, სწორი. მართალია, ენა არ არსებობს სადმე ობიექტურ სინამდვილეში, გარეშე ენობრივი კოლექტივისა, მაგრამ, რამდენადაც მისი არსებობა არის არსებობა სოციალური, იგი

---

[123] «N e u r o m a n t i k», გვ. 248.

[124] იქვე, გვ. 242.

ინდივიდუალურზე მაღლა დგას[125]. სიტყვა „ენა“ ოთხი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. თითოეული მათგანი კვლევის სპეციფიკური გზაზე მიუთითებს და სხვადასხვა მეცნიერებათა ობიექტი ხდება[126].

ძირითადი მომენტი ენაში არის ის, რაც თავის ყველაზე ნათელ გამოვლინებას მშობლიურ ენაში ჰპოვებს: მხოლოდ მშობლიურ ენაში იღებს ინდივიდიცა და ხალხიც ენობრივ მონაპოვარს მთელი სისრულით. საკითხი ენის ფუნქციის, მიღწევის (Leistung) შესახებ ხშირად ასეთ გადაჯრას იღებდა: ენა არის შეტყობინების საშუალება. „ენა არის გამოსახულება ანუ, უფრო ზოგადად, გარე გამოვლინება“. დავას მხოლოდ ის იწვევდა. თუ რომელია ძირითადი ფუნქცია ენისა: შეტყობინება თუ გამოსახულება. იყვნენ ისეთი მკვლევრებიც, რომელნიც შემარიგებელ თვალსაზრისზე იდგნენ და გამოვლინების ცნებაში ცდილობდნენ ორივე ფუნქციის გაერთიანებას.

ვაისგერბერის აზრით, არავინ უარყოფს იმას, რომ ენა შეტყობინების საშუალებაა. მაგრამ, როცა ზოგიერთი მკვლევარი ენის ფუნქციას აძით ამოწურავს[127], უეჭველ შეცდომას ჩადის და ცალმხრივად აშუქებს საკითხს. კითხვა ასე შეიძლება დაისვას: ნუთუ არაფერი ენობრივი არ არის მაშინ, როცა ოდესღაც ნათქვამს ვიგებთ[128]. უკვე ეს მითითება მსმენელზე ააშკარავებს განხილული თეორიების ცალმხრივობას; ისინი უგულებელყოფენ სოციალურ მომენტს, რომელიც არსებითია ყოველი ენობრივი მოვლენისათვის და რომლის გარეშეც ენის ფუნქციების გაგება არ შეიძლება.

თუ სწორია ის აზრი, რომ ენის ერთადერთი დანიშნულება არის გარეგამოვლინების საშუალება იყოს, სრულიად გაუგებარია, რატომ მიმდინარეობს ჩვენი აზროვნება ენობრივი ფორმით. ჩვეულებით ამის ახსნა იმიტომ არის მიღებული, რომ გარეგამოვლინებაში მონაწილე აზროვნება უმნიშვნელო ნაწილია აზროვნებისა. გაცილებით უფრო დიდი ნაწილი აზროვნებისა მიმდინარეობს „შიგნით“. გამო-

---

[125] «Das Kulturgut Sprache existiert nicht als (dingliche) Realität irgendwo *ausserhalb der Sprachgemeinschaft*, sondern als *eine Wirklichkeit in der Gesammtheit* und damit *über* dem Einzelnen». Muttersprache und Geistesbildung. 1929 («Muttersprache»), გვ. 46.

[126] «Neuromantik», გვ. 243.

[127] Schuchardt, ენა არის შეტყობინება. Marty: «Sprache-absichtliche Kundgabe».

[128] «Muttersprache», გვ. 8.

უთქმელად. როგორ შეიძლება უმნიშვნელო ნაწილმა თავისი წესი უკარნახოს მასზე გაცილებით დიდ ნაწილს?[129] თუ იმას იტყვიან, რომ აზრის ენობრივ გაფორმებას მასში სიცხადე შეაქვს, ამით უკვე აღიარებულია, რომ აზრი მზამზარეულად არ ეძლევა ბგერათა კომპლექსს და საჭიროა, მაშასადამე, დადგინდეს ხასიათი და მოცულობა ამ ზეგავლენისა[130].

როდესაც ჩვენ ვასახელებთ რომელიმე მოვლენას, მაგალითად, ფერს, სახელი გულისხმობს არა გრძნობად შთაბეჭდილებას, არამედ ცნებას, რომლისადმიც არის დაქვემდებარებული გრძნობადი შთაბეჭდილება. როცა, მაგალითად, ვასახელებთ „მიხაკის ფერს", ასეთ პროცესს აქვს ადგილი: „შეხედვა, მიხაკის ფერად ათვისება. დასახელება ფერის ცნებისა, რომელშიაც შედის შთაბეჭდილება"[131]. საგნის ცნებითი გაგება, მისი შინაარსის მოცემულობა უმჭიდროეს კავშირშია სიტყვიერ აღნიშვნასთან. სახელი და ცნება სიტყვის ორი მხარეა. ენის ცოდნას არა მარტო მეტყველებისათვის აქვს მნიშვნელობა, მას მჭიდრო კავშირი აქვს ადამიანის მთელ აზროვნებასა და მოქმედებასთან. რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენი აზროვნება დანახულ ცხოველს არ აითვისებს, როგორც გარკვეულ დრო და სივრცეში მოცემულ მოვლენას, არამედ გარკვეული გვარის წარმომადგენელს? თუ იდეის თანდაყოლილობას უარვყოფთ. მაშინ. ვაისგერბერის აზრით. რჩება მხოლოდ ასეთი პასუხის შესაძლებლობა: „საჭელდობრ იმიტომ. რომ ჩვენ ენობრივი ნიშნის, ცხოველის სახელის დახმარებით.... ვაღწევთ იმას, რომ მისი შესატყვისი ცნებები შევქმნათ[132]". ვერც ასოციაციონური ფსიქოლოგია და ვერც გეშტალტფსიქოლოგია ვერ ხსნიან ცნების წარმოშობას, რადგან არც ერთი მათგანი არ ითვალისწინებს ენობრივი მომენტის მნიშვნელობას ცნების წარმოშობაში[133]. არ არსებობს არც ერთი ლოგიკური ცნება. რომელიც არ უნდა იყოს გაფორმებული ენობრივად, რის გამოც იგი ენის შემადგენელი ნაწილია[134].

რას ემყარება ენის შინაარსის ერთგვაროვნება? როგორ არის შესაძლებელი ურთიერთობა, ურთიერთგაგება?

---

[129] «Muttersprache», გვ. 12.

[130] იქვე.

[131] იქვე, გვ. 17.

[132] იქვე, გვ. 25. შად.: Isidor: «Nisi enim nomen scieres, cognitio rerum perit» (თუ შენ არ იცნობ სახელს, საგნის ცოდნასაც ბოლო ეღება).

[133] იქვე. გვ. 30.

[134] იქვე. გვ. 65.

ეს არ ემყარება არც რეალურ-საგნობრივს და არც „ლოგიკურს“ საგანთა იგივეობა აქ იმიტომ ვერ აგვიხსნის ურთიერთობის ფაქტს, რომ მეტყველება არასოდეს არ ეხება თვით საგნებს, არამედ მხოლოდ მათ გაგებას ჩვენ მიერ[135].

არ არის სწორი, თითქოს ენები ერთმანეთისაგან მხოლოდ ფორმით. ბგერათა კომპლექსით, განსხვავდებიან. ენათა შორის არსებობს აგრეთვე განსხვავება შინაარსის მიხედვითაც[136]. დ რ ე ვ ს ი ს აზრით, გრამატიკა მრავალია, ხოლო ლოგიკა ერთი. ეკვი შეაქვს ამაში ვაისგერბერს[137].

ჰუმბოლტმა მიუთითა პირველად ენის შინაგან ფორმაზე, როგორც ენის არსებით მომენტზე. ვაისგერბერი ამ ცნებაში გულისხმობს ამა თუ იმ ენის მთელ შინაარსს, როგორც ცნებითს, ისე სინტაქსურს[138]. ურთიერთგაგება სხვადასხვა ადამიანთა შორის იმდენად არის შესაძლებელი, რამდენადაც ერთგვარია მათი სოციალური ბუნება, მათი ენების შინაგანი ფორმა.

როგორია ვაისგერბერის თეორია სიტყვისა და მისი მნიშვნელობის შესახებ? წინააღმდეგ რიგი ავტორებისა, ვაისგერბერი იმ აზრს იცავს, რომ სიტყვა აბსტრაქტი კი არა, კონკრეტია. ის არის გარკვეული დასრულებული მთლიანი, რომელსაც დამოუკიდებელი შინაარსი აქვს[139]. სიტყვის კვლევას დიდ დაბრკოლებას უქმნის ის გარემოება, რომ არ არის დაზუსტებული სიტყვასთან დაკავშირებული პრობლემების ხასიათი. ყველაზე მეტი საფრთხე დაკავშირებულია ტერმინ „მნიშვნელობასთან“. ერთი მხრივ, რიგი მკვლევრებისა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მნიშვნელობის პრობლემა ძირითადი პრობლემაა ენათმეცნიერებაში და ამ საკითხის კვლევამ სრულიად უნდა შეუცვალოს სახე თანამედროვე ლინგვისტიკას. მეორე მხრივ, ავტორის აზრით, მნიშვნელობის პრობლემა თუ სათანადოდ არ იქნა

---

[135] «Muttersprache», გვ. 51.

[136] იქვე, გვ. 73.

[137] იქვე, გვ. 76. «Wie vollends eine Logik, die aus einer anderen Sprache erwachsen ist, aussieht, das kann man erst beurteilen, wenn eine solche aus einer nichtindogermanischen Sprache vorliegt, dass dabei die eine Logik bestehen bliebe, ist äusserst unwahrcheinlich».

[138] იქვე, გვ. 86.

[139] Weisgerber, Vorschläge zur Methode und Terminologie der Wortforschung («Wortforschung»). Indogerm. Forschungen, Bd. 46. 1928, გვ. 307. იხ. აგრეთვე «Muttersprache», გვ. 12.

გაგებული. დიდ საფრთხეს უქმნის ენათმეცნიერებას. იგი მას მრუდ გზაზე წაიყვანს.

სიტყვის რაობის განსაზღვრაზე არსებით გავლენას ახდენს „მნიშვნელობის“ გაგება. ამ ტერმინში ზოგი გულისხმობს სიტყვის იმ ფუნქციას, რომელიც გონით შინაარსზე მითითებაში გამოიხატება. სიტყვა აქ გაგებულია როგორც უბრალო კომპლექსი ბგერებისა. რომელსაც „შიგნით“ არავითარი შინაარსი არა აქვს. შინაარსი ამ შემთხვევაში სიტყვის გარემდებარედ იგულისხმება, რომელზედაც მითითებაში გამოიხატება სიტყვის მნიშვნელობა. მეორენაირი გაგება მნიშვნელობისა ამ ცნებაში გულისხმობს სიტყვის იმანენტურ შინაარსს, მის „შიგნით“ არსებულ აზრს. აქ სიტყვა აღარ არის ბგერათა უბრალო კომპლექსი, არამედ გონითი შინაარსის მქონე მოვლენა. თუ მნიშვნელობის პირველი გაგების შემთხვევაში სიტყვის კვლევაში იგულისხმება მხოლოდ ბგერათა და მათი ცვალებადი ფუნქციების გათვალისწინება, მნიშვნელობის მეორენაირად გაგებისას, სიტყვის კვლევაში მისი გონითი შინაარსის კვლევაც იგულისხმება და ამდენად სიტყვის კვლევის მნიშვნელობა იზრდება; მას, საერთოდ, ენიჭება ცენტრალური ადგილი კულტურის პრობლემების კვლევის მიმდინარეობაში.

ვაისგერბერი „მნიშვნელობის“ მეორე გაგებას თვლის მისაღებად და ამდენად მნიშვნელობა სიტყვის შემადგენელ ნაწილად მიაჩნია[140]. ჯერ კიდევ Haase-მ მოგვცა მნიშვნელობის განმარტება. რომელიც გამორიცხავს მნიშვნელობის დაშვებას ენობრივი ფაქტის გარეშე. მისი აზრით, მნიშვნელობა არის ცნება იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი დაკავშირებულია სიტყვასთან, როგორც მის ნიშანთან. ამ განმარტების მიხედვით, დასძენს ვაისგერბერი, „მნიშვნელობა არის მხოლოდ მიმართების ცნება“[141]. მნიშვნელობის მოძღვრების ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ის ივიწყებს „მნიშვნელობის“ მიმართებით ხასიათს. მნიშვნელობის ყალბი გაგება მოამზადა ისეთი ლექსიკონების არსებობამ, სადაც ერთი სიტყვა ახსნილია სხვადასხვა სიტყვების საშუალებით ერთსა და იმავე ენაში. დაიბადა აზრი, თითქოს თვით მნიშვნელობა სიტყვის იმანენტური შინაარსი კი არ იყოს, არამედ მისგან დამოუკიდებელი ფაქტი. ამ შეცდომის გავრცელებას ხელი შეუწყო სიტყვაზე არსებულმა მცდარმა შეხედულებამ, რომლის თანახმად სიტყვაში იგულისხმება მხო-

---

140 «Wortforschung», ss. 312.

141 Die Bedeutungslehre—ein Irrweg der Sprachwissenschaft? Germ-Rom. Monatsschrift, XV. Jahr. 1927 («Irrweg»), ss. 170.

ლოდ ბგერათა უბრალო კომპლექსი, რომელსაც მნიშვნელობა შემდეგში უკავშირდება ასოციაციის კანონის საფუძველზე იქაც კი, სადაც ლაპარაკია სიტყვის „სულსა“ და „სხეულზე“. უპირატესობა ეძლევა „სხეულს“, წინაალმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნება ასეთი გამოთქმა: „სიტყვამ შეიცვალა თავისი მნიშვნელობა“, ე. ი. სიტყვა იმავე სიტყვად დარჩა, მაგრამ მან შეიცვალა შინაარსი.

იმისათვის, რომ აღნიშნულ საბედისწერო შეცდომას თავი დავაღწიოთ, საჭიროა, ავტორის აზრით, უკუგდებული იქნეს ის აზრი ენის შესახებ, რომლის მიხედვით გონითი შინაარსი დასრულებული სახით ეძლევა ენას, რომელიც ამ შემთხვევაში მისი გადაცემის უბრალო საშუალებაა და მეტი არაფერი. ნამდვილად კი „სიტყვა არის განუყოფელი კავშირი ბგერითი და შინაარსობრივი ნაწილებისა“[142]. სიტყვის მნიშვნელობა, თუ ის მის გარეთ არსებულად წარმოვიდგინეთ, არ არსებობს. მნიშვნელობა არის სიტყვაში, სახელდობრ, როგორც სიტყვის ბგერითი ნაწილის ფუნქცია. მნიშვნელობა ყოველთვის მოდის ბგერითი ნაწილიდან. მნიშვნელობის აქტიდან და „ნიშნავს“ შინაარსის მხარეს იმდენად, რამდენადაც ეს შინაარსი მიმართულია ბგერითი ნაწილისაკენ. როგორც მის ნიშნისაკენ. ჰაზეს (Haase) შეხედულებაში ის კორექტივია შეტანილი, რომ „სიტყვის“ ადგილზე იხმარება „სიტყვის ბგერითი ნაწილი“ ანუ „სახელი“ („Name“). მხოლოდ ასეთად გაგებული „მნიშვნელობა“ არის უფლებამოსილი დარჩეს მეცნიერებაში[143]. ვაისგერბერი სიტყვის შემდეგ ფორმულას ცვლეს: $W = N \times B$, სადაც W ნიშნავს სიტყვას, როგორც ფსიქოლოგიურ საკუთრებას (Besitz), N—სახელის ფსიქოლოგიურ ეკვივალენტს, B—ცნებას, როგორც ფსიქოლოგიურ მონაპოვარს; ნიშანი X მიუთითებს იმაზე, რომ კავშირი სახელსა და ცნებას შორის არ არის შემთხვევითი, ასოციატიური, არამედ ისეთი, რომელშიაც ცნება და სახელი ორივე განუყოფელად ერთიმეორეს განსაზღვრავენ[144]. სიტყვაზე შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ როგორც ისეთ მთლიანზე, რომელსაც ყოველთვის ორი მხარე აქვს: სახელი და ცნება. როცა ცნება სახელის მიმართების საგნად არის აღებული, ის არის მნიშვნელობა[145].

ერთ-ერთი უპირატესობა, რომელიც აქვს, ვაისგერბერის აზრით, მის თეორიას, თავს იჩენს ე. წ. სიტყვის მნიშვნელობის ცვალებადო-

---

142 «Irrweg», გვ. 172.

143 «Bedeutung eines Wortes—ja das ist etwas, was es nicht gibt, wenigstens nicht in dem geläufiger Sinne», Irrweg, გვ. 180.

144 «Muttersprache», გვ. 28.

145 იქვე, გვ. 35.

ბის საკითხის გადაჭრის დროს. ისტორიულად მრავალგზის ნაწვალები საკითხი აქ მარტივად იწყება. იცვლება არა სიტყვის მნიშვნელობა. არამედ მიმართება სახელისა ცნებისადმი. სიტყვის მნიშვნელობა იმიტომ ვერ შეიცვლება, რომ, თუ მნიშვნელობას ვაისგერბერივით გავიგებთ, მისი შეცვლა სიტყვის შეცვლაა და არა „მხოლოდ" მისი მნიშვნელობისა. ამ უკანასკნელის გარეშე სიტყვა არ არსებობს. თუ „მნიშვნელობაში" სიტყვის გარეშე მდებარე მოვლენას ვიგულისხმებთ, არც მაშინ შეიცვლება სიტყვის მნიშვნელობა. რადგან ასეთი რამ არ არის სიტყვის მნიშვნელობა, მისი იმანენტური შინაარსი. „შეიძლება იყოს მრავალმნიშვნელოვანი ს ა ხ ე ლ ე ბ ი. მაგრამ არა მრავალმნიშვნელოვანი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი"[146].

ვაისგერბერის ზოგად-ენობრივი თეორიის შეფასებას აქ არ შევუდგებით. დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიაგნებს ჩვენ შრომაში იმ მოსაზრებებს, რომელნიც შეიძლება მის წინააღმდეგ იქნეს წამოყენებული. ზოგად-ენობრივი თეორიის საგანგებო კრიტიკა იმიტომაც არ არის აუცილებელი, რომ სიტყვის თეორიის გარჩევის შედეგები არსებითად განსაზღვრავენ ენის თეორიის ღირებულებასაც.

ვაისგერბერი სამართლიანად ებრძვის ფსიქოლოგისტურ თეორიებს სიტყვის მნიშვნელობის საკითხში, მაგრამ თვითონ ისეთ პოზიციას იჭერს, რომელიც ლოგიკურად არ წარმოადგენს ფსიქოლოგიზმის გადალახვის საშუალებას. სოციალურია სიტყვა და მისი შინაარსი. მაშასადამე, ინდივიდს იგი ევლინება როგორც სავალდებულო. ამაში ხედავს ავტორი სუბიექტივიზმისა და ინდივიდუალიზმის დაძლევის საბუთს. მაგრამ, განა ბევრი უნდა იმის მიხვედრას, რომ სოციალურით, როგორც უმრავლესობით, დადგენილი მომენტი ლოგიკურ ვალდებულებას ვერ შექმნის? რაოდენობა ლოგიკურ-ობიექტურ ინსტანციას ვერ წარმოქმნის: ის, რაც თავისთავად არ არის ობიექტური, სოციალურის ძალით ასეთად ვერ გადაიქცევა[147]. ობიექტური სინამდვილიდან მიღებულ შთაბეჭდილებათა კოლექტიური გადამუშავების ფაქტები, რომელსაც ვაისგერბერი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, მხოლოდ ენის ფსიქოლოგიისთვის შეიძლება იყოს საინტერესო. სიტყვის პრინციპული, საგნობრივი ანალიზისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ვაისგერბერის წინააღმდეგ შეიძლება გავიმეოროთ ის, რაც იყო ნათქვამი კასირერის თეორიის იმ მომენტის წინააღმდეგ, რომელიც ეხება გარედან მოცემულ „მასალის" გადამუშავებას სიტყვის საშუალებით. სინამდვილის ათვისე-

---

[146] «Muttersprache», გვ. 35. იხ. აგრეთვე «Irrweg», გვ. 173.

[147] იხ. ამაზე ქვემოთ.

ბაში რომ სუბიექტურ-ისტორიული მომენტები მონაწილეობენ. ეს ყველასათვის ცნობილია. ფაქტია ისიც, რომ ემპირიულად მოცემული სიტყვა ყოველთვის შეიცავს მეტ-ნაკლები რაოდენობით ისეთ დანართს, რომლის საფუძველიც ლოგიკური თვალსაზრისით შემთხვევითი ხასიათისაა. ამოცანა ის არის, მივაკვნოთ არსს. სიტყვის კულტურულ დანიშნულებას. ე. ი. იმას, რის გამოც იგი გარდაუვალ ღირებულებად იქცევა. ვაისგერბერის გზა, რაც ფსიქოლოგისტურად გაგებული ჰუმბოლტის გზაა, სოციალურის საფარით სუბიექტურ-ფსიქოლოგისტურის პრინციპული დაკანონებაა. შემეცნებითი გზა კი ამ მომენტიდან განთავისუფლებაა, ცვალებადის და ისტორიულის[148] მიღმა უცვლელისა და მარადიულის ძებნაა. ვაისგერბერის თეორია რომ მართალი იყოს, ლინგვისტიკა, რომლის დამოუკიდებლობასაც ავტორი იცავს, სოციალური ფსიქოლოგიის ნაწილი იქნებოდა, მაგრამ ცხადია, რომ სოციალური ფსიქოლოგიაც ფსიქოლოგიაა და მისი ცნებებით სხვა მეცნიერებაში შეჭრა ჩვეულებრივ ფსიქოლოგიზმიდან არაფრით განსხვავდება? განსხვავება, რომელიც შეიძლება არსებობდეს ინდივიდუალურ და სოციალურ გარემოში მიმდინარე ფსიქიკურ პროცესებს შორის, ეხება ფსიქიკურის სტრუქტურას. გეშტალტს და არა მის ლოგიკურ ღირებულებას.

ვაისგერბერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვის შინაარსის იმანენტობის დებულებას. ამით თითქოს აღდგენილია სიტყვის ღირსება და მოძებნილია მნიშვნელობის ნამდვილი ადგილი. რასაკვირველია, აქ არ არის იმანენტობაზე ლაპარაკი იმ აზრით, რა აზრითაც იმანენტურ ფილოსოფიაში. საგანი, იმანენტური ცნობიერებისათვის. ტრანსცენდენტურია, ვაისგერბერის აზრით. სიტყვისათვის. ის, რაც „შიგნით" არის სიტყვაში, შთაბეჭდილებაა. ე. ი. ფსიქიკური პროცესია, საგნით გამოწვეული[149]. სიტყვაში რომ, ასე თუ ისე, სამყაროს განცდის აღბეჭდვა ხდება და ამით სიტყვა უდიდეს ფსიქოლოგიურ წყაროს წარმოადგენს, უეჭველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ შემეცნებას (სიტყვას) განა მარტო ფსიქოლოგიური ამოცანა აქვს? განა ჭას მარტო ის აინტერესებს, თუ როგორ გ ვ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა სამყარო? არა! ძირითადი ამოცანა იმის გაგებაა, თუ როგორია თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ სამყარო. ის, რაც სიტყვაში იმანენტურად არის, ბგერათა კომპლექსთან არის შერწყმული, არ არის სიტყვის შინაარსი, რადგან მხოლოდ ის არის შინაარსი. რასაც სიტყვა გამოთქვამს, ხოლო გამოსათქმელი

---

[148] არც ისტორია ეძებს ცვალებად ფაქტებს როგორც საბოლოო მიზანს. მისი ამოცანაა ცვალებად ფაქტებში მარადიულობისადმი მიახლოება დაადასტუროს.

[149] ამ შთაბეჭდილების კოლექტიური გადამუშავება არ ცვლის აქ არაფერს.

არ შეიძლება სხვაგან იყოს. თუ არა სიტყვის „წინ" როგორც მისი საგანი (Gegen-stand). იმანენტური მსოლოდ ის შეიძლება იყოს სიტყვაში. რასაც მასთან განვიცდით. რაშიაც „ვ ა რ თ" და არა ის. რ ა ს ა ც ვ ა მ ბ ო ბ თ; ის. რაშიაც „ვართ". ის არასოდეს არ არის გონითი შინაარსი.

ვაისგერბერი ენერგიულად ებრძვის ბგერათა კომპლექსისა შინაარსის კავშირის ასოციაციის სახით წარმოდგენას. მართლაც და, როცა ინდივიდი მოცემულ სიტყვას ეცნობა. განსაკუთრებით კი მის სრული დაუფლების შემდეგ. არავითარ ასოციაციას ბგერასა და გონითი შინაარსს შორის ის არ ამჩნევს. ამიტომ აქ ხშირად შერწყმაზე და გეშტალტზე ლაპარაკობენ, მაგრამ თუ აქედან ბგერათა კომპლექსის და გონითი შინაარსის იმთავითვე განუყოფლობა ვაღიარეთ. გადაულახავ სიძნელეებს შევხვდებით. ბგერათა კომპლექსი რომ იმანენტურად შეიცავდეს შინაარსს, სიტყვის გაგონებასა და გაგებას შორის არავითარი განსხვავება არ იქნებოდა, და ვისაც სმენის ნორმალური ორგანო აქვს, მას ყველა ენა ეცოდინებოდა. ცხადია, ასეთი უცნაური აზრის დაცვას არავინ იკისრებს. ვაისგერბერი თითქოს იმას იცავს, რომ სიტყვა მხოლოდ მაშინ არის სიტყვა, როცა მნიშვნელობა აქვს და რომ მარტო ბგერათა კომპლექსი არ წარმოადგენს სიტყვას. რასაკვირველია. თავისთავად არც ეს დებულებაა სადაო. საკითხი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ამ დებულების გამოყენებას კვლევაძიების დროს. სიტყვა რომ ყოველთვის მნიშვნელობას შეიცავს. ნიშნავს თუ არა ეს იმას. რომ არა გვაქვს უფლება ვილაპარაკოთ ცალკე სიტყვაზე და ცალკე მნიშვნელობაზე? პირველ რიგში: როგორია მიმართება სიტყვისა მნიშვნელობისადმი: თანაბარი (ორმხრივი) თუ ცალმხრივი? ვაისგერბერის თეორიის სპეციფიკურობა იმაში გამოიხატება, რომ ამ თეორიით მნიშვნელობა ისევე საჭიროებს სახელს, როგორც სახელი მნიშვნელობას; მხოლოდ მაშინ არის ასე თუ ისე შინაარსი (ცნება) მნიშვნელობა. როცა იგი სახელზეა მიმართული და მასში თავის აღმნიშვნელს ხედავს. რა თქმა უნდა, „მნიშვნელობა" ამ გაგებითაც შეიძლება ვიხმაროთ (ტერმინოლოგიური კამათი აქ არ გვაინტერესებს). მაგრამ ანგარიში უნდა მივცეთ თვით პრობლემატიკის შინაარსს, მის აღნაგობას.

ვაისგერბერგის თეორიით. ყველაფერი შეიძლება იყოს მნიშვნელობად, რადგან ყველაფერი შეიძლება სახელისადმი[150] მიმართებაში დავაყენოთ. მაგრამ ამ ყველაფრის ყოველი მომენტი ხომ არ გამოდგება იმისთვის, რომ სიტყვის ის მისია იქნეს განხორციელებული, რომელზედაც არის მისი ღირებულება დამყარებული? რომ თავისთავად ყველაფერი იმის გამო რომ როგორღაც არსებობს, არ შეიძლება სიტყვის შინაარსი იყოს, ეს ვაისგერბერსაც აქვს აღიარებული: ფსიქოლოგიზმთან მისი ბრძოლა ხომ მეტს არაფერს ნიშნავს. გარდა იმისა, რომ ფსიქოლოგიური მასალა სიტყვის (ენის) შინაარსად არ გამოდგებაო? მაგრამ რადგან ყოველგვარი მასალა არ შეიძლება გამოდგეს, ვარგისობის კრიტერიუმის საკითხი დგება. ეს კი მნიშვნელობის დამოუკიდებლობის პრინციპული აღიარებაა. ყველაფერი შეიძლება სიტყვის მნიშვნელობის როლში გამოვიდეს. მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ის კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. ეს საჭირო თვისებები კი სიტყვის შინაარსის პრეტენდენტს თვითონ უნდა ჰქონდეს. ამით საძიებელი ტრანსცენდენტიზმი მნიშვნელობისა აღიარებულია.

ვაისგერბერი ებრძვის მნიშვნელობის ჰუსერლისებურ გაგებას[151]. და ცნების რეალობას და გარკვეულობას ენაში მიღწეულად თვლის. ამ მოსაზრებამ განსაზღვრა მისი ულტრა-ფსიქოლოგისტური შეხედულება ლოგიკაზე. ენის სხვაობიდან მან ლოგიკის სხვაობაზე დაასკვნა. მრავალი ლოგიკის აღიარება ლოგიკის პრინციპული უარყოფაა. ფსიქოლოგიზმთან ბრძოლამ ვაისგერბერი უკიდურეს ფსიქოლოგიზმამდე მიიყვანა. ამის მიზეზი მისი სოციოლოგიზმია.

ძირითადი დებულებები

როგორც ყოველგვარი ფაქტი, სიტყვაც მრავალი თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ. თუ რამდენნაირი შეიძლება იყოს სიტყვის განხილვის წესი, არ არის საბოლოოდ დადგენილი: მეცნიერების განვითარება ქმნის ახალ თვალსაზრისს, რომელიც სიტყვის ახალს, დღემდე უცნობ ასპექტს გამოავლენს. ყოველი თვალსაზრისი კანონიერია, თუ კვლევის ძირითადი წესები დაცულია. კითხვა რა არის

---

[150] ამანი სახელში გულისხმობს საკუთარ სახელს და არა ბგერათა კომპლექსს. მისი აზრით, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სიტყვას და არა სახელს. იხ. «Die menschliche Rede», 1925, გვ. 48.

სამწუხაროდ, ამანის შეხედულების გარჩევა ამ შრომაში ვერ მოხერხდა.

[151] იხ. «Bedeutung», გვ. 38.

სიტყვა — მხოლოდ მაშინ არის გარკვეული, როცა წინასწარ ცნობილია, თუ რომელი მეცნიერება აყენებს მას. სიტყვა, როგორც იგი მეცნიერული კვლევის პრაქტიკაში ჯვეველინება, არ წარმოადგენს კვლევის ერთ საგანს. შეიძლება ითქვას, სიტყვა იმდენია, რამდენი განსხვავებული მეცნიერებაც იკვლევს მას. მაგრამ, რადგან ყოველთვის მაინც სიტყვასთან გვაქვს საქმე აღნიშნულ შემთხვევებში, დგება კითხვა „თვით" სიტყვის შესახებ, ე. ი. იმის შესახებ, რაც იგივედ რჩება, მიუხედავად განსხვავებული თვალსაზრისით კვლევისა. სიტყვა თავისთავად, ე. ი. სხვადასხვა ასპექტში იგივედ მოვლენილი, ფენომენოლოგიური კვლევის საგანია. სიტყვის სხვადასხვა ემპირიულ ასპექტში რეალიზებულ ფაქტებს სხვადასხვა ემპირიული მეცნიერებანი იკვლევენ. უძირითადესი ამოცანაა, გაირკვეს იმის ნიშანი, რასაც სახელად ჰქვია „სიტყვა". ჩვენი ამოცანაა: რა აქვს ამას, „სიტყვით" აღნიშნულ „ფაქტს" შინაარსად, რა არის ამის მნიშვნელობა? ცხადია, ჩვენი ამოცანა პირველ საკითხს გადაჭრილად გულისხმობს. სიტყვის მიგნების საშუალება ცნობილი უნდა იყოს მანამ, სანამ მის „შიგნით" ნაგულისხმევის, მისი მნიშვნელობის კვლევას შევუდგებოდეთ. ჩვენ არ ვიკვლევთ სიტყვის არსს, ჩვენ ვეხებით მის ფუნქციას, მაგრამ, რადგან სიტყვა „მოცემულად" იგულისხმება, საჭიროა იმის თქმა, თუ რა არის ამ მოცემულში ნაგულისხმევი. რას ვგულისხმობთ, როცა სიტყვაზე ვლაპარაკობთ? პასუხი ამ კითხვაზე იმით რთულდება, რომ სიტყვის არსი არ არის დადგენილი, მაგრამ რადგანაც ყოველგვარი მნიშვნელობა, თავისთავად აღებული, კანონიერია და ადეკვატური აღწერის შემდეგ არ იწვევს გაუგებრობას, ჩვენ შეგვიძლია იმით დავკმაყოფილდეთ, რომ საკუთარი გაგება ნათელვყოთ ობიექტურად. სიტყვა ჩვენ გვაინტერესებს როგორც საყოველთაო კულტურის ფაქტი. ასეთი ფაქტის არსებობა არ იწვევს დავას. უდავოა აგრეთვე სიტყვის ზოგიერთი ზოგადი ნიშანი. შესაძლებელია, სიტყვის სადავო და გაურკვეველ ნიშნებს ნათელი მოვფინოთ იმით, რომ მათი გაგების შეთანხმება ვცადოთ უკვე ცნობილ და უდავო ნიშნებთან. ეს წესი კვლევისა იმის გარანტიას გვაძლევს, რომ მცდარი თეორია ვამხილოთ და ჭეშმარიტისათვის გზა გავკაფოთ.

რა ნიშნებია ისეთი, რომლის გარეშე სიტყვა, როგორც საკაცობრიო კულტურის ფაქტი, არ წარმოიდგინება? პირველ რიგში, სიტყვა უნდა იყოს გრძნობადი (sinnlich) ფორმის მატარებელი. არ ყოფი-

ლა და არც იქნება სიტყვა, რომელიც ამ ნიშანს მოკლებულია. ყველაფერი, რასაც გრძნობადი ფორმა აქვს, რასაკვირველია, არ არის სიტყვა. გრძნობადი ფორმა, რომელიც სიტყვას აქვს, სხვადასხვაა: ერთსა და იმავე სიტყვას შეიძლება მრავალი გრძნობადი ფორმა ჰქონდეს. აქედან ცხადია, რომ გრძნობადი ფორმა მხოლოდ საერთოდ არის აუცილებელი სიტყვისათვის. ყოველი კონკრეტული ფორმა სიტყვისათვის შემთხვევითია და ამდენად ამ ფორმით სიტყვის ბუნება არ განისაზღვრება. სიტყვის გრძნობად ფორმაში ბგერა (ენა) იგულისხმება, რომელიც ემპირიული პროცესის სახით წარმოიდგინება. ყოველი ემპირიული პროცესი განისაზღვრება დრო და სივრცით; ის ხდება გარკვეულ ადგილზე და გრძელდება დროის გარკვეულ მონაკვეთში. ამის შემდეგ ის არ არსებობს, იგი სამუდამოდ ისპობა. თუ სიტყვა (ენა) გრძნობადი ფორმით ამოიწურება, ის განსაზღვრული აზრით არარსებულად უნდა ჩავთვალოთ. გასაგებია, რომ, როდესაც ენის ფილოსოფიაში ფსიქოლოგისტური და ნატურალისტური თვალსაზრისი გაბატონდა, ენის არსებობა კითხვის ქვეშ დადგა[152]. მეტყველებისგან განსხვავებით ენაში მარადიული (Bleibende) იგულისხმება. რასაკვირველია, ერთგვარი არსებობა აქვს თქმასაც. მეტყველებასაც, მაგრამ ასეთი არსებობა რომ სიტყვისთვის, ენისთვის ყოფილიყო საკმარისი, აღნიშნული საკითხიც არ წამოიჭრებოდა. გამოთქმის აქტის შემდეგ, მის განვლის და მოსპობის შემდეგ სიტყვიდან თუ არაფერი რჩება, მისი კულტურის ობიექტთა შორის მოთავსება შეუძლებელი გახდება; ის, რაც მხოლოდ დრო და სივრცით გამოაელენს თავის არსებობას, კულტურას არ მიეკუთვნება. აქედან ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: სიტყვის (ენის) კულტურისადმი მიკუთვნების საფუძველი მის გრძნობად ფორმაში არ მოიპოვება. ასეთი საფუძველი სიტყვის შინაარსში, მნიშვნელობაში, უნდა მოიძებნოს. რადგან უდავოა, რომ სიტყვა (ენა) კულტურის ობიექტია, ხოლო სიტყვის (ენის) ფორმა ამ ფაქტს ვერ ხსნის. საჭიროა მისი შინაარსის იმგვარი თეორია, რომელიც აღნიშნულ ფაქტს გასაგებად გახდის.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ სიტყვამ (ენამ) ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარება შესძლოს? რასაკვირველია, აქ არის ლაპარაკი სპეციფიკურ ურთიერთობაზე. ადამიანთა შორის ურთიერთობა სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ფიზიკურად, ფსიქიკურად და ლოგიკურად. ფიზიკური ურთიერთობა სიტყვასთან არ არის დაკავშირებული და საერთოდ, ახალ პრობლემას არ შეიცავს. ზოგადი კა-

---

[152] იხ. G. Ipsen, Sprachphilosophie der Gegenwart, 1930, ss. 11.

ნონი ფიზიკურის ზემოქმედებისა ფიზიკურზე აქ სავსებით ძალაშია და მოვლენის ამომწურავ ახსნას გვაძლევს. ფსიქიკური ურთიერთობა ადამიანთა შორის ერთ-ერთი უძნელესი პრობლემაა, მაგრამ არც ეს საკითხი გვაინტერესებს ამჟამად. ადამიანთა შორის ფსიქიკური კავშირი ზოგჯერ გათანაბრებულია ენობრივ კავშირთან და პირველის ახსნა მეორის ახსნადაც ითვლება; მაგრამ ეს. რასაკვირველია, ასე არ არის. იმისთვის, რომ ერთმა ადამიანმა მეორესთან ფსიქოლოგიური კავშირი დაამყაროს, საკმარისია ისეთი ფაქტი, რომლითაც საერთოდ ერთი ადამიანი გამოიწვევს მეორეში აზრს, რომ ამ მეორეს საქმე აქვს განცდის მატარებელ არსებასთან. ფსიქიკური კავშირი არსებობს მაშინაც, როცა ერთი ადამიანის ნათქვამი სრულიად ვერ გაიგო მეორემ, როცა ერთის ქცევა თუმცა გაგებული იყო როგორც ქცევა, მაგრამ ნამდვილი საზრისი ამ ქცევისა მიუწვდომელი დარჩა. გაუგებრობის ფაქტის არსებობა ფსიქიკური და ლოგიკური კავშირის განსხვავების ნათელი ილუსტრაციაა. აქედან ცხადია, რომ ფიზიკურის დასახელება, როგორც ურთიერთობის საშუალებისა, მხოლოდ ურთიერთობის ფსიქიკურ სახეს შეიძლება ეხებოდეს[153]. ლოგიკურისათვის, გარდა ამისა, ახალი ინსტანცია უნდა მოიძებნოს. ურთიერთგაგებისათვის საჭიროა მეტი, ვიდრე ის, რასაც გაუგებრობის, არგაგების გამოწვევა შეუძლია. უნდა არსებობდეს სიტყვაში ერთი და იგივე რაღაც, რაც ურთიერთობაში მყოფი ადამიანებისაგან დამოუკიდებელია და ამდენად მათთვის ყველასათვის თანაბრად საკალდებულო.

სიტყვის შესახებ არსებული ცნობილი თეორიების გარჩევამ დაგვარწმუნა იმაში, რომ სიტყვის შინაარსი არ შეიძლება სხვა რამე იყოს, თუ არა მნიშვნელობა. არ არის და არც შეიძლება არსებობდეს სიტყვა, რომელიც მნიშვნელობას არ შეიცავს. რამდენადაც ეს დებულება უდავოა და მისი აზრი ადვილად მისაწვდომი, იმდენადვე ძნელია იმ საკითხის გარკვევა, თუ რა არის ეს მნიშვნელობა და რით აძლევს მნიშვნელობა სიტყვას (ბგერათა კომპლექსს) იმ თვისებას, რომლითაც სიტყვა ბუნების მოვლენებიდან იმიჯნება და კულტურის ობიექტთა შორის იმკვიდრებს თავის ადგილს. ბუნებრივს ერთვის ხელოვნური სიძნელე. მეცნიერებაში და, სამწუხაროდ, ფილოსოფიაშიც ნატურალისტური აზროვნებაა გაბატონებული, რომელიც უძლურია არაემპირიული რამ დაინახოს. მნიშვნელობა არ არის მოვლენა ამ სიტყვის ემპირიული გაგებით. ამით აიხსნება ის (ჩვენთვის უდავო) ფაქტი, რომ ყოველგვარი ცდა მნიშვნელობის ფსიქიკური ან

---

[153] რამდენად მართებულად, სხვა საკითხია.

ფიზიკური პროცესის სახით წარმოდგენისა მარცხით დამთავრდა. თითქოს სავსებით ნათელი უნდა იყოს, რომ მნიშვნელობის გაგების ნატურალისტური გზა ძირშივე შემცდარია. მაგრამ სანამ მნიშვნელობის შესახებ საკმარისი პოზიტიური მონაცემები არ გვაქვს, ნატურალისტური თეორიების აღმოცენება არ შეიძლება შეუძლებლად მივიჩნიოთ.

ჩვენი პასუხი ამაზე, თუ რა არის სიტყვის მნიშვნელობა, ასეთია: ს ი ტ ყ ვ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ა რ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. ეს დებულება არ არის ტავტოლოგია, რადგან „მნიშვნელობა“, რომელიც აქ არის ორჯერ ნახმარი, ერთსა და იმავეს არ ნიშნავს. „მნიშვნელობა“ წინადადებაში „რა არის სიტყვის მნიშვნელობა?“ — შემდეგს გულისხმობს: „რა არის ის, რასაც სიტყვა გამოთქვამს?“ „რა არის ის, რაზედაც არის სიტყვა მიმართული?“ „მნიშვნელობა“ აქ „მიმართებას“ უდრის[154]. ამიტომ ჩვენი დებულება ასედაც შეიძლება გამოითქვას: „სიტყვის მიმართების ობიექტი არის მნიშვნელობა“, „სიტყვის ინტენცია მიმართულია მნიშვნელობაზე“ ან კიდევ: „ის, რასაც სიტყვა გამოთქვამს, არის მნიშვნელობა.

რადგან აქამდე მოვედით, უკან წასვლა აღარ შეიძლება: ან მნიშვნელობას უნდა მიეწეროს ის ნიშნები, რომლის წყალობითაც სიტყვა—სიტყვაა, და ან სიტყვა გამოთქმაზე დავიყვანოთ და ამით მისი არარსებობა ვაღიაროთ. წინსვლისათვის იმაში გაწრთვნა საჭირო, რომ ვისწავლოთ იდეალური ობიექტების „ხედვა“. თანამედროვე მკვლევართა შორის ამ მიმართულებით ყველაზე დიდი ღვაწლი ჰუსერლს მიუძღვის. ჩვენ გვქონდა შემთხვევა ცალკე შრომაში გადმოგვეცა ჰუსერლის შეხედულება მნიშვნელობის რაობაზე[155]. ამიტომ აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით ამაზე. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგ რამეს, რაც ამ ცნების სწორად გაგებისათვის არის საჭირო.

მნიშვნელობა არ არის მეტაფიზიკური ცნება. ის სათანადო თვალსაზრისზე მდგომ ადამიანს ისეთივე უშუალობით ეძლევა, როგორც ფერი და ტონი. თვალსაზრისი, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, მხოლოდ იმას გვავალებს, რომ რაიმე მოცემული განვიხილოთ მისი რაობის და არა მისი არსებობისა და წარმოშობის მიხედვით. რაობა ის აუცილებელი ნიშანია, რომლის გარეშეც არაფერი არ არის. მნიშვნელობა და რაობა ერთია, საჭიროა მხოლოდ რაობა რეალო-

---

154 ტავტოლოგია იქნებოდა, მაგ. ასეთი გამოთქმა: „სიტყვის მნიშვნელობა არის მიმართება“.

155 იხ. მნიშვნელობა და გამოსახულება (Husserl)

ბის ნიშნით არ შემოიფარგლოს. რაობას რომ არსებობა ვერ განსაზღვრავს, ეს ყველასთვის აშკარა უნდა იყოს. მხოლოდ ის შეიძლება რეალურად არსებობდეს, რისი რაობაც თავისთავად არის და მეორე რაობას არ ეწინააღმდეგება. მნიშვნელობა არ არის ის, რისიც სხვა შინაარსზე დაყვანა შეიძლება. „არ შეიძლება მისი შემდგომი დეფინიცია, ის არის დესკრიპტულად უკანასკნელი"[156]. როგორც ემპირიული ინტუიცია აღარ მოითხოვს ფერის განმარტებას, ისე ინტელექტუალური ინტუიციაც, რომელიც გვაძლევს მნიშვნელობას, არ საჭიროებს შემდგომ „ახსნა-დასაბუთებას". რომ გენეზისის თვალსაზრისი აქ სრულიად უადგილოა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მნიშვნელობა თვით არის (უარყოფითი) პირობა არსებობის, რეალობის. მნიშვნელობას კი არ ჭირდება რეალობა, არამედ, პირიქით, რეალობა (ემპირიული) არის მნიშვნელობის „გამოვლენა". მნიშვნელობის გაგება არ შეიძლება წარმოშობის ცნებაზე იყოს დამყარებული[157].

არ უნდა ვიფიქროთ, რომ მნიშვნელობა არის თავისებური არსებობა ემპირიულის გვერდით. ასეთი წარმოდგენა მნიშვნელობისა იქნებოდა მისი მეტაფიზიკური ჰიპოსტაზირება. რასაც ყველაზე ენერგიულად თვით ჰუსერლი ებრძვის[158]. ფერი, რომელიც ემპირიულ მოვლენად ითვლება, მყისვე მნიშვნელობად გადაიქცევა, როგორც კი ის განხილული იქნება თავის არსში, მის ფერობაში. მთელი ემპირიული რეალობა მნიშვნელობის სამყაროდ გადაიქცევა, თუ მას არსებობის ყოველ მომენტს ჩამოვაცლით და მხოლოდ თავისი საკუთარი რაობით წარმოვიდგენთ. ეს ოპერაცია (ფენომენოლოგიური რედუქცია) არის არა ახლის შექმნა (მნიშვნელობა არ იქმნება), არამედ ემპირიულის დაბრუნება იმასთან, რაც „იყო" იგი ყოველთვის. ე. ი. შესაძლებლობის იდეალურ სამყაროში. რასთანაც არ უნდა ჰქონდეს საქმე სიტყვას (ენას), ფიზიკურ თუ ფსიქიკურ რეალობასთან, ის, რასაც იგი გამოთქვამს, მაინც იდეალურ სამყაროში, მნიშვნელობის სამყაროში, თავსდება. ე. წ. ფენომენოლოგიური რედუქცია (ჰუსერლი)

---

[156] Husserl. Log. Unters. Bd. II, გვ. 183.

[157] „Логика понимания „из происхождения"—та же, что в аргументе, который пишущему это пришлось слышать от одного близкого ему юного существа, изобразившего в диктанте „щепку" через „ять" и мотивировавшего это тем, что „щепка" происходит от „полъна". Шпет, „Эстетич. фрагменты", II, გვ. 41.

[158] «Sie (მნიშვნელობანი, ა. ბ.)sind darum nicht Gegenstände, die wenn nicht irgendwo in der «Welt», so in einem topos ovpavius oder im göttlichen Geiste existieren, denn solche metaphysische Hypostasierung wäre absurd». Husserl, დასახ. შრომა, გვ. 101.

შეიძლება მეტი არაფერი იყოს გარდა იმის შეგნებულად შესრულებისა, რასაც სიტყვა „სტიქიურად", თავის არსებობის ფაქტით. მარტივად, და უბრალოდ ასრულებს[159].

ავიღოთ ასეთი გამოთქმა: „სოკრატეს გუშინ ტკიოდა თავი". აქ არის გამოთქმა და ის, რაც არის გამოთქმული, ე. ი. აქტი და შინაარსი. ეს გამოთქმა შეიძლება მრავალჯერ გამეორდეს დროსა და ადგილის ძახედვით. გამეორების რიცხვი პრინციპულად განუსაზღვრელია, ხოლო გამოთქმული მნიშვნელობა ამის მიუხედავად ყოველთვის და ყოველგან არის ერთი. ამ სიტყვის ზუსტი გაგებით. ამ მაგალითში ჩვენ ადვილად ვარჩევთ სამ მომენტს: გამოთქმას (აქტს). გამოთქმულ მნიშვნელობას და ფაქტს, რომელიც, ვთქვათ, გუშინ მოხდა (სოკრატეს თავის ტკივილი). მნიშვნელობა და ფაქტი (საგნობრიობა) ერთი და იგივე რომ არ არის, ამაში დარწმუნება ადვილად შეიძლება: ფაქტი შეიძლება მოისპოს, დღეს სოკრატეს შეიძლება თავი აღარ ტკიოდეს, მაგრამ გამოთქმა: „სოკრატეს გუშინ თავი ტკიოდა" მაინც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. სიტყვამ „გუშინ" აქ გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს. ის, მართალია, სუბიექტური, ოკაზიონალური გამოთქმაა, მაგრამ მისი შეცვლა ობიექტური გამოთქმით ფაქტობრივადაც შესაძლებელია და ამიტომ თავიდან აცილებულია სუბიექტივიზმის და რელატივიზმის საფრთხე[160].

გამოდის თითქოს ასე: მნიშვნელობა არის ფაქტის გამოთქმა, „ასახვა", რომელიც იმის შემდეგ, რაც თვითონ „ფაქტად" იქცა, სხვას საფუძვლად აღარ საჭიროებს და წარმავალ სამყაროდან მარადიულში გადადის. ამ ტრანსფორმაციის მიზეზს ზოგი მკვლევარი ხედავს ინტელექტის, გონის მუშაობაში: რასაც გონი თავის ოპერაციის საგნად აიღებს, მას იგი მარადიულობის, უცვლელობის ნიშნით აღბეჭდავსო.

როგორც არ უნდა შევაფასოთ აღნიშნული მოსაზრება, ერთი რამ მაინც თითქოს ძალაში რჩება. აღნიშნული მნიშვნელობის საფუძვლად მაინც რეალური ფაქტი გვევლინება. რომ რეალურად არ ყოფილიყო სოკრატე და მას თავი არ ატკიებოდა, აღნიშნული მნიშვნელობის გამოთქმას არ ექნებოდა ადგილი. მართალია, იმის შემდეგ, რაც უკვე წარმოიშვა მნიშვნელობის გამოთქმა, რეალური ფაქტი აღარ არის

---

[159] „Всякое слово (речь) уже обобщает", „Чувства показывают реальность, мысль и слово—общее". „В языке есть только общее". Ленин, филос. тетради, 1936. გვ. 281, 283.

[160] იხ. Husserl, დასახ. შრომა, გვ. 79. შეად. „მნიშვნელობა და გამოსახულება, ნაწ. 1.

საპირო, მაგრამ თვით მისი წარმოშობისათვის ეს ფაქტი აუცილებელია.

ასეთი შეხედულება არ შეესაბამება საქმის ნამდვილ ვითარებას. განა ჩვენი გამოთქმა მნიშვნელობას დაკარგავდა იმის გამო, რომ ნამდვილად არც სოკრატე ყოფილიყო ქვეყანაზე და არც მისი თავის ტკივილი? რასაკვირველია, არა[161]. ამ შემთხვევაში შეიცვლებოდა მხოლოდ ერთი რამ: ემპირიული თვალსაზრისით, პირველ შემთხვევაში ჩვენ ვამბობდით ჭეშმარიტებას, ახლა კი ვამბობთ ტყუილს. მნიშვნელობა ამის გამო, რა თქმა უნდა, არ იცვლება. დებულების მნიშვნელობა იგივე რჩება, ექცევა მას ჭეშმარიტების თუ შეცდომის ინდექსი.

რომ მნიშვნელობა, საერთოდ, არც ერთ მომენტში არ არის დამოკიდებული რეალურ არსებობაზე, ეს იქიდანაც შეიძლება დავინახოთ, რომ მნიშვნელობა თავის არსში სავსებით სრულყოფილი და სრულუფლებიანი რეალურად შეიძლება განუხორციელებელიც იყოს. გამოთქმა: „მრგვალი სამკუთხედი გარდაიცვალა პატიოსნებიდან სამი კილომეტრის მანძილზე“ სავსებით გამართული გამოთქმაა. მიუხედავად იმისა, რომ რეალური არსებობა ამ მნიშვნელობისა გამორიცხულია. ამ გამოთქმაში საგანზე რომ მაინც შეიძლება ლაპარაკი, ეს ასე უნდა გავიგოთ: მნიშვნელობა, რომელიც აქ გვეძლევა, მიუთითებს საგანზე, ასახელებს მას, მაგრამ ეს საგანი არ არსებობს არც ფიზიკურ, არც ფსიქიკურ და არც მათემატიკურ სინამდვილეში. მნიშვნელობის თანახმად, მისი საგანი უნდა არსებობდეს რომელიმე აღნიშნულ სინამდვილის სფეროში და რამდენადაც გამოთქმაში მითითებული საგანი ამის პრეტენზიას აცხადებს, იგი ფიზიკის, ფსიქოლოგიისა და მათემატიკის კრიტერიუმებით უნდა შემოწმდეს. უარყოფითი შედეგი ამ შემოწმებისა მნიშვნელობის კონსტიტუციაში არაფერს ცვლის.

მეტყველების აქტში მნიშვნელობა მოცემულად იგულისხმება. ეს მნიშვნელობა ყოველთვის იგულისხმება როგორც უცვლელი და თავისთავში საბოლოოდ გარკვეული[162]. მაგრამ ფაქტია, რომ ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვანაირად არის ხშირად გაგებული?

---

[161] შად. ა. ბოჰორიშვილი, მნიშვნელობა და გამოსახულება, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1942.

[162] იხ. მნიშვნელობა და გამოსახულება.

„ოქრო“ ბავშვს სხვაგვარად ესმის, ვიდრე დიდს (გომპერცის მაგალითი)[163].

ენათმეცნიერებაში სიტყვის მნიშვნელობის ცვალებადობის კვლევას განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი და საგანგებო ტერმინითაც არის იგი აღნიშნული (Bedeutungswandel). სხვა ადგილას[164] ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ ჰუსერლის გამოკვლევების შემდეგ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ მნიშვნელობის აქტის (Bedeuten) და არა თვით მნიშვნელობის (Bedeutung) ცვალებადობის შესახებ. ჩვეულებრივ საქმის ვითარება უთუოდ ასეა წარმოდგენილი: სიტყვას აქვს თავისი ნამდვილი მნიშვნელობა. მაგრამ ის ყველამ იცის. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ნიშანი შეიძლება აღმოჩნდეს საგანში და ამისდა მიხედვით სიტყვის მნიშვნელობა მუდამ იცვლება. უკანასკნელი, ყველაზე სწორი მნიშვნელობა მოწინავე მეცნიერებას აქვს, მაგრამ საბოლოო იგი მაინც არ არის, რადგან მეცნიერება დაუსრულებლივ წინ მიდის და არასოდეს არ არის გამორიცხული შესაძლებლობა იმისი, რომ უკანასკნელად მიჩნეული მნიშვნელობა შეიცვლება. მაშასადამე, სიტყვის ობიექტურობა პირობითია, ე. ი. ნამდვილად ობიექტური ის არ არის.

ასეთი შეხედულება არ არის სწორი და იგი მით უმეტეს უნდა გადაიქცეს კრიტიკის საგნად, რომ ძლიერ გავრცელებულია და აზროვნებას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის

მთავარი შეცდომა აქ ის არის, რომ სხვადასხვა მნიშვნელობანი ერთიმეორეს უპირისპირდებიან როგორც სწორი და არასწორი. ნამდვილად არასწორი მნიშვნელობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ყოველგვარი მნიშვნელობა კანონიერია. უკანონო მნიშვნელობა არ არსებობს, თუ „ოქროში“ ხან ყვითელი ფერის ლითონი იგულისხმება, ხან ფარშავანგის ბოლოზე შემჩნეული ყვითელი ლაქა და ხან კი გარკვეული წონისა და სხვა ფიზიკური თვისებების მქონე ძვირფასი ლითონი, არ ვიტყვით, რომ უკანასკნელს რაიმე პრინციპული უპირატესობა აქვს სხვა დანარჩენ მნიშვნელობებთან შედარებით: „ოქრო“ შეიძლება ყოფილიყო როგორც ერთის, ისე მეორისათვის მიკუთვნებული. თავისთავად „ოქროს“. რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ ე. წ. მნიშვნელობის ცვალებადობას ჩვენ ვუყურებთ არა როგორც შეცდომების გასწორებას, არამედ სიტყვის (ბგერათა კომპლექსის) გადატანას ერთი მნიშვნე-

---

163 Gomperz, დასახ. ნაშრომი.

164 იხ. მნიშვნელობა და გამოსახულება.

ლობიდან (რომელიც უცვლელი რჩება) მეორე მნიშვნელობაზე. ამ გადატანას აქვს თავისი ტექნიკური, პრაქტიკულ-სოციალური აზრი და ამდენად შეიძლება აქ ვილაპარაკოთ წინსვლაზე (მაგ., ბავშვის მეტყველების დაზუსტების შემთხვევაში). გაუგებრობას, შეცდომას იწვევს არა მნიშვნელობა, თავისთავად, არამედ სხვადასხვა მნიშვნელობათა აღრევა ერთმანეთში. „მაგიდა"-ს ქვეშ შეიძლება მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობა იგულისხმებოდეს. თითოეული ვათგანი, მრავალჯერ „გამეორების" მიუხედავად, რჩება იგივედ. ამდენად „მაგიდა" არ არის ერთი სიტყვა და მისი რიცხვი თანდათან გაიზრდებოდა, სოციალური ურთიერთობის მოთხოვნილება საწინააღმდეგო პროცესს რომ არ მოითხოვდეს. ბგერათა ერთი კომპლექსისათვის მხოლოდ ერთი მნიშვნელობის მიცემა ნაკარნახევია ურთიერთობის ამოცანით; ის ენის პრაქტიკული მიზანია, რომლის განხორციელება უსრულობაში გაშლილი იდეალია.

ბგერა, როგორც უშუალო ემპირიული მოცემულობა, შეგრძნებაა. იმისთვის, რომ ერთი ადამიანის შეგრძნებამ მეორემდე „მიაღწიოს", ფიზიკური გადამტანია საჭირო: ბგერისათვის — ჰაერის ტალღები, ასოსთვის — ელექტრომაგნიტური ტალღები. სიტყვა, აღებული გრძნობადი ფორმის მხრივ, არის ფსიქიკური, სუბიექტური რეალობა. ის, რაც ამას იწვევს ადამიანის ცნობიერებაში, ჰაერის ტალღებია; მიმართება ამ ორ ემპირიულ რეალობას შორის მიზეზ-შედეგობრივია. როდესაც ჰაერის ტალღები განსაზღვრული წესით ატოკდებიან, ნორმალურ ყურში იწვევენ ისეთ ბგერას, რომელსაც ჩვენ დანაწევრებულს ვეძახით. სიტყვის შედგენილობაში, რასაკვირველია, არც ერთი ტალღა არ მონაწილეობს. თვით სიტყვაში ფიზიკური არაფერია. ფიზიკურია მხოლოდ მისი გამომწვევი უშუალო მიზეზი, რომელიც, თავის მხრივ, გამოწვეულია მოლაპარაკის საარტიკულაციო ბაზის სათანადო ამოქმედებით. როდესაც ვამბობთ, რომ სიტყვა ურთიერთობის საშუალებაა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ თვით სიტყვა გადადის ერთი ადამიანიდან მეორეზე ისე, როგორც, მაგალითად, ჰაერის ტალღები, რომელსაც წარმოქმნის მოლაპარაკე, მიდიან მსმენელთან. სიტყვის წარმოშობის ადგილი არის სუბიექტი და მხოლოდ იქ იღებს იგი დასაწყისს. ყველას ესმის მხოლოდ თავისი სიტყვა, გრძნობადი ფორმა სიტყვისა მთლიანად იმ სუბიექტის ნაწარმოებია, რომელსაც ესმის იგი. ერთი და იგივე ჰაერის ტალღა იმდენ ბგერათა კომპლექსს გამოიწვევს, რამდენი ადამიანის სმენის ორგანოსაც შეეხება იგი. ბგერათა კომპლექსი არსებობს მხოლოდ სუბიექტში, როგორც მისივე ნაწარმოები. ცხადია, სიტყვის ობიექტურობის

საფუძვლად მისი ე. წ. „ფიზიკური“ მხარე არ გამოდგება. და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის, რასაც, ჩვეულებრივ, სერიოზულად თუ არასერიოზულად სიტყვის „ფიზიკურ“ მხარეს ეძახიან. ნამდვილად ფსიქიკურია და, მაშასადამე, სუბიექტური. ბგერათა კომპლექსი სიტყვის ობიექტურობას ვერც მაშინ დაედებოდა საფუძვლად, ის რომ მართლა ფიზიკური მოვლენა ყოფილიყო.

კონცეპტუალისტების ერთ-ერთი ძირითადი შეცდომა იმაში დავინახეთ, რომ ზოგადის (ფიზიკურ) რეალობაში არსებობის უარყოფის შემდეგ ისინი წარმოდგენაში ეძებენ ზოგადს. თითქოს წარმოდგენა რეალობა არ იყოს! ...ჩვენ შეგვიძლია ახლა შევაბრუნოთ ეს არგუმენტი ამგვარად: თუ ფსიქიკური, მიუხედავად იმისა, რომ ის რეალობაა, ვერ უზრუნველყოფს სიტყვის ობიექტურობას, ამას ვერ შესძლებს ვერც ფიზიკური, რადგან მისი რეალობაც წარმავალი, პროცესული რეალობაა და იმას ვერ დაედება საფუძვლად, რასაც მყარი (Bleibende) არსებობა აქვს. სიტყვა რომ ფიზიკურის გამოსახვას ისახავდეს მიზნად, ძნელია ადამიანმა მოიფიქროს უარესი შესრულება ამ დაკისრებული ამოცანისა: არ იქნებოდა არც ერთი მომენტი, როდესაც სიტყვა ადეკვატურად ასახავდეს თავის ობიექტს. ენა იქნებოდა სიცრუის განსახიერება და მას არა თუ არავინ ჩარიცხავდა კულტურის ობიექტთა რიცხვში, არამედ მასში ყველა კულტურის საწინააღმდეგო ძალას დაინახავდა. გამოთქმა — „мысль изреченная—есть ложь“—სწორია, რამდენადაც „мысль“-ში იგულისხმება ფსიქიკური რეალური პროცესი.

სიტყვა (ბგერათა კომპლექსი) აზრის მნიშვნელობის იმანენტურ ამოცანას არ ემსახურება. აზრი(მნიშვნელობა), თუ იგი რომელიმე მხრივ შევსებას, გაღრმავებას ან, საერთოდ, განვითარებას საჭიროებს, ისევ აზრს და აზრიანს უნდა დაუკავშირდეს. სიტყვა, როგორც არა-აზრი, ამ საქმეში ლოგიკურ მნიშვნელობის აქტს ვერ შეასრულებს. ბგერათა კომპლექსიდან ლოგიკური ღირებულების მქონე წვლილს მოლოდინი სასწაულზე მეტია, გაუგონარი ფანტასტიკაა[165].

---

[165] თუ ჩვენ პანლოგიკურ თვალსაზრისზე დავდგებით, პრინციპულად არაფერი იქნება შეუძლებელი იმაში, რომ ბგერათა კომპლექსმა, ე. ი. აზრის ერთმა გარკვეულმა სახემ, მეორე სახის აზრს რაიმე შესძინოს გარკვევის ან შევსების მიმართულებით, მაგრამ ამ კონტექსტში არც არსებობს პრობლემა, რომელზედაც ჩვენ გვაქვს მსჯელობა. სიტყვის როლის მტკიცებას აზრის მიმართ მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა სიტყვა აზრის გარემდებარე მოვლენად არის ნაგულისხმევი. ამ აზრით საზრდოებს ის სიახლის ელფერი, რომელიც ამ შეხედულებას სდევს თან. იხ. „სიტყვის მნიშვნელობის პრობლემისათვის“, კასირერი (ხელთნაწერი).

აზრი არსებობს სიტყვამდე და სიტყვის შემდეგაც მაშინაც კი. როცა იგი აღებულია ადამიანის ცნობიერებაში არსებობის მომენტში. არის აზრი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დაკავშირებია ბგერათა კომპლექსს და არის ისეთი აზრიც, რომელიც უკვე ვეღარ ჰპოებს სიტყვაში დამაკმაყოფილებელ გამოსახვის საშუალებას[166].

ჩვენ აქ საქმის მეორე მხარე გვაინტერესებს. სიტყვა და აზრი არსებითად სხვადასხვა ამოცანას ემსახურება. უკეთ: სიტყვას აქვს (ადამიანური) ამოცანა, ხოლო აზრს, მნიშვნელობას, არავითარი ამოცანა არა აქვს. სიტყვას ევალება ადამიანთა შორის დაამყაროს ურთიერთობა. სოციალურობის ნიშანი სიტყვისათვის არსობრივი ხასიათისაა[167]. ამდენად მისი არსებობა „შემთხვევითია" (ჰუსერლის მნიშვნელობით) და. მაშასადამე, სუბიექტური, მაგრამ მას იმისათვის, რომ თავისი ამოცანა,—ურთიერთობის დამყარება ადამიანთა შორის, განახორციელოს, — ესაჭიროება ისეთ მომენტთან დაკავშირება, რომელიც ობიექტურია და მასთან დაკავშირებულსაც ამ ნიშანს ანიჭებს. რას უნდა დაუკავშირდეს სიტყვა (ბგერათა კომპლექსი) იმისათვის, რომ მან სოციალური ფუნქციის შესრულება შესძლოს?

აქ საკითხის ორგვარი დაყენება უნდა განვასხვაოთ. შეიძლება, ჩვენი ინტერესის საგანს შეადგენდეს ამა თუ იმ საზოგადოებაში ურთიერთობის დამყარებისათვის აუცილებელი ობიექტურობა და ამ მიზნით აღნიშნული საზოგადოების მოთხოვნილებას გავეცნოთ, მისი კულტურის დონე გავითვალისწინოთ და ობიექტურობის სათანადო ნორმა დავსახოთ. ჩვენი კვლევა ამ შემთხვევაში ემპირიულ-პრაქტიკული ხასიათის იქნება და კონკრეტულ ისტორიულ ჩარჩოებში უნდა მოთავსდეს.

ჩვენ გვაინტერესებს საკითხის განსხვავებული დაყენება. როცა სრულიად გვერდს უვლით არსებულ (ან წარმოსახულ) რეალურ მოთხოვნილებას და საკითხის პრინციპულ გარჩევას ვცდილობთ. აქ საძიებელია არა ობიექტურობის რომელიმე ხარისხი, ამა თუ იმ საზოგადოებრივი ერთეულისათვის საჭირო, არამედ ის წყარო, რომლიდანაც მომდინარეობს ყოველთვის აღნიშნული ობიექტურობა. ამ ობიექტურობის ფაქტობრივი რეალიზაცია საზოგადოების გარკვეულ ჯგუფში არ იქნება მიღებული მხედველობაში. სიტყვის ობიექტივაცია, ე. ი. გარკვეულ ბგერათა კომპლექსისადმი მხოლოდ ერთი გარ-

---

166 შეად. კასირერის კონცეფცია

167 იხ. ჩვენი „მნიშვ. და გამოსახ.", სადაც, წინააღმდეგ ჰუსერლის შეხედულებისა, კომუნიკაცია სიტყვის არსებით ნიშნად არის გამოცხადებული

კვეული შინაარსის (მნიშვნელობის) მიკუთვნება — დასრულებული ამოცანაა, მაგრამ ამ ამოცანის შინაარსი და საფუძველი ამთავითვე უნდა იქნეს გარკვეული. რა არის ობიექტივაციის საფუძველი? ობიექტივაციის მიზანი სიტყვის სოციალიზაციაა, მაგრამ ამის მიუხედავად (და. შეიძლება, სწორედ ამიტომ) სოციალური მომენტი მაინც არ გამოდგება ობიექტურობის წყაროდ[168]. იმისთვის, რომ სოციალური ფუნქცია შეასრულოს სიტყვამ, ის წინასწარ უნდა გახდეს ობიექტური. მართალია. ობიექტურობის მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა სოციალური ინსტანციიდან მომდინარეობს, მაგრამ ამ მოთხოვნილების განხორციელება ამ ინსტანციაზე არ არის დამოკიდებული.

ობიექტივაციის პრობლემის გადაჭრისათვის მხედველობაში მისაღებია კიდევ ერთი გარემოება: სიტყვის (ენის) წარმოშობას ინდივიდუალური საფუძველიც აქვს და, შეიძლება, ეს იყოს ფსიქოლოგიურად პირველი. სიტყვა ადამიანს უნდა (პრაქტიკულად), უპირველესად ყოვლისა, იმისთვის, რომ თავისი (სულიერი) მდგომარეობა გამოამჟღავნოს. იგი სუბიექტის მოთხოვნილებას ემსახურება. მაგრამ სიტყვა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. როცა სიტყვა სხვისთვისაც იმასვე ნიშნავს, რასაც იგი მთქმელისთვის წარმოადგენს. ინდივიდუალურ-სუბიექტური. მაშასადამე, სუბიექტურ-სოციალურს უკავშირდება. უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ როგორ ახერხებს სიტყვა სუბიექტურობის ორგვარ წყაროდან თავის დაღწევას და მაინც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისისათვის სუბიექტის პირადი მიზანი ამოსავალი და სახელმძღვანელო ძაფია მთელი კვლევის მანძილზე. აქ ძირითადი პრობლემა სუბიექტურიდან ობიექტურის გამოთიშვა კი არ არის, არამედ ობიექტური მომენტის გამოყენება სუბიექტის ინტერესებისათვის. როგორ ახერხებს სუბიექტი თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და როგორ განიცდება მეტყველების პროცესში სიტყვის ობიექტური მომენტი? კონკრეტულ შემთხვევაში ფსიქოლოგია იმითაც დაინტერესდება, თუ როგორი უნდა იყოს მნიშვნელობა, სიტყვის შინაარსი, რომ სუბიექტმა მისი გამოყენება შეძლოს. შესაძლებელია გარკვეულ ბგერათა კომპლექსს დაუფლებულ ადამიანს მის შინაარსად ის კი არ მივაწოდოთ, რაც, მაგალითად, ზე-

---

[168] ა. ბოგდანოვის სერიოზული ცდა სოციალურით ლოგიკურის დასაბუთებისა მარცხით დამთავრდა. ლენინის კრიტიკა, რომელიც ბოგდანოვის წინააღმდეგ არის მიმართული, სავსებით სწორია: კოლექტიური სუბიექტურია ისე, როგორც ინდივიდუალურ-ადამიანური.

სტი. მეცნიერული ხმარებით არის საგულისხმებელი. არამედ მისი სუროგატი, რომელსაც ის უპირატესობა ექნება ამ შემთხვევაში, რომ იგი ჩვენი სუბიექტისათვის გასაგები, მისწავდომი იქნება. ყოველი პედაგოგიური პროცესი არსებითად ემყარება ასეთ წესს (მოვიგონოთ თუნდაც აპერცეფციის ცნება, როგორც ეს ჰერბატს ესმოდა). ამ ფაქტს ჩვენთვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ ფსიქოლოგიური და ფენომენოლოგიური საკითხის დაყენებას ნათლად განასხვავებს ერთმანეთისაგან: ფსიქოლოგია იმ საშუალებებს იკვლევს, რომლითაც სუბიექტურ-ინდივიდუალური ობიექტურს უკავშირდება, მას „ითანხმებს" და თითქოს გარდაქმნის კიდეც მას[169]. ფენომენოლოგია, პირიქით, იმას ეძებს, რისი მეშვეობითაც ობიექტური გამოითიშება სუბიექტურიდან. პირველი თვალსაზრისისათვის სიტყვა სუბიექტურის შეტყობინებაა, ხოლო მეორისათვის — ობიექტურის გამოსახულება. კავშირი სუბიექტურსა და შეტყობინებას შორის არსებითად სხვაა, ვიდრე კავშირი ობიექტურსა და გამოსახულებას შორის.

რას გამოსახავს სიტყვა? პირველ რიგში ობიექტურ ვითარებას, მაგრამ მეორე რიგში ის სუბიექტურსაც გადმოსცემს. ასეთია გავრცელებული შეხედულება. სიტყვის ობიექტურ ფუნქციას ზოგი „სიტყვის შინაგან ფორმას" ეძახის[170] და ამაში ხედავს ინდივიდუალური და ნაციონალური ფსიქოლოგიის შესწავლის საუკეთესო წყაროს. ჩვენ გვაინტერესებს: შესაძლებელია თუ არა პრინციპულად სუბიექტურ მხარესაც ისეთი გამოსახულება მიეცეს ენაში, როგორც ობიექტურ საქმის ვითარებას? მიუხედავად იმისა, რომ რეალურად არსებული ცოცხალი ენა არასოდეს არ იქნება თავისუფალი „შინაგანი ფორმის" დანართისაგან, პრინციპულად მაინც შესაძლებელია ყოველგვარი სუბიექტურის გადათარგმნა ობიექტურის ენაზე. ამისთვის საჭიროა სუბიექტური თანმხლების ადგილიდან გადავიდეს ძირითად პლანში და გამოთქმის ინტენციის პრიმარულ საგნად იქცეს. გამოთქმა სომ ყოველთვის მნიშვნელობის გამოთქმაა და, რადგან მნიშვნელობა, არსი აქვს, რასაკვირველია, ინდივიდუალურსაც, — მისი გა-

---

[169] ე. წ. „სიტყვის შინაგანი ფორმის" ცნება, როცა მას ფსიქოლოგიური (თუ ფსიქოლოგისტური?) გამოყენება აქვს, აქ პოებს თავის ადგილს და გამოყენებას: ყველა თავისი განწყობისა და შესაძლებლობის მიხედვით ამოიკითხავს საგანში (რომელიც მრავალი მნიშვნელობის საწყისად შეიძლება იყოს) იმას, რაც მას „ეხება". რა თქმა უნდა, „სიტყვის შინაგანი ფორმა" ისტორიულად მოწოდებულია არა ფსიქოლოგიური, არამედ ენის იდეურ-ლოგიკური ამოცანა გადაჭრას. იხ. Шпет. „Внутрен. форма слова".

[170] „სიტყვის შინაგანი ფორმის სრულიად საწინააღმდეგო გაგებას იძლევა შპეტი. იხ. მისი „Внут. форма слова", 1927.

მოთქმაც ისეთივე ობიექტური შეიძლება იყოს, როგორც რომელიმე სხვა. სუბიექტურ-ინდივიდუალური არ უნდა გავიგოთ როგორც ირაციონალური დანაშთი, რომელიც პრინციპულად ასეთია: რადგან სუბიექტური როგორმე გამოისახა (მიმიკა, პანტომიმიკა, ინტონაცია), მისი გამოსახვა სიტყვით ამის შემდეგ მხოლოდ ტექნიკურ ამოცანას წარმოადგენს. ის, რაც დღეს „შინაგანი ფორმაა", ხვალ შეიძლება სიტყვის გარკვეულ შინაარსად მოგვეელინოს. ექსპრესიული შინაარსი ერთ-ერთი წყაროა, რომლიდანაც მომდინარეობს ენის განვითარება. რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა მაშინ, როცა გამოთქმაში თვით სუბიექტის, მოლაპარაკის მონაწილეობა იგულისხმება. ამის შესახებ ზოგი რამ არის ნათქვამი ჩვენს ადრინდელ ნაშრომში[171].

ამგვარად, ვერც ერთი სახეობა ფსიქოლოგისტური თეორიისა ვერ ამართლებს თავის თავს, ვერ უწევს ანგარიშს იმ უდავო ფაქტებს, რომელნიც სიტყვის მნიშვნელობის თეორიისათვის განმსაზღვრელი ინსტანციებს წარმოადგენენ. რადგან სიტყვა ზოგადს გამოსახავს და ამით იძენს იგი სოციალურსა და ობიექტურ-მეცნიერულ მნიშვნელობას. სიტყვის ნომინალისტური და კონცეპტუალისტური თეორიები საფუძველს მოკლებულად უნდა ვიაზროთ. ამ დებულების მიღება იქნებოდა ერთ-ერთი ფაქტორი იმ პირობის უზრუნველსაყოფად, რომელიც ესაჭიროება თეორიულად სრულყოფილი მეცნიერების აგებას. მაგრამ ეს მაინც მხოლოდ მოსამზადებელი მუშაობაა ფსიქოლოგიის ამაღლებისათვის ზუსტი მეცნიერების რანგამდე; კრიტიკით განწმენდილ ნიადაგზე უნდა აიგოს რეალური ფსიქოლოგია, რომელიც მეცნიერებაც იქნება და ფსიქოლოგიაც[172].

ПСИХОЛОГИЗМ И АНТИПСИХОЛОГИЗМ В ПСИХОЛОГИИ

Резюме

1. Наука, о существовании объекта исследования которой, а также об его свойствах и признаках познающему субъекту даются сведения только через посредство психического процесса, находится перед опасностью психологизма, а потому через преодоление психологизма может обрести она право на существование в качестве суверенной и точной науки. Психологизм в этом случае проявляется как представле-

---

[171] გამოსახულება და მნიშვნელობა, ფსიქოლოგია, ტ. 1, თბილისი, 1942.
[172] ხი. Cohen, John, Psychologie psychologisch betrachtet, 1959.

ние непсихической реальности в виде психического процесса (содержательно-предметный психологизм).

2. Теоретический путь преодоления подобного психологизма заключается в показе, того, что закономерность реальности, предполагаемой в качестве непсихического, не выводится из закономерности психики и не сводится к ней. Решение этой задачи предполагает знание как законов психики, так и законов непсихического, возможность их сопоставления. До тех пор пока не установлена сущность законов психологической и непсихологической наук, равно как не дана гносеологическая характеристика этих законов, невозможно решение спора между этим видом психологизма и соответствующим антипсихологизмом.

3. Оправдание предметно-содержательного психологизма, что логически вовсе не исключено, не означает упразднения науки вообще, если только в психической реальности предполагается наличие закономерности, необходимой для построения науки. Непсихологические науки в этом случае теряют право на самостоятельное существование, но не упраздняются по содержанию, входят в состав психологии, принимающей вследствие этого вид универсальной науки.

4. От содержательно-предметного психологизма следует отличить абстрактно-сенсуалистический психологизм, который пытается обосновать науку только лишь через посредство алогико-сенсуального материала. Необходимым последствием этой попытки является абсолютный релятивизм и скептицизм в теории науки. Считать психику алогичной и единственной реальностью значит отрицать вообще возможность науки о реальности. Логической основой этого скептицизма является не психичность реальности, а ее сенсуальная, алогическая природа. Неправомерная сенсуализация психической реальности порою производится под предлогом преодоления логицизма.

5. Борьба психологии против логицизма (что занимает свое место и имеет свое оправдание) не должна превращаться в задачу расчистки психического от логичности. Действительность, представленная лишенной логической структуры, не может стать предметом науки. Психологический сенсуализм несовместим с идеей психологической науки. Преодоление сенсуалистического психологизма невозможно иначе, как через восстановление прав логического в психической реальности. «Логицизм» в науке, как указание на логичность ее предмета, не является однозным понятием, не аналогичен «психологизму», а необходимое условие существование науки. «Всякая наука есть прикладная логика» (Ленин).

6. Опасность сенсуалистического психологизма также (есть не более) угрожает психологии, как и другим наукам. Как не может быть речи о познании там, где принципиально исключена возможность ошибки, так невозможно вести разговор о науке там, где принципиально устранена ошибка психологического характера, где речь о подобной ошибке признается логическим абсурдом. Представить психику алогично, «только психическим», является психологизмом в психологии.

7. Отрицание закономерности психической реальности является зримым последствием часто незримого сенсуалистического психологизма в психологии. Выявление этого психологизма и борьба с ним является жизненой задачей психологии. Поскольку истина психологии так же, как и любая истина, является отражением, поскольку и она нуждается во всем том, что может обусловить истину в соответствии с ее понятием. Проблема психологии (что такое психика, в отличие от непсихического, и что является специфическим логосом психики) не может быть решена, пока не преодолен абстрактно-сенсуалистический психологизм и не решен спор между содержательно-предметным психологизмом и его противником — антипсихологизмом.

8. Под логицизмом в психологии следует подразумевать отрицание существования в психической жизни таких закономерностей, которые выходят за пределы формально-логических законов. Как естественное явление, психика, кроме сущности имеет также существование, которое определяется онтическими законами. Если будем считать, что какая-то форма существования присуща всем предметам научных дисциплин, то можно сказать, что в известном смысле каждая наука является прикладной онтологией.

9. Двойная закономерность и двоякая определенность предмета познания может показаться дуализмом только тому, кто методологический монизм представляет как сведение одной закономерности на другую, кто думает о мнимой альтернативе — в психике или все логическое или все импрессия. На самом деле, существование и сущность, бытие и определенность в психической жизни (как и вообще) составляют значительное единство.

10. Но в борьбе против психологизма в психологии логика может сыграть положительную роль только в том случае, если сама логика не будет страдать психологизмом. В многогранной проблеме отстаивания логики от примеси инородных элементов «критика языка» с точки зрения антипсихологизма занимает первое место.

11. Психологические (в широком смысле) теории значения слова грешат коренным недостатком выражающимся в игнорировании смысла и основной задачи слова, как научного органа выражения объективного обстоятельства. Этим обстоятельством является само значение, как основа и объяснение основного признака слова, его функции обобщения и коммуникации.

12. Нейтральная позиция психологов в борьбе между психологизмом и антипсихологизмом ничем не может быть оправдана: с критической оценкой психологизма связана не только судьба психологической науки, но и задача теоретического уяснения и самопознания самой психологии. До тех пор пока не решен спор между психологизмом и антипсихологизмом, невозможно установление сущности психологии.

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე, ერ.—51.
აბელარი—70.
ამანი—123.

ბ

Bauch, B.—42.
ბეკონი, ფრ.—34.
ბერკლი, ჯ.—34,77—79.
ბიულერი, კ.—34,35.
Bühler, K.—34.
Blumenfeld. W.—9.
Bochenski, I. M.—55.
ბოგდანოვი, ა.—135.
ბოპორიშვილი, ა.—22, 35, 36, 38, 41, 44, 48, 50, 107, 130.
Бочоришвили, А.—25, 48.
ბრენტანო, ფრ.—31.

გ

გომპერცი, ჰ.—65, 66, 69—71, 78, 82, 83, 85, 91, 99—106, 113.
Gomperz, H.—65, 69, 83, 85, 88, 92, 99, 100, 102, 103, 105, 106, 131.
Грот, Н. —51.

დ

დეკარტი, რ.—82.
დილთაი, ვ.—31.
დრეესი—117.

ე

ეპიკური—70.

ვ

ვაისგერბერი, ლ.—114—123.
Weisgerbep, L.—113, 117.
ვუნდტი, ვ.—35.

ი

იასპერსი, კ.—54.
Isidor—116.
Ipsen—125.
იუმი. დ.—34, 79, 80, 83, 85—87, 91.
Юм, Д.—80,81.

კ

კანტი, ი.—38, 55, 107, 110, 111.
Kant, I.—39.
კასირერი, ერ.—106, 112, 120, 133, 134.
Cassirer, E.—108—110.
კოჰენი, ჰ.—27,35.
Cohen, H.—137.
კონტი. ო.—47.

ლ

Landmann. M.—39, 54.
ლენინი—59, 135.
Ленин—129.
ლიპსი, თ.—48.
ლოკი, ჯ.—34, 77, 80, 88—91, 93, 95, 97, 98, 106.
Локк—88—90.
Лосский, Н. 40, 91, 92.
ლოცე—53.

მ

მალოტკი—27.
მარტი, კ.—113, 114.
Marty—115.
მახი, ე.—27, 34. 35, 41, 94—97.
Mach, E.—34, 94.
Мах, Э.—94—96.
Malottki, Joh. von—25.
მილი, ჯ. ს.—70—72, 74, 75, 85.
Милль. Дж. С.—75.
მოგი, ვ.—35, 52—58.

Moog, W.—21, 33, 42, 57.
Münsterberg, H.—95.

ნ

ნატორპი, პ.—58, 108.

პ

პალაგი, მ.—33-36, 51, 52, 57.
Pálágyi, M.—34, 35, 46, 51, 52, 57.
პლატონი—43, 48.
Платон—43.

რ

Reinach, A.—84.
როსცელინი—70, 77, 86.

ს

სპენსერი—75.

ტ

ტენი, ი.—96—99, 106.
Тэн, И.—97, 98.

უ

Upavarsha—70.

ფ

Pfänder, A.—36.
ფენდერი—36.
ფუნკე—114.

შ

შელერი, მ.—31.
Scheler, M.—29.
შპეტი—64,136.
Шпет—64, 128, 136.
Schuchardt—115.

წ

წერეთელი, ს.—6.

ჩ

ჩიქობავა, არნ.—92.

ჰ

Haase—118, 119.
ჰაიდეგერი—54.
ჰერბარტი—136.
ჰობსი—71, 77.
Гоббс—77.
Höfler, A.—21.
ჰუმბოლტი, ვ.—67, 76, 112, 117, 121.
ჰუსერლი, ედ.—31—33, 45, 53, 57, 58, 65, 75, 76, 96, 106, 114, 123, 127, 128, 131, 134.
Husserl, Ed.—33, 65, 68, 75, 79, 80, 84, 93, 128, 129.

შინაარსი

I. ფსიქოლოგიზმი და ლოგიციზმი ფსიქოლოგიაში 5
II. ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი სიტყვის მნიშვნელობის თეორიაში 61
შესავალი 61
ფიზიცისტური თეორია 69
ფსიქოლოგისტური თეორია 76
სოციოლოგისტური თეორია 113
ძირითადი დებულებები 123
Психологизм и антипсихологизм в психологии (резюме) . . 137
სახელთა საძიებელი 141

Ангия Тадеозович Бочоришвили

ПСИХОЛОГИЗМ И АНТИПСИХОЛОГИЗМ В ПСИХОЛОГИИ

(на грузинском языке)

დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს ღადგენილებით

რედაქტორი ვ. კ ა კ ა ბ ა ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი გ. გ ო გ ი ა ვ ა
ტექრედაქტორი ე. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.6.1965; ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆;
ნაბეჭდი თაბახი 7,70, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,83;
უე 02146; ტირაჟი 1000; შეკვეთა 503
ფასი 66 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе № 3/